

Գույուն Շնչում

1. Ամեն աղբիկում ըստ փակեցի, Գ. Բ. ի. ապստամբներ 1890 թ.
2. Յեւրո շահաւթի Գ. Բ. ի. ապստամբներ, Գ. Բ. ի. ապստամբներ 1891.

ს ა მ ი

ისტორიული ხრონიკა

(ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ
და მესხური დავითისა)

გამოცემული

ვრცელის წინა-სიტყვებით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ.



ტფილისი.

Тнп. К. Месхіева и С. Полетаева. | სტ. კ. მესხ ევას დ. ს. პოლეთაევა.

1890.

გადაბეჭადვა და გადათარგმნა აკაკი მელიქიძის მიერ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Ноября 1889 года.

შინაარსი წიგნისა ამის

გვერდი

I წინა-სიტყვაობა ქართლის მოქცევისათვის I—CII:

- 1) აღწერილობა შატერდის კრებულისა. I—XX.
- 2) აღწერილობა იტრიის ეკლესიისა და ამ ეკლესიის გუჯრები. XXI—XXXIV.
- 3) ზემო-ჭალის ეკლესიის არხეოლოგიური ნივთები XXIII—XL.
- 4) აღწერა ვახუშტი აბაშიძის კუთვნილის სურათებიანი სადღესასწაულოსი. XL—XLV.
- 5) აღწერა პარხალის სახარებისა XLV—LVII, LXXIV—LXXIX.
- 6) შენიშვნები პარხალის მონასტრის შესახებ LVII—LXI.
- 7) შენიშვნები შატერდის, ხანძოეთის და კალმანის მონასტრების შესახებ, თუ სად მდებარეობდნენ LXI—LXXIII.
- 8) განხილვა ქართლის მოქცევის ხრონიკისა LXXIX—CII.

II წინა-სიტყვაობა სუმბატის ისტორიისათვის CIII—CXXVI.

- 1) განხილვა სუმბატის ისტორიის ხრონიკისა CIII—CXII.
- 2) შენიშვნები ვახტანგ VI-ის ქართლის ცხოვრების რედაქციის შესახებ. CXII—CXXVI.

III წინა-სიტყვაობა მესხური დავითნის ხრონიკისათვის. CXXVII—CXLIX.

- 1) განხილვა მესხური დავითნის ხრონიკისა CXXVII—CXXXIX, CXL—CXLI.
- 2) ვალის ეკლესიის წარწერა CXXXIX—CXL.

3) შენიშენები Chronique géorgienne-ის და შედეგი ქართლის ცხოვრების ხრონიკის შესახებ, თუ რა და რა წყაროებიდან არიან შედგენილნი. . . . CXLI—CXLIX.

IV მოქცევა ქართლისაჲ. . . . 1—39.

V ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ჩუენ ქართ-
კელთა მეფეთასა, თუ სადით მოიწივნეს ამას ქუე-
ყანას იგინი, ანუ რომლით უამითგან უზურციეს მათ
მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა ს უ მ ბ ა ტ მ ე-
მ ა ნ დ ა ვ ი თ ი ს ა მ ა ნ 41—79

VI ხრონიკა მესხური დავითნისა (ნაწიკეტი). 81—115.

Handwritten signature or mark in the top right corner.

წინა-სიტყვაობა

ქართლის მოქცევისათვის.

შაჰშან ალექსის ძე მესხიშვილმა შემოსწირა ჩვენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავს ჩამოდენიძე ხელ-ნაწერი. ამათში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ერთმა, რომელიც აღნიშნულია ამავე წიგნთ-საცავის № 1141, და რომელსაც ჩვენ ამ თავიდან სახელს ვსდებთ „შატბერდის კრებულად“. კრებულს უწოდთ ჩვენ ამ ხელ-ნაწერს მიტომ, რომ ის თავის შინაარსით წარ-მოგვიდგენს კრებას სხვა და სხვა ნაწერებისას, და შატ-ბერდისას—მიტომ, რომ ის გადაწერილია შატბერდის მო-ნასტერში და შეწირულია ამავე მონასტრისათვის.

ხელ-ნაწერი, სულ 28×24 ($22,5 \times 8$)¹ სანტიმეტრი, დაწერილია კარგ შავარ ეტრატზე სანახევროთ ხუცურნი ასო მთავრულის (1—256) და სანახევროთ ნუსხა სუცურის ხელით (256—581). მელანი ტეკსტისა შავია, შავრამ სათაური თითოეული სტატიისა და თავისა, და სშირად მე-

¹ ციფირები, რომელნიც ფრჩხილებში არ არიან, უჩვენებენ გარეგან ზომას ხელ-ნაწერისას—სიგძეს და განსი ხოლო ფრჩხილებში მოქცეულ ციფირებთა შორის პირველი უჩვენებს თითოეული სვეტის სიმაღლეს და მეორე სიგძეს თითოეული სტრიქონისას.

თაურის ასოები და სტრიქონებიც ნაწილობრივ წითელის მელ-
 ნით, დიდი მეთაური ასოები, ანუ „ინიციალები“ ბევრის ხელ-
 ნაწერში, მაგრამ არც ერთი მათგანი ფერადებით შემკო-
 ბილი არ არის. ასო მთავრული წერა თავიდან ბოლომდე
 ერთგვარია, მოსხო და ღამისი. ეს ნაწილი კრებულისა
 ნაწილობრივ ორ სვეტად და თითოეულ სვეტზე დატეულია
 27 სტრიქონი. მეორე ნაწილი, რომელიც დაწერილია ნუს-
 ხა სუცურის ხელით, წამოგვიდგენს სამკვარ სხვა და სხვა ხე-
 ლის წერას თანხმად იმ სამთა შინთა, რომელთაც, როგორც
 უკანა-სიტყვაობიდან სჩანს, მიუღიათ მონაწილეობა წიგნის
 გადაწერაში. საზოგადოთ სამივე ხელი ამ ნაწილისა ღამ-
 სია, მოსხო და ადვილათ გასარჩევი ყოველგან, სადაც მე-
 ლანი გადასული არ არის და ეტრადი გაფუჭებული. სამ-
 წუსაროდ არა იშვიათია ისეთი ადგილები, რომელნიც
 დროთა ვითარების გამო ძრეულ გაფუჭებულან. ზოგ ად-
 გილას ეტრადი დახეულია, ადგილ-ადგილ მელანი გადასუ-
 ლია და სიტყვები აღარ განიჩევიან, ზოგიერთი ფურ-
 ცლები შენახულა სანახევროდ და ზოგიერთ ადგილს სი-
 ტყვები და ფრასები განგებ ამოფსკილია უმაცარის ხე-
 ლით. მეორე ნაწილი კრებულისა, როგორც პირველი, ნა-
 წილობრივ ორ სვეტად და თითო სვეტზე დატეულია 26 დამ
 33 სტრიქონამდე. ჰაგინაცია, ანუ ფურცელთ სათვალავი,
 მიუძღვის თითოეული წკა ფურცლის შემდეგ ასო მთავ-
 რულით ქვემო და ზემო არშიებზე. ჰაგინაციის მიხედვით
 ხელ-ნაწერი უნდა შეიცავდეს 317 ფურცელს, მაგრამ კხ-
 ლა დატეულია მხოლოდ 291, ანუ 582 გვერდი, და და-
 კარგულია 37 ფურცელი. უმეტესი ნაწილი აკლია შუა

ადგილებში, თავი სრულად არის დაცული, ბოლოში, როგორც ხჩანს, აქვია მხოლოდ ერთი ფურცელი. ეტუობა კრებული კარგ ხანს ყოფილა უედოთ და მეტე უდის გაკეთების დროს ფურცლები აურეკით ერთმანეთში; ამით აისსნეს ას გარემოებს, რომ ზოგიერთი მათგანი ეხლა თავ-თავის ადგილზე არ არის და უკანასკნელიც, რომელიც ცოტა გასერილა და გაშავებულა უედობის გამო, უდის გაკეთების შემდეგ ერთი ფურცლით წინ მოქცეულა. კრებულს მაგარი ხის უდა აქვს ტყავ-გადაკრული. შინაარსით, როგორც მოვიხსენიეთ, სელ-ნაწერი წარმოგვიდგენს სხვა და სხვა ნაწერების კრებას შემდეგის რიგით:

I თქოჯმოჯლი წდისა და ნეტარისა მამისა ჩუწნისა გრიგოლი ნოსელ ებისკოპოსისაჲ კაცისა შესაქმისათჳს, რომელი მიუწერა ძმისა თჳსსა ჰეტრეს, ეპისკოპოსსა სებასტიელსა (გვ. 1—121).

ეს „კაცისა შესაქმე“, ანუ „ექვსთა დღე“, განიყოფება 30 თავად და იწეება, როგორც ნაჩვენებია, გრიგოლის წერილით თავის ძმასთან ჰეტრესთან, სებასტიელ ეპისკოპოსთან.

დასაწეისი: ოჯკოჯთოჯმცა ჟერ აუო დსაჲ სათნოვე ბის მომტებელთაჲ ჰატივითა მონაგებთაითა, იშოვნესმცა უნი სიქადულნი სათესეთანი უნდო...

დასასრული: რა კლდ ვიგნეთ მადლსა-მას მსგავსებისა ღთისსა, რლითა დაჭბადა ღნ კაცი შირველ, ოდეს თქა: „იქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩნდა,“ რლისა არს დბე და ძლიერებაჲ აწ და მდს და უკ უკს ან¹).

¹) აქ და უოველგან სხვა ამ გვარ შემთხვევაში იცავო დედნის მართლ-წერას.

ამ ნაწილში კრებულისა, მე 84 გვერდზე, ქვემო აწ-
შიახვე, ტიკსტისკე ხელით, მაგრამ ნუსხა ხუცურით კვი-
თხულობთ: ქ. შიწყალე მწერალი იოანე.

შესაქმის ბოლოს, მე 121 გ-ზე იმავე ხელით
სწერია:

ესე კაცისა შესაქმლ დანიწერა დედითა იშნისაჲთა,
გინ ივითხავდეთ მწერლისა [თჳს] [კურ]თხევას უავთ¹⁾.

II ეპიფანს გვპრკელისა თქმული თოჯალთაჲ (122—
214).

დასაწყისი: ეპიფანს ეპისკოპოსი კოსტანტია ქლქისა,
რლ აწს დედაჲ ქლქთაჲ გიპროს ჭალაკისაჲ, რლ
თქოჯა ათორმეტთა მათ თოჯალთათჳს, უ ა ჩემსა, პატრი-
სანსა მისსა და საქმისა თანა ზიანსა, თეკდორწსს, კეთილად
მსასოჯრსა ეპისკოპოსსა, ეპიფანს ეპისკოპოსი ოლისა
მიერ გივითხავ.

ბოლო: აწ გამოკაცხანდეთ მთანი ესე უღითა ჭეშ-
მანტიტეჲთა, აქაოდენ კმა იუავნ თქოჯმად და გულისაბმის
ყოფად ამის უღისათვის.

განჩეულია შემდეგი თვლები: 1) თოჯალი სარდიო-
ნი, 2) კბალიონი, 3) ზმოჯრი, 4) იაკინთს, 5) საფი-

¹⁾ სიტყვა „დედა“ აქ, როგორც ზშირად, სხვა ხელ-ნა-
წერებშიაც, ნახმარებია „დედნის“ მაგიერ. იშნის, ანუ იშხანის
შესამჩნევი ძველი ეკლესია მდებარეობს ოსმალეთის საქაროვე-
ლოში, ოლოის და ტაოს-კარის წყლებს შუა (Баградзе, Кав-
казь въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 74).
შეიძლება ამ ადგილევში უნდა ვეძიოთ შატბერდის მონასტერიც,
რომლის მდებარეობა არ ვიცით, სად იყო.

რონი, 6) იასპინი¹⁾, 7) ლუკვრიონი, 8) აკატი, 9) ამეტოსტონი, 10) როწყეოჯლი, 11) ბუკრიონი, 12) ფრცხილი.

ამ ნაწილში მე 180—181 გგ-ზე, ქვემო არშიაზე, ტეკსტისკე ხელით, მაგრამ ნუსხა სუცურით და წითელის მელნით სწერია:

უ^რ ჭ^ე, უ^რ მეოფეო უ^ლთა დბდ^ლთა, წე^ლობთ მოიგსენე ამის წიგნისა მწ^რლი დღესა-მას ადგომისასა.

მე 214 გ-ზე იმავე ხელით:

ჭ^ე, შეიწყალე ივანე, ამისა მწერალი.

III მკვეტათჯს სახისა სიტყუჯდ, წიგნთაგან თქმული წმიდისა ბასილისი, ებისკოპოსისი კესარიელისა.

დასაწყისი: არს რ^ი იწოდების მსოჯენი მზარისაჲ, კ^ა სახის მკვეტაჯელმან თქოჯა...

ბოლო: რ^ა აჯადო პირი ჩემი და აღმოკთქოჯა ჭებაჲ მამისა და ძისა და წ^დისა ს^ლისაჲ აწ და მ^დის და უგ^ი უგ^ე ა^ნ.

მე 217 გ-ზე ამ ნაწილისა, ქვემო არშიაზე ტეკსტისკე ხელით, მაგრამ ნუსხა სუცურით და წითელის მელნით სწერია:

ჭ^ე, შეწყ^ლბ^ე ბერაჲ, მწერალი ამის წიგნისაჲ, და შეუნდვენ ე^{ნი} ცოდვანი მისნი, ა^ნ.

მე 239 გ-ზე იმავე ხელით და კინოკარით:

სამებაო წ^ო, ე^ლისა მპერობელო, წელ^ბით მოხედენ ამისა მწერალსა, გლ^ხესა, მეოხებითა რჩეულისა შე-

¹⁾ ამ თავლის შესახებ სხვათა შორის სწერია: იპოგების ესე საზღუართა ქართლისათა და გორგანჯეს.

ნისა წდისა ბასილ მთვრ ესკჳსისაჲ[თა]... (აქ ერთი სიტყვა ამოშლილია).

IV სტატია, რომლის სათაური განგუჳ ამოფხკილია, მაგრამ რომელიც შეიცავს: 1) ებრაულის და ბერძნულის ანბანის განმარტებას და 27 ბეული აღთქმის წიგნების ჩამოთვლას ებრაულათ და ქართულათ, 2) შემოკლებულ ქრონოლოგიურ ისტორიას ბეულის აღთქმისას და ქრონოლოგიურ ცნობებს სპარსეთის მეფეებზე, ეგვიპტის პტოლომეებზე, რომის და ვიზანტიის მეფეებზე (240—255).

დასაწყისი: ამას შენდა, პატროსანო, ჩნ შეგსწირავთ, რომლისა მადლისათჳს ჰკითხვ მოხსენებაჲ, მისთჳს იუჳნ. არიან მრჩობლ წყრილთა მათ წარმოლება პირველად დაბადებულთა მათ ღთისა მიერ ექრჳსთა მათ დღეთა ქმნაჲლი და სსოჳნი რომიმე წთაგან წიგნთა თავდგოჲლნი შემდგომდ ელთა აღწერილნი.

სპარსეთის მეფენი ჩამოთვლილნი არიან სპარსეთის დაპრობამდის აღექსანდრე მაკედონელისაგან, რომელზედაც სწერია: აღექსანდრე მაკედონელია მოკლა მეფე დარიოს და დასც მღიერებაჲ სპარსთაჲ.

ბე 253 ფერცული, რომელზედაც მოყვანილია სახელეუბი ეგვიპტის პტილომეებთა და რომაელთ ბეფეთა, დატულია სანასკეროდ. ვიზანტიელნი მეფენი ჩამოთვლილნი არიან თევდოსიოს III-დე (715—717) და შემდეგ სხვა ხელთ სანასკეროდ ასომთავრულით, სანასკეროდ ნუსსა ხუცურით და ზოგიერთ მეფეების გამოტოვეუთ მოყვანილნი

აწიან ნიკითორე ფოკამდე (963—969). უფრო და-
წვრილებით ავტორი მოგვითხრობს კოსტანტინე დიდზე:

კოსტანტინე მეექვსე და ბუღმან მე 8 წელსა მეფო-
ბისა მისისა მოკლას უშჯულოდ მეფე მახსიმიანს და დაი-
პყრას ჭკობითა მეფობაჲ, და აღესრულა კოსტანტინე დიდი
ჲე წლისა, და დაჰყო მეფობასა შინა ლბ წელი. მე ით
წელსა მეფობისა მისისა იყო წჲე კრება ნიკეასაჲ, და ით
წელსა იგოჯრთხნეს წნი ეკლესიანი ისტრუსალიმისანი კე-
ლითა წისა ათანასი აღექსანდრელისათა.

V შვიდი სხვა და სხვა განმარტება იპოლიტესი
(256—432):

1) იპოლიტეს განმარტება გურთხევასათა მათოჯს
მოსესათა ათორმეტათა მიმართ ნათესავათა (256—283).

დასაწყისი: ნეტარისა მის ისაკისი ყოფილათა მათოჯს
გურთხევასათა ძეთა მიმართ თჯსათა პირველათა მათ წიგნთა
შინა გამოთქმული...

ბოლო: დაუცხრომელითა გალობითა ულთა დაბა-
დებულთ რთ შესწირვენ ღთსა, რლსა დსა რკი
ოკე ან.

2) წმიდისა იპოლიტეს თქმული გურთხევასათა მათჯს
იაკობისთა, ვითარ იგი ათორმეტნი (sic) ნახვეტნი აგურ-
თხნა (283—313).

დასაწყისი: გურთხევასათა მათოჯს იაკობისთა გამოთქმად
სიტყუანი მე რლისა მიერ გურთხევასათა მათ ვეძიებ...

ბოლო: რლსა მიმართ სარწმუნოვებითა ჩნცა მადლ-
სა მიესტამდეთ რკი რკე ან.

VIII

3) თქმული იზოლიტეს დავითისთვის და გოლიათის-
თმისთვის განმარტება (313—326).

დასაწყისი: ზრახვანი იგი ნეტარისა მის დღესნი ყო-
ფილნი ძუელსა შჯუელსა და გალობითა ნწნულ ყოფილ
და საქმითა სრულ ადვილ არს ცნობა.

დასასრული: და ქვესკნელთასა მეფე ხარ, ვა კაცი
სწუთრომისა უამთაჲ, ხ ქე საუგუნე მეფე, და სრულ
ჭკიეს აწ და მს და ოკი ოკე ამენ.

4) ნეტარისა იზოლიტეს თქმული თარგმანება ქებაჲ
ქებათაჲ (326—356).

დასაწყისი: სიბრძნე აქუნდა სოლომონს, არა თუ თუთ
სიბრძნე იყო, მადლი ჰოვა დღისა მიერ...

ბოლო: ამას ზა შემოკრებულ წარმართთაგანნი გან-
მარტლებულ განსუენებელ მადიდებელ დღისა წლისა დეა
დაძლიერებაჲ ოკი ოკე ამენ.

5) ნეტარისა იზოლიტეს თქმული აღსასრულისათვის
უამთაჲსა, თქმული წიგნთაგან წმიდათა ქრისტესთვის და
ანტი-ქრისტესთვის (386—389).

დასაწყისი: აუწყე შენ დამტკიცებულსა მაგას შენსა
მეცნიერებასა გულის-ხმის ყოფად...

ბოლო: დიდების მიტემით ოა იტ ქეს, წლისა
არს დეა ოკი ოკე ამენ.

6) სიტყუაჲ წმიდისა იზოლიტესი საწმინდოების-
სათვის (389—409).

დასაწყისი: გურწამს, ვა ნათელ ვიდეთ და ვადიდებთ
იგა: განვსათლდით ნათლის ღებითა-მით ემბაზისადათა...

დასასრული: მიუწდომელი იგი ვიწ შუქდლოთ გამომიებად ჩლას აჩს დზა რკი რკე ან.

7) თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუზნისა იზოლიტესი, მთავარ - ებისკოპოსისაჲ, სასტ აღთქუმისაჲ (409—432).

დასაწყისი: მართალ აჩს სიტყუა ესე, რლსა ვიტყუ...

ბოლო: და ყოველთა ერთობით აღმოკოტყუათ ქებაჲ და დიდებაჲ მამისაჲ და ძისაჲ და წდისა სულისაჲ აწ და მდს და რკი რკე ან.

ამის შემდეგ, მე-432 გ-ზე, ტექსტისკე ხელით სწერია:

წო მამო იზოლიტე, მეოხ ეყავ მამსა იოვანეს წე ღისა ჩნისა იტ ქა: ესე ერთი წიგნი მათითა სფსითა დაიწერა, ვინ იკითხვიდეთ, ულოცვიდით.

VI მოქცევაჲ ქართლისაჲ (433—497).

ეს ქართლის მოქცევა უგელაზე უფრო საინტერესო ნაწილია შატბერდის კრებულისა და ამასე საუბარი ქვემო იქნება.

მე-470 გ-ზე ამ ნაწილისა, ქვემო არშიაზე, ტექსტისკე ხელით და კინოვარით სწერია: ქე შე ბერაჲ მწრალი.

ამ გვარივე წარწერა აჩის გამეორებული მე 464 გვერდზედაც.

VII ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა იაკობისი, რომელი ებისკოპოს იქმნა ქალაქსა ნასიბინს (498—515).

დასაწყისი: მოსე დიდმან წინმულმან, რნ განაპოზღუა მეწამული და განიყანნა კმელსა მენი იტლსანი...

ბოლო: რაღას შეუძლოთ დიდებად სახელსა წადისა
სამებისსა, რაღისა არს დაბა აწ და მს და რაგე ან.

VIII თარგმანება დავითის ფსალმუნებისა (515—
581).

ეს თარგმანება იწყება დაჩის წერილით სტეფანე
მტბეკარ ეპისკოპოსთან. დაჩი არის მთარგმნელი ამ სტა-
ტიისა სომხური ენისაგან. ეს საინტერესო წერილი ცო-
ტათ თუ ბეკრად შექს ფენს საღმთო წიგნების თარგმან-
ებას ქართულ ენაზე და ამისთვის საჭიროდ ვრცხთ მო-
ვიყვანოთ აქ სრულად. აი ეს წერილი:

„ზირველი სიტყუა მიწერილი დაჩისი სტეფანისა ნე-
ტარისა მტბეკრელ (მტვრელ) ეპისკოპოსისა.

„ღირსო მამო, წმიდაო ეპისკოპოს (ესაგვს) სტე-
ფანე, ქრისტეს გამოჩნეულო მამოვადო, გუთხეულ არს
ღმერთი, რომელმან გამოგახინა შენ გუთილად მწყესად
ჩვენდა და მკურნადად, სულაერად აღმაშენებლად ჩვენდა.
მრავალ გზის მი და ხილვად შენი გუთნებისათვის საღმო-
ბათა სულისა ჩემისათა, არამედ სიმორისაგან და რუდუ-
ნებისაგან უცალოვებისა ჩემისა ვერ ღირს ვიქმენ თავგან-
ნის-ცემად შენდა. აწ შენდობა იყავნ ჩემდა, ამისთჳს რა-
მელ წიგნითა მოგიღუნებ განსაკითხასა ამას ჩემსა. წმი-
დაო ღუთისაო, მრავალ უამითგან გულ-მოდგინეთ ვეძიებ-
დი თარგმანებასა ფსალმუნთსა, წიგნსა-მას, რომელი და-
წერა წმიდამან მამამან ჩუენმან ეპიფანე გვზრელ ეპისკო-
პოსმან, და არა ვპოვე ქართულად, ბეძმენთა ერთა ვპო-
ვე და ვერ შეუძელ ცნობა, ვითარცა წაროსა მიქცო-
მელსა და ფასსა [დაფარ]ულსა, მერმე ვპოვე სომხურითა

ენითა წერილი სრულად მითვე სურძელითა განგებითა, და მითვე რიცხვთა. შემშურდა სომეხთათჳს და შეემშინა თარგმანებად, რამეთუ დიდი ბრალებაჲ შეემთხვევის თარგმანთა, რომელნი არა განეკრძალებენ, და სრულად (სლდ) უკეთუ ვისმე პირველად ეთარგმანოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდეგობად გამოჩნდების, ვითარცა [აკულაძის იგი და სჯმაქოსისი]...

„და... არა გზოვე პირველად თარგმანებული, და ამითჳს მტირედი ესე, გემოს სილვაჲ, გამოვთარგმნე, და წინაჲ ღუთისა მოუყარებისა შენისა განსაკითხვად მიგიძღუნე. ხოლო შენ მსგავსად მოცემულისა მკის სიბრძნისა შენისა განიკითხებ, და ჯერ თუ იუოს, შენ მიერ დაენერტენ შორის (შს) ეკლესიასა, და უკეთუ არა ღირს რადმე იუოს, წიგნი ესე დაწვ და სიუცხებ ჩემი დაფარებ, და მე მამხილებ, და შეგინანო.

„ხოლო მე ას-ერგასისთა მათ განსაკითხვითა შორის შუდნი ხოლო გამოძიებენ, რომელ არს აღმოჩენი ოდენ სრულად (სლდ), და თვნიერ ბრძანებისა შენისა არაღა რა კელ წავუოფ, ვიდრემდის არა ვიცნა, თუ მსჭეს რადმე, სასყიდელათ დავშურებოდი, ანუ თუ ცუდად დავშურებთ, და ბრალობად შემემთხვევის, რამეთუ დიდ წიგნი არს თარგმანი ას-ერგასისთა მათ ფსალმუნთა, რომელნი დაწერნა კალამიან ღუთისამან, და სულისა მიერ წმიდისა შეთხზნა ბრძაიონი ქებისაჲ და დადვა იგი თსქმსა ზედა ეკლესიისასა სამღვეველად მკურისა.

„ამის წმიდისა მამისა ჩუენისა ეპიოფანეს თარგმანებული ფოკლისაკე (ყლისაკე) კეთილად და განგებულად გვ-

ჩუენებს, თუ ვითარ არიან ზედა წაწერილნი იგი, ანუ ვითარ აკსენებს სასიფის და ძეთა კორქესთასა და ედი[ლას]მის და სსუათა შემსახმეელთა.... და რისთვის თქმულ არიან, ანუ რამე ძალი აქუს [საწინესეფათასა?] მას, და ძეგლის წერასა, და ფსალმუნთასა (ფასა), თითოეულად გზიუენებს, რამეელისადა არა დარჩების ერთიცა იოტა ოდენი, რამელსა არა კეთილად განგვამარტებს, ვითარცა იგი მეტოქელთა (მეტქლთა) წმიდათა უფლისა თანა ისაღილეს კიდესა ტბისა-მის ტბეკრისასა ასურგასის და სამითა თეკზითა.

„ესრტყე სასტდ წმიდადა მამათ-მთავარი კუიფანე შესზავებს თეკზთა მათ და საღილეს უოკელთა მოწმუნეთა, რამელ არიან წიგნი იგი ფსალმუნთანი ჰურ და მადლ საღმერთო წმიდასა შინა ეკლესიასა.

„ხოლო მე მსგავსად ძალისა ჩემისა მტირედნი ესე ას-ერგასისთა მათგან შენ მოგიძღვანენ, უკუეთუ ჯერ არს განსრულებადა, სიწმიდემან შენმან განსრულენ, მე უცალოკებისა ჩემისაგან ვერა რას შემძლებელ ვარ. თუ რამე არა ჯერ იყოს, ზემო მოკსენებულსა მისებრ დაწვთ, და მე შენდობადა მომმადლეთ, და კსენებულმცა ვარ ლოცვათა შინა შენთა, ღირსო მამაო, ამინ“.

ამ სტატკის ბოლოში, ქვემო არშიაზე ტეკსტისკე ხელით სწერია:

დაჩის ეთარგმანსა ესე სომეხთა ერისაგან, ღმერთმან სული მისი დიდებულ ყავნ.

ამ თარგმანში სომხური წაწერებიც იპოვება, მაგრამ საუურადლებო მათში არაფერი აღმოჩნდა. კრებულში მო-

უკანაღია მხოლოდ 17 ფსალმუნის თარგმანებაჲ და ბო-
ლოს სწერია:

დიდებაჲ შენდა, ქრისტე, დაესრულა თარგმანებაჲ
ფსალმუნისა, თქმული წმიდისა ეპიფანესი.

ამას შემდეგ მოუკანაღია დაჩის წერილი მროკელ
ეპისკოპოსთან ანტონისთან, რომლისათვისაც დაჩის უძღუ-
ნის თავის შრომა¹). აი ეს წერილიც:

„მიწერილი დაჩისი [მრ]ოკელ ეპისკოპოსისა ანტონისა.

ჩვერ თუ იყო ანუ არა, ნიშდეტითა ამით გონებითა
ჩემითა ესე ფერკე გვაჲ და შენდა შევწიწე, ღირსო უფ-
ლისაო, და გეკედრები სიწმიდესა შენსა, რათა განაშორო
სიტყვათაგან ჩემთა ეპერანქოჲ მტერისაჲ და მომთინო
ჩემზედა ართი ეკე მადლისა შენისაჲ, და განანათლო
ხნელი გონებისა ჩემისა, და ეტეროვან კეთილ მექმენ მე,
და მიზუარ კელი მარჯუენე ჩემი, და ელოძენოსად მიძლო-
დე მე წინაშე ჩემსა, და განმავლენ მე გრესნი იგი ძნად
საკაღნი, და მიმიძელუ მე თემ[ს]ოფორონისა მას სამეუ-
ფოსა, და გამოძითხოვე მსაჯულისაგან პიტაკი განთავი-
სუფლებისაჲ, რათა განვერე მე კელთა მათგან სსშინელ-
თა. წმიდაო ეპისკოპოსო, ღირსად გმოსეს ვაკასი ეკე
სამღმდელოჲ, და სამართლად მიგიღებეს დროატი საღ-
მართოჲ, კელმწიფება გაჭუს, მენეო, განმათავისუფლე მე
მონობისაგან ცოდვისა“.

¹) დ. ბაქრაძის ისტორიაში ეს წერილი შეტომით არის
ჩათვლილი ივანე ბერაის წერილათ (ინ. ბაქ. ისტ. გვ. 221).

ბოლოს მოყვანილია ამ სელ-ნაწერის გადაწერის, ანუ მოთავე რედაქტორის უკანა სიტყვაობა, რომელიც სამწესწაროდ სრულად არ არის დატული. აი ეს უკანა სიტყვაობაც:

„სახელითა წმიდისა სამებისა სამქადაგებელისა, ზეგარდამო ქებულნო და დიდებულნო წმიდანო მღვდელთ მოძღვარნო, ნეტარნო: გრიგოლ ნოსელ ეპისკოპოსო, და ღირსო ეპითანე კვზრელ, ძმაო და მთავარო, და განთქმულო წმიდაო ბასილ, მწიქმსო ყოველთა მოწმუნეთაო, და დიდებულო იპოლიტს, წინასწარ-მეტყუელნო, გამოუთქმელთა მადლთა მეცნიერად მეტყუელნო, დიდად განსაქვრვებულნო კაცნო, პოენილნო გულითად ღუთისად, წოდებულნო მონად ქრისტესა, სამკვდრებელნო სულისა წმიდისანო, რომელმანცა გამოუჩინებულნი და დაფარულნი სობრძინისანი გამოგვცხადანა და სული წრთელი განიხადა გუამთა თქუენტა, და დაუწერენით ეკლესიასა ქრისტესსა პირად პირადთა წიგნთა თარგმანებანი, და შესხმანი წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღუთის-მშობელისანი, და ხუენ გვაუწყეთ წესი აწინდელისა ქტევისაჲ ღუთის მსახურებით, და მოსაგებელი ნეტარისა მის საუკუნოჲსა სასოკებით ცხოვრებისაჲ, ვითარცა ხილულ დაუმტკიცეთ გულის სმის მყოფელთა, ვითარცა თქუა დანიელ საკვრველმან წინასწარმეტყუელმან: „მაშინ გამობრწყინდენ გულის სმის მყოფელნი იგი, ვითარცა მბრწყინვალებაჲ სამყაროჲსაჲ“.

„და რომელთა კეთილად ხელ უკეს და უნჯებაჲ ზეტისა სიმდიდრეთაჲ წარგებითა ქუეყანასა (ქენსა) მონაგებთაჲთა და ქველნს საქმისა მათისა ახოვნესაჲ, ვითარცა

ნესტრ ოსრის წინაშე ღუთისა და კაცთა ყოველთა აღიბუ-
ლებს მიხატვებად მათდაში (მამი), დაღაცათუ გლასაკვინ-
მე იყო, კითარცა წერილ არს: „მედგარო ემსგავსე ჯინ-
ჭკელსა და შებმა უყავ უფროდს ძალისა შენისა, რამეთუ
ღმერთი არს მოძველები ძალისაჲ“.

„ამისთჳს მეცა არს დავუარე სწრაფად სულისა ჩემი-
საჲ მიზეზითა ნაკლულეკანებისაჲთა და შეუდგე კეთილსა
გულს მოდგინებასა, მე ცოდვილი და უნარჩვეესი ყოველ-
თა მეწესეთაჲ, იოვანე ბერაჲ, და გავასრულე წმიდაჲ
ესე წიგნი: კაცისა შესაქმნელ, და მეორედ წიგნი თუაღთაჲ,
და სახის მეტყუელი, და იპოლიტე, და ქართლისა მოქცე-
ვაჲ, და ცხოვრებაჲ ნეტარისა-მის და დიდებულისა მღუ-
ღელთ მოძღურისაჲ იაკობ ნასიბინელისაჲ, და თარგმანე-
ბაჲ ზოგთარე ფსალმუნთა დავითისთა—მოღვაწეობითა
და [გულ-მოდგინებითა] დედის ძმისა ჩემისა მიქაელისა
და ძმისა ჩემისა დავითისითა (ღვთისითა), და სხუა
არაჲ არავის ჭრთავს, თჳნიერ სიგლასაკვისა ჩემისა, და შევწირე
[შატ] ბერდს საყოფელსა წმიდისა ღუთისა მშობლისაჲსა,
რომელსაცა შინა აღ[ვწე]რე სალოცველად სულისა ჩემისა
ცოდვილისა, და მშობელთა [ჩემთა], და სალოცველად მე-
ფეთა ჩ[ვენთა]—ბაგრატი მეფისა და ყოველთა შჯლთა
მათათვის, და გეკედრები ყოველთა, ვინცა იმსახურებდეთ
წმიდასა ამას... (ამას იქით დედანს აკლია).

ივანე ბერაჲ, როგორც ჭკემოთ დავინახავთ, ყოფი-
ლს შატბერდელი მწერალი, „ბერაჲ“ მას „ნართაულად“
ჭკვიებია, ანუ უკეთ ვსთქვათ, „ბერაჲ“ მეტი სახელი ყო-
ფილა ივანესი. ანტონი ბროკელ ეპისკოპოზი სხვა წყა-

რობებში ცნობილი არ არის და ვინ იყო არ ვიცით. ხოლო სტეფანე მტბეკარი, როგორც სამართლიანად შენიშნავს დ. ბაქრაძე თავის ისტორიისში (გვ. 221), უნდა იყოს აღმწერელი წმინდა გობრონის ცხოვრებისა, რომელიც გამოჩენილი კაცია ჩვენს ძველ მწერლობაში. მაგრამ ბაქრაძის მოსაზრება, ვითომც „სტეფანე ბაგრატი I დროს ბრწყინავდა“ — გამოწვეული იყო იმ შემცდარი აზრით, რომლითაც შატბერდის კრებულს ბაგრატი I დროს აკუთნებდენ. ჩვენ ქვემო დავინახავთ, რომ შატბერდის კრებული ბაგრატი I დროს კი არა, არამედ ბაგრატი II დროს ეკუთვნის. მაშასადამე ზემოხსენებული მოსაზრება უარყოფილ უნდა იქმნას. სტეფანე ქართლის ცხოვრების თქმით (ქ. ცხ. ტ. I გვ. 196) და თვით გობრონის ცხოვრების ცნობით — ცხოვრებდა აღწინასე II დროს (881—923), და ვერ არავითარი საბუთი არა გვაქვს უარყოფთ ეს ცნობები.

დაჩი, რომელსაც სომხური ენიდგან დავითის თსაღმუნების განმარტებანი გადმოუთარგმნია, ჩვენს ისტორიულ წყაროებში არსად არ იხსენიება. მხოლოდ ერთ ხელნაწერში, სახელად „იაკობ მოციქულის უამის წირვა-შა“, რომელიც მცხეთიდან არის მოტანილი, და რომელიც ეხლა ჩვენს საეკლესიო მუზეუმს ეკუთვნის, — არა ერთიელ კბოულაობთ ამ გვარ ფრაზას: „უფალო, შეიწყალე დაჩი“... განსვენებულმა დ. ბაქრაძემ მიაქცია ჩუქურდალება იმ გარემოებას, რომ ამ ხელნაწერის ასო მთავრული და ნუსხა ხუცურიც წაემსგავსება იოვანე ბერის მიერ ნაშრომს ხელნაწერს, ის მოსაზრება გამოთქვა, რომ ორსვე ხელ-

ნაწილში მოხსენებულნი დახი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (ნახ. ბაქრძის ისტორია გვ. 222). თუ ეს მართალია, მაშასადამე დახისაც სტეფანე მტებეკარის დროს უცხოვრობდა, ესე იგი 881—923 წლებში და შესაძლოა შემდეგაც, ხელ-ნაწერიც ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს. მსგავსება წერის ხასიათისა ორსავე ხელ-ნაწერში იმით აისხნება, რომ ორივე ერთ და იმავე მათე საუკუნეს ეკუთვნის და შეიქმნება ორივე შატბერდის მონასტერში იუოს გადაწერილი.

1100

სხვა მემკვიდრეული ხელით მინაწერებთან შორის ჩვენს წიგნებულში ყველანაირ უფრო საყურადღებოა ერთი პირველ გვერდზე მინაწერი ძველის მხედრულის ხელით, რომელიც აქამომდე განუჩვენებელი იყო. როდესაც ჩვენ ბაგრატ IV გუჯრები (XI საუკ.) შევისწავლეთ და მათი წერის ხასიათი ამ წარწერის ხელს შეუდარეთ, აღმოჩნდა შესამჩნევი მათი ერთგვარობა წერის სტილისა. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვითვინროთ, რომ წერილი ეკუთვნის მე XI საუკ. და ხელნაწერიც იმ დროს არის შემოსილი. შემოხსენებულნი წარწერა ცოტა მჭრალის მელნით არის დაწერილი და იკითხება ასე:

ჩ. ქტე ღთო, [ა]დიდე დიდებითა საუკუნოთ
 ე[კვი] კკე, რლისა ბრძანებითა და [სათასითა] შეიმოს
 სა წიგნი ესე კელითა მათისა მიწა მღ[უდელის] ცოდვი
 ლის მიქლისითა“ 1).

1) უპარაგმით: ქრისტე ღმერთო, ადიდე დიდებითა საუკუნოთ ერისთავთ ერისთავი კვირიკე, რომლისა ბრძანებითა და (სათასითა) შეიმოსა წიგნი ესე კელითა მათისა მიწა მღუდელის ცოდვილის მიქაელისათა.



XVIII

ერისთავთ ერისთავი გვირიკე არც ქართლის ცხოვრებაში და არც სხვა ჩვენს აქამომდე ცნობილ ისტორიის წყაროებში არ იხსენიება. ქართლის ცხოვრებაში ვპოულობთ ცნობებს მხოლოდ ოთხ გვირიკის შესახებ, რომელნიც კასეთის მმართველები და მეფენი იყვნენ: გვირიკე I ქორიკოზი (893—918), გვირიკე II (929—975), გვირიკე III დიდი (1010—1029) და გვირიკე IV (1084—1102). ჩვენის აზრით, ზემო მოყვანილი წარწერა უნდა უჩვენებდეს რომელიმე ორ უკანასკნელ გვირიკეთაგანს. შეიძლება, რომელიმე მათგანი წინეთ ერისთავთ-ერისთავად იწოდებოდა და მეჩმე მეფეთ იწოდა თავის თავი.

ამ ნაწერის ზემოთ მხედრულის ერთი-ერთმანეთზე გადაბმული ასოებით, რომელნიც უნდა ეკუთვნოდნენ დავით რეკტორს, ამ ხელ-ნაწერის უოფილ პატრონს,—სწერია: „ესე წიგნი დეკანოზის ალექსიძისაა. დეკანოზი.“ ამავე ნაწერის ქვემოთ, სხვა მრგვალის ხელით სწერია: „ღმერთმან მშვიდობაში ეს წიგნი დიმიტრი პრ[ო]-პ[ო]ვის პატრონს ასმაროს. უკეთუ არ დააგდო... ითხოვეთ სულიერი სასწადელი, რათა მიემთხვეთ სუთეკასა ქუჭყან[ისისა]...“ მე 86 გ., ქვემო არშიაზე მეჩმენდელი ნუსხა სუცურის ხელით სწერია: „წ. მე უდ უღირსმა.... შევსწირე ექვსთა დღე ესე საუდარსა... [დთი]ს მშობლისა. უდ წო შე ცი ეკდემოზ.“ მე 567 გ., ქვემო არშიაზე ბერძნულის ასომთავრულით ბერძნულათ სწერია: „იესო, უფალო ღმერთო, შეგვიწყალებ ჩვენ.“

ესლა ვიკითხოთ, რომელ საუკუნეშია გადაწერილი

შატბერდის კრებული? ამგვარი კითხვა საზოგადოთ თავ-და-თავ საგანს შეადგენს უკელა ხელ-ნაწერის გარჩევისას, და შატბერდის კრებულისათვის, რომელშიაც ისეთი შესამჩნევი წყარო მოიპოვება ჩვენი ისტორიისა, როგორც არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, — ამ კითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: ამ კითხვაზეა დამოკიდებული საზოგადოთ ბევრი სსკა კითხვებიც, რომელთაც ზადავს ხელ-ნაწერის გარჩევა და განსაკუთრებით ქართლის მოქცევა. განსაკუთრებული ჩვენი არხეოლოგი დ. ბაქრაძე შეეხო ამ საგანს და შატბერდის კრებული მიაწერა მე-IX საუკუნეს, ანუ, უფრო განმარტებით, ბაგრატ I მეფობის დროს (826—876) ¹⁾.

თუმცა ბაქრაძე პირ-და-პირ არ უჩვენებს საბუთებს, თუ რათ უნდა ეკუთვნოდეს ეს კრებული მე-IX საუკუნეს, მაგრამ ის გარემოება, რომ ივანე ბერაჲ თავის უკანას-სიტყვაობაში იხსენიებს ბაგრატ მეფეს და კიდევ ისა, რომ მონიკა ქართლის მოქცევისა მოყვანილია მე-IX საუკუნემდის, — უკელას მისცემდა საბუთს მიეწერა კრებული მე-IX საუკუნესა. იმას შემდეგ რაც დ. ბაქრაძემ პირველად დაბეჭდა „ივერიაში“ თავის წერილი ქართლის მოქცევის შესა-

¹⁾ იხილე გაზ. „ივერია“ 1889 წ. № 6 და „ისტორია საქართველოსი“. ტფილისი, 1889 წ. გვ. 57—58; 219—221. ბაქრაძის წერილის უმაღლ დაბეჭდა გაზ. „ივერიაში“ (1889 წ. № 4) ბ. „ეგრმა“ (ფსევდონიმია) მოკლე შინაარსი ქართლის მოქცევისა და მანც ბაქრაძისავე სიტყვით ხელ ნაწერი მე-IX საუკუნეს მიაწერა.

სებ, ჩვენ საზოგადოებაში მტკიცედ დამყარდა აზრი, რომ შატბერდის კრებული ეკუთვნის ბაგრატ I დროს, და ამ საგანზე არავის ეჭვი არ გამოუცხადებია. მაგრამ ერთი ფრიად საყურადღებო სახსრება ჰარსალის მონასტრისა, ჩვენგან გასულ წავხუფს ნაზონი, და გადაწერილი იმავე ივანე ბერაძის ხელით, რომელიც არის მოთავე რედაქტორი შატბერდის კრებულისა, და რომელიც არა ერთხელ იხსენიებს თავის თავს ამ კრებულის მინაწერებში, გვიმტკიცებს, რომ კრებული მეცხრე საუკუნეს კი არა, არამედ მათეს ეკუთვნის. ეს გარემოება უკეთესი მხვეწებელია იმისი, თუ როგორ ფრთხილად უნდა მოვიქცეთ ჩვენ ისეთ ხელ-ნაწერის დროს განმარტებაში, რომელსაც თარღი არა აქვს. ჰალეოგრაფიას ჯერ ჯერობით უეჭველად ვერ დავეყარებით, რადგანაც ქართული ჰალეოგრაფია, ჯერხანად მანც, იმდენათ არ არის გამოკვლეული, რომ ერთი ორი საუკუნით შეცდომა დასელაგებულ არხეოლოგსაც არ მოუგოდეს, ხსენებული სახსრება ერთი უძველესთაგანი თარღიანი სახსრებაა, მაგრამ მანამ მის სრულ აღწერას წარმოუდგენდეთ მკითხველს, სჭირთ ვრაცხთ მოვიყვანთ აქ ზოგიერთი ისტორიული და არხეოლოგიური ცნობები, რომელნიც ჩვენ იმავე არე-მარეში შეგვრბეთ, სადაც ჰარსალის სახსრება მოიხვეება. იხ.

გასულ წავხუფს მე მომიხდა ყოფნა სურამში და თავისუფალ დროს ვნახულადი ეკვლესიებს, ვაგროვებდი გუჯრებს და კვრებდი ცნობებს ხელ-ნაწერი წიგნების შესახებ. აქ მოვიყვანთ ხოლმე ისეთ ცნობებს, რომელნიც უფრო საყურადღებოთ მიგვჩინია.

უძველესი ეკკლესია სურამის მახლობლათ არის. იტ-
 რიის ღვთისმშობლის ეკკლესია, რომელიც ძვეს სურამის
 წყლის პირზე, სოფელ იტრიაში, ორ ვერსზე დახა სურა-
 შიდგან, იქ სადაც სურამის უღელ-ტეხილი იწყება. ეკკლე-
 სია ოთხ-კუთხედაა, უგუმბათო, სიგძე აქვს 27 ადგი, განი
 19 ადგი და 6 ვერშოგი, საკურთხეველი განიყოფება სამ
 ნაწილად, შუა ნაწილი ზომიერია, ორი დანარჩენი ვი-
 წრონი. კამარა დაშვებულა ოთხ დიდრონ სვეტებზე. თან-
 ჯრები ვიწრონია და თითოეული ორი ადლის სიმაღლეს
 დაახლოვებით. პირველი შესდგოთ იტრის ეკკლესია ახალი
 აშენებული გეგონებათ. კედლის ქვები თითქო გუშინ გაუ-
 თლიათ და ახლის კირით შეუერთებიათ. ამისი მიზე-
 ზი შემდეგია: წინეთ, როგორც გვიამბო ერთმა მოხუ-
 ცმა, რომელიც 25 წელი ამ ეკკლესიის მნათეთ ყოფილ
 იყო, იტრის ეკკლესია გაფუჭებული ყოფილა, სახურავი
 არა ჰქონია და კედლები მხასვით ყოფილა შემოსილი.
 მეძე ეკკლესია განუახლებიათ, მაგრამ განახლების დროს
 კედლები ჩამოუთლიათ და ჩამოუფხეკიათ. მრავალი
 ძველი ისტორიული წარწერები, რომლებითაც, იმავე
 მოხუცის სიტყვით, სავსე ყოფილა ეკკლესიის კედლე-
 ბი და შიგნით სვეტები, იმ დროს გაუფუჭებისათ და მო-
 უსპიათ. თუ რა დროს განახლეს ეკკლესია მოხუცმა და-
 ბეჯითებით ვერ გვაცნობა, „მე მაშინ სულ ახალგაზდა
 ვიყავი, ორმოცდა ათ წელზე მეტი უნდა იყოსო“. მა-
 გრამ 1819 წელს როგორც სჩანს თ. გ. აკალოვის „იე-
 რუსალში მოგზაურობიდგან“, ეკკლესია ჯერ კიდევ გა-

ნუახლებელი უოფილას. აი წასს ამბობს ავალოვი იტრის-
ეკკლესიის შესახებ:

„იბ-სა (ივლისსა 1819 წ.) წარველ ფერკვივ პეტრე-
ლარსძემთურთ იტრისა ეკკლესიისადმი, მოსმენად წირვი-
სა, ეს შორავს სურამსა ვიდრე ნსხეკარ უამისა სავალით,
წმდილო-დასავლეთით კერძო, მადლას ადგილსა, ანუ გო-
რასსა ზედა მდგომარეჲ, ნაშენი თეთრისა თლილისა ქუ-
თა, ძეშლისა აწბიტეკტორობითა, სავასემთა თავადთა
წსეიძეთათა; გარნა უძეტესი ნაწილი ამისა არს დაქტეულ
და დანაშთონიცა მიდრეკილ მისდამივე. თუთეული ქუთა-
შენობისა ამის კელოვნებული სხუჲ და სხუთათა ნაკუჭ-
თებითა აწცა ბასობს ნამყოფსა შუწნებისათჳს თჳსისა. აჲ
მოვისმინეთ სადმერთოჲ ლიტურგიაჲ, ვანდევინე ზარაკლისი,
კემთხვევით წმიდასა სატსა იტრის ღმერთის-მშობლი-
სასა, კმად დიდსა, წმიდითა ოქროთა შემკობილსა, რვა-
ათითა წმიდითა ნაწილებითა განშუწნებულსა და ცხო-
ველს-მყოფელებითა ძელითა ოდესმე მდიდარ-უოფილსა,
რომელსაცა ალაგი არს მას ზედა დღეს ცალიერი. წმიდა-
სა ამას სატსა ზედა წერილი იხუწნების მით, რამეთუ არს
ესე მოჭკდილი ოქროთა და მორთულ ნაწილებითა თავა-
დის ბუყან-გორგასლან ქსეიძესა მიერ“ 1).

ამ ავალოვის სიტყვებიდან სჩანს, რომ განახლებას
იტრის ეკკლესიისათვის ძრვიელ „შეუცვლია ფერი. ის:

1) ნახ. „თ. გიორგი ავალოვის მოგზაურობა თფილისით იე-
რუსალიმში... ჩუკ-სა წელსა“. წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-
ზოგადოების ხელ-ნაწერი, № 450, გ. 6.

„სხვადა და სხვადათა ნაკვეთებითა ხელგუნებული ქვეები,“ რომელზედაც ამბობს ავალოვი, დღეს ღარ მოჩანან იტრის ეკკლესიის კედლებზე. ერთხელ გათლილი ქვეები, მეორე ხელ გაუთლიათ და ყველასათვის ერთი ფერი მიუციათ. სიძველე ეტყობა კიდევ საფუძველს და ზოგ ადგილას კანნიზებსაც. ავალოვი, რომორც ქვემოთ დაგინა ხავთ, ცდება ხატების აღწერაში, მას ორი სხვა და სხვა ხატი ერთ ხატად გამოყავს და ბუყან ჩხეიძეს, გორგასლანის შვილს, ბუყან-გორგასლან ჩხეიძეთ მოიხსენიებს, თითქო ეს ორი სიტყვა მარტო ერთის სახელი იყოს.

ეკკლესიას გარეთ უკლის ქვითკირის გალავანი, რომლის დასავლეთ ნაწილის შუაში ამართულია პატარა სამართულიანი სამრეკლო. ეს სამრეკლო და გალავანი, რომორც უჩვენებს ერთი წარწერა მხედრულის ასლებით სამრეკლოს აღმოსავლეთის კედელზე, აღუშენებიათ ბუყან ჩხეიძეს და წინამძღვარს ნიკოლაოზს „მეფობასა როსტომისასა, დედოფლობასა დადიანის ასულის მარიამისასა, ქკსა ტმდ“—1656.

აქ მოხსენებული როსტომ მეფე იყო დაუთ-ხანის შვილი და მახმადიანობაში სახელ-წოდებული იყო ხოსრომიჩზად. 1634 წელს, როდესაც დაუთ-ხანი გამეფთა ქართლში, ის იყო 68 წლის მოსუცი, მაგრამ სიმხნე და მამაცობა მანაც ბევრი ქჷონდა. დაუთხანის პირველი ცოლი იყო ქეთევანი, გოჯასში აბაშიძის ქალი, რომელსაც მეჩმე გულ-დუხტარ დაარქვა ქმარმა, და რომელიც გარდაიცვალა 1636 წელს. 1638 წელს როსტომმა შეიერთა

დადიანის ლევან II ქალი, მარიამი, რომელსაც უჩვენეს ზემოხსენებული წარწერა, და რომელიც გარდაიცვალა 1680 წელს (ვასუშტის ქრონოლოგიური ცნობებით—1682 წ.), როსტომმა იშვილა თავდაპირველად ლუაწსაბი, სიმონ მეფის შვილი, მაგრამ, როდესაც ეს უკანასკნელი უცაბედად მოკლულ იქმნა ნადირობაში, შემდეგ იშვილა ვახტანგი, მუხრან-ბატონის თეიმურაზის შვილი, რომელსაც თავისაკე სიცოცხლეში 1657 წ. გადასცა ქართლის გამგეობა. ამ ვახტანგიდგან იწყება საქართველოში მეფობა წარჩინებულთა მეფეთა მუხრან ბატონების შტოთა. როსტომ მეფე გარდაიცვალა 1658 წელს 1).

ვასუშტი თავის გეოგრაფიაში იტყვის ეკკლესიას მონასტრად იხსენიებს და ასე მოგვითხრობს: „სურამს ზეით, სამხრიდაძ, მოქრთვის ამ წყალს (ე. ი. სურამის წყალს) უთხვის ხევი. მას ზეით არს იტრიას მონასტერი უოკლად-წმინდისა, უგუჩბათო, დიდ-შენი, აწ სუტის ამარად 2).“

იტრიათა ეკკლესიის წარწერები მეღვინეთ-ხუტესოვის მიერ გადმოღებულნი, შეუტანია ბროსეს თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში 3), ამისათვის ჩვენ მოვიყვანთ აქ მხოლოდ ისეთ წარწერებს, რომელნიც ბროსეს მოგზაურობაში ან სწრაფად ან მოიპოვენიან, ან და შეცდომით არიან გადმოღებული.

1) Brosset. Hist. de la Géor. t II, livr. 1, p. 626.
ქ ცხ. ტ. II. გ. 46—50.

2) ნ. ვასუშტის გეოგრაფია, გვ. 268.

3) Brosset. Voyage archéol, VI Rapp., p. 404—105.

თავი ხატი იტრისის ეკკლესიისა არის ღვთის-მშობლის ხატი, ოქროთ მოჭედილი, რომელზედაც არაკითარის ისტორიული წარწერა არ მოიპოვება. აქვე ასვენია მეორე ხატი, მრავალ-ნაწილიანი. ეს უკანასკნელი ჭკუთნების სოფელ ჩუმათელეთის ეკკლესიას და იქიდგან გადმოუტანიათ იტრისის ეკკლესიაში¹⁾. მრავალ-ნაწილიანი ხატი ხისაა და კიდებზე ვერცხლის არშია აქვს შემოჭედილი. სიგრძე აქვს 12 ვერშოკი, განი 6, ნაწილები ოთხკუთხიან უჯრებათ არის დაყოფილი, გარდა სამისა, შუა ადგილას, რომელთაც ჯუარის სახე აქვთ, სულ 94 ნაწილი ყოფილა ამ ხატში, მაგრამ ზოგიერთი დაკარგულა. ხატს ტეცხლის გაკლენა ამჩნევია, მეორე გვერდი ხისა ცოტა დანახშირებულია ზემოთ. ქვემო ვერცხლის არშიაზე ორივე მხრივ მხედრულის ასრებით სწერია:

„მე სასრებით მონღობილმან საფარავთა შენთამან, გურგასლანის შვილმან ბეჟან, და ძეთა ჩვენთა ქაიხოსრო— მოვაჭედინეთ და შეგვასძმეთ ხატი ესე მრავალ-ნაწილიანი დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოთ და სულისა ჩვენისა საოხად. თუთ საუდრის მეტი შენობა არ დაგვხდომია რა, ეველა ჩვენის მოღვაწეობით მოვრთვეით, რაც ოდენ ძალ გვედებ, და ექვსი კვამლი ჩუმათელიძეები ჩვენ ჩხეიძემ შევწირეთ, ქანს ტნი“—1672²⁾.

1) ჩუმათელეთი სოფელია ერთის ვერსის მოშორებით იტრიიდგან. ამ სოფლის ეკკლესია ეხლა დანგრეულია. ნანგრევები ჩვენ გავაშინდეთ, მაგრამ ვერაფერი წარწერა ვერ ვიპოვეთ. მასწავლესია პატარა ყოფილა, ქვით ნაშენი.

2) ეს წარწერა ბროსეს მოგზაურობაშიც არის შეტანილი, მაგრამ შეცდომით, იქ ქორონიკონი „ტნი“ სწერია.

სამრეკლოს ქვეშ ჩვენ ვიპოვეთ ერთი ჰატარა ზარნი. ეს ზარნი ესლას ხმაურებაში არ არის. სიმაღლით 7 კერ-შოკია, ქვემო პირის ირგვლივ ზომა ზარნისა 11 $\frac{1}{4}$ ადლია. გლიშამ ზარს უკლის ვრცელი წარწერა ნუსხას მხედრულის ხელთ, ასოები- ამოხევილინი კი არიან, არამედ ჩაწეულნი. ეს წარწერა არ მოიპოვება ბრასეს მოგზაურობაში და ამიტომ მოგვყავს აქ:

აქ. ეჭა შენ ქაღწეულა მარიაჲ, ესე ვითარ უთვალა ჩემო, დიდებულა დედარა ქრისტეს ღთისა ჩვენისაო, მე ტვა-თარკად შენთა მესასოებაჲსან, ძემან ჩხეიძის გორგასლასმან, დავით, კადნიერ ვიქმენ მტრისა და კინის გლეხისა (გლეხისა?) ამის, შემოვწირეთ შენდა, სსას ჩემო დედოფალა, იტრის ეკლესიასა, მას ყამსა ოდენ უსჯულა-ნი აგარანნი და ისმაიტელნი (დისმაიტელნი) აღდგეს ჩვენ ზედა და იზახდენ მოქადულნი აღხოცად ქრისტანეთასა, და მოახრებასა წმიდათა ეკლესიათა შენთასა, ამას ყამის შეწევნითა და მეოხებითა შენითა. გავეწევნით წინა მტერთა ჩვენთა, და მძლე ვექმენით ქვეყანას-მას სპარსთასა, ერეკანსა, და აღვადგინეთ ძლევა დიდი მეოხებითა შენითა, და ხელთ უგდე (sic) მტირე ესე, შემოსწირე¹) და შემოვწირე სსასა ჩემსა დედოფალსა, ღუთის მშობელსა იტრის ეკლესიისსა, რათა მექმნე მე თანაშემწე დღესა მტერთა მბრძოლისა ჩემისასა, და მეოხ ძისა შენისა თანა დღესა განკითხვისასა, ქორთნიკონსა „ულთ“, აგვისტოს „ივ.“

1) ჩვენის აზრით აქ შეცდომა უნდა იყოს და ფრაზა ასე უნდა იკითხებოდეს: „და ხელთ ვიგდე მტირე ესე და შემოვსწირე“.

ეჭვი არ არის, რომ ეს წარწერა უჩვენებს ირაკლი მეორის გამხედრებას ერევანზე, სადაც პატარა კახმა ერთი მუჭა ჯარით დაამარცხა და გააქცია დიდძალი ლაშქარი აზატ-ხანისა. ეს ამბავი ვრცლათ არის აწერილი ომან მდივან ბეგისაგან მის მიერ მქნილ „ირაკლი მეორის ცხოვრებაში“ და პაპუნა ორბელიანისაგან მის დაწერილ „საქართველოს ცხოვრებაში“¹⁾. მაგრამ ომანი ერევნის ომს უჩვენებს 1752 წელს, პაპუნა კი 1750 წელს. ამდენს არ ვიცოდით, რომელი ცნობა იყო დასაჯერებელი, პაპუნასი თუ ომანისი, მაგრამ ესლა, ჩვენის აზრით, ზემო მოყვანილი ქორთნიკონი ზარისა, რომელიც უდრის 1751 წელს, ამკარათ უარ-ყოფს ომანის ქორთნიკონს და უფრო ეთანხმება პაპუნას ცნობას. წასაკვირველია, ჩვენი ქორთნიკონი მხოლოდ იმას უჩვენებს, როდის არის ზარი შეწირული, მაგრამ ჯერ ომი უნდა მომხდარიყო, შემწირველი დაბრუნებულიყო თავის სახლში, ზარი მოემზადებინა და შეეწირა. ამიტომაც ზარის ქორთნიკონს ომის დროთ ვერ მივიღებთ, და პაპუნას ცნობა ნანდვილი უნდა იყოს. აქ საჭიროთ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ საზოგადოთ პაპუნა ორბელიანის ცნობებს ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა ჰქონდეს ომანის ცნობებთან. ომანი ნამეტარს აზვიადებს ფაქტებს და მით ეჭვში შეყავს მკითხველი. მაგალითად, ომანის გადმოცემით აზატ-ხანს ორმოცი-ათასამდე ჯარის კაცი უავდა, პაპუნას სიტყვით კი აზატ-ხანის ჯარში თვრამეტი ათასი კაცი იყო²⁾.

1) იხ. ქ. ცხ. ტ. II გ. 484—486. და 436—437.

2) იხ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 436 და 484.

ჩხეიძეები, რომელნიც თითქმის ყველა იტრიის წარწერებში იხსენიებიან, თავადები ყოფილან და იტრიაში სახლებულან. ესლა ორი მოსასლე ჩხეიძეა იტრიაში, მამა-შვილი. ამბობენ ეპიკლეისი გუჯრები იტრიის მონასტრისა მათ ჩაიგდეს ხელში და აჩავის აჩვენებუნო, რადგანაც დავა ჭქონიათ საეკლესიო მიწების შესახებ. გუჯრებს ესლა აჩავითარი იურიდიული ძალა აჩა აქვს, მაგრამ ზოგიერთები სამწუნაროთ მაინც არ აჩენენ.

უმეტესი ნაწილი გუჯრებისა, ანუ სიგელებისა, რომელნიც ესლა ეკუთვნის იტრიის ეკკლესიას, შეიცვან ან წყალობის წიგნს, ან და ნასყიდობის წიგნს, შემდგომათ იტრიის ეკკლესიისათვის შეწირულს¹⁾.

სამი ვერსის სიშორეზე სურამიდან და ერთი ვერსის ხაშურიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ, მდებარე

¹⁾ მოგვყავს აქ უფრო საყურადღებო ამ *გუჯრებისაგანი* თავდაპირველათ საჭიროთ ვრაცნთ შევნიშნოთ. რომ ყველა ქვემო მოყვანილი გუჯრები, გარდა მეორისა, დაწერილნი არიან ქალღვრზე ნუსხა მნედრულის ხელით და შაის მელნით. ჩვეულებრივი შესავალი გუჯრებისა და ბოლოს წეველანი ჩვენ გამოუშკით, დანარჩენი კი სრულათ მოგვყავს.

I. 1693 წ. აპრილის 20. ესე უყენისამდე უამთა და ხანთა გასათაკებელი წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და მო(გეციო) (ჩვენ) ბატონიშვილმა პატრონმა ქაიხოსრო (და მამა) ჩვენმა პატრონმა ვახტანგ, იესემ, სჯმონ, და (თე)იმურაზ თქვენ იტრიის დეკანოზს პეტრეს-შვილს ს(ა)პასა და შერმაზან, შვილთა და მომავალთა სააღლისა თქვენისათა, ოდეს მოგვიდევით კარსა, ლუბრიმას ოთხის დღის მიწის წყალობას დაგვიქეცათ, ჩვენ-

რეობს სოფელი ზემო-ჭალა. ჭალის პატარა ეკლესია სულ ახალია და აწხოლოვისათვის თავის თავათ არაფერს

ცა მოკითხული გიყვით და ვითაც ძველიდგანც შეწირული ყოფილიყო და ოქვენთვის ებოძებინათ, ჩვენცა შიგიწყალოთ და გიბოძეთ ლუბრიმას კიკნაძის შიწის გვერდზედა ოთხის დღის მიწა, ყოვლისა კაცისაგან უცილებლათ, არ ოდეს არ მოგეშალოს, არა ჩვენგან და არა შემდგომთა სხვათა მეპატრონეთაგან. ქორონიკონსა „ტპა“ დაიწერა ბძანება ესე კელითა კარის ჩუენის მდიენის ზურაბისითა, აპრილსა კ.

ხელ-ჩართულათ ხელს აწერს ქაიხოსრო და აზის ბეჭედი, რომელზედაც სწერია: ქე ლევანისა ვახტანგ-მირზა.

აქ ჩამოთვლილი ბატონიშვილები ქაიხოსრო († 1711), ვახტანგი, შემდგომად ვახტანგ VI, სჯულ-მდებელი († 1737), იესე († 1727), სვიმონ († 1740) და თეიმურაზ († 1710) ძენი იყვნენ ლევანის, ანუ შაჰ-ყული-ხანის († 1709). ბატონიშვილი ვახტანგი ქართლის ცხოვრებაში ვახტანგ-მირზად არ იხსენიება (Hist. de la Géor. t. II, liv. 1^{re} p. 627).

II. სიგძე გუფრისა არის 4^{1/2} ვერშოკი, განი 3 ვერშოკი, დაწერილია ეტრადზე მხედრულის ხელით, გუფარი ძლიერ გაფუჭებული და გასვრილია, უმეტესი ნაწილი წერილისა გადასულია და ეხლა ძლივს განირჩევა მხოლოთ შემდეგი: „ნებითა და შეწევითა ლუთისათა ესე უკუნისამდე ყამთა და წელთა გასათავებელი (წყალო)ბისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ. ქემა პატრონმან ელისბარ და თანა მეცხედრემან ჩვენმან პატრონმა (თინ)-ეში ფარმუზაშვილის. ბასილს და გიორგის და სენიას და შვილთა და მოძავალთა სახლისა ოქვენისათა ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ქაქანი შვილე-ბის (მამულის) წყალობას დაგვეაფენით, ვისმინეთ აფა და მოხსენება ოქვენი. აწე ასრე ოქვენთვინ და ოქვენთა შვილ-

საუყურადღებოს ან წარმოადგენს, მაგრამ იქ განსაკუთრებულ „გიტრინაში“ აქამოდე დაცულა ზოგიერთი იმ საეკლესიო

თათვის გვიბოძებია. . . . გქონდეს გიბედნიეროს ღმერთმან, ვინც რამანცა ადამის მონათესავემან კაცმან ესე შეგიშალოს. . .“

ელისბარი მხოლოდ სამი იხსენიება აქამოდე ცნობილ ჩვენ ისტორიულ წყაროებში. ერთი ქნის ერისთავი იყო, რომელიც წინააღუდგა გიორგი XII და მიემხრა ფარნავაზს, გიორგის ძმას, 1798 წ. ფარნავაზმა და ელისბარმა სურამის ციხე გამაგრეს გიორგის საწინააღმდეგოთ, მაგრამ დავითმა, გიორგის შვილმა, წართვა (ნახ. Hist. de la Géor. t. II, liv. 2. p. 267). მეორე ელისბარი იყო ბოქაულთ-უნუცესი, დედის ძმა ბატონიშვილი ლუარსაბისა, იმ ლუარსაბისა, რომელიც როგორც წინეთაც მოკინსენიეთ, იშვილა როსტომ მეფემ, და რომელიც უცაბედათ მოიკლა ნადირობაში (იხ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 534). მესამე ელისბარი იყო ეშკაბაში ქართლისა, რომელიც 1742 წელს მოკლულ იქმნა მოშთობით (ნ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 353—354). თუ აქ რომელიმე ამ სამ ელიზბართაგანია ნახსენები, ჩვენის აზრით, მეორე ელისბარი უნდა იყოს.

III. ნოემბერი 11 1705 წ. ესე ნასყიდობის სიგელი დაგოწერე და მოგეც მე ჩხვიძე გორგასელმა თქვენ აბაშიძეს საღთნუცეს გიორგის და შვილთა თქვენთა დავითს, ევსტათის და იოანეს. . . . ჩემის ნებით მოგყიდეთ ჩემი წილი ბარაჟით ნარგები ჩუმათელეთი ნას. . . რი თვისის მამულ ალაგით ევლესიის სასაფლაოთი. . . ნოემბრის ია, ქორონიკონს „ტუგ“.

IV. 7 ღვინობისთვე, 1791 წ. ქ. ნებითა და შეწევნითა ლუთისათა ჩვენ ბატონმა აბაშიძემ ქაიხორსომ, ძმამან ჩემან, ევგენ და დავით, შველთა ჩვენთა დავით, პაატამ, სკიმონ, იოანე, ვანუშტიმ და ნიკოლაოზ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა, — შეგიწყალოთ და გიბოქეთ ესე წყალობის წიგნი შენ ჩვენს მკვიდრს უმან ღონლაძეს პეტრიას შვილს, დალაქს

სიონ ნიკოთაგანი, რომელნიც მზითევეში ჰყვებოა ვახუშტი

ოესეს, ძმასა შენსა პაატას, შვილსა თქვენსა პეტრეს და ივანეს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომ ჩნეიქმ გორგასლანისაგან სურამს გვერდის ძირზე ტუკაძის მამული ვიყიდეთ მთელი საკომლო, მოხვედით და ამ მამულს წყალობას გვეაფენით, ჩვენ ვისმინეთ აფა და მოხსენება თქვენი შეგიწყალეთ და გიბოძეთ გვერდის ძირზე ტუკაძის მამული უკლებლად თავისის სახლით, საბძელ-კალოთი, სას-ზღაგით, წყლით წისქვილით, მით და ბარით და ყოვლის მისის სამართლიანის სამზღვრით, რომელიც ჩვენის ნასყიდობის წიგნში სწერია, იმ სამზღვრით და იმ ნიშნებით გქონენდეს, და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენ ერდგულობასა და სამსახურსა შინა, არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომად ჩვენსა ჩვენთა ჩამომავალთა აბაშიძეთაგან. აღიწერა ღვინობისთვის ზ, ქ-კ-ს „უოთ“.

მერმე ქაინოსრო აბაშიძის ხელით ვკითხულობთ: მე აბაშიძეს ქაინოსროს ჩემის ძმების ნება დართვით უბოძეთ ეს მამული უოვლის-ფრიანდე თავის სამართლიანის საქებრით და უძებრით. ბეჭედი დაკარგე, ეს ჩემი ხელია და ხელ-ჩართულია, ბეჭედისგან უფრო მტკიცე არის. ქაინოსრო.

გვერდზედ ტეასტისვე ხელით სწერია: მე აბაშიძე სალო-ხუცესი (sic) გიორგი ამ ჩემის ბიძაშვილებისაგან ბოძებულს წყალობის წიგნს ვამტკიცებთ ღვინობისთვის ზ, ქ-კ-ს „უოთ“. აზის ბეჭედი რომელზედაც სწერია: გიორგი.

ეს გუფარი ორი ეგზემპლიარი ვნახეთ ჩვენ ერთი და იმავე ხელით დაწერილი, მეორე ეგზემპლიარში მხოლოდ ერთი განსხვავებაა: ქაინოსრო აბაშიძის შვილების სიაში მ-მატებელია „იოსებ“.

V. 1792, აპრილის 2. ეს წიგნი მოგვცი მე ჩხეიძე თეიმურაზმა შენ ორბელიის შვილს გოგილს, ასე რომა ჩემის ყმის-სეული მამული ურიას ქონდა ნასყიდი. ის მამული მე თეი-

ახაშიძის ცოლს, ანუკა ბატონიშვილს, მეფის კაცტანგ VI

მურაზმა ღვევისსენი და შენ მოგეცი. . . უნდა აშენო, რომ აშენდეს კარგათ, ნებევარი შენ გოგოლსა და ნახევარი მე თეიმურაზა ჩხეიძესა, თუ შენი კერძი ვენახი გასასყიდლათ მოინდომო, უჩემოთვერ გაყიდო. . . აპრილსა ბ, ქ-კ^ს „უპ“.

VI. 1 სექტემბერი, 1793 წ. ეს ამიერთა უკუნისამდინ ხანთა და უამთა გასათავებელი ყოველისა კაცის უსადეო და უცილებელი საშვილის შვილთთ გამოსადეგი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე ჩხეიძე სენნიამა, შვილმა ჩემა ივანემა და დავითმა, შვილმა და მომავალმა სანლისა ჩემისამა, შენ ალელს მამინასშვის გაბრიელსა, შვილსა შენსა ფარემუზასა, ივანესა, დავითასა, გურგენასა, ფარსადანასა, შვილსა და მომავალსა სანლისა შენისასა ასე და ამა პირსა ზედან: მას უამს ოდენს (sic) დაგეჭირა და მოგუიდე ჩემის ძმებისაგან ბარათ შინარგები ჩემის ყმის ზაქარა კაპანაძის ნასანლარი მიწა თავს სანლტემდინ, ბოლოს წყლამდინ, ერთი გვერდი ჩემის განაყოფის გორგასლის წილის კაპანაძის ძიწის მიდგამდინ, მეორე გვერდიც კიდევ ჩემის განაყოფის გორგასლის წილის რამინის-შვილის მიწის მიდგამდინ. ავიღევი ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შეფერდებოდა, არღა დარჩომილა რა ჩემი შენზე არც ერთი იოტის ფასი, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, როგორაც სხვას ალაღს მონასყიდეს (sic) მოხმარებოდეს. ვინც ამ ჩემ მოცემულას მიწას შემოგეცილოს, პირისა და პასუხის მიმცემი მე ვიყო. . . არინ ამისი დამსწრე, გამრიგე და მოწამე თავათ დაუსაბამო ღმერთი, ყოველნი მისნი წმინდანი ზეციერნი და ქვეყნიერნი, ხორციელნი და უხორცილნი, კაცთაგან ბეზიასშვილი, გამრეკელი მღვდელი, ლოტუსშვილი არუთენა, კობალაძე ზურაბა, ბეუიტასშვილი გოგია, მანაშენისშვილი აბრამა. მე ტერ-პეტროსას დამიწერია სენნია ჩხეიძის სიტყვით და ნება-ყოფ-

მსულს. ჭკლის ეკკლესია აკანკაებს გაუცარცვათ და უმეტესი ნაწილი ამ ნიუთებისა მაშინ დაკარგულა. იმათში,

ლობით და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ეს სიგელი მარტის დამდექს (sic) ქ^ს „უპა“.

მერმე სენნია ჩხეიძე თავის ხელით სწერს: „ქ. მე სენნიას ჩხეიძეს ამ სიგლის ყაბული მაქს (sic). ბეჭედი არ მქონდა, ეს ჩემი ხელია. ს ე ხ ნ ი ა.“

ამას შემდეგ სხვა უწნო ხელით ვკითხულობთ: „ეს ნასყიდობის სიგელი შემოწირავს მე ფარსადანა მამინოვს იტრიის ხეთის-შშობლისათვის. არცა მე და არცა ჩემ სახლის-მამა კაცმა არაფერს შეეხოს.“

VII. იანვარი 20, 1797 წ. ეს ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე ჩხეიძე გორგასალმა შენ ალელს მამანას-შვილს გაბრიელასა, შვილსა შენსა ფარემუზასა, იოვანესა, დავითასა, გურგენასა, ფარსადანასა, შვილის შვილსა შენსა სტეფანასა... დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ბარათში ნარგების აზნაურის შვილის რამინიშვილის მამული საწისქვილო თავისი მიწით და სახლით... იანვრის კ, ქ^ს „უპუ“ (?), (აქ „უ“ მაგირ ჩვენის აზრით „ე“ უნდა იყოს).

VIII. 1798, მაისის 1. ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი ჩხეიძე გორგასალმა, შვილმა და მომავალმა სახლისა ჩვენისამან შენ ალელს მამინაშვილს გაბრიელას, შვილთა შენსა ფარემუზასა, იოვანესა, დავითასა, გურგენასა და ფარსადანასა. დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ბარათში ნარგები ჩემის ყმის კაპანაძისეული მიწა. . . მე სურამის მღვდელს ტერჯაქარიას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მაისის დამდეგს, ქ^ს „უპვ“.

IX. მკათათვე 20, 1800 წ. ქ. სახელითა სახიერიოთა არსებითა ესე ამიერით უკინისამდინ ყაშთა, ხანთა, შვილთა და შვილის შვილთა საბოლოოთ გამოსადეგი წიგნი და სიგელი დაგიწერე და მო-

რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია, აწხელოზისათვის სა-
უურაადლებონი არიან შეძლებნი:

1) ოთხ-კუთხიანი ღვთის-მშობლის ხატი ვერცხლისა,
აქროთ დაფერხილი, სიგძით $4\frac{3}{8}$ კერძოკი, განით $3\frac{3}{8}$.
ზემო თავში სისქეზე ეს ხატი ილება, და იქიდგან შეგიძ-
ლიათ ამოიღოთ მეორე ხატი, აგრეთვე ოთხკუთხედი, ძაგ-
რამ ზემოთ მოძრგვალეული, სიგძით $3\frac{3}{8}$ კერძოკი, განით.

გეცი მე ჩხეიქემ გორგასალმა და შვილმა და მომავალმა სახ-
ლისა ჩემისამა შენ ალელს მამინაშვილს გაბრიელასა, შვილ-
სა შენსა თარემუზასა, იოვანესა, დავითასა, გურგენასა და თარ-
სადანასა შვილსა და მომავალსა სახლისა შენისასა, მას ყამსა
როდეს დამეჭირა და მოგყიდე ჩემის განაყოფისაგან ბარათით ნარ-
გები ჩემის ყმის მზარეული-შვილის საწისქვილო, ნახევარ წის-
ქვილი თავის წყალითა და სათავითა და წისქვილის უკან წყალი-
თა შუა საბაღე ჭალა, ესეც ნახევარი, კიდევ იმავე წისქვილის
წინ სახნავი მიწა თავის უთხვის შარა გზამდინ. სიგელი და-
წერილია სურამის მღვდლის ტერ-ზაქარიას ხელით მკათათვის
ა, ქკს „უპზ“ (უპპ?).

X. 1804 წ. გორგობისთვის 1, ეს ნასყიდობის წიგნი და სი-
გელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ჩხეიქე სეხნიამა და შვილ-
მა ჩვენმა ივანემ და დავითმა. . . შენ არივწაშვილს ტერ-მიყე-
ლასა, შვილსა შენსა გიორგისა, თარსადანასა და გრიქოლასა და
ამხანაგსა შენსა ხუბიერასშვილსა არუთენასა. . . მოგყიდეთ კა-
კალათ ხევში ჩვენი ზოდაბუნის მიწა ზომით შვიდი დღისა მოგი-
ჭერიოთ. მიდგმა მოდგმა ამ მიზეზით არ დაგიწერეთ, რომ ჩვენს
განაყოფთან ჯერ გაუყოფელი იყო და როდესაც გაყოფა, სითაც
გვერგება, ამ სიგელს ბოლოზედ მოეწერება. . . გორგობის-
თვის ა, ქკს „უპზ.“

3. ეს სატიც ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი. პირველ გვერდზე გამოხატულია ორი სურათი: მარცხნივ წმინდა დიმიტრისა და მარჯვნივ წმინდა გიორგისა. შუაში სატი იშლება და თქვენ თვალს წინ წარმოგიდგებათ მშვენიერი სურათი მაცხოვრისა. სოლო გაშლილ კარებზე მარცხნივ გამოხატულია ღვთის-მშობელი და მარჯვნივ იოვანე ნათლისმცემელი. უკანასკნელი სამი სურათი შემოკლებილია ძვირფასის თვლებით. ყველა წმინდანების სურათები გამოხედავით-ნაჭედი არის ¹⁾. მეორე გვერდზე პირველი სატისა გველის და ლამაზის ასომთავრული ხუტურის ხელით სწერია:

„წლო ღო, მეხ ექნ ორთვე შინა ცხრებესა
მამობელსა და მადიდებულსა შენსა დადისა გის და

1) სიტყვა გამოხედავით-ნაჭედი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გამოხედავით-განჭედილი, ნახმარებია წ. ნინოს ცხოვრებაში, რომელიც ქართლის მოქცევის ხრონიკას ზედ მოსდევს, და უდრის რუსული სიტყვას рельефъ, рельефное изображение. ამავე აზრით ვხმარობთ ჩვენც ამ სიტყვას.

სატი, რომელზედაც აქ არის ღაპარაკი, ანუკას მზითვის წიგნში მოკლეთ არის აწერილი: „ყოვლად წმიდის სატი, მურასად მოჭედილ ექვსის იაგუნდითა, ექვსის ნიშაბურის ფირუზითა, სამის აოშორის მარგალიტითა.“ ეს თვლები თითქმის უკვლანი დცულა. მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა დაბეჭდილია ბ. ესონის მიერ გაზ. „ივერიაში“ № 234, 235, 1889 წ. დედნი ვახტანგის მიერ ხელ-მოწერილი, ეხლა ინახება ჩვენს წიგნთხანის გამაკრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავში.

თა მეცხედრისა მთისა დედოფლის თმის, და ძისა მთისა ლეონს, ან 1)“

მეორე გვერდზე მეორე სატისა იმავე ხელით კვითხულათ:

„წ ქე, შე ორთვე შინა ცხოვრებასა დადანი გი, და დოფლი თმის, და ქე მთი ლონ, რომლისა ბრძანებითა შეგო ხატი ესე მაცხოვრისა, ან 2).“

ეჭვი არ არის, რომ ორივე ზემო მოყვანილ წარწერებში ლაზარაკია დადანი გიორგი III (1572—1582), ლევან დადანიის ძეზე. გიორგის სამი ცოლი ჰყავდა, მაგრამ არც ერთი მათგანის სახელი არ არის მოყვანილი ჩვენს ისტორიულ ხრონიკებში. პირველი ცოლი გიორგისა იყო როსტომ გურიელის (+ 1564) ასული. 1566 წელს გიორგიმ გააგდო გურიელის ქალი, და თავის ბიძას დათულისა წაართვა ცოლი, რომელიც თვითონ შეირთო. 1572 წელს გურიელმა გიორგიმ (+ 1600) და მამია დადანიამ, გიორგი დადანიის ძმამ, გიორგი დადანიი გადააგდეს, და დადანიად მამია დაჯდა. გიორგი წავიდა აფხაზეთში და დაბრუნდა ჯიქ-აფხაზ-ჩერქეზის ჯარით, მაგრამ ხელ-მეორედ

1) უქარაგმით: „წმიდაო ღმერთო, მეოხ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებასა მამკობელსა და მადიდებელსა შენსა დადანიას გიორგის და თანა მეცხედრესა მათსა დედოფალსა თამარს და ძესა მათსა ლეონს, ამინ.“

2) უქარაგმით: „წმიდაო ქრისტე, შეიწყალე ორთავე შინა ცხოვრებასა დადანი გიორგი და დედოფალი თამარ და ქე მთი ლეონ, რომლისა ბრძანებითა შეიმკო ხატი ესე მაცხოვრისა, ამინ.“

დამარცხდა გურიელის და მამიას მიერ. მეორე მიმართა იმერეთის მეფეს გიორგი II (1548—1585) და სთხოვა ცოლის და მისი, უმცროსი ქალი ჩერქეზ ბატონიშვილისა, რომელიც მასვე იმერეთის მეფეს აღესარდა. მეფე გიორგის შუამდგომლობით გიორგიმ დაიბრუნა დადიანობა, შეირთა ცოლათ ჩერქეზ ბატონიშვილის ქალი და მით გახდა ქვისლი იმერეთის მეფისა და გურიელი გიორგისა. 1577 წელს დაიბადა გიორგი დადიანის შვილი ლევანი, ანუ ლეონი, რომელსაც ზემო მოყვანილნი წარწერები უჩვენებენ. ეჭვი არ არის, რომ ეს ლევანი ჩერქეზ ბატონიშვილის ქალიდგან არის დაბადებული, რომელსაც, როგორც სჩანს, თამარი ჰქვია. როდესაც გიორგი დადიანი მიიტყვალა, დადიანათ მისი ძმა მამია დაჯდა. ამ უკანასკნელმა წაართვა ლევანი თავის დედას და შხეფის ციხეში დაამტკეპავა, ლევანმა ვერ გასძლო უდედოთ ციხეში, გადმოკარდა იქიდან და მოკვდა (1582) ¹. აქედგან სჩანს,

¹) ვახუშტი თავის ისტორიაში ლევანის დაპატიმრებას გიორგი გურიელს მიაწერს და ასე მოგვითხრობს: „მოკვდა დადიანი გიორგი ქს. აქეთ ჩუპბ, ქრ. სო (1582) და დაჯდა ძმა მისი მამია დადიანად. არამედ გურიელი გიორგი კვალად არა დასცხრა შურ-გებად გიორგი დადიანისად, მოიპარა ძე გიორგისი მცირე ლევან და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შაეფისასა განზრახვითა მამია დადიანისათა. ხოლო ყრმა იგი უთმინოებითა ტყვეობისათა გარდმოიჭრა ციხილამა, რეცა განტოლვად და მოკვდა (ქს. ტ II, გ. 193). ჩვენ „შედეგი ქართლის ცხოვრების“ ხრონიკის ცნობა მოვიყვანეთ ზემოთ. შხეფის ციხე სამეგრელოშია, ოთხ ვერსზე ახალ-სენაკიდგან.

რომ ზემოთ აღწერილი ხატი შემკობილი ყოფილა 1577 — 1582 წლებს შუა. ბროსეს თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში მოყავს ერთი ამ გვარის წარწერა ზუგდიდის ეკკლესიის ხატისა: „წ. აღიღეს ღმერთმან დადიანი გიორგი და თანა-მეტყუდრე მათი დედოფალი თამარ, და ძე მათი აღზარდეს ღმერთმან, ამინ.“ ეჭვი არ არის, რომ აქაც იმავე პირებსა ლაშარაკი, რომლებსაც ჩვენი წარწერები უჩვენებენ, მაგრამ რა კი ლევანი სახელდობ არ არის ნასსენები, გადაჭრით არ შეიძლებოდა თქმა, რომელ გიორგიზე იყო ლაშარაკი, რადგანაც გიორგი დადიანი ორი კიდევ სხვა იყო, და არც მათი ცოლების სახელები შენახულა. ჩვენ მიერ მოყვანილი წარწერა კი უეჭველათ ამტკიცებს, რომ ყველა შემოსსენებულ წარწერებში საუბარი არის გიორგი მესამეზე, და რომ მის უკანასკნელ ცოლს, ჩერქეზის ბატონიშვილის ასულს, თამარი ჰქვია. შვილი ლევანი სხვა გიორგი დადიანს, გარდა გიორგი მესამისა, არავის ჰყოლია ¹⁾).

2) წმინდა ნიკოლოზის ხატი, გულზე სატარებელი, ვერცხლისა, შემკობილი ძვირფასის თვლებით, სიგძით $1\frac{3}{4}$ კერძოკი, განით, $1\frac{1}{2}$. მეორე გვერდზე ხატისა ხუცური ასლებით სწერია:

„ქ. შენ საშინელისა ღისა სწწ-მწ-ბით ძღღ-ბლო, დიდო, მღღთო მთავარო ნიკოლზე, ეკედრე ქსა ღა, რა

¹⁾ ნახ. ქ. ცხ. ტ. II, გვ. 278—279; 192—193; 244. Brosset. Voyage arch. VII Rapp. p. 22. Hist. de la Géor. t. II, livr. 1-er p. 666—647.

ცდკათა შნდღა მომანიჭოს და სლთა ჩთა დიდი წყლღა მზისიერს 1).“

3) კერცხლის ფეშუმი, რომელზედაც მხედრულის ასოებით სწერია:

„ქ. მოხსენე, უფალო, აბაშიძე ვახუშტი, ბატონიშვილი ანუკა, ძენი და ასულნი მათნი“.

4) მაცხოვრის ხატი, ოქროთი დაფერილ კერცხლის აჩშიით, სიგძით $11\frac{1}{2}$ კერშოკი, განით 8. აჩშიებზე მხედრულის ხელით სწერია:

„ყოვლად დიდებულო მაცხოვარო, მოგბეჭდე მე ცოდვით მტვირთ მძიმეძან, ხისინის მოურავის ასულძან და აბასიძის (sic) ღალთხუცის (sic) კნიენამ, ანნამ, სალხათ სულთა ჩემთა და მიცვალებულისა ძისა ჩემისა დავითისა, და ეგვტათის განსასვენებლად, და სადღეგრძელოთ ძისა ჩემისა იოვანესთვის, და სულთა ჩემთვის, წელსა ჩეკ, მარტის კთ“.

5) ჯვარი ბზაის სისა, რომელზედაც ხელოვნურათ გამოქანდაკებულია სხვა-და-სხვა მშკენიერი რთული სურათები სახარების შინაარსიდან, და რომელიც მოჭედილია ოქროთი დაფერილ კერცხლით. სიგძე ჯვარისა არის $5\frac{3}{8}$ კერშოკი, განი $1\frac{5}{8}$. ჯვარი შემკობილია მრავალი წვრილი

1) უქარაგმოთ: „ქ. შენ საშინელისა ღვთისა სარწმუნოებით მღალადებულო, დიდო მღვდელთ-მთავარო ნიკოლოზ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მომანიჭოს და სულთა ჩემთა დიდი წყალობა მზისიერს.“

მარგალიტებით და სხვა ძვირფასი. თვლებით 1). ტარი ვერცხლისა აქვს, რომელზედაც მოსსო ბერძნულს ასოებით სწერია:

„წინამდებარე ჯვარი მეკუთნის მე ნიკიფორეს, იეროდიაკონს წმიდისა და ცხოველს მეოფელისა სათლავისა, 1669“ 2).

6) ორი რუსული ხელაგნების ხატი, ერთი სამებისა ანშია მოჭედილი, და მეორე წმიდის ნიკოლოზისა, აგრევე ანშია მოჭედილი 3).

ამ ნივთებს გარდა სოფელ ზემო-ჭალაში, მღვდელ სუხიევის სახლში, ჩვენ ვნახეთ ოთხიოდე ხელ-ნაწერი წიგნი. ორი მათგანი, რომელნიც ქუთუბისა ვახუშტი ახაშიძეს და მის მეუღლეს, თერად საყურადღებონი არიან. ამიტომაც მათი აღწერილობა მოგვყავს აქ.

1) სურათებიანი ხაღდესასწაულო, ჰანაკლიტონი და მარხვანის კვირადღები ზადიკითა, ერთ წიგნათ, in folio, 35×23 სანტიმეტრი, დაწერილია ძრეულ მშენი.

1) ეს ის ჯვარი უნდა იყოს, რომელზედაც ანუკას მზითვის სია ამბობს: „ვერცხლით მოჭედილი ნაწილიანი ჰატარა ჯვარი თვრამეტის ნოშორის მარგალიტითა, ხუთის სეილანით“.

2) ბერძნული ტექსტი სამწუხაროთ აქაც და სხვა ამ გვარ შემთხვევებში ვერ შემოგვაქვს ჩვენგა დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

3) ამ ხატებზე მზითვის სიაში ასე სწერია: „რუსული ანშია მოჭედილი სამების ხატი ერთი, რუსული ანშია მოჭედილი წმიდის ნიკოლოზის ხატი ერთი.“ სხვა ნივთები არაფრით შესანიშნავნი არ არიან და ამიტომ აქ აღარ მოვიხსენებთ.

ერ, თეთრ, მტკიცე, მოსქო ქალაქადზე წვრილის, მაგრამ ძრიელ ლამაზის, ნუსხა ხუჯურის ხელით. ტექსტი ნაწი-
 რის შავის მეღნით, მხოლოდ სათაურები, მეთაური ასოე-
 ბი და ხშირათ ფრახებიც,—წითელის მეღნით. წერა ორ-
 სვეტიანის და თათოეულ სვეტზე დატეულია 50 სტრი-
 ქონი. ჰაგინაცია აღნიშნულია რვეულებათ თითოეული რვა
 ფურცლის შემდეგ ასომთავრულით ქვემო არშიებზე. წიგ-
 ნი შეიცავს 456 ფურცელს, რომელთა შორის 15 პარა-
 კლიტონის წინ დაუწერელია. და, როგორც ეტყობა, სუ-
 რათების გასაგრძელებათ ყოფილას დატოვებული. უდა მა-
 გარი და ლამაზი აქვს, ხისა, ტყავ გადაკრული. უღის პირ-
 ველ გვერდზე შვასში გამოხატულია ჯვარცმა ავანაკები-
 თურთ და კუთხეებში მახარებლები. მეთაური ასოები სუ-
 რათებზე ბერძნულია. გერცხლის სამხულები უღისა არ
 შენახულან, მაგრამ მათი დასამაგრებელი ორი პატარა ვერ-
 ცხლისავე სვეტი დაცული არის. სხვაფერივე ხელ-ნაწერი
 სრულია და კარგათ შენახული. აქ იქ ტექსტის მეთაური
 ასოები ფერადებით შემკობილნი არიან, ზოგიერთი მათგან-
 ნი ფრინველის თუ სხვა ცხოველის გამოხატულობას წარ-
 მოგვიდგენს. ხუთ ადგილას ხელ-ნაწერში ვპოულობთ
 მშვენიერ ნახელავ „ზასტაკებს“, ანუ ფერადებით შემკო-
 ბილ ფურცლების სათაურებს. „ზასტაკები“ გამარის მსგავ-
 სებია, რთული და სხვა და სხვა ფერადებინი. უფრო ცის-
 ფერი, მოლურჯო და ვარდის ფერი სჭარბობენ სხვა ფე-
 რებს. პირველ „ზავსტაკის“ შვასში სადღესასწაულოს წინ
 გამოხატულია სასწორი, მეორეზე ორი თევზი, მესამეზე
 ვაჭი და სხვა. ფერადები ახალისა და კარგათ შენახული.

უმეტეს ნაწილს სადღესასწაულოს მარცხენა ანშიებისას აშვენებენ სხვა და სხვა იერადებით დასატულნი წმინდანების სურათები, რიცხვი სურათებისა სადღესასწაულოში ასამდის აღის, სურათები ყველანი ერთი ზომის არიან, სიმაღლით ცოტა ვერძოვ ნახევარზე მეტი, განით ერთი ვერძოვი. თითოეული სურათის ზემოთ ასომთავრულით დაწერილია სახელი იმ წმინდანისა, რომელსაც სურათი წარმოგვიდგენს, ქვემოთ მხედრულის ხელით ყოველთვის იმეორებს ერთი და იგივე ფრაზა: „შეიწყაღე ახაშივე ვახუშტი, ამინ“. სურათები სადღესასწაულოსი იწეუბიან სვიმონ მესვეტით (წელიწადი სადღესასწაულოში დაწყებულია პირველი სექტემბრიდან) და თავებთან წინასწარ-მეტეველ მიქიათი, რომლის დღესასწაული არის 24 აგვისტოს. ამ პატარა სურათების გარდა ხელ-ნაწერში დიდრონი სურათებიც მოიპოვებინ. პარაკლიტონის წინ დასატულია 17 სურათი, ოთხ-ოთხი თითო ფურცელზე გარდა უკანასკნელისა, რომელსაც მთელი ფურცელი უჭირავს და რომელიც დამთავრებული არ არის, მხოლოდ იესო ქრისტეს სახე კი მდიდრულია და კარგათაც განიჩქევა. ეს სურათები სხვა და სხვა სახარების შინაარსს წარმოგვიდგენენ. პირველათ დასატულია ხარება და უკანასკნელათ აღდგომა ქრისტესი. ამ სურათების წინ დატანებულია ხუთი ფურცელი დაუწერელი ქალღმისა და უკან ათი. დასაწყისი სადღესასწაულოსი: „მცხრის შუკნისა...“ ბოლო: „სამსელი ცხოვრებისაჲ მოვილოთ“. ამას შემდეგ ტექსტისაკე ხელით სწერია: „მწერალი ამისცა დეკანოზის-შვილი ნიკოლოზ (ნკწ), ქრისტეა შეიწყაღე დღესა-მას გამოგსნისა“. მე „დ“ გვერდზე იმავე

ხელით სწერია: „ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხოვრებასა შინა აბაშიძე ვახუშტი“. მე „კ, 10“ გ. კვითხულობთ იმავე ხელით: „წმიდანო მოციქულნო და ყოველნო წმიდანო, მეოხ და თანა შემწე ექმენით პატრონსა და მკითხველსა წიგნისა ამის ორსავე ცხოვრებასა, ამინ“. დასაწყისი პარაკლიტონისა: „ლ ტვინი ჩნინი შეიწირენ წო ღო ღ მოგმდეჲ ჩნი მოწელებჲ ც დვათა“. დასასრული: „დიდება შენდა ღთო ჩუწნო“. მეტვე კვითხულობთ: „ქრისტე, შეიწყალე მწერალიცა ამისი დეკანოზის-შვილი ნიკოლოზი“. დასაწყისი მარხვანის კვირადღებისა: „მცხრი ოსნი ზჲე უო უო ღ სბანიადღმისანი“. ბოლო: „რ მრავალნი იუვენ უკანა და უკანანი წინ“. ამას შემდეგ გამოეჩებულა იგივე თქაზა, რომელიც პარაკლიტონის ბოლოს იყო. ბოლოს მოყვანილია უკანა-სიტყვაობა გადაშერისა. ეს უკანა-სიტყვაობა, როგორც ზოგიერთი სათაურებიც ტექსტისა, დაწერილია მოგძო და ძონოგრაძმიულათ ერთი ერთმანეთზე გადაბმული ასომთავრული ასოებით. სიტყვები ნაწერია ქარაგმით და ერთი ერთმანეთისაგან განიყოფებიან ვინოვარით ნაწერის ვარსკვლავის მსგავსი წერტილებით, ნაწერი მეტის მეტი ლამაზია და იკითხება ასე:

„ადიწერა წმიდა ესე და შემკობილია სადღესასწაულლო, პარაკლიტონი და მარხვანის კვირადღები ზადიკითა, ყოველითურთ განშვენებულ და შემკობილია გულითა ოსნი-ნის დეკანოზის-შვილის ნიკოლოზისითა. გეჲდრები მკითხველთა და კეთილად მსმენელთა, რათა მცირედცა სსენებებასა ყოთუდეთ ჩემდა ცოდვილის მწერლისა, მთავრისა, რათა თქვენცა მოგცესთ იესო ვხენება (ჳა) კეთილი. უკეთუ

იპოვოთ შეტომით სიტყვა, გამართვას ეცადეთ, რათა თვითონც განმარტებულ იყვნეთ დღეს-მას განკითხვისა. სრულ იქნა იანვრის ი, ქკს აქეთ ჩემკ, ქკს ულდ". — 1746. ამას ქვემოთ არშიაზე სხვა ნუსხა მსედრულის სე- ლით სწერია: „ათს იანვარს რომ ეს სადღესასწაულო გა- თავა ამისმა მწერალმა, ოცდა ათს იანვარს სანატრელი მე- ფის ვახტანგის ასული და ახაშიძე ვახუშტის მეუღლე, ბა- ტონიშვილი ანუკა, მიიტყვალა ამა ქორონიონს „ულდ“. იე- სო, უფალო ჩვენო, განუსვენე შენსა ზეტისა სასუფეველ- სს, ამინ“.

ანუკა ბატონიშვილი, ვახტანგ VI ასული, ცოლათ გაუვა ვახუშტი ახაშიძეს 1712 წელს, თებერვალში. გარ- დაიცვალა ანუკა ჰაზუნა ორბელიანის ცნობით პირველ იან- ვარს 1746 წელს. ვახუშტი მხოლოდ 1746 წელს უჩ- ვენებს და თვეს და თვის რიცხვს არ მოიხსენიებს. ერთი წერილი კათალიკოსი ანტონი I, 1745 წლის 25 ივნი- სის თარიღით მიწერილი ტფილისიდან მოსკოვს გიორ- გისადმი, ვახტანგ VI ძისა, სხვათა შორის მოიხსენიებს ანუკას და ანუკას დის თამარის გარდაცვალებას (რიცხვს არ უჩვენებს). რომ კათალიკოსი ანტონის თარიღში ცხა- დი შეტომდა, და რომ 1745 წლის მაგიერ 1746 წელი უნდა ეწეროს, ეს ბროსსემ შენიშნა კარგი სანიას და ანუ- კას გარდაცვალების დროთ ჰაზუნა ორბელიანის ცნობა მიი- ლო. ჩვენ მიერ მოყვანილი მინაწერი კი ცხადათ ამტკი- ცებს, რომ ჰაზუნას ცნობაც არ ყოფილა მართალი. ესე იგი ანუკა ბატონიშვილი 1746 წლის პირველ იანვარს გი- არა, არაძედ ოც-და-ათს იანვარს იმავე წლისას გარდაცვლი-

ბეძ
ანუკა
ანუკა
ანუკა

და. ანუკა დამარსულაა ტფილისის სიონში, შავრამ უპიტაფია მისი არა სჩანს 1).

2) მეორე ფრიად საყურადღებო ხელ-ნაწერი, რომელიც ჩვენ მკვლელ სუხიევის სახლში ვიპოვეთ, არის პარსელის სახარება, ოთხ-თავი. ხელ-ნაწერი in 4° ზომიერი ფორმატისა, 24×20,5 სანტიმეტრი, დაწერილია კარგე მკაზ და კარგათ შენახულ ეტრატზე ხუცური ასომთავრულით. ტექსტი ნაწერია ორ სვეტით და თითოეულ სვეტზე დატეულია 20 სტრიქონი. სათაურები, ზოგიერთი მეთაური ასოები და იშვიათათ სტრიქონებიც, ნაწერია წითელის მელნით, დანარჩენი ტექსტი შავით. მეთაური ასოები ბერძნია, მაგრამ არც ერთი მათგანი ძველი ტექსტისა ფერადებით შემკული არ არის. არშიებზე ხშირათ შესვდებით სხვა და სხვა გვარის ჯვარს, წითლის მელნით დასატულს, და თითოეული სახარების ბოლოში პატარა ფერადებიან ოთხ-კუთხედებს, მაგრამ როგორც ჯვრები, ისე ეს ოთხკუთხედებიც, საყურადღებოს ართუენ წარმოგიდგენენ. ხელი ძველი ტექსტისა მოსხლას და ადვილათ გასარჩევი, სიტყვები უფრო ხშირათ ქარგებებით არის ნაწერი. პავინაციას აღნიშნულია თითოეული რვა ფურცლის შემდეგ ხუცური და ბერძნული ასომთავრულით, ზემო და ქვემო არშიებზე. ხელნაწერი შეიცავს 248 ეტრატის ფურცელს. ბოლოს მიმატებულია 21 ქაღალდის ფურცელი, რომლებზე-

1) იხ; ქ. ცხ. ტ. II, გვ. 77, 252, 257, 387. Hist. de la Géor. t. II, 2-^e livr. p. 427—428. Voyage arch. I-er Rapp. p 26.

დაც არა ტექსტის ხელით დაწერილია „სარჩევი და საძიებელი“, ესე იგი დღიური საკითხავების მჩვენებელი და საძიებელი თაგებისა და სტიხებისა. ეს „სარჩევი და საძიებელი“, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დაწერილია 1744 წ. იმავე ირსიდაკონის ნიკოლოზის ხელით, რომელსაც ზემო გარჩეული სადღესასწაულო გადაუწერია. ამას გარდა ნიკოლოზს მოყვას ძველი ტექსტის არშეიხსენებულ ასომთავრული ასოებით თითოეული სტიხის პირ-და-პირ სათვალავი სტიხებისა, ვინაიდან სტიხებათ დაყოფა ძველი ტექსტისა, როგორც სხვა უძველეს დროის სახარებების ვარსკლავებისა, არ ეთანხმება ბოლონდელ დროის სახარებების სტიხებათ დაყოფას. რომ უფრო ადვილი გასარჩევი იყოს, სად თავდება სტიხი, ნიკოლოზს დაუსვამს თითოეული სტიხის ბოლოში რა თუ სამი მსხვილი წერტილი. ტექსტის სტიხებათ დაყოფაში ნიკოლოზი ადგია იმ სისტემას, რომელსაც ვხვდებით ჩვენ გიორგი მთაწმინდელის მიერ შესწორებულ სახარების ვარსკლავებისა. პარსაღის სახარებაში ახალი სტიხი უმეტეს შემთხვევაში იწყება მეთაური ასოთი, და სტიხების სათვალავი დაწერილია წვრილი ასოებით ამ მეთაურ ასოებზე. ქვემო არშეიხსენებულ კი სხვა მახარებლების პარაკლექსური ადგილებია ნახვენები. პირველი რვა ეტრატის ფურცელი ჩვენი სახარების ძველი არ არის და უეჭველათ მეტე მიმატებული უნდა იყოს. ეს მტკიცდება, პირველათ იმით, რომ ეტრატის ამ რვა ფურცლისა უფრო თხელი, რბილი, თეთრი და ახალია სხვებზე, და ძელანიც ძლიერ შავია, ძველი ტექსტისაკი შედარებით ბევრათ უფრო მქრალი. მეორეთ იმით, რომ

ხელი ამ რვა ფურცლისა თვალსაჩინოთ განიჩქევა ძველი ტექსტის სელიდგან. ამას გარდა პირველი ფურცლის სათავეში ჩვენ ვხედავთ კინოვარულ სათაურს, მონოგრაფიულით ერთი ერთმანეთზე გადაბმული მოგძო ასომთავრულით ნაწერს, და ფერადებით შემკობილ მეთაურ ასოს „წ“, რომელიც ფრინველის გამოსატყულობას წარმოგვიდგენს, ძველ ტექსტში კი ამგვარი არაფერი არ მოიპოვება. ტექსტიც ამ ფურცლებისა გიორგი მთაწმინდელისაგან შესწორებულ სახარებიდგან არ განიჩქევა, მაშინ როდესაც ძველ ტექსტში ცოტათ თუ ბევრათ განსხვავებანი მოიპოვებინ. მერმენდელი მიმატებულია კიდევ იმავე ხელით დაწერილი ერთი ფურცელი ქალაქი მათეს სახარებაში, ნაცვლად დაკარგული ეტრატის ფურცლისა, რიგით მე-56-სა. ამასთანავე ერთ ადგილას მოხეული ეტრატის ერთი კუთხის მაგიერ მიწებებულია ქალაქი, რომელზედაც იმავე მერმენდელის ხელით დაწერილია ტექსტის შესავსებელი სიტყვები. ყველაფერი ეს უკეთესი რომ არ შეიძლება ისე სწორათ და ლამაზათ არის გაკეთებული. გასაკვირველია, როგორ დაუტევიან გადაწერს ყველაფერი თავის ადგილზე და ძველი და ახალი ტექსტი სიტყვა სიტყვით და ასო ასოთი ერთმანეთზე მიუკერებია. ის იმდენს სიტყვას და ასოს ატევეს სტრიქონზე, რომოდენიც ძველ ტექსტშია. ამასთანავე შესამჩნევია ცთილობს ძველი ტექსტის მსგავსის ხელით დაწეროს, და თუმცა ასოები ზომით ერთგვარი არიან, მაგრამ სილამაზით ძველი ხელი მაინც ბევრათ სჯობია ახალს. ყველა მიმატებული ფურცლები ტექსტისა (რვა თავში და ერთიც მათეს სახარების შუა ადგილას) დაწერილნი უნდა.

იყვნენ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1739 წელს. და-
ნარჩენი ფურცლები სახარებისა სრულათ არიან დაცულნი
და კარგათაც შენახულან. აქ უნდა დავსძინოთ, რომ ამ
სახარების ასომთავრული და ნუსხა ხუცური ხელიც არა-
ფრით არ განირჩევა შატბერდის კრებულის ხელიდგან.
ხელ-ნაწიქს მაგარი ხის უდა აქვს, შავ ტყავ გადაკრული,
რომლის ზემო პირზე ჯვარცმაა გამოხატული.

დასაწყისი რვა მიმატებული ფურცლებისა, მათეს სა-
ხარება, თავი 1, სტიხი 1-2: ს^ნწ^ბა მ^თესი თ^{ვი} ა.

ა. წიგნი შობისა იუ ქ^{ის}ი, ძისა დავითისი, ძისა აბ-
რაჰამისი.

ბ. აბრაჰამ შვა ის^კ, ის^კ შვა იგ^ბ, იგ^ბ შვა იუდა
და ძმანი მისნი.

18 ბოლო მიმატებული ეტრატის ფურცლებისა, თავი ნ,
სტ. 17: ამინ გეტუჯ თქოუწ^ნ, ვიდრემდე წარკდ^ს ცაჲ
და ქოუყანა, იოტა ერთი, გინა რქა ერთი არა წარკდეს
შ^ჟჟულისგ^ნს და...

დასაწყისი პირველი ძველი ეტრატის ფურცლისა, მეოთ-
რამეტე სტიხის ბოლო; მეხუთე თავისა: წ^ნწ^{ელ}თაჲ,
კ^დე ე^იე იუოს. სტიხი მე-19: ოჯგოჯოჯ ვინმე დაჭკს-
ნას ერთი მტნებათა ამათგანი ოჯმტირესთაჲ და ასწავოს
ესრ^ტთ კაცთა, ოჯმწემეს ეწოდოს ჰას სასოჯეგეელსა
ჯათასა; ს^წწ^ნ ეოს და ასწავოს, ამას დიდ ერქოჯას სა-
სოჯეგეელსა ცათასა.

ბოლო მათეს სახარებისა, თავი 28, სტიხნი 19-20:
წარვიდეთ და მოიმოწაფებით ეწი წარმართნი და ნათელ

მეტყველებით მათ 'სასულითა მამისათა და ძისაჲთა და სოჯლისა წმინდისაჲთა.

და ასწავლიდით მათ დამარხვად ყოი, რადგენი გაძვირებთ თქვენ, და აჭა ესერა მე თქვენკათან ვარ ულთა დღეთა და ვე აღსსრულმდე სწოლისა.

ამაკე მათეს სახარების ბოლოში ტექსტის ხელით, მაგრამ ნუსხას ხუცური წვრილი და ლამაზი ასოებით სწერია: „ჩე ე მეუფეო, ულსა მხერობელო, შეიწყალე გლახაზაკი იოკანე, მწერალი ამის წიგნისაჲ, მწხითა წითა მწრებელთა შნთა თანა.“ ამას შემდეგ მეორე სკეტზე იმავე ფურცელის მეკმენდელი ხელით და ხუცური ულამაზო ასოებითავე სწერია: „მოიხსენე, უფალო, კანდელაკი მღრდელი იოკანე, ამინ“. ამას ჭკემოთ მეკმენდელი ლამაზი ნუსხას ხუცურის ხელით სწერია: „ადიდეს უფალმან პატონი ვასუშტი აბაშიძე, რომლისა ბრძანებითა გამართავ სათვალავსა წმინდისა ამის სახარებისას მე კინილა სახელისა (სწლისა) მთავარ დიაკონი ნიკოლოზ (ნიკოზ), მრავალ უამიერ ყოს უფალმან ორსავე შინა კეთილათ (კლოთ) ცხოვრებისა. გიკედრები უოკელთა, უფალთა ჩვენთა, რათა ჩემ უადრუგისათვის მცირედსა ხსენება ყოთ; ჩემთა შეწყალებათათვის თქვენცა უფალმან წყალოზა გცეს დღესა-მას განკითხვასა“.

ამაკე სახარების მე-17 გვერდის ჭკემო ანშიაზე მეკმენდელი ნუსხას მხედრულის ხელით სწერია: „ჩე ღმერთო, ცოდვილს ანუკას მოხედე მოწყალებით შენით“.

დასაწყისი მარკოზის სახარებისა, თავი 1, სტისნი 1-2: სახარება. მარკოზის თავისა თავი.

დასაბამი სანსკრებისა იჲ ქესი, მისა ღა, ვა წე-
 რილ არს ესთა წნწელსა: აჲ ესეა მე წარკველინო ან-
 გელზი ჩემი წე შნსა რნ გამზადნეს გზანი შენნი.
 წე შენსა.

ნა დაღადებისაა რუდაბნოსა: განმზადებით გზანი
 რლისანი და წრთელ უკენით აღაგნი მისნი.

ბოლო მარგოზის სანსკრებისა, თავი 16, სტოხნი
 19-20:

ნ შედგომად სიტუკსა-მის მისისა მათა მიმართ აღ-
 მადლდა ზეტად და დაჯდა მარჯოზნით ღთისა.

ნ იგინი გამოვიდეს და ქადაგებდეს ულსა ქენსა
 ულისა შეწეგნითა და სიტუკსა-მის დამტკიცებითა მისა
 მიმართ რლნი იგი შეოჯდეს მათ სსწაოჯნნი.

ამს ქემოთ ტეკსტისკე ხელით, მაგრამ ღამაზის
 ნუსსა ხუტურის ასოებით სწერია: აქე, შეიწყაღე ბერაა
 მწერალი, ამი^ა.

დასაწიყისი ლუკას სანსკრებისა, თავი 1, სტოხნი 1-2:
 სსრება. ლოჯკამსა თავისა თავი.

მრავალთა კელი შეუკეს აღწერად მოთხრობად გოჯლ-
 სასკედ სარწმოჯნოკებისა-თჲს რნ შნ სსქმეთა აღსროჯ-
 ლებოჯლთაა.

ვა იგი მომტეს რნ რნი დასაბამითგან თჲთ მხილ-
 კელ და მსახოჯრ უოფილიყუნეს სიტუკსა-მის.

ბოლო ლუკას სანსკრებისა, თავი 24, სტოხნი 51-53:
 და იყო კოჯრთხეკასა-მის იჯამსა მათა მიმართ განეუო
 რა მათგან და აღვიდოდა ზეტად.

და იგინი მოიქცეს ისევე სხვათაგანითა დიდითა,
და იყოფოდეს ტაძარსა-მას შინა მდს და აკოვრ-
თხევდეს ღა.

დასაწყისი იოვანეს სახარებისა, თავი 1, სტიხნი 1-4:
სახარება. იოვანეს თავისა თავი.

პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო
ღთისა თანა და ღთი იყო სიტყვა იგი. ესე იყო პირ-
ველითგან ღთისა თანა.

ესევის მის მიერ იქმნა და თვნიერ მისა არცა ერთი
რამე იქმნა, რადენი რამე იქმნა.

მის თანა ცხოვრებამ იყო და ცხოვრებამ იგი იყო
ნათელა კაცთა.

ბოლო იოვანეს სახარებისა, თავი 21, სტიხნი 24-25:

ესე არს მოწაფელ იგი, რნი წამებს ამისთვის და რნი
დაწერეს ესე ღვთის რნი ჭეშმარიტ არს წამებამ მისი ღვთის-
ან სხოვანიცა მრავალ რელ ქმნის იგი, რნი თოვმცა და
წერეს [რეოდეს თვითეულ] ად არცაღა ვსგონებ ვრმცა სოფე-
ლმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები.

შემდეგ წითელის მეტნით სწერის: „დიდება შენდა
სამებაო წო“. ქვემოთ კიდევ ლამაზი ბერძნული ასომთავ-
რულით ბერძნულათ სწერის: „დიდება მამასა და ძესა და წმი-
დასა სულსა აწ და მარადის“. მართლ-წერა ბერძნული იერ-
საზებისა გარყვნილია.

ბოლოს ლამაზის ნუსხა ხუცურის ასომთავრით, მაგრამ
ტექსტისაკე ხელით სწერის: „უფალო, იესო (იგი) ქრის-
ტე, ცხოველთა და მკვდართა მეუფეო, შიწყალე იოვანე

ბეჩაი (sic), ძვერალი ამისი, გლახაკი სულითა, მეოხე-
ბითა წმიდათა მახარებელთა შენთაჲთა. წმინდანო ღუთი-
სანო, ვინ იგი[თხვიდეთ]...“ (აქ ერთი სტრიქონი წაჭ-
რილია).

იმ ეტრატის ფურცელზე, რომელიც უკანასკნელ ეტ-
რატის ფურცელს წინ მიუძღვის ჩვენ ვპოულობთ შემდეგ
წერილს, იმავე ღამისი ნუსხა ხუცურის ხელით დაწერილს:

„სახელითა მამისათა და ძისაჲთა და სულისა წმი-
დისაჲთა, მეოხებითა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა
ღუთის-მშობლისა, მარადის ქალწულისა მარიაძისთა, ძალი-
თა ცხოველს მყოფელისა ჰატიოსნისა ჯვარისაჲთა, მეო-
ხებითა წმიდისა და ნეტარისა წინასწარ-მეტყველისა იოვან-
ნე ნათლის-მცემელისათა, მეოხებითა და შეწევნითა წმი-
დათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთათა და წმიდათა
წინასწარ-მეტყველთაჲთა, მეოხებითა წმიდათა მახარებელ-
თათა მათს, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, მეოხებითა
წმიდათა მოწამეთაჲთა და ღირსთა მღვდელთ-მოძღუართაჲ-
თა და ნეტართა მამათაჲთა, ღირს ვიქმენ მე გლახაკი
იოვანე ნათელად ბეჩაი, აღსრულებად წმიდასა
ამას სახარებასა, ოთხთავსა, მოღვაწეობითა სულისა წმი-
დისაჲთა და შეწევნითა ღუთით (ღთ) შემოსილთა კაცთაჲ-
თა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამომ-
ღურებლად თავისა ჩემისა, და სალოცველად სულსა მყო-
ფელსა ჩემისა და ყოველთა-თჳსთა ჩუენთათჳს სულიერ-
თა და სოცრეელთა, და სალოცველად მეფეთა ჩუენთათჳს:
ღუთივ დახადებულისა ბაგრატ ქართველთა მეფი-
სა, და ვით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავ-

თა ერისთავისა ღ ღუთივ მონიჭებულთა ძეთა მათ-
თჳს. ქრისტემან უოკელნი ადიდენინ მოწყალებითა მისითა
ჟამთა უკუნისამდე.

„აწ კინცა ღირს იქმნეთ აღმოკითხვად ღ მსახურე-
ბად წმიდასა ამს სანარკებსა, მოიკსენეთ სული ჩემი ცო-
დვილი წმიდათა შინა ლოცვათა თქუენტა, და უოკელთა ერ-
თობით მოგვანიჭენინ ღმერთმან კეთილნი საუკუნენი, და
უოკელნი ღირსმცა ვართ სასუფეველსა ცათა და სანატრე-
ლსა. მის გმისა სმენად ქრისტს იესოჲს (იჯჲს) მიერ,
ღუთისა ჩუენისა მისა, დიდება ეკლესიასა შინა მამისა თა-
ნა სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა,
ამენ.

„დაიწერა დასაბამითგანთა წელთა **ჴ: Գ: Ա. Ն.**

ქორნიკონი იყო მეცამეტედ ქვეული **Ժ: ԿԿ.**“

ხუროზ (6577) წელი დასაბამითგან ქართულის სა-
თვალავით და რჳგ (193) ქორნიკონი მეცამეტე მოქცე-
ვისა ერთგვარათ უდრინ 973 წელს ქრისტეს შემდეგ.
ამსუ უფრო მარტივი თარიღი აღარ შეიძლება, ასე გაშინ-
ჯეთ, მწერალი მოქცევასაც უჩვენებს, რასაც ძრეელ იშვი-
ათათ შესვთებით ჩვენ მანუსკრიპტებში. თვით რიცხვები
ნაწერნი არიან წითელის ძელნით ძრეელ მარტივად და
კარგათაც შენახულან. ბაგრატ ქართველთა მეფე, რომელ-
საც იხსენიებს ივანე ბერაჲ აქ და შატბერდის კრებულში
არის ბაგრატ II (958—994) რეგენი და არა ბაგრატ
პირველი (827—876), როგორც თქრობდა განსკენებუ-
ლი დ. ბაქრაძე. ბაგრატ II რეგენი თუძცა მეფეთ ითუ-

ლებოდა და მეფეთ მეფის სახელსაც ატარებდა სიკვდი-
 ლამდის, მაგრამ ფაქტიკურათ კი თითქმის არაკითანი უფ-
 ლება და ძალა არა ჰქონია. ნამდვილი მმართველი, მეფე
 და ბრწყინვალე ვარსკვლავი იმ დროისა იყო დავით გურგა-
 შალატი († 1001). ეს ის დავითია, რომელმაც სახელი
 გაითქვა ბარდა სელეროსის დამარცხებით და ამ ბარდის
 მიერ აღელვებულს ვიზანტიის იმპერიის დამშვიდებით,
 და რომელმაც ეგრე ბეკს ლაშაჩაკობენ ქართველთ,
 სომეხთ და ვიზანტიელთ მწერალნი. ეს დავითი აქვს სა-
 ხეში ჩვენ სახარების წერილსაც, როდესაც ამბობს დავით
 მაგისტროსზე. მაგისტროსად დავითი იწოდება სხვა მანუ-
 სკრიპტებშიაც. მაგალითათ, ერთ ათონის ხელ-ნაწერში მე-
 977 წლისა, რომელსაც ჰქვია „სამოთხე“ ანუ იოანე ოქ-
 რომირის და ეფრემ სირინის ქადაგებანი, სხვათა შორის
 კვითხულობთ: „იესო ქრისტე, ყოველთა სუფევათა მფლ-
 ხელა, ადიდე შენ მიერ დიდებული მეფე ჩვენი დავით
 მაგისტროსი და იოანე და შვილნი მისნი 1). ქართ-
 ლის ცხოვრების სიტყვით დავით მეფობდა 983—1001 წ.
 სომხის მწერალი მეთეორმეტე საუკუნისა ასოჭივი ძრიელ
 ბეკს ცნობებს გვაძლევს დავითზე, მაგრამ მის გამეფების
 წელს კი არ უჩვენებს, მხოლოდ სიკვდილს მიაწერს 1000
 წლის პასექის დღეს 2). რომ დავითის გამეფების წელი

1) ნახე ბაქრაძის ისტორია, გ. 244. და Цагарели.
 Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности,
 стр. 89—91.

2) Эминъ. Всеобщая исторія Степаноса Таронска-

შეცდომით არის ნახევენები ქართლის ცხოვრებაში, და რომლის 983 წლის უფრო ადრე მართავდა თავის სამეფოს, ეს კარგი ხანია შენიშნა დ. ბაქრაძემ (ნახ. მისი ისტორია, გვ. 239), მაგრამ ჩვენ მანაც აქამომდე არა გვეჩვენებია ცნობა დავითის მეფობაზე 977 წლამდის, ესე იგი იმ წლამდის, რომელსაც ეგუთვნის ზემო ნახევენები ათონის მანუსკრიპტი. ესლა კი პარსხლის სახარება უცვლელათ ამტკიცებს, რომ დავითი 973 წელსაც მეფე ყოფილა და მაგისტროსის ხარისხი ეჭონია. ბაგრატთან და დავითთან მოხსენებული სუმბატ ერისთავთა ერისთავი უნდა იყოს ბაგრატ მამთაღის შვილი არტანუჯელისა, რომელიც გარდაიცვალა 988 წ., და რომელსედაც სუმბატის ისტორია სწერს: „გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა ერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამთაღისა, არტანუჯელი, ქორიანიონსა „სს“ (ნახ. ჭკემოთ სუმბატის ისტორია, გვ. 64).

ზემო მოუყვანილ წერილს ჭკემოთ პარსხლის სახარებაში ბერძნულის ასომთავრულით ბერძნულად სწერია: „ჭრისტე შეეწიოს. იოანემ დასწერა, ამინ.“ მეტე კიდევ ნუსხა ხუცურის ხელით სწერია: „შევსწირე წმინდას ეგლესიასა პარსხლისასა წმიდისა [იოვანე ნათლის-მცემელისას].“ ამას შემდეგ მეორე სვეტზე მეტმენდელი ნუსხა ხუცურის ხელით სწერია: „მოიხსენე, უფალა მონა შენი კანდალაკი ძველელი ივანე. ამინ, ამინ, ამინ“.

უკანასკნელ ეტრატის ფურცელზე სწორეთ იმავე ნუსხს ხუცურის ხელით, რომლითაც ნაწერია უკანასკნელი ნაწილი შატბერდის კრებულისა, სწერას:

აწინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა. ზედა დაიდვას სადიდებლად ლუთიკ გვრგვინისა მეფეთა მეფისა, ადიდენინ ღმერთძან, ლუთიკ დამყარებულისა ღვთით მაგისტროსისა, მამობასა საწმუნოჲსა მწყემსისა ჭკითილად მ[ოლ]უაწისა წმიდისა მამისა ეფთიმესა, ფსალმუნი (ფნი) შეაწიენ, ესე წმიდანი მასარებელნი მათ დაუოკელსა კრებულსა პარხლისასა უამთა უგუნისამდე (ოქკ) ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხოვრებისა-მას საუგუნესა, ამინ.

აწ ვინცა ვინ ჩასატა მიზეზითა გამახუჯს წმიდასა ნათლის-მცემელსა, ანუ გაძღუანოს ივინი, გაყიდოს, და ჩუენი სასუიდელი და გუელს მოადგინებაჲ დაამკუას, გამცურისხდების თავადი ღმერთი, და ნაწილიმცა მისი იუდასთან არს ისკარიოტელსა, და წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისა მკვლელობამცა თანა დაიშჯების და ესე წმიდანი მასარებელნი არიან მსაჯულნი მისნი დღესა-მას ადგომისასა საშინელსა, ოდეს უოკელი დაბადებულნი წარმოდგეს განკითხვად მსაჯულსათა, რომლისა არს დიდება უგუნისა ეგუნისამდე, ამინ.

ადა ამასვე პირსა ზედა მეფათა სიმტკიცე დაწერინ, ადიდენინ ღმერთძან.

ამე ივანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დაწერე და პარხალს შეგწირე სალოცველათ უო-

კელთა ძმათა შატბერდელთა, უოკელნი აკურთსენინ ღმერ-
თმან“.

აქ საჭიროდ ვრაცხთ შევჩერდეთ ორ ფრიად საყუ-
რადღებო მონასტრებზე—პარსალზე და შატბერდზე, რომე-
ლნიც იხსენიებიან ამ წერილში, და რომლებსაც დიდი
მნიშვნელობა ჰქონიათ ჩვენს ისტორიაში და ლიტერატუ-
რაში. პარსალის ეკკლესიას მდებარეობს ოსმალთა საქარ-
თველოში, ჭანეთის ანუ პონტოს ქედის აღმოსავლეთის
კალთაზე, ჭოროხის სეოპაში, სოფელ პარსალში, რომე-
ლიც გაშენებულია პარსალის წყლის ორივე ნაპირზე, და
რომელიც ძვეს 4,675 ფუტის სიმაღლეზე ზღვის სისწო-
რიდან ¹). ამ მონასტრის ვრცელი აწერილობა მოუყანი-
ლია პოლკოვნიკი გ. ყაზბეგის თხზულებაში, რომელსაც
ეწოდება „სამი თთვე ოსმალთა საქართველოში“. ყაზბეგის
სიტყვით პარსალის საუდარი უდიდესია ყველა ეკკლესიებზე,
რომელნიც მას უნახავს ოსმალთა საქართველოში (ესე იგი-
სხალტაზე, ოპიზაზე, ტბეთზე და სხვებზე) და თავის
არსიტექტურით უკან არ ჩამორჩება შესანიშნავ ტბეთის
ეკკლესიას. ჩვენ საჭიროთ არა ვრაცხთ გავიმეოროთ აქ
ყაზბეგის აწერილობა პარსალის ეკკლესიისა, შევნიშნავთ
მხოლოთ, რომ ყაზბეგს ადგილობრივ ვეო შეუგრების ცნო-
ბები, თუ როდის, ან ვისგან არის ეკკლესიას აშენებული, ან თუ
რა მნიშვნელობა ჰქონია მას იმ მხარეს წასულ ბედ-იღბალში.

¹) Бакрадзе. Кавказъ въ древнихъ памятникахъ,
христианства, стр. 118—120.

იქაურ მღვდელს გებრძეს (პარხალში თურმე აქამოდე და-
 ცულის რამოდენიმე მართლმადიდებელ ქრისტიანობის ამღ-
 ვიარებელი ოჯახობა და მღვდელი გებრძის გვარისა ყო-
 ლიათ) არც ის სცოდნოდა, თუ რომელ წმინდანის სახელ-
 ზეს ნაკურთხი ეკვლესია. მაგრამ ერთ ბერძენს, რომელიც
 ჩვენს ავტორს სოფელ „ვიქაში“ ენახა, ეცნობებინა ყაზ-
 ბეგისოვის, რომ შვიდი წლის წინათ (ყაზბეგი მოგზაუ-
 რობდა ოსმალის საქართველოში 1874 წელს) ის იყო
 პარხალში ერთ ქართველ ბერიტურთ, რომელიც იერუსალი-
 მიდგან მოსულ-იყო. ამ ბერს ჭკმეკვია იოანე და, ბერძენის
 სიტყვით, ძრიელ ნახწავლი ყოფილა, ეკლესიის კარებზე
 მას ამოუკითხავს, რომ ეკვლესია აშენებულია 931 წლის
 წინათ ქართველ მეფის ალექსანდრეს და მისი ცოლის თე-
 ოდოსის მიერ იოანე ნათლის-მცემელის სახელობაზე.

„რომ პარხალის ეკვლესია, შენიშნავს ყაზბეგი, აშენე-
 ბულია იოანე ნათლის-მცემელის სახელზე—ეს შეიძლება
 ვითუქროთ ერთი წარწერისაგანც სვეტის ბაქანში, საგურ-
 თსეველის მხლობლათ; მაგრამ ბერის იოანეს დასკვნა დროს
 შესახებ, თუ როდის არის საყდარი აშენებული, თხოუ-
 ლობს შემოწმებას. ჩვენ არ ვსაჩხობთ განუსაზღვროთ
 დრო ეკვლესიის აშენებისა, მხოლოდ არ შეგვიძლია არა
 ვთქვათ, რომ მეათე საუკუნეში ის ადგილი, სადაც პარხა-
 ლი არის, შეადგენდა საგურთრებას ქართველთ ბაგრატიონე-
 ბისას, რომელნიც ვიზანტიელთ მეიკეების მოვარელობას
 ჭკეშ იუგენენ. იმ დროის ისტორია არ იხსენიებს ალექსან-
 დრე მეფის სახელს, მაგრამ უ. ბაქრძე თავის ანგარიშში

გურია-აჭარაში არხეოლოგიური მოგზაურობის შესახებ ინსენიებს ერთ ძრეულ ძველ გუჯარს, რომელიდგანაც სჩანს, რომ პარსული ერთ დროს ყოფილა კავკასიის გვარეულობის საუფლო და ქვეუთებია იმხანის ეპისკოპოსის სამწყობოს. კავკასიის გვარი დატულია ძველი ხატების წარწერებზე, რომელნიც გადმოტანილნი არიან ზარზმის მონასტრიდან შემოქმედის ეკლესიაში (გურიაში). ერთი ამ წარწერათაგანი, ბრასსეს მიერ გარჩეული, ინსენიებს პეტრიკ კავკასიძეს დიდი პერძენთ მეფის ასულის მარამითურთ, პატრატ IV დედით. მასსადადე ლაპარაკია მათე საუგუნის დასასრულზე, ანუ მეთერმეტე საუგუნის დასაწყისზე. უკელა ამაებდგან ერთი დასკვნა შეიძლება გაშორიყვანათ, ესე იგი რომ პარსული მათე საუგუნეში ქვეუთებდა გამოჩენილ ქართველთ გვარს კავკასიძეს და, საგონებელია, დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა იმ არე მარის შედ-ილობაში 1).“

ამ ცნობებს დ. პაჩვამევი მიუმატა თავის „კავკასიის ძველ ქრისტიანობის ნაშთების აღწერაში“ მხოლოდ ერთი გუჯრის ცნობა 1518 წლისა. ამ გუჯრით ამირ-სპასალარი უვარევარე, ძე ქაიხოსროსი, ჰპირდება მცხეთის კათალიკოსს ბასილს, რომ ის საათაბაგოს სამღვდელთაგანითურთ აქნება ბასილის მოძრეილებას ქვეშ და სტოკებს ძველებურათ ბასილის განკარგულების ქვეშ როგორც პარსულის მონას-

1) Казбекъ. Три мѣсяца въ Турецкой Грузіи. Записки Кавк. Отд. И. Р. Геогр. Об. Книжка X, вып. 1, стр. 120—124.

ტერს, ისე უკვლავ მცხეთის კათედრის მამულებს საათხა-გოში უმებითურთ 1).

ეს არის ჩვენი ცნობები პარხალის ეკკლესიაზე. როგორც მკითხველიც ხედავს თავი და თავი კითხვა, თუ როდის არის ეკკლესია აშენებული, დღემდის გამოურკვეველი უოფილა 2). ესლა კი, ჩვენი აზრით, ზემო მოუვანილი წერილი გვაძლევს ნებას გამოვარკვეოთ ეს კითხვა. მოვიგონოთ ივანე ბერძანს ფრაზა: „წინაშე ახალსა ეკკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას“... თუმც 973 წელს პარხალის ეკკლესია ახალი იყო, სჩანს ის აშენებული უოფილა 973 წლის ახლო ხანებში. ვსთქვათ, ბერძანს შეეძლო ახლათ ჩაეთვალა ეკკლესია თუნდ რცდა ხუთი წლის წინეთ აშენებული, მაინც უეჭველია, რომ პარხალის ეკკლესია მეათე საუკუნეს ეკუთვნის. მეათე საუკუნეს უჩვენებს აგრეთვე ბერძნის იოანეს სიტყვებიც, თუმცა როგორც ნათქვამი იყო, დაწვრილებით ცნობები ბერძნის მარ-

1) Бакрадзе. Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 120.

2) შეიძლება რომელიმე დაცული წარწერა გვაძლევდეს ამის პასუხს, მაგრამ წარწერები გადმოღებულნი არ არიან. მხოლოდ ერთზე ამბობს ყაზიბეგი, გადმოვიწერე ჩემს ალბომში, მაგრამ თავის თხზულებაში კი არ მოყავს. ისე კი, როგორც თ. გ. გურიელმა გვიამბო, რომელთანაც ერთათ მოგზაურობდა ყაზიბეგი, და როგორც სჩანს თვით ყაზიბეგის სიტყვებიდანაც, წარწერები ბევრი ყოფილა პარხალის ეკკლესიის კედლებზე, მაგრამ ვერ გაურჩევიათ.

თაღნი არ არიან, ვინაიდან მათე საუკუნეში მეფე ალექსანდრე არა ყოფილა. საზოგადოთ ზემო მოყვანილ წერილიდან და ვეკლა ამ წერილის შესახებ ნათქვამიდან ჩვენ ის დასკვნა გამოგვიყვას, რომ პარხალის ეკკლესიას ამე-
ნებულის ივანე ნათლის-მცემელის სახელზე მათე საუკუ-
ნეში და რომ 973 წელს ის სრულებით მზათ იყო და წინამძღვრათ ყავდა მამა ეფთიმე. მეტი არ იქნება შეგნიშ-
ნოთ, რომ ეს ეფთიმე—ეფთიმე მთაწმინდელი არ არის: ეფთიმე მთაწმინდელი 973 წელს მხოლოდ ათი წლის იყო (გარდაიცვალა 1027 წელს, 13 მაისს, 65 წლისა. მამა-
სადაც დაბადებულა 963 წელს ¹), და რასაკვირველია მის წინამძღვრობაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

შატბერდის მონასტრის შესახებ ჩვენ უფრო ნაკლები ცნობები გვაქვს ვიდრე პარხალის ეკკლესიაზე. აქამომდე არ არის გამოჩვენებული, თუ სად მდებარეობდა ის „დი-
დებული ლავრა შატბერდი, საყოფელი წმიდისა ღვთის-
მშობლისა“, რომელსაც იხსენიებენ ზემო აღწერილნი მანუსკრიპტები და ძრავალნი სსკებიც, შატბერდის მონასტრში გადაწერილნი. ვანუშტი სრულიათ არ იხსენიებს შატბერდის მონასტრს არც თავის გეოგრაფიაში და არც ისტორიაში. მხოლოდ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება შატბერდის ლავრას უჩვენებს კლარჯეთში, მაგრამ სასკლდობა რა ადგილას, არ განუძარტებს: „მოუწოდა (ბავრატ IV)

ხრამი, სკოლა
ს III გვ. 49.

¹) Цагарели. Свѣдѣнія о пам. груз. письм. стр. 52.

ბერსა (ესე იგი გიორგი მთაწმინდელსა) წინაშე მისსა, მისცა ადგილნი შუწნიერნი, ლაურანი დიდებულნი, განსასუწნებლათ და საყოფელად მისდა, პირველად ნემჳ ქართლსა შინა და შემდგომად მცირედისა შატბერდი, დიდებული ლავრა კლარჯეთს შინა ¹⁾.“ თუმცა წყაროს არ უჩვენებს, მაგრამ უკველათ ეს სიტყვები აქვს სასეში ბრასესაც, რომელსაც ამბობს: „შატბერი არის ადგილი ახალციხის სამხრეთის ნაწილისა, რომელიც იყო უმანდელ ქართველთ ბაგრატიონების სამკვიდრებელი ²⁾“. განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე არა ერთხელ ეხება თავის ნაწერებში შატბერდის მონასტრს და იგიც ჭოროხის ხეობაში ხადის შატბერდს. „შატბერდი, ამბობს ბაქრაძე, მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, მაგრამ ნამდვილ სადა არ ვიცით, არ იცის ეს თვით ვახუშტიმ; ჩვენის მოახრებით შატბერდს უნდა იგულისხმებოდეს ლოდის-ყანა, თუმცა ახლა, როგორც ადგილობრივ დავრწმუნდი 1879 წელსა, ეს სასელი დაკარგულია, როგორათაც დაკარგულია გამოჩენილი კალძანი ³⁾.“ უკვლახე მეტს ცნობებს გვამდევს შატბერდის მონასტრის შესახებ ბერი ალექსანდრე ლორჭიფანიძის წერილი. ამ ლორჭიფანიძეს იერუსალიმში ყოფნის დროს 1845 წელს აღუწერია მოკლეთ ჯვარის მონასტე-

1) ნახ. მამათა ცხოვრება, შიომღვიმის ხელ-ნაწერი. გვ. 243.

2) Brosset. Voyage arch. XII Rapp., p. 85.

3) იხ. ბაქრაძის ისტორია, გ. 233 და მის მიერ გამოცემული ვახუშტის ისტორია, გ. 129, შენ. 1.

რი და ზოგიერთი ამ მონასტრის ბიბლიოთეკის ხელნაწი-
 რები 1). ჩვენი მიზნისთვის საყურადღებოა ერთი მეტაფ-
 რასის აწერილობა, რომელიც აქ სრულათ მოგვეყვას: „დიდი
 მეტაფრასი ეტრატზედ ნაწერი. ამჟამი ცხოვრება გრიგო-
 რი აწმინდრიტის ხანძოელისა და შატერდისა აღმაშენე-
 ბელისა და მისთანათა ნეტართათა. ამის ბოლოს სწერია-
 გარდაიცვალა ნეტარი მამა ჩვენი გრიგორი 102 წელსა: *სხვა*
 ცხოვრებისა მისისასა, ქაზონიკონს 81 (861), ხოლო *ჩვენი*
 ცხოვრება ესე მისი დაწერა შემდგომად გარდაცვალებისა *სხვა*
 მისისა 90 წელსა (951), დასაბამიდან 6551 (947), იე-
 რუსალიმის პატრიარხოზისა ავთონისსა, მცხეთას კათალი-
 კოზოზისა მიქაელისსა; ქართველთა ზედა მთავრობისა აშოთ
 კურატპალატისსა (786—826(?), მისა დაწინასეს ქარ-
 თველთა მეფისსა; აფხაზთა ზედა მეფობისა გიორგისსა,
 მისა კოსტანტინე მეფისსა († 955); ერისთავობისა სუმ-
 ბატისა, მისა დაწინასეს მეფისსა (923—958); მაგისტრო-
 სობისა დაწინასეს მისა ბაგრატ მაგისტროსისა († 945), ერის-
 თობისა სუმბათისსა მისა დავით მამიქელისსა (958—994).

„ხოლო უამსავე მას იყო ანჩას ეპისკოპოსი მაკარი
 და ნეტარისა მამისა გრიგორის შენებულთა მათ მონას-

1) იხ. გაზ. „ივერია“ 1889 წ. № 70, 72, 73. ლორ-
 თქიფანიძის წერილის დედანი ჰქონია მცხეთის წმ. ნინოს დედათ
 მონასტრის ხაზინადარს პატრივცემულ ნისიმე მონაზონს, დეკანო-
 ზის იოსებ ციციშვილის ასულს. ამიდან გადმოულია პირი მა-
 ტონ ა. ქუთათელაძეს და დაუბეჭდია ზემო ნაჩვენებ „ივერიის“
 ნომრებში. დედნის შემოწირვა პატრონს აღუთქვამს წერაკითხვის
 საზოგადოებისათვის და ამ დღეებში მოველით.

ტერთა იუენეს მამასხლისნი ნათესავით აზნაურთა შვილნი: ხანძოეთს მამა თეოდორე, დის-წული ცხვედასი, და შატ-ბერთს მამა გრიგორი, ძე ლიპარიტისი, მოსახელე დიდის მის ღირსისა. ხოლო ხანძოეთის წინამძღვრისა და იოანე ძისა მისისა, და წიგნისა ამის აღმწერილისა გიორგი მერ-ჯულისა სამთავე ამით იგუფს-მოდგინეს და აწერეს ცხოვ-რება ესე ნეტარისა-მის.

„ხანძოეთს მკვიდრი მამა გაბრიელ მოძღვარი კვით-ხრობდა მამისა ბასილისთვის, ვითარმედ მრავალთა წელი-წადთა მამასხლისობისა მისისასა ტრამპეზისიჯან კიდე საზ-რდელსა არა მიიღებდა, და უამსა სნეულებისასა უწინარეს გარდაცვალებისა მჩქვა: „საოსტიგანთ ცხელი საჭმელი კოროკოტი მომართვი“ და მაშინ არა ეგბო, სხვა შეკა-გბე და მივართვი, რამეთუ მრავალთა დღეთა არა რის გემო ეხილვა, და ვითარ სცნა, ვითარმედ მას დღესა სა-ეროდ იგი საჭმელი არა ყოფილ არს, მჩქვა მე: „რად ქსცეთ და მეცა მაცდუნებ; სიჭბუკესა ჩემსა მამსა გრიგორის ქჭონდა რა მადლი წინასწარ-მეტყველებისა, მიბრძანა: „ბასი-ლო, შენ ხანძოეთს მამასხლისათ დასდგები და რაც იყოს ხორცთა საღვაწისი ტრამპეზსა-მას დასჯერდი, და ხორცთა შეკებად იგი გემარების, და მე განონი ესე მამისა ჩემისა აქამომდე აღმისრულებიეს, და შენ სიკვდილისა უამსა ურ-ჩებისა ჰატივსა შთამაგდებდი. ხოლო მე იფრად შეკურდი მამსა ბასილს და მივიღე მე მისგან შენდობა და კურთხე-ვა 1)“.

1) იხილე გაზ. „ივერია“ 1889 წ. № 74.

ამ შესანიშნავ ცნობებში, როგორც მკითხველიც ხედავს, თვალსაჩინო ანახრონიზმებია. არ ვიცით თვით დედანში იყო ეს შეცთომები, თუ ლორთქიფანიძემ კერძოდ მოსწერა ისე, როგორც დედანში ეწერა. იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენათ კარგათ კითხულობს ლორთქიფანიძე წარწერებს და მანუსკრიპტებს, ჩვენ ლორთქიფანიძის ცნობები შეკადრეთ პროფესორ ცაგარელის მიერ გადმოცემულ ცნობებს და აღმოჩნდა, რომ ლორთქიფანიძეს შეცთომები აქვს, მაგრამ იშვიათათ. სწორათ ლორთქიფანიძის ცნობები კიდევაც შეკლიან და ავსებენ ბ. ცაგარელის ცნობებს. მაგალითათ, როგორც ამ მეტაფრასის ცნობები, ისე მცირეოდენი სხვა წარწერების და მანუსკრიპტების აწერილობანი არ მოიპოვებინა პროფესორ ცაგარელის შრომაში. ეტუობა, ზოგიერთი ნაშთები დროთა ვითარების გამო აღმოფხვრილა, და ზოგიერთი შეიძლება პატივცემულ პროფესორსაც გამოეპარა სიჩქარის გამო ¹⁾. უმთავრესი ანახრონიზმი ამ მეტაფრასის ცნობებში აშოტ კურატ-პალატის მთავრობის დროს ესება (786—826). სხვა ქრონიკონები კი უფრო უახლოვდებიან 951 წელს და შეგვიძლია ასე თუ ისე შევთანხმდეთ ერთმანეთს იმ მოსაზრებით, რომ ავტორს ჩამოუთვლია ის მეფენი და ერის-

¹⁾ ნახ. Цагарели. Памятники грузинской старины въ Святой Землѣ и на Синаѣ, стр 241—252; 143—192. ივერიის № 70 მოყვანილი ცნობები შეადარე ცაგარელის შრომაში მე-245, 244, 263, 241 გვერდებზე მოყვანილ ცნობებს. № 72 ცნობები შეადარე მე-155, 164, 180 გვერდის ცნობებს.

თაკები, რომელთა დროსაც მას უცოცხლია. რაც ~~ა~~ უნდა იყოს, ჩვენის აზრით, ლოცთქიფანძის წერილიდან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ შატბერდი და ხანძოეთი აღუშენებია მე-IX საუკუნეში ანხიმანდრიტს გრიგორის. შატბერდი და ხანძოეთი როგორც აქ, ისე ერთ დავით-გარესჯის „დაპითნის თარგმანში“ მე-1035 წლის ერთად იხსენიებიან¹⁾. უსათუოთ ორივე მონასტერი ერთი ერთმანეთის ახლოს ყოფილა, და როდესაც რომელიმე მათგანს ვიზონით, იმის ახლოს უნდა ვეძიოთ მეორეც. შატბერდი, როგორც მოვისხენიეთ, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების გადმოცემით კლარჯეთში მდებარეობს. ამ საბუთმა აიძულა დ. ბაქრაძე გამოეთქვა უკიდურესი მოსაზრება და შატბერდი ლოდის-ყანათ ეკულისსმებიან. მაგრამ ლოდის-ყანა როგორც ესლა, ისე ძველათაც ლოდის-ყანათ იწოდებოდა, მხოლოდ ზოგიერთი ქართლის ცხოვრების ვარიანტები და „სუმბატის ისტორიაც“ (ნახ. ქვემოთ, გვ. 54) ლოდის-ყანათ უწოდებენ. შატბერდათ კი ლოდის-ყანა არასოდეს არ წოდებულა. იმ დროს, რომელსაც ჩვენი მანუსკრიპტები ეკუთვნიან, ლოდის-ყანა არა ერთხელ იხსენიება ჩვენს მატრიანეში და თუ შატბერდი ერქვა, რატომ შატბერდათ არ დასწერეს? ამას გარდა შეუძლებელია ადგილობრივ აღმთქვხვილ-იყოს ისეთი დიდებული მონასტრის სახელი, როგორც ყოფილა შატბერდი. ვინ არ იცის, თუ როგორი უკდავი არიან გეოგრაფიული სახელები. შატბერდი რომ კლარჯეთში ყოფილ-

¹⁾ ნახ. ბაქრაძის ისტორია, გვ. 234, შენ. 1.

იყო ჩვენს მატრიანებში უსათუოდ მოხსენებული იქნებო-
 და. ჩვენის აზრით, გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი-
 სტება შატბერდის მდებარეობის განმარტებაში. ბიოგ-
 რაფის არა სტოდნია, თუ სად იყო ეს მონასტერი, და მოსა-
 ზრებით კლარჯეთში უჩვენებია. არ უნდა დავივიწყოთ,
 რომ გიორგის ცხოვრება მთაწმინდაზეა დაწერილი, მა-
 შასადაც შორს საქართველოდგან. ვახუშტიმ აღბ-
 ვათ იცოდა, რომ კლარჯეთში შატბერდი არ ყოფილა,
 და მიტომ არ უჩვენა თავის გეოგრაფიაში, თორემ გიორ-
 გი მთაწმინდელის ცხოვრება (და მასადაც იქ მოხსენ-
 სებული შატბერდის მდებარეობაც) კარგად უნდა სტოდ-
 ნოდა ვახუშტის. ამაში ყველა დაწმუნდება, ვინც ვახუშ-
 ტის ისტორიაში ბაგრატ IV^ე მეფობას გადაიკითხავს. იმის
 გამოსაკვლევათ, თუ რომელ ქვეყანაში იყო შატბერდი
 ჩვენ თვით იმ მანუსკრიპტებს უნდა მივმართოთ, რომ-
 ელნიც შატბერდში არიან გადაწერილნი. ამაში ყურად-
 ღებს მივაქცევთ მხოლოდ ორს მანუსკრიპტს. ჯრუჭის
 მონასტრის სასარებას და ჩვენ მიერ გარჩეულ შატბერდის
 კრებულს. ჯრუჭის მონასტრის სურათებიანი სახარება გა-
 დაწერილია შატბერდის მონასტერში 938 წელს გაბრიელ
 მღვდლის ხელით, მაგრამ გრიგორის თაოსნობით. ეს სა-
 ხარება აწერილი აქვს ბროსესეს თავის არსყოფიერ მოგზაუ-
 რებაში 8 აქ აწერილობას აღარ გავიმეორებთ. მივაქცევთ მხო-
 ლოდ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მანუსკრიპტების მხატვ-
 რობას ამ სახარებაში სათაური აქვს ქართულად, ბერძნულად და
 სომხურად. მინაწერებში ხშირია სომხური სახელები: უღუთა,
 გრიგოლა, გეორგა და სხვა. მაგალითათ, მღვთის-მშობ-

ლის სურათს აქვს შეძლები მინაწერი: „წმიდაო ღვთის-მშობელო, შეიწყალე და აცხოვნე ულუთა და ახარე გრიგოლა.“ მინიატიურების წარწერებიც ზოგიერთი სომხურია 1). რას მოასწავებენ ეს ფაგტები თუ არ იმას, რომ შატბერდი სადღაც სომხეთის მხარეს მოიპოვება. იქაურმა ქართველებმა სომხური კარგათ იცინან. სომხები შეკვლიან ქართველებს მანუსკრიპტების გადაწერაში და ქართულ ხელ-ნაწერებში ისენიებენ თავის თავს. შატბერდის კრებულზე კიდევ უფრო ამტკიცებს ამ აზრს. კრებულში, როგორც ვიცით, მოქცეულია ფსალმუნების განმარტება, რომელიც სომხური ენიდგან არის ნათარგმნი. ავტორი ამ წერილისა დაჩი თავის წერილში სტეფანე მტბევარისადმი აშკარათ ამტკიცებს, რომ შატბერდი სადღაც შოქს ქვეყანაში არის. დაჩის ძრეულ სურს ნახვას სტეფანესა, მაგრამ „სიშორისაგან და რუდუნებისაგან“ ვერ ახერხებს. შატბერდი რომ კლარჯეთში ყოფილიყო ტბეთზე ხომ შოქს არ იქნებოდა და დაჩისაც სიშორე ვერ დაუშლიდა სტეფანეს ნახვას. იმავე წერილიდგან სჩანს, რომ დაჩი ისეთ ქვეყანაშია, სადაც ყველა ქართულ წიგნების და თარგმანების შესახებ ცნობების შეკრება ძნელია. მან არ იცის, არის თუ არა ქართულათ დავითის ფსალმუნების თარგმანებანი. მართალია, მას ვერ უპოვია იმ ქვეყანაში, სადაც თვითონ არის, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ იქნება, ამისთვის ეშინია დაუკითხავათ გამოსტყეს თავის

1) Brosset. Voyage arch. Rapp. XII, p. 83—86.

შრომა, რადგან „სრულად უკეთუ ვისმეს ეთარგმნოს, მეორედ თარგმანებული წინააღდგომად გამოჩნთების.“ ფსალმუნების განმარტებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სომხური მინაწერებიც არის. ჩვენ უკვე მოვისხენით, რომ თავის თავათ ეს მინაწერები მანდა მანც დიდ საყურადღებოს აწათვერს წარმოადგენენ. მაგრამ ჩვენის აზრის დასამტკიცებლათ მნიშვნელობა აქვს თვით ფაქტს, რომ შატბერდის კრებულში სომხური მინაწერები მოიპოვებინ. ზაგინაცია კრებულში გარდა ქართულისა სომხურათაც არის აღნიშნული. მე-562 გვერდის არშიაზე სომხური ანბანის სრულათ დაწერილი, ერთ ადგილას მამო ჩვენოს რამოდენიმე სიტყვას მოუყვანილი. მე-563 გვერდის ქვემო არშიაზე სომხური ასომთავრულით სომხურათ სწერია: „ღმერთო, შეიწყალე ბერაჲ, ამისი მწერალი, ამინ.“ იმავე გვერდზე მეორე ფრაზას, რომელიც კარგათ ვერ გააჩიეს სომხურის მტოდნე პირობმა, მაგრამ რამდენათაც გააჩიეს, იკითხება ასე: „მესროჲ აკეთებს ამ წიგნს.“ შეიძლება ეს იმისი მჩვენებელი იყოს, რომ ფსალმუნების თარგმანი სომხურათ მესროჲს ეკუთვნოდეს 1). საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ იშვიათია ისეთი წიგნი შატბერდში გადაწერილი, რომელშიაც რამე სომხური არ იყოს. ამიტომაც შატბერდი უსათუოთ სომხეთში უნდა ვეძიოთ. მართლაც და სომხეთში ვპოულობთ ჩვენ ისეთ ადგილს, რომელიც შატბერდათ უნდა იგულისხმებოდეს. ეს არის სომხების „ხარბერდ“, ქა-

1) სომხური მინაწერები ამ კრებულისა გააჩიია სომხურის ენის კარგათ მტოდნემ ბ. ნ. მარმა.

ლაქი ეფრატის ბასსეინში მდებარე, რომელსაც ევროპიელები ტვილორის მოგზაურობის შემდეგ „სარბუტს“ უწოდებენ. ეს მით უფრო საჭეშმარტოთ მიგვაჩინა, რომ სიტყვა შატბერდი ქართულათ არაფერს არ ნიშნავს და ქართულის ენით ეტიმოლოგიურათ არ აიხსენება. სომხურათ კი „ბერდ“ ნიშნავს სიმაგრეს და „შარ“ ბევრს. მაშასადამე „შარბერდი“ ნიშნავს ბევრ სიმაგრეებს. მართლაც და იმ ადგილას, სადაც სარბერდია, ბევრი სიმაგრეებია და თვით სარბერდიც დიდი სიმაგრეა. მაგრამ პირველ ნაწილს ამ სიტყვისას სომხების მწეწლები სხვანაირათ ხსნიან. იმათი აზრით „შარ“ წარმოსდგება სიტყვიდან „ქარ“, რომელიც ნიშნავს ქვას. მაშასადამე ქარ-ბერდი ნიშნავს ქვა-ცისეს, ანუ კლდე-ცისეს. არხიმანდრიტი გარეგან სრვანძტიანცის სიტყვით სარბერდის სიმაგრის სასელი წარმოსდგება სარბერდის მასლობლათ ყოფილ ქალაქის, ანუ დაბა „შარ“-ისაგან. სრვანძტიანცის მოყავს ამ ადგილების აწერილობა თავის „თოროს ახპარ“ წოდებულ მოგზაურობაში და სარბერდის მასლობლათ უჩვენებს ძველი ქალაქის ნანგრევებს, რომლის ერთ ნაწილს რქმევია „შარ“ ¹⁾. რაც არ უნდა იყოს ეჭვი არ არის, რომ სიტყვა სარბერდი, ანუ შატბერდი მართლ სომხურის ენის საშუალებით შეიძლება აიხსნას. ბერძნები სარბერდს ქარქათიცრტას

¹⁾ Торось Ахпаръ. Путевые очерки архимандрита Гарегина Срвандзтянца. Сокращенный переводъ А. О. Шишмишева. Приложение къ 1-му выпуску IX тома Изв. К. Отд. Им. Русск. Геогр. Общества, стр. 13—14.

უწოდებდნენ. ჩვენი მანუსკრიპტების ცნობით შატბერდი დვთის-მშობლის საყოფილო ყოფილა, ანუ უკეთ ვსთქვათ დვთის-მშობლის სასელზე ყოფილა აშენებული. სწორეთ დვთის-მშობლის მონასტრის უჩვენებენ საწბერდის მასლობლათ სოფელ „დატიმ“-ში ინდუიდიუიანი და ალიშანი თავიანთ სომხეთის გეოგრაფიებში 1). ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ იქ დაცული იქნება რაიმე წარწერა, რომელიც შეუქს მოჭყენს შატბერდის მონასტრის ისტორიას. საჭიროა მხოლოდ, ვინმე მცოდნე პირმა მიაქციოს ამას ყურადღება. ეფრატის პასსეინში მოიპოვება აგრეთვე სანძოეთიც, რომელიც შატბერდთან ერთად იხსენიება სოლმე ჩვენს მანუსკრიპტებში. სანძოეთის სასელი უფრო უცვლელათ შენახულა ქართულ ენაში, ვიდრე შატბერდისა. სანძოეთათ უნდა იგულისხმებოდეს სომხების „სანძით“, რომელიც საწბერდთან ასლას მდებარებს. სანძითი, ანუ ჭანძითი ძველათ ჭჭკიებია ერთ დიდ ნაწილს მეოთხე სომხეთისა, რომელშიაც ყოფილა იმავე სასელის ქალაქი, ესე იგი სანძითი, ანუ ჭანძითი. თვით საწბერდიც სანძითის მარცხს ჭკუთნებია. კარგა მოშორებით საწბერდზე ძვეს სომხების ცისე ანი, ანუ „კამას“, რომელიც ძველათ სომეხთ მეფეთა საღარო ქალაქი იყო, და რომელიც, ჩვენის აზრით, უდრის ქართველების კალმასს. სამივე ეს ადგილები საწბერდი, სანძითი და კამასი, ანუ ქართველების შატ-

1) ნახ. ინდუიდიუიანის გეოგრაფია დიდი სომხეთისა, გვ. 236. და ალიშანის ტოპოგრაფია დიდ სომხეთისა, გ. 43. ცნობები ამ მწერლების თხზულებებიდან გადმოვცვა ბ. ერისციკლა.

ბერდი, ხანძოეთი და კალმახი, როგორც მოვიხსენიეთ, მდებარეობენ ეფრატის ბასსეინში. ჩვენ ხელში გვაქვს ესლავენციაში 1751 წელს მესითარის ლექსიკონთან გამოცემული ქარტა ძველი და ახალი სომხეთისა. ამ ქარტაზე ხარბერდი ნაჩვენებია ეფრატის მარცხენა ნაპირზე, იქ სადაც ეფრატი იწყებს ღენას ჩრდილოეთიდან სამხრეთით და სადაც მას განსაკუთრებით უახლოვდება ტიგრის სათავე, ასე რომ ხარბერდი თანასწორ მანძილზეა ტიგრისა და ეფრატისა. ხარბერდის სამხრეთით, ტიგრ და ეფრატ შუა, მაგრამ უფრო ახლოს ეფრატის მარცხენა ნაპირისა და არა მოშორებით ხარბერდზე, აღნიშნულია ხანძოეთი. ჩრდილოეთით ხარბერდისა, კარგა მოშორებით, მარჯვენა ნაპირზე მდინარე ჩრდილოეთის-ეფრატისა ძვეს კამახი. სამივე ეს ქალაქები თითქმის ერთ სწორ ხაზზეა აღნიშნული. საქართველოს საზღვარზე უფრო ახლოს კამახი, შემდგომად ხარბერდი და მერმე ხანძოეთი. მაგრამ სხვა მერმე შესწორებულ სომხურ და ევროპიულ ქარტებზე ამ ადგილების მდებარეობა შეცვლილია. ხარბერდი ანუ ხარბუტი აღნიშნულია სამხრეთ-ეფრატის მარცხენა ნაპირზე, არა მოშორებით იმ ადგილისა, სადაც ჩრდილოეთის და სამხრეთის ეფრატი ერთმანეთს უერთდებიან. კამახი ნაჩვენებია მარცხენა ნაპირზე ჩრდილოეთის ეფრატისა ერზინკას მახლობლად. ხანძოეთი, ანუ ჭანძოეთი როგორც მაზრა ნაჩვენებია ხარბერდის სამხრეთით და ქალაქი ჭანძოეთი კი უმეტეს შემთხვევაში ნაჩვენები არ არის. ხოლო ზოგიერთ მესითარისტების ქარტებზე ჭანძოეთი აღნიშნუ-

ლია ხარბერდის აღმოსავლეთით 1). ქართველების მონასტრების აწესებობა სომხეთში პირველი მაგალითი არ არის. ჩვენ დიდ სომხეთში სამი ქართული საეპისკოპოსო კათედრა სხვათა ვიციით, სახელდობთ ვალაშკერტი, კარი და ანი. ერთი გუჯარი, რომელიც დ. ბაქრაძეს შეუტანია თავის აწესებულებით მოგზაურობაში, ასე აგვიწერს სამივე კათედრის სამწყურსო საზღვრებს: „ვალაშკერტელის სამწყურსო იყო ყალზუგანს ზეითი ვალაშკეტს აქათ ხინუსი და დეკაბოინს აქეთი; ანელის სამწყურსო სულა ზარიშტიანი და შირაკოინი და მადსბერტი. კარელის სამწყურსო სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამზღურის გარდმოღმა გგჩევანი და კაღზუგანი“. ვალაშკერტელი ეპისკოპოსები ხან და ხან პოლიტიკაშიაც იღებდნენ მონაწილეობას. მაგალითათ 1022 წელს ვალაშკერტელი ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია ვიდოდა მოციქულათ ჩვენი მეფის გიორგი I და ვიზანტიის მეფის კასილის შორის. ვალაშკერტი, ანუ ესლანდელი ვალაშკერტი, მღვდარეობს ეფრატისავე ბასსეინში 2). იმას შემდეგ რაც ზემოთ ითქვა, ჩვენ ეტვი აღარ გვაქვს, რომ ჩვენი სამი აქამომდე მიუკლოველი მონასტერი შატბერდი, ხანძრითი და კაღმახი აწესებობდნენ სომხეთში, ეფრატის ბასსეინში, იქ სადაც სომხების ქალაქები და ციხენი ხარბერდი, ხანძრითი და კაღმახი მღვდარეობენ.

1) ჩვენ ხელმძღვანელობდით კიპერტის, ხუდაბაშევის, მენიჭარისტების და სხვა სომხურ ქარტუზით.

2) Бакрадзе. Арх. пут. по Гуріи и Адчарѣ, стр. 81. ვახუშტის ისტორია მისივე, გ. 149, შენ. 1.

აწ განვაგრძობთ ჩვენი სახარების აწერილობა, რომელსაც ჩვენ აგრე დავშორდით.

პირველ მეტყე მიმატებულ ქალაქის გვერდზე ჰანხალის სახარებაში გაკრული ნუსხა მხედრულის ხელით სწერია:

„ქ. მას უამთა ოდეს საათაბაგონი წმიდისა საწმუხნობისაგან განსრულ-იუენენ და საკინოზნი შექმნილ-იუენენ, ეს წმინდა სახარება იქაური ყოფილ-იყო და უსჯულთაგან დატუევებულ-იყო. და დიდად სახელგონობით გამოჩენილის, მეფედ სიძობით მეოფს და თვით მეფის ვანტანგის სიძეს, აბაშიძეს ვანუშტის, ეს წმინდა სახარება თათრის ხელით დიდის სურვილით და სასოებისანის გულით დაეხსნა. კვალად ჭინახული და ხელმეორედ განახლება მხანავთა იუწყეთ. ჩვენ სურვილითა და სიყვარულით შეტუბობილმა ბატონის ძამის ჩვენის უმცროსმა შეილმა და მეფეთ მეფის ვანტანგის ასულის ბატონიშვილი ანუკას ძემან, თვით აბაშიძემ ნიკოლაოზ, ვიგულს-ვიმოდგინეთ და შენ დიდსა ღვთისასა წმინდასა მღთის-მშობელსა სახულისასა ¹⁾, ცისესა შინა წმინდასა შენსა სადგურსა ეკლესიასა, ბუღბულის-ცისის ჰატარა საყდარში დავიდეკით და შამოგწირეთ წმინდა ესე ოთხთავი, თვესა სეკდებერსა (sic) 6, ქკს „უგზ“—1739.

¹⁾ არ ვიცით ხანელის ღვთის-მშობლის სახელზე იყო აშენებული ეს ეკლესია, თუ შესანიშნავი ხანელის ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც გელათშია ეხლა, დროებით ბუღბულის ციხის საყდარში ინახებოდა.

ჩვენ ზემოთ მოვისხენით, რომ ჰაზარდის სასარგებლის პირველი რვა ფურცელი ეტრატისა, ერთი ფურცელი ქალაქისა მათეს სასარგებში და ერთი ეტრატის გუთხეცე ქასაღდით შეკეთებული, მეჩუა მიმატებულია. ეჭვი არ არის, რომ ეს აქვს სახეში ზემო მოყვანილ წერილს, რადესაც ამბობს: „გვალად ჭინასული და ხელმოკრეთ განასაღებს მნასავთა იუწყეთ“. ბუღბუღის-ცისე ძღებაკობს სოფელ ქვიშხეთის მასლობლათ. რვა ექვსეუ საშუერიდგან. ცისე და ჰატარა ეკვლესიის ნანგრევები აქამოდე დაცულნი არიან, და იმ ადგილს ესლაც ბუღბუღის ცისეს ემასიან.

უკანასკნელ მიმატებულ ქალაქის ბოლოში იქ, სადაც თავდება საჩრევი და საძიებელი, ნუსხა სეცურის ხელით არსიდიკონი ნიკოლოზი სწერს:

„უფალმან განადიეროს და ადიდეს ორსაკე ცსოკრებსას ბატონი აბაშიე ვასუშტი, რომლისა ბრძანებითა ძუელად ნაწერი მგრელოვანი ესე წმიდა სასარგება გვალად გაჯმულე სათვალავით და საძიებელითურთ. გიკვდრეი ძკითხველთა, რათა მცირედმცა სსენებსა ჭკოფდეთ ჩემ უბადრუკისა მთავარ დიკონის ნიკოლოზისათა. დასაბამითგან ხენბ(?) 1). ქს აქეთ ჩლიდ, ქკს „უღბ“—1744.

1) ანტონის აქ შეუძლებელი ასოების სათვალავი მოყავს. უნდა უოფლი-იო ბერძნულის სათვალავით კნბ (7252). ასო „ხ“ და „ბ“ არევა ერთმანეთში ადვილათ აიხსნება, ვინაიდან ორივე ასო ერთნაირათ გამოიკმის, მაგრამ „ს“ მაგიერ „ბ“-ის დაწერა კი ძნელი ასახსნელია. დროს განწარტებისათვის ამ შეცოლო-

პანხალის სახარების ისტორიის დასამთავრებლათ ისიც საჭიროა მოვიხსენიოთ, თუ როგორ მოქცეულა ზემო ჭალაში ეს სახარება. მღვდელი სუსიევის სიტყვით, როდესაც ივანე აბაშიძის ქვრივი, ამ სახარების ყოფილი პატრონი, გარდაცვლილა ქ. გორში, შემკვიდრეებს სხვა სამკაული და მძიული გაუგვიათ, მაგრამ საეკლესიო ნივთების სელის ხლებს ვერ გაუბედავთ, ვინაიდან აზრი ყოფილა დამკვიდრებული მათში, რომ უსათუოდ მოკვდება, ვინც ამ ნივთებს დასძრავს ადგილიდგანაო. ბუკრი წამ ნივთები თუ წიგნები მაშინ დაკარგულა უპატრონობის გამო. მეტე 1871 წ. მღვდელ სუსიევს უკისრია მათი წამოდება სოფელ ზემო ჭალაში, და იმას შემდეგ ნივთები, ჩვენ მიერ ზემო აღწერილნი, ჭალის ეკლესიაში ინახებიან და წიგნები სუსიევის სახლში 1).

მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანც ორი დანარჩენი წელთ-აღრიცხვა მართალნი არიან და ერთმანეთს ეთანხმებიან.

1) მღვდელმა სუსიევმა აღგვითქვა ამ წიგნის შემოწირვა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, მაგრამ ჯერ არ გამოუგზავნია. იმედია, მალე გამოგზავნის.

სურამის მანლობლათ ურთხვის ხევის პირზე, მაღალ გორაზე არის პატარა ეკლესია წმ. გიორგისა. ეს ეკლესია ახალია, მაგრამ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე არის აშენებული. ძველ ეკლესიას ჰქონია შესანიშნავი ქვის კანკელი, რომელზედაც ნელოვნურათ გამოქანდაკებული ყოფილა წმინდანების სურათები, სამი სურათებიანი ქვა, თუმცა დაზარალებული, აქმოდმეტ დაცუღია ამ ეკლესიის ეზოში. მათი მხატვრობა ამტკიცებს, თუ რა მშვენიერი კანკელი ჰქონია ამ ეკლესიას. ვისაც საფარის

ესეთი სელ-ნაწიერი, როგორც არის პანსალის სასა-
რება, იშვიათია. აქ თითქმის მთელი 917 წლის ისტორია
არის ამ წიგნისა. ამასე უძველესი თარღიანი სასარება მხო-
ლოთ ორი არის აქამომდე ცნობილი. ერთი ათონის მთა-
ზე 913, ანუ 917 წ. 1), და მეორე ჩვენ მიერ მოხსე-
ნებული ჯრუჭის მონასტრის ოთხ-თავი 936 წ. მასსადა-
მე მესამე ადგილი სიმეფლით თარღიან სასარებაებში უჭი-
რავს ჩვენს სასარებას. მეოთხეთ უნდა მოვიხსენიოთ ტბე-
თის სასარება 995 წ. 2), რომელიც ეკუთვნის ბატონი-
შვილის ივანეს წიგნთ-საცავს (ესლა პეტერბურგის საჯარო-
ბიბლიოტეკაშია). მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებ-
ში გადაწერილი სასარებანი ბერია, მაგრამ მათ აქ არ

მონასტრის კანკელის ქვები უნახავს, სწორეთ იმას მოაგონებს ეს
ქვებიც. სანწუნაროთ ამ გვარი ქვები კარში გამოუყრიათ და ზო-
გიერთი კიდევ დაუმტრევიათ. ეკლესიის მანლობლათ ძველის
შენობების ნანგრევებია. იქვე მოჩანს დიდი გვირაბი, ესლა სა-
ნანგრეოთ ქვით ამოვსებული.

ორ ვერსზე სურამიდგან, სოფელ ბეკამში მღვდელ ცქი-
ტიშვილის სახლში ინახება ღუზა, რომელიც მეტიკებს შით
შუაგულ მტკვარში უპოვიათ სოფელ ქვიშხეთის მანლობლათ.
ღუზა ორ არშინ ნახევარზე მეტია სიმაღლით. თიკი ოთხი ჰქონია,
რომელთა შორის ორი მოტეხილია. ღუზა რკინის უნდა იყოს.
ადვილად შესაძლებელია, ეს ღუზა იმ დროს ეკუთვნოდეს, რო-
დესაც რომაელები ნაოსნობდენ მტკვარში. ამ ნივთის შემოწირვა
პატრონმა წერაკითხვის გამაგრცელებელ საზოგადოებას აღუთქვა.

1) ნახ. ბაქრაძის ისტორია გვ. 228—229.

2) Цагарели. Свѣд. о пам. груз. письм. стр. 17—22.

მოვისსენიებთ. ჰაწხალის სასაჩება, როგორც ათონისა და ჯორჯის მონასტრისა, ევთიმე მთაწმინდელის წინა დროს ეკუთვნის. რომც მართალი იყოს აზრი, ვითომც ევთიმე მთაწმინდელს შეესწორებინოს სასაჩება, ჰაწხალის სასაჩება მისი სასაჩების რედაქციის ვარიანტი მანც აჩვენებს, ვინაიდან, როგორც მოვისსენიეთ, ევთიმე მთაწმინდელი 973 წ., ესე იგი ჩვენი სასაჩების გადაწერის დროს, მხოლოდ ათის წლისა იყო. თვით ტექსტი ჩვენი სასაჩებისა, როგორც ეს მცირეოდნათ ჩვენ მიერ მოყვანილ ადგილებიდანაც სჩანს, განირჩევა გიორგი მთაწმინდელის მიერ შესწორებულ ტექსტისაგან. შესამჩნევი განსხვავებანი კი ბევრი აჩვენის. შესწორებულია ზოგიერთი გრამატიკული ფორმები და იშვიათათ მდანიური სიტყვები. ისეთი მდიდრული მინაწერები როგორც ჰაწხალის სასაჩებაშია, ძვირათ შეგვხვდებათ სხვა სასაჩებებში. ეს მინაწერები გარდა იმისა, რომ დავით კურაპალატის მეფობის დასაწყისს ათის წლით წინეთ გვიჩვენებენ ვიდრე ქართლის-ცხოვრების ცნობა, და ჰაწხალის ეკკლესიის აშენების დროს მე-X საუკუნეში გვაფიქრებინებენ, იმასაც გვიმტკიცებენ, რომ შატბერდის კრებული მეათე საუკუნეს ეკუთვნის. აჩვენებენ კიდევ მხოლოდ გადაჭრით თქმა, რომელი მანუსკრიპტია უმაღლ გადაწერილი შატბერდისა, თუ ჰაწხალისა. მაგრამ ის გარემოება, რომ ივანე ბერაძე შატბერდის კრებულში იხსენიებს მხოლოდ მარტო ბაგრატ მეფეს შვილებითურთ და სრულიათ არაფერს აჩვენებს დავით კურაპალატზე და სუბიატზე, მაშინ როდესაც ჰაწხალის სასაჩებაში საჭიროთ ხადის ისინიც მოვისსენიოს თავის შეთქებათ, გვა-

ფიქრებინებს, რომ შატბერდის კრებული პარსადის სანაწილის წინეთ არის გადაწერილი, ესე იგი იმ დროს, როდესაც დავით გურგენიძე კერძო კიდევ მეფე არა უფიქრდა, ანუ სახელი მინც განთქმული არ ჰქონია. ასეთი ისე, ეს კი უეჭველია, რომ შატბერდის კრებული მეათე საუკუნეს ეკუთვნის და არა მეცხრეს, და ჩვენთვის ესეც საკმაოა.

დავამტკიცეთ რა, რომ შატბერდის კრებული უსათუოდ მე-X საუკუნეს ეკუთვნის, ესე თვით ამ კრებულში მოყვანილ „ქართლის მოქცევას“ მივმართოთ. ქართლის მოქცევა განიყოფება ორ ნაწილად. პირველი ნაწილი (433—447) შეიცავს მოკლე ისტორიულ ხრონიკას, რომელიც იწყება ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლიდან საქართველოში და თავდება აშოტ გურგენიძის (786—826) შიშის და მემკვიდრის გვარამ ერისთავთ ერისთავის დროს, რომელიც არც ქართლის ცხოვრებაში და არც სხვა ჩვენს ისტორიულ წყაროებში ცნობილი არ არის. ამ გვართ ხრონიკაში მოქცეულია მოკლე ისტორიული ცნობები მეოთხე საუკუნეიდგან დაწყებული ქრისტეს წინ მეცხრე საუკუნემდის ქრისტეს შემდეგ. სამწუხაროა ჩვენდა, ხრონიკას ერთი ფურცელი აკლია. კიდევ კარგი, რომ დაკარგული ფურცელი მეფეების ჩამოთფლას და ისტორიას არ შეეხება, არამედ ხალხის მოქცევას დაწერილებით მოთხრობას, ანუ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, უფრო პატიოსანის ჯვარის აღმართების ამბავს (ნახე ქვემოთ გვ. 17). საჭიროა ისიც აღვნიშნოთ, რომ მოთხრობას ხალხის მოქცევის შესახებ სჭერია დაკარგული ფურცლიანა თითქმის ნახევარი ნაწილი ამ პატარა ხრონიკისა, და განსაკუთრებით სახელი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უფრო ამ ხრონიკას შეეფერება¹⁾. მეორე ნაწილი ქართლის მოქცევის (447—497) წარმოგვიდგენს წმინდა ნინოს ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ ცალკე წიგნათ ვუჭდავთ, და რომელიც დიდათ განსხვავდება აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარიანტებისაგან. ნინოს ცხოვრებას დედანში აკლია სამი ფურცელი.

„ქართლის მოქცევა“ დღემდის უცნობი წყარო იყო ჩვენი ისტორიისა. ჩვენს ისტორიკოსებს (ბროსესს, ჩუბინოვს, ბაქრაძეს და სხვებს) არა ერთსეულ ჩამოუთვლიათ ქართლის ცხოვრების წყაროები²⁾, რომელნიც თვით ამ

1) მეორე უდის წინ შატბერდის კრებულში დაცულია მცირეოდენი ნაწილი უდის წინ დატანებული ქალაღდისა, რომელზედაც ლამაზი მკვარალი მხედრულის ხელით, რომელშიაც ჩვენ ვცნობილობთ დავით რეკტორის ხელს, შემდეგის რიგით არის მოყვანილი შინაარსი კრებულისა: „ხოლო იპოვების წიგნსა ამას შინა წერილნი ესე. 1. ექესთა დღე. 2. იპოლიტეს განმარტება, 3. ათორმეუთ თუაღთ განმარტება. 4. სახის მეტყუჲლება. 5. ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა და სხვა. 6. დავითნის თარგმანი“. ამას შემოთ სხვა ხელით სწერია: „ებრაული და ბერძნული ანბანიც არის ამ წიგნში და ხრონოლოლიაც ადამისიდგან ვიდრე ნიკიფორე მეფემდე“. აქედგან სჩანს, რომ დამწერი ქართლის მოქცევას მარტო ხრონიკას ეძახის და ნინოს ცხოვრებას ცალკე შრომათ ხადის. მაგრამ ნანდვილ კი ქართლის მოქცევას შეადგენს მოკლე ისტორიული ხრონიკა და წმიდა ნინოს ცხოვრება ერთათ.

2) ნახ. პროფესორ ჩუბინოვის წინასიტყვაობა ქართლის ცხოვრების მეორე ტომისა, გვ. X. ბაქრაძის ისტორია, გვ. 54. ვახუშტის ისტორია მისივე გამოცემული, გვ. XXVIII—XXX. და ბროსესს Introduction-ში § III.

შატიაზე იხსენიებიან, მაგრამ არც ერთს მათგანს არ შეუნიშნავს, რომ „ქართლის მოქცევა“ განცალკევებული წყაროა ჩვენი ისტორიისა, მაშინ როდესაც ცნობები მის შესახებ შეტანილია თვით ქართლის ცხოვრებაში და არ მოიპოვება ისეთი ვარიანტი, რომელიც „ქართლის მოქცევას“ თავის წყაროდ არ უჩვენებდეს. ეს ვარაუდობს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ როგორ ნაკლებათ არის ჯერ ჯერობით შესწავლული „ქართლის ცხოვრება“. უძველესი ვარიანტი ქართლის ცხოვრებისა, როგორც არის მარია დედოფლის ვარიანტი, და მეგრელის ვარიანტიც მოიხსენიებენ და მსხვილად მოწოდებას იერუსალიმში მოსეს სჯულის წესდებითა, რათა განასამართლონ იესო ქრისტე, ასე მოხდა მაგვითხრობენ კვართის ამბავს: „და წარვიდეს მანდით კლას მცხეთელი და ლონგინოზი კარსნელი, და მუნსაჲს ჯვარცმასა უფლისასა, და მოიღო მუნით კუართი უფლისა ელიოზ მცხეთელმა, ვითარცა წერილ-არს ესე განცხადებულად მოქცევასა შინა ქართლისასა 1). სხვა ვარიანტებში კვართის ისტორია ვრცლათ არის მოთხრობილი და ბოლოს სწერია: „ხოლო წმიდა იგი კვართი წმიდადვე უკუწ დაშთა და წმიდადვე გიეს, ვითარცა პირველვე, ვითარცა წერილ-არს ესე განცხადებულათ მოქცევასა ქართლისასა“ 2). ეს ვრცელი ისტორია კვარ-

1) ნახ. მარია დედოფლის ვარიანტში გვ. 42. და მეგრ. ვარიანტში გვ. 26.

2) ნახ. ქართლის ცხოვრება, გვ. 39—41.

თისა თითქმის სიტყვა სიტყვით ამოღებულია ქართლის მოქტევიდგან, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამ ქართლის მოქტევასში მოთავსებული ნინოს ცხოვრების მეშვიდე თავიდგან და, ჩვენის აზრით, მეტყა შეტანილი ქართლის ცხოვრებაში. შესაძლოა, ის ვახტანგის რედაქციას ეკუთვნოდეს. ისტორიკოსმა ვასუშტიმ და თეიმურაზ ბატონიშვილმა სწულე-ბით არ იციან „ქართლის მოქტევა“. ისინი, თუმცა ბევრ სხვა წყაროებს უჩვენებენ, რომელთაც ჩვენამდის არ მოუღწევიათ, მაგრამ ქართლის მოქტევას, როგორც წყაროს, არასდ არ ისვენებენ. ამასთანავე არც ერთი განსხვავება ქართლის მოქტევის და ქართლის ცხოვრების ცნობათა შორის არ არის აღნიშნული მათ თხუზულებებში. განსვენებულ ბროსეს კქონია შემთხვევა მიკვლია და გამოეჩინა „ქართლის მოქტევა“, მაგრამ სამწუნსართო უურადღებს არ შეუქტევიანის ანდერძის შესახებ ბროსეს შემოქტეს თავის ქართლის ცხოვრების ფრანგულ თარგმანში ერთი ასეთი შენიშვნა: „მე მაქვს ესლას ხელში პირი ეგრეთ წოდებულის მიჩინის წერილისა, რომელიც აღუწერია მიჩინს სიკვდილის ყამს, იაკობ მთავარ-ეპისკოპოსის ხელით, საღამე უყარმელისათვის, თავის ძის ცოლისა, და რომელიც შეიცავს განვითარებას აქ ჩვენს ტექსტში (ესე იგი ნინოს ცხოვრებაში) მოყვანილ სიტყვებისას. ორი უმთავრესი ფაქტი, რომელსაც წარმოგვიდგენს ეს წერილი არის: პირველათ ისა, რომ მიჩინი ამბობს: „მე ვარ დღემდის ოცდა-მეთექვსმეტე მეფე იმას შემდეგ, რაც ჩემ წინაპრებს უპურით ტახტი მეფობისა“. აზრი, რომელიც მართალი არ არის, იმ შემთხვევაში მანც, თუ ჩვენ ქარ-

თლის ცხოვრების ტექსტს დაკემუარებით. მეორეთ ისა, რომ მე განვიზრახსეო, ამბობს მირიანი, „წარმომელო აქა წმიდა ნინოს გვამი წინაშე სვეტისა ნათლით შექმოსილისა, მაგრამ ვერ ვიპოვე ღონე, რამეთუ ვერ განძრეს ორასთა კაცთა მცირე იგი ცხედარი, რომელზედაც შეისვენა წმიდა მან ნინო“. ამ წერილის შემდეგ მოყვანილია ანდერძი, ანუ უკანასკნელი სურვილი მეფისა, თავის შვილის რევისადმი. უველადეფი ეს გადაწერილია ერთი ძველი ეტრატზე ნაწერის ხელნაწერიდან თ. დავით მანახლის მიერ, რომელსაც ეს წერილი უჩუქებია თ. ბარათაევისათვის, ფრიად ცნობილის ძველი ნაშთების მოყვარესათვის. იმავე ხელნაწერში იპოვება მირიანის წინამდროვე მეფეთა სია, რომელიც მე არ მინახავს. ეს სია გადაწერილი უფოფილა ერთ დროს რომელიმე დაჩის მიერ მამა იოანეს თხოვნით. მე ამ შრომას არ ვაძლეე სხვა მნიშვნელობას გარდა წყაროს ჩვენებისა და ლიტერატური ცნობებისა“¹).

აქ მოხსენებული მირიანის წერილი ნანდვილ ის წერილია, რომელიც მსოფლოთ ქართლის მოქცევაში მოიპოვება და სხვაგან არსად²). მეფეების სია ის მოკლე ისტორიული სრონიკაა, რომელსაც ჩვენ ქართლის მოქცევის სრონიკას ვუძახით. ბროსსე რომ კვალში გამოხადგომიდა ამ სიის მოპოვებას, ქართლის მოქცევა კარგი

¹) იხ. Hist. de la Géor. t. I, p. 131, n. 4.

²) ნახ. ახალი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა, გვ. 68—72, და ქვემოთ ქართლის მოქცევის სრონიკა, გვ. 12. უნ. 1.

სანია ცნობილი იქნებოდა. ხოლო დედანი ბროსესს მიერ მოხსენებული წერილის პირისა ჩვენი შატბერდის კრებული უნდა იყოს, ვინაიტგან აქაც დაჩი და იოანე არის მოხსენებული, თუმცა მათა წოდებები კრებულის გადაწერაში მახაბულს აურევია. ივანე, როგორც ვიცით, მოთავე გადაწერია, ანუ რედაქტორი კრებულისა, დაჩი კი მთარგმნეული სომხური ენიდგან ფსალმუნების განმარტებისა ¹⁾).

ქართლის მოქცევას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის, როგორც თავისი განსხვავებით ქართლის ცხოვრებისაგან, ისე უმეტესად თავისი თანხმობით ქართლის ცხოვრების ცნობებთან. აქამოდე ჩვენ არ გვქონია არც ერთი ძველი სწონიგის ვარნიანტი, რომლითაც შესაძლებელი ფიქვთ-იყო შემოწმება ქართლის ცხოვრების ცნობებისა. ესლს კი ქართლის მოქცევის საშუალებით შეგვიძლია შევამოწმოთ უმთავრესი ცნობები ქართლის ცხოვრებისა და კავიაროთ მათი სიძველე, ანუ უარ-ვეოთ ზოგიერთი მათგანი. ამისათვის ჩვენი გამოცემის აზრი იყო: პირველათ, აღგვედგინა ტექსტი ზოგიერთ ადგილას გაფუჭებული ხელ-ნაწერისა და უცვლელად წარმოგვედგინა მკითხველისათვის. ამ საქმეს ჩვენ, რაც შეგვიძლო, ძლიერ ყურადღე-

¹⁾ კარგი იქნება, რომ თ. ბარათაევის ნათესავები და მემკვიდრენი მოსძებნიდენ ამ წერილს. ის განცალკევებული ვარიანტიც რომ არ აღმოჩნთეს, მაშინაც კი საინტერესო იქნება ჩვენთვის: შეიძლება ის ოთხი ფურცელი, რომელიც ეხლა აკლია ქართლის მოქცევას, მაშინ არ აკლდა. შეიძლება თ. დავით მახაბლის ოჯახშიაც იყოს პირი ქართლის მოქცევისა.

ბით მოკვიდით. რიგი და წესი ტექსტისა და მართლ-წე-
 რს დედნისა სასტიკათ დავიცვით. გავხსენით მსოფლოთ
 ჰატივ ქვეშ მყოფი სიტყვები, მაგრამ სადაც ცოტაოდნათ
 საეჭვო იყო მათი მნიშვნელობა, ან შესაძლო იყო სხვა
 მართლ-წერს დაგვეცვა გასხნილი სიტყვისა, ამ გვარ შემ-
 თხვევაში დედნის სიტყვები ჰატარს ფრჩხილებში ჩავსვით.
 საზოგადოთ კი მართლ-წერს ჰატივ-გახსნილ სიტყვებისა
 ისეთი დავიცვით, როგორც უმეტეს შემთხვევაში თვით
 ტექსტში არის გატარებული. ეს საჭიროთ მიგვაჩთა მის-
 თვის, რომ ისტორიულ მნიშვნელობასთან ფილლოლოგიუ-
 რი მნიშვნელობაც არ დაგვეკარგა ამ საყურადღებო წყარო-
 სი. რადგანაც ზოგიერთი ადგილი ტექსტისა გაფუჭებული
 არის ჩვენს ხელ-ნაწერში, ამისათვის ის ასოები და სიტ-
 ყვები, რომელნიც კარგათ არ განიჩხვიან, და რომელნიც
 ჩვენ თითო ორთლი ანბნების ნაშთებით, თუ აზრით
 აღვადგინეთ, ყველა ესენი, როგორც მიღებულია, დიდ
 ფრჩხილებში ჩავსვით. ამით მკითხველი დაინახავს, სად
 არის ტექსტი გაფუჭებული ზ საეჭვო, თუმცა ჩვენ ჩვენდა
 თავათ ჩვენ მიერ აღდგენილ ტექსტის სინანდვილეში
 ეჭვი არა გვაქვს. მეორედ ჩვენი გამოცემის აზრი იყო
 შეგვედარებია ქართლის მოქცევის ხრონიკის ცნობები
 ქართლის ცხოვრების ცნობებთან და თვალ-საჩინოთ და-
 გვენახვებინა მკითხველისთვის, რა მსგავსება და განსხვა-
 კება არის მათ შორის. ამ გვარი შედარებითი გამო-
 ცემა ქართლის მოქცევის ხრონიკისა ძრეულ საჭიროთ
 მიგვაჩთა, როგორც თვით ხრონიკის შესასწავლათ, ისე
 უმეტესად ქართლის ცხოვრების ცნობების შესაძოწმებლათ

და კრიტიკისათვის, და აგრეთვე ამ ორი წყაროს ერთ-ერთთანეთის გავშირის და დამოკიდებულების გამოსარკვევად. ამისთვის ჩვენ შესისწვნებში მთლად შევიტანეთ ის ადგილები ქართლის ცხოვრების ტექსტისა, რომელნიც სიტყვა სიტყვი ემთხვევიან ქართლის მოქცევის ხრონიკას და აღვნიშნეთ განსხვავებანი. ამ განსხვავებათა შორის უმთავრესი არიან შემდეგნი.

1) აღ ქსანდრე მაკედონელის შემოსვლიდგან საქართველოში მიჩიან მეფის მეკვიდრის ბაჰქარ (ქართლის მოქცევით ბაკურ) მეფის (342—384) დროდის ქართლის ცხოვრება უჩვენებს მხოლოდ 29 მეფეს. თუ ამ რიცხვს მიუმატებთ სამარს, რომელიც ქართლის ცხოვრების ცნობით, მამსასლისი ყოფილა მცხეთისა ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლის დროს, და აზონ ბერძენს, რომელიც ალექსანდრეს დაუდგენია ქართველთა ზედა ერისთავად, ანუ ვატრიკად, მაშინ რიცხვი საქართველოს მეფეთა და გამგეთა მიჩიანის მეკვიდრეობის გამოვა 31. ამათში ათი მეფის რიცხვი ხუთ მეფობას შეადგენს, ვინაიდგან დურკის შემდეგ ადამ მეფეობდის ორ ორი მეფენი მეფობდენ ერთად საქართველოში. ქართლის მოქცევის ხრონიკა კი ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლიდგან ბაჰქარის მეფობამდის უჩვენებს 34 მეფეს, რომელთა შორის თორმეტი მეფენი ორ მეფობის დროს ექვს მეფობას შეადგენს. აქედან სჩანს, რომ ქართლის მოქცევის ხრონიკა აქამოდ ცნობილ საქართველოს მეფეთა და გამგეთა სიას მიჩიან მეფის მეკვიდრეობის საშესაზღვრად ვიხსენებ. ესენი არიან ფარსმან ვაზ და როგ II

ორ-მეფობის დროს, და ლევი, ქართველთ მიეკუ, მამა მი-
 რიანისი (ქართლის ცხოვრებით მირიანი სპეციალთა მეფის
 შვილია და ამჟამებს საქართველოში ხოსროიდების, ანუ
 სასანიდების დინასტიას). რიცხვი დანარჩენ ჰიროთა, თუმცა
 კი ეთანხმება ქართლის ცხოვრების ცნობებს, მაგრამ სა-
 ხელები და საჩისხი ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავ-
 დებიან. პირველი მეფე საქართველოსი ქართლის მოქცე-
 ვის სტონიკით არის არანი, მეორე აზო, მე არანისი, და
 მესამე ფარნავაზ. ქართლის ცხოვრება მეფე არანის მა-
 გიერ აღექვანდრე მაკედონელის დროს უჩვენებს მამასახ-
 ლისს სამარს, მას შემდეგ აზონ ბერძენს, აღექვანდრეს
 მიერ ქართლის ერისთავთ დადგენილს, და პირველ მეფეთ
 საქართველოში საღის ფარნავაზს. ამას გარდა მეორე მე-
 ფეს ქართლის მოქცევისას, არიკს, ქართლის ცხოვრებაში
 უდრის არტაგ და მეთორმეტეს როკ I—ადრეკი. დანარ-
 ჩენი მეფეთა სახელები ქართლის ცხოვრებაში და ქართ-
 ლის მოქცევაში ერთი ერთმანეთს ეთანხმებიან, თუ სა-
 ხეში არ მივიღებთ ისეთ ძვირე განსხვავებას, როგორსაც
 წარმოგვიდგენს მაგალითად არსაკ და არშაკ, ბრატან და
 ბარტომ, არსუკ და არშაკ, ლადამი და ადამი, რომელთ
 მსგავსი ცვლილებანი თვით ქართლის ცხოვრებაშიც მოი-
 ჰოვებიან ერთ და იმავე მეფეთა სახელების ჩვენებაში.
 ქართლის მოქცევის სტონიკაში აღნიშნულ მეფეთა რიცხვს
 არ ეთანხმებიან მირიანის სიტყვები, როდესაც ის თავის სი-
 კვდილის წინ დაწერილ წერილში თავის თავს საღის მე-
 რცადა-მეთექვსმეტე მეფეთ. ჩვენ უკვე აღვინახეთ, რომ
 მირიანი ჩვენის სათვალავით მეორდათოთხმეტე მეფე ბა-

მოდის და აწა მეოცდა-თექვსმეტე. და თუ იმ სათვალავს მივიღებთ, რომელიც თვით ქართლის მოქტეკასშია მიღებული, და რომელსაც ჩვენ დავეყარეთ (ნახე ქვემოთ გვ. 12, შენ. 1), მაშინ მივიანნი ოცდამეცხე მეფე გამოდის. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ხრონიკაში ორი ორი მეფე ორ მეფობის დროს თითო მეფეთ არის აღნიშნული, რადგანც თითო მეფობას შეადგენდენ. თოთხმეტი მეფის სახელები მივიანნის. მეფობიდან ბაკურ III (ქართ.-მოქტ. ბაკურ V) მეფობის დასრულებამდე (557—570) ერთი ერთმანეთს ეთანხმებიან ქართლის ცხოვრებაში და ქართლის მოქტეკაში, იმ გამოკლებით, რომ ოცდა-მეცხე მეფეს ქართლის მოქტეკისას ბაკურს, რევის ძეს, ქართლის ცხოვრებაში უდრის ბაქქარს, ძმა რევისი; ოცდა მეათეს თრდატს, ბაკურის ძმას, — მირდატ, ბაქქარის ძე, და ოცდა მეორემეტეს ბაკურს, თრდატის ძეს, — თრდატ, ძე რევისი. ამას გარდა ოცდა მეცამეტე მეფე ქართლის მოქტეკით, ფარსმან, თრდატის დისწულია, ქართლის ცხოვრებით კი ვარაზ-ბაქარის ძეა.

2) ერისთავობის დამყარებიდან საქართველოში (VI საუკ.) აშოტ გურგატპალატის ძმის და მეძვეილდრის გურგამ ერისთავთ ერისთავის დროდის (IX საუკ.) ქართლის მოქტეკა უჩვენებს 17 ერისთავს (დემეტრეს სტეფანოზ პირველის ძმას არ ვათვლით, რადგან ერისთავად არ იხსენიება). ქართლის ცხოვრება და სუმბატის ისტორია მოიხსენიებენ მხოლოდ თორმეტ ერისთავს და სრულიათ არ უჩვენებენ მეექვსე ერისთავს გურგამ ერმას, მეშვიდეს არშუშა გურგატპალატს, მეცამეტეს გურგამს, ნეჩსეს შვილს, მეთოთხმეტეს ბაკურეანს, ბაღდადის ძეს, და მეთუთხმე-

ტეს სტეფანოზს, ადარნასეს შვილს. ამას გარდა ქართლის ცხოვრება და სუმბატის ისტორია ნუქსეს შვილის ადარნასეს შვილებთან შორის უჩვენებენ გურგენს, ხოლო ქართლის მოქცევის ხრონიკა გურგენის ძაგიერ უჩვენებს გუარამს. სუმბატის ისტორია და ქართლის ცხოვრება ერისთავების სათვალავში და სახელებში ეთანხმებიან ერთი ერთმანეთს, მაგრამ შთამომავლობის ჩვენებაში კი თვალსაჩინო განსხვავებაა მათ შორის. სუმბატის ისტორიით მესამე ერისთავი ადარნასე სტეფანოზ I შვილია, ქართლის ცხოვრებით მეფის ბაკურ III ძეა. მეხუთე ერისთავი გუარამ გურატპალატი სუმბატის ისტორიით სტეფანოზ II შვილია, ქართლის ცხოვრებით—სტეფანოზ პირველისა. მეშვიდე ერისთავი ნუქსე ქართლის ცხოვრებით გარამ-ბაკურის შვილია, სუმბატის ისტორია და ქართლის მოქცევა კი არ უჩვენებენ, ვისი შვილია. ქართლის მოქცევას არ უჩვენებს აგრევე, ვისი შვილებია მესამე ერისთავი ადარნასე და მეხუთე გუარამ გურატპალატი, რაშიც ეგრე განსხვავდებიან ქართლის ცხოვრება და სუმბატის ისტორია. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის მოქცევა იშვიათათ უჩვენებს მეფეთა და ერისთავთა შთამომავლობას და სადაც უჩვენებს და ქართლის ცხოვრებას. არ ემოწმება, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ.

3) რიცხვი მთავარ-ეპისკოპოსთა და კათალიკოსთა მირიანის დროდგან სტეფანოზ II (639—668) დრომდის ქართლის მოქცევით გამოდის 33, ამითში ქართლის ცხოვრებით ცნობილია მხოლოდ 26 და უცნობია მეექვსე კათალიკოსი იონა აჩჩილ მეფის დროს, მეთერთმეტე გლო-

ნოქორ მირდატ IV დროს, მეთორმეტე იოველ ვასტანგ გორგასლანის დროს, მეთექვსმეტე ჰეტრე II დანის დროს, მეჩვიდმეტე სამოველ II ბაკურ III დროს, ოცდამესამე სამოველ III ბაკურ IV დროს და ოცდა-მეორე ბართლომე II ადარნასე ერისთავის დროს. ამას გარდა მეორე კათალიკოსი ფარსმან VI დროს ქართლის მოქცევით არის დასაბნა, ქართლის ცხოვრებით საბა. ოცდამეორე კათალიკოსი იმავე ფარსანის დროს ქართლის მოქცევაში წოდებულია ეფთათეთ, ქართლის ცხოვრებაში ეკლავიოზად. ჩვენ არ აღვნიშნავთ ისეთ განსხვავებას, როგორც წარმოგვიდგენს ჩიმაგა და ჩირმაგ, სიმონ-ჰეტრე და სვიმეონ. კათალიკოს ევრონიდგან დაწყებული (სტეფანოზ II დროს) ბაგრატ მესამემდე (980—1014) ქართლის ცხოვრება არც ერთს კათალიკოზს არ მოიხსენიებს, ქართლის მოქცევას კი ევრონიდგან მოჭყავს სია 27 კათალიკოსთა, რომელთა შორის პირველი ცხრა ცოლასანნი ყოფილან. ერთი სიტყვით, სამოც მთავარ-ეპისკოპოსთა და კათალიკოსთა შორის, რომელნიც ეხლა ქართლის მოქცევით ვიცით, აქამომდე ცნობილნი იყვნენ მხოლოდ 26 ¹⁾).

4) ქართლის მოქცევაში არ არის მოხსენებული ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოს მხარეში. იესო ქრისტეს მოღვაწეობა და წამება მეფე ადერკის (ქართლის მოქცევით როკის) დროს კი არ არის ნაჩვენები,

¹⁾ შედარებითი სია მეფეთა, ერისთავთა და კათალიკოსთა ქართლის მოქცევის და ქართლის ცხოვრების ცნობებით ნახე ზემს წმიდა ნინოს ცხოვრების გამოცემის ბოლოში.

აწმედ მეფე ამაზაყრის დროს. ამას გარდა გუარამ გურამ-
 ზალატი, ქართლის ცხოვრებით და სუმბატის ისტორიით
 შირველი ბაგრატიონი, არ არის მოხსენებული დავით წი-
 ნისწარ-მეტეველის შთამომავლად. ამასთანავე ქართლის მოქ-
 ცევაში მოყვანილია, თუძვა იშვიათათ, ზოგიერთი სწო-
 სლოლოგიური ცნობები, რომელნიც ქართლის ცხოვრებაში
 არ მოიპოვებან (ის. მაგალითათ ქვემოთ გ. 13, შენ. 1.)

ეს განსხვავებანი ქართლის მოქცევისა უმეტეს შემთ-
 ხვევაში ავსებენ ქართლის ცხოვრების ცნობებს და მით
 დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, მაგრამ განსხვავებანი
 შედარებით თანხმობასთან მტირედნი არიან. ჩვენი შენიშ-
 ვებიდგან მკითხველი დაინახავს, რომ ქართლის მოქცევა
 საზოგადოთ სიტყვა სიტყვით ეთანხმება ქართლის ცხოვ-
 რების ცნობებს. ამ გარემოებს ჩვენთვის უფრო დიდი
 მნიშვნელობა აქვს, ვიდრე განსხვავებას. როდესაც არ უნ-
 და იუოს შედგენილი ჩვენი თავი მატიაზე, რომელსაც
 ქართლის ცხოვრებას ვეძახით, მაგრამ აწ ეს აღარ შეიძლება
 ვთქვათ, რომ მის შემდგენელს ისეთი ძველი წყაროები არ
 ჰქონებოდეს ხელში, როგორც არის ქართლის მოქცევა
 და შეიძლება თვით ის დედანი, რომლიდგანაც ქართლის
 მოქცევის ავტორს გამოუყრებია ისტორიული ცნობები.
 უპირველია, ბევრი რამ ქართლის ცხოვრებაში მერძეა მიმა-
 ტებული, ბევრი რამ უცხო ტომთ ავტორების ზედ მოქ-
 შედებით არის შეტანილი და ზოგი რამ სხვა და სხვა რე-
 დაქციის დროს არის შეცვლილი და შეესებული, მაგრამ
 საზოგადოთ უმეტესი ხაწილი მასში მოყვანილი ცნობე-
 ბისა ძველ ქართულ მატიაზედგან არიან ამოღებულნი.

ამას ცხადათ გვიმტკიცებს ქართლის მოქცევის სწონიკა, რომლითაც ქართლის ცხოვრების შემდგენელს უსარგებლებია, და რომელსაც კერძო ერთი სკეპტიკი მეთუ საუკუნის შემდეგ დროს მაინც კლარ მიაწერს, ვინაიდან ხელ-ნაწერი, როგორც დავამტკიცეთ, ეჭვს გარეშე მეთუ საუკუნეს ეკუთვნის. რასაკვირველია, თუ ხელ-ნაწერი მეთუ საუკუნეს ეკუთვნის, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მასში მოქცეული სწონიკაც მეთუ საუკუნეში იყოს შედგენილი. ეჭვი არ არის, რომ ქართლის მოქცევა მეთუ საუკუნეზე ადრეა შედგენილი, მაგრამ სასელდობა რა დროს და ვისგან თვით ქართლის მოქცევიდგან არა სჩანს. ქართლის მოქცევის ბოლოში ვპოულობთ მხოლოდ ერთ ასეთ მინაწერს წითელის ძეგლით:

„წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა, დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამობრწყინებისაჲ, [ძალთა ზეცისა მგალობელთა გუნდთა ყუა-ვილად, უბიწოა საწმუნოებაჲ, შეუძრავი კედელი ქრის-ტესსა, ესე ჩუენისა ცოდვისა სსნაჲ და მარგებელ] სულ-საჲ, ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა უამთა და წელთა ვპოვეთ.“ 1)

ამ მინაწერიდგან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ,

ქართლის მოქცევის
 წიგნი
 მინაწერი
 წითელი ძეგლით

1) აქ რაც ფრჩხილებშია ჩასმული, ის დედანში ძრიულ გადასულია. ჩვენ მივიღეთ ყოველი ღონისძიება და, როგორც შეგვიძლო, სიტყვა სიტყვით აღვადგინეთ ტექსტი. განსვენებული დ. ბაქრაძის აზრით, რომელსაც ეს ადგილი არ გაურჩევია, აქ უნდა ყოფილ-იყო ცნობები ქართლის მოქცევის შემდგენის და

რომ ის სხვა და ~~სხვა~~ თქმულებისანი თანა-მედროვე პირობა, რომელთაგანც შესდგება ქართლის მოქცევა, როგორც მაგალითათ, თქმულებს საღომე უქარმელისა, ახითარ მღვდელისა, სიდონია დედაკაცისა, იაკობ მთავარ - ეპისკოპოზისა და სხვათა, უცნობი და გაზნეული ყოფილა აქ იქ და კარგი ხნის შემდეგ ერთათ შეუგრებიან და ის სახე მიუცნაო, რომელიც ეხლა ქართლის მოქცევას აქვს. ასე გვესმის ჩვენ ფრანს: „შემდგომათ მრავალთა უძმთა და წელთა გპოვეთ“. ის გარემოება, რომ სრონიკა ქართლის მოქცევისა მოყვანილია აშოტ გურაშაღატის (786—826) ძმის და მემკვიდრის გვარამ ერისთავთ ერისთავის დრომდის (IX სსუკ.), უკელას აფიქრებინებს, რომ ქართლის მოქცევა მეცხრე საუკუნეშია შედგენილი. მართლაც და ადვილათ წარმოსადგენია, რომ ავტორი თავის დრომდის მოიყვანდა ისტორიულ ცნობებს, ჯ მასსადამე შემდგენელსაც იმ საუკუნეში უნდა ეცოცხლა, რომელ საუკუნემდისაც მას თავის სრონიკა მოუყვანია. ეს ასე უნდა იყოს, რომ ამ მოსაზრებას თვით სრონიკის სასიათი არ ეწინააღმდეგებოდეს. თუ ჩვენ უურადლებით განვიხილავთ ქართლის მოქცევის სრონიკას, ადვილათ დავრწმუნდებით, რომ სრონიკის სასიათი თავიდგან ბოლომდის ერთგვარი არ არის. შემოკლებული სრონიკა ქართლის მოქცევისა აღნიშნავს რა რო-

შედგენის დროს შესახებ (იხ. გვ. „ივერია“ 1889 წ. № 6). შეიძლება, ჩვენ ერთი ორი სიტყვის აღდგენაში ვცდებოდეთ, მაგრამ ეს კი გადაჭრით შევკვიძლია ვუქვით, რომ აქ არავითარი ცნობა არ არის არც შემდგენის და შემდგენის დროს შესახებ.

მედიმე პირის მეფობას თუ ერისთავობას, ყოველთვის უჩვენებს ერთ ორ უმთავრეს ისტორიულ ფაქტს მის მეფობაში მომხტარს და ისხენიებს, ვინ იყო მთავარ-ეზისკოპოსი, ანუ კათალიკოსი. ეს სისტემა მტკიცეთ არის გატარებული თავიდან დაწყებული სტეფანოს II დრომდის (639—663). ხოლო სტეფანოს II შემდეგ წესი უცვლელად და შემოკლებულ ცნობების მაგიერ ერისთავების შესახებ მხოლოდ სია არის მოყვანილი ცამეტთა დიდთა ერისთავთა. არც ერთი დიპს-სახსრუარი ფაქტი მათი ერისთავობის დროისა აღნიშნული არ არის. არ არის აგრევე ნახვენები, თუ რომელი კათალიკოსი რომელ ერისთავის დროს იყო, არამედ ერისთავების სიის შემდეგ სიითვე არის წარმოდგენილი 27 კათალიკოსი (ნახ. ქვემოთ, გ. 37—39). რას მოასწავებს ეს ფაქტი, თუ არ იმას, რომ ეს სია მეტყველებული და წინეთ გი ქართლის მოქცევის სწონიკა სტეფანოს II დრომდის ყოფილა მოყვანილი. ამ ჩვენს მოსაზრებას ასაბუთებს კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება. როდესაც ჩვენ სუმბატის ისტორია ქართლის მოქცევის სწონიკას შევადარეთ, აღმოჩნდა, რომ სუმბატს თითქმის სიტყვასიტყვით გადმოუწერია ქართლის მოქცევიდან ისტორიული ცნობები პირველ ერისთავის გარამიდან დაწყებული (575—600) სტეფანოს მეორის დრომდის (639—663). ეს ფაქტი, ესე იგი რომ სუმბატს ქართლის მოქცევის შესახებ, ყველასათვის აშკარა იქნება, ვინც ამ ორ წყაროს ერთი ერთმანეთს შეადარებს ¹⁾. მაგრამ ერისთავე-

¹⁾ შეადარე ქვემოთ 34—37 გვერდებზე მოყვანილი ცნო-

ის ჩამოთვლაში სტეფანოს მეორის შემდეგ სუმბატის ისტორია ქართლის მოქცევას კი აღარ ეთანხმება, არამედ ქართლის ცხოვრებას. სუმბატის ისტორიაში და ქართლის ცხოვრებაში გამოტოვებულია სუთი ერისთავი, რომელთა სასულები ზემოთ აღვნიშნეთ. ამას გარდა სუმბატის ისტორია არ უჩვენებს არც ერთს იმ 27 კათალიკოსთაგანს, რომელთა სია ქართლის მოქცევაშია მოყვანილი. ეს ფაქტი, ჩვენის აზრით, იმას ამტკიცებს, რომ იმ ქართლის მოქცევის ვარიანტში, რომლითაც სუმბატს უსარგებლებია, არ ყოფილა ჩვენ მიერ აღნიშნული სია ერისთავთა და კათალიკოსთა. შეიძლება ეს სია მარტო ჩვენს ვარიანტში არის და სხვებში არ აღმოჩნეთ. ამ გვარათ ქართლის მოქცევის შედგენას, ჩვენის აზრით, მეშვიდე საუკუნეში უნდა ჰქონდეს ადგილი. ვინ არის აღმწერელი ქართლის მოქცევისა, არ ვიცით, მხოლოდ ქართლის ცხოვრებაში ეპოქურად ერთ ასეთ შენიშვნას: „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება, და ნინოსგან ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა, და ასლან იოვანე დეკანოზმან აღწერა“ 1). არა ვგონებთ, რომ აქ ის ქართლის მოქცევის წიგნი იგულისხმებოდეს, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია. ყოველ შემთხვევაში ამის დასამტკიცებელი საბუთი ჯერ ჯერობით არა გვაქვს და გადაჭრით ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ზები ქართლის მოქცევის ხრონიკისა 45—50 გვერდებზე მოყვანილ ცნობებს სუმბატის ისტორიისა.

1) იხ. ქართლის ცხოვრება, გ. 181, შენ. 4. ამ სიტყვებით არის ეს ცნობა მოყვანილი მეგრელი ვარიანტშიც, მხო-

ესლა ვიკითხოთ, რა მასალები ჭქონია ხელში ქართლის მოქცევის შემადგენელს? რაც შეეხება საქართველოს ერის მოქცევას და წ. ნინოს ცხოვრების მოთხრობას, ეპკვი არ არის, რომ ამანების ასაწერათ ავტორს უსარგებლებია იმ თქმულებანთ სხვა და სხვა ნინოს თანა-მედროვე შინათა, რომელნიც ზემო აღნიშნეთ. ეს თქმულებანი თითქმის უცვლელათ უნდა იყოს შეტანილი ქართლის მოქცევაში და ავტორს მხოლოდ მათი შეკრება, თავებათ დაყოფა და სისტემატიურათ დაწობა უნდა ეკუთვნოდეს. ხოლო საიდგან ამოიღო ქართლის მოქცევის შემადგენელმა ის ისტორიული ცნობები მეფეების და ერისთავების შესახებ, რომელნიც განსაკუთრებით ქართლის მოქცევის ხრონიკას შეადგენენ, არ ვიცით. მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ყველა ეს ცნობები ამოღებულია თვით ქართულ წყაროებიდან და სრულიად არ ეტყობა უცხო ტომთ ისტორიის გაკლენა. ფრანგები „ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა,“ „ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა ბერძენთასა“, „სომეხთასა“ და სხვა, რომელნიც სშირათ შეგხვდებათ ქართლის ცხოვრებაში, არსად არ მოიპოვებიან ქართლის მოქცევაში. თვით იმ წმინდა ნინოს ცხოვრების კარიანტს, რომელიც აქამომდე იყო ცნობილი და რომელიც სხვათა შორის შეტანილია ქართლის ცხოვრებაშიც, ცხა-

ლოთ მარიამ დედოფლის ვარიანტში შემდეგ სიტყვებს ვპოულობთ: „არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლისა მოქცევა ლეონტი მროველმან.. (?) დედასა ასეთნი ეწერა,“ (იხ. მარიამის ვარ. ფურცელი 216).

დათ ეტყობა სომეხთ წმიდათა მამათა ცხოვრების გავლენა. ამ მამათა ცხოვრებიდან, ანუ სომეხთ მოქცევის წიგნიდან, რომელიც აღწერია აგათანგის ტირდატ ჭეუის (IV სსუგ.) თანამედროვეს და მწიგნობარს, შეტანილია ქართლის ცხოვრებაში და სხვა აქამომდე ცნობილ ნონოს ცხოვრების ვარიანტებში ვრცელი ამბავი დიოკლეტიანესათვის ცოლის ქებისა, ტირდატისაგან დევნა და წამება წმ. რიფსიმესი და ნინოს თანამოგზაურებისა, და აგრეთვე უშკათ ქცევა ტირდატისა ¹⁾. ხოლო იმ ნინოს ცხოვრებაში, რომელიც ქართლის მოქცევას შეადგენს, ეს ამბავი სრულიად არ იხსენიება ²⁾. სწონიკა ქართლის მოქცევისა, რომელიც მოვიხსენიეთ, შემოკლებულია, მაგრამ გადაჭრით არ შეიძლება თქმა, ეგრე მოკლეთ იყო თავდაპირველად აღწერილი ქართული მატინე, თუ ქართლის მოქცევის შემადგენელს უფრო ვრცელი დედანი ჭქონდა სულში, მაგრამ განგებ შეამოკლა ისტორიული ცნობები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თვით ქართლის მოქცევის ამბავს

¹⁾ ნახ. ქ. ცხ. გ. 69—71 და ახალი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა, გ. 13, შენ. 3.

²⁾ აგათანგის ისტორია ნათარგმნი ყოფილა ქართულ ენაზედაც (ნახ. Langlois, Collection des historiens anciens et modernes de l' Armenie, t. II. p. 194, note additionelle). ერთი ეგზემპლარი ამ ქართული თარგმანისა ყოფილა წინეთ ივერიის მონასტერშიც ათონის მთაზე, მაგრამ ეხლა კი სამწუხაროთ ეს წიგნი აღარც იქ მოიპოვება (ნახ. Цагарели Свѣдѣнія о пам. груз. писъм.—„ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მღებარეთა მთა-წმინდას“, გ. 5).

და წმ. ნინოს ცხოვრებას. შეიძლება ეს მოკლე ისტორიული ცნობები იყოს საფუძველი ქართლის ცხოვრებისა და დანარჩენი სხვა და სხვა წყაროებიდან იყოს შეკვებული. მაგრამ ჩვენ ვი ჩვენდა თავათ უფრო იმ აზრისა ვართ, რომ ქართლის მოქცევის შემდგენს ვრცელი დედნიდან უნდა ჰქონდეს გამოკრებილი ეს ცნობები. უფელ შემთხვევაში მას უფრო მეტი მასალა უნდა ჰქონოდეს ხელში, ვიდრე ჩვენს ხრონიკაში არის. ავტორს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია, როგორც მოსალოდნელი იყო დროს მიმართულებით, სასულიერო და საეკლესიო ფაქტებისათვის და გზა აუქცევია პოლიტიკური და სხვა ისტორიული ცნობებისათვის. მაგალითათ, ქართლის მოქცევაში ვახტანგ გორგასლანის ომების შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. თუცა ვახტანგი დიდ მეფეთ მოიხსენიება, მაგრამ რით იყო დიდი ეს ვი არ არის ნახეხები. მნელი დასაჯერებელია, რომ ავტორს არ ჰქონოდეს ცნობები ვახტანგის დროის ომების შესახებ, მაგრამ თითქო განგებ დაუდუმია. სამაგიეროთ კათალიკოსობის დამყარებას საქართველოში იმავე ვახტანგის დროს დაწვრილებით მოგვითხრობს. ეს და სხვა ბევრი ასეთი მიმართულება ჩვენი ხრონიკისა გვაფიქრებინებს, რომ ქართლის მოქცევის ხრონიკა განგებ შემოკლებულია.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არც ქართლის ცხოვრება გვამდევს მეტს ცნობებს ვიდრე ქართლის მოქცევა. მაგალითათ, ვახე, ბაგურ I და მირდატ II მეფეების შესახებ, გარდა სახელების ჩვენებისა, არავითარი ცნობები არ არის როგორც ქართლის ცხოვ-

რებაში, ისე ქართლის მოქცევასშიც¹⁾. სშირათ ქართლის მოქცევასში მოკლეთ აღნიშნულია იგივე, რაც ქართლის ცხოვრებაში ბევრი სიტყვებით არის გამოთქმული, მაგრამ ეს მრავალ-სიტყვაობა ქართლის ცხოვრებისა ფაქტიკურად კი არაფერს გვიძატებს. ამას გარდა ზოგიერთი მოთხრობა ქართლის ცხოვრებისა სრულიად არ ეთანხმება მსოფლიო ისტორიის ფაქტებს, მაშინ როდესაც ქართლის მოქცევის ცნობები არ ეწინააღმდეგებიან მსოფლიო ისტორიის ცნობებს იმავე საგნის შესახებ²⁾.

ბოლოს საჭიროდ ვრაცნოთ მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი შენიშვნები ქართლის მოქცევის ტექსტის შესახებ და აგრეთვე შესახებ ზოგიერთ ფრაზებისა და სიტყვებისა, რომელნიც სსოფლიოში არ შეგვიტანია. ტექსტი ქართლის მოქცევის ხრონიკისა თავიდან დაწყებული სიტყვებამდის „და მეფობდა არსაკ“ (ნახ. ქვემოთ გ. 6) განასლუბულია, მაგრამ შეცვლილი კი არაფერია.

მესამე გვერდზე ჩვენი ხრონიკისა აღექსანდრე მკედეონელის შესახებ სხვათა შორის სწეჩია. „და რუდ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მეჩუკენი დასტან“

¹⁾ იხილეთ ქართლის ცხოვრება გ. 56—57. და ქართლის მოქცევის ხრონიკა, ქვემოთ, გ. 11.

²⁾ ნახ. მაგალითათ ქართლის მოქცევის შენიშვნა კოსტანტინე დიდის ბრძოლის შესახებ ქრისტეს სჯულის მიღებამდე (გ. 12) და ქართლის ცხოვრების ვრცელი, მაგრამ ტყუილი მოთხრობა, რომლითაც ქართლის ცხოვრება კოსტანტინეს მიერ ქრისტიანობის მიღებას უფარდებს მირიანის და სპარსთა მეფის ომს კოსტანტინესთან (ქ. ცხ. გ. 93—64).

კითხა რუისაძეთა და ჭრჭვან ადგილსა მას ნასტაგისი“. „დასტაგი“ ჩვენ ერთ სიტყვათ მივიღეთ, მაგრამ მეტყვე დავწმუნდით, რომ ორ სიტყვას უნდა შეადგენდეს—„და სტაგი“. სტაგი საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონის განმარტებით ნიშნავს „რუს სსთაკეს.“ მასთანადამე ფრანზ ასე უნდა წავიკითხოთ: „და რუდკამოილო ქსნით, და დასხნა კაცნი მეტყუენი, და სტაგითა რუისაძეთა დაჭ[ა]რჭვან ადგილსა მას ნასტაგისი 1). „და ჭრჭვიან“ ხშირათ იხმარება ძველ ხელნაწერებში „დააჭვიან“-ის მაგიერ. აქ თუ პატრივი არ არის გამოშვებული გადაწერისაგან, ესე იგი სიტყვა შემოკლებით არ არის ნახმარები, მაშინ ასე „ჭ“ „ჭა“-თ უნდა

1) განსვენებულმა დ. ბაქრაძემ, რომელიც „დასტაგი“-ს ჩვენსავით ერთ სიტყვათ კითხულობდა, გადმოგვცა, რომ „დასტაგი“ კიდევ შემხვედრიად და გვონებ ვეთიშე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ მეექვსე მსოფლიო კრების სფულ-დებაში უნდა იყოს“. ჩვენ გადავიკითხეთ უძველესი ვარიანტები ხსენებული წიგნისა, მაგრამ სიტყვა „დასტაგი“ ვერ ვიპოვეთ. მეტყე ამ სიტყვის განსამარტებლათ მივმართეთ აღმოსავლეთის ენების კარგათ მცოდნეს ბ. ნ. მარს, და მის მიერ გადმოცემული სხვა და სხვა მნიშვნელობა დასტაგისა, თუ დასტაგის მსგავსი სიტყვებისა სხვა და სხვა ენებიდან ჩვენს ტექსტს არც ერთი არ მოეწყო. ბოლოს შემოსწავნილი კითხვის შესახებ ძრილ საყურადღებო აზრი გამოთქვა მარმა. მარის აზრით, რომ „დასტაგი“ ერთ სიტყვად იკითხებოდეს, მაშინ ადგილის სახელი „ნასტაგისი“ კი არ იქნება, არამედ „ნადასტაგისი“, როგორათაც სიტყვის წარმოების კანონი მოითვს. ეს საბუთი საკმაოდ, რომ „დასტაგი“ ერთ სიტყვათ არ წავიკითხოთ.

წავიკითხოთ და ამასი შეუძლებელი არაფერი არ არის. „ჩ“ რომ „ჩკ“-ს მაგიერ იხმარება ამის მაგალითი მესხურ და ვითნშიაც არის, სადაც „ჩკრაკლეს“ მაგიერ სწერია „ჩკრაკლე“ (ნახ. ქვემოთ, გ. 84). მით უმეტეს „ჩ“ „ჩა“-ს მაგიერ უნდა იხმარებოდეს, როგორც თვით სახელი უჩვენებს ამ ასოსი.

ქართლის მოქცევის ხრონაკა იხსენიებს „ჭონებს“, როგორც ხალხს საქართველოში მოსულს და ზანავს დასახლებულს (ნახ. გ. 3). ქართლის ცხოვრება ჭონების მაგიერ უჩვენებს ურებს. ჩვენის აზრით აქ გადაძწერის შეცთობა არის. დედანში ეს სიტყვა ასე უნდა წერებულყო: „ჭონი“, რომელშიაც იგულისხმება „ჭურჩანი“, — თორმას, რომელიც ძრეელ ხშირათ არის ნახმარები თვით ნინოს ცხოვრებაშიც და სხვა ძველ ხელნაწერებში. „ო“ რომ „ოუ“-ს მაგიერ იხმარება ძველ მანუსკრიპტებში ამისი მაგალითი ბევრია. თვით ჩვენს ხრონიკაში „რუის“ მაგიერ სწერია „როა“ და „ოფალი“-ს მაგიერ „ოლი“ (ნახ. გ. 3). მაშასადამე, რომ სიტყვა ჭურჩანი-ს მაგიერ იქნებოდა დაწერილი „ჭონი“, ადვილათ წარმოსადგენია. გადაძწერს ეტყობა პატრივი ვერ გაუსხსნია ისე, როგორც საჭირო იყო. მას გამოუშვებული ჭონების მხლართ ასო „ნ“, რომელიც უკვე მიუმატებია და გამოსულა „ჭონნი“. ესეც შესაძლებელია, რომ დედანში „ჭონნი“ ეწერა და გადაძწერმა პატრივი გამოუშვა მართლ. ასე თუ ისე, ეს კი საუბრეთ არ მიგვაჩნია, რომ „ჭონნი“ შეცთობით არის ნახმარები ჭურჩების მაგიერ. არა კვონებს, რომ ჭონების სახელში ვინმემ ჭუნები იცნას, ვინაიდან იმ დროს, ესე

იგა-აღექსანდრე მაკედონელის დროს (IV სუგ. ქრ. წინ), ჭუნების ჭაჭანი არსად ყოფილა. ჭუნები გამოჩნენ მე-ხუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. გარდა ზემო აღნიშნული შეტომებისა, ქართლის მოქცევაში ისეთ შეტომებსაც ვპოულობთ, რომელნიც ხუცური ასოების ერთი ერთმანეთის მსგავსებით წარმოსდგებიან, და რომელნიც სხვა მანუსკრიპტებშიაც იშვიათი არ არის. მაგალითათ, სიტყვა „ცურტავი“ ს მაგიერ ნახმარებია „ცურხავი“ (ტ და ხ ხუცურში ძრვიელ წაგავს ერთმანეთს). ეგელა ამების შესამოწმებლათ და დაკარგული ადგილების შესავსებლათ ძრვიელ საჭიროა მოპოვება სხვა ქართლის მოქცევის ვარიანტისა, და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თუ ვისმეს ეს წიგნი მოეპოვება, არ დაიშურებს შემოწიწვას, ან გასაშინჯავათ გამოგზავნას, წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის.



წინა-სიტყვაობა

ს უ მ ბ ა ტ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ კ ი ს .

მანამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ვარიანტში, იქ სადაც თავდება დავით აღმაშენებელის მეფობა, მოყვანილია ცალკე თავით „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწივნეს ამას ქვეყნასა იგინი, ანუ რომელით უამითგან უზურციეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ, ძემან დავითისამან“. ამ სუმბატის ისტორიას დედანში უჭირავს 13 ფურცელი (294—306) ნახევარ თახახანი ქალაქისა მოსხო და მოლამსხო მრგვალი მხედრულის ხელით ნაწერი, და ბოლოს შემდეგი ლექსია ტექსტისვე ხელით მოყვანილი:

სახელი ღვთისა მადლისა მე დიდებითა მიქია,
აქა კორციითა გადიდებ, სულითა ვმონებ იქია,
ჩემზედა შემწედ ამყოფოს წმიდა გაბრიელ მიქია
და მძლავრსა არ მიძცეს ბოროტსა, არა მტანჯვიდენ იქია.

მანამ აღმოჩნებოდა მანამ დედოფლის ვარიანტი, რომელიც ეხლა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავს ეკუთვნის (№ 30), ჩვენ არა გვქონია წარმოდგენა სუმბატის ისტორიაზე. ვიცოდით მხოლოდ ზე-

შო მოყვანილი სათაური, იგიც მარტო თეიმურაზ ბატონიშვილის ქართლის ცხოვრების შენიშვნიდგან ¹⁾, და ამ სათაურიდგან სჩანდა, რომ ქართლის ცხოვრებაში რაღაც შეტანილი ყოფილა სუმბატის ისტორიიდან, მაგრამ სახელდობრ რა ეკუთვნოდა სუმბატს, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ გვქონდა. ესლა, როდესაც სუმბატის ისტორია განცალკევებული ვიპოვეთ და ქართლის ცხოვრების ვაჩიანტებს შეუდარეთ, აღმოჩნდა, რომ უმეტესი ნაწილი სუმბატის ისტორიისა ყოფილა შეტანილი ქართლის ცხოვრების ვაჩიანტებში და თითქმის სრულათ მარტო თეიმურაზის ვაჩიანტში. საუურადღებოა თვით რიგი და წესი, თუ როგორ შეუტანიათ სუმბატის ისტორიის ცნობები ქართლის ცხოვრებაში. სუმბატის ისტორია დაგლეჯილია ფრაზებად და მცირეოდენ ნაწილებად და ისე შექსოვილი და ჩაკეტილია აქა იქ ქართლის ცხოვრების ტექსტში. თავში, ბოლოში, თუ შუაში რომელიმე მეფის, თუ ერისთავის ისტორიის შესახებ ქართლის ცხოვრებაში მიმატებულია ცნობები სუმბატის ისტორიიდან. არ არის მიჭვეული ყურადღება, ეწეობა თუ არა სუმბატის ცნობა ქართლის ცხოვრების ცნობას. ამიტომაც ხშირათ ერთი და იმავე მეფის, თუ ერისთავის შესახებ ორი ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი აზრია გამოთქმული, რომელთა შორის ერთი ეკუთვნის ქართლის ცხოვრებას და მეორე სუმბატის ისტორიას. ზოგიერთ შემთხვევაში ქართლის ცხოვრების მოთხრობის ძაფი გაწყვეტილია სუმბატის ისტორი-

¹⁾ ნახ. ქ. ცხ. გ. 161, შენ. 3.

იდგან აბოღებულად ფრანგებით, თუ სხვა და სხვა შენიშვნებით. ის ადგილები ქართლის ცხოვრების ტექსტისა, სადაც სუმბატის ისტორიის ცნობები არიან ჩართულნი, სწინათ განსხვავდებიან სხვა და სხვა ვარიანტებში. ზოგიერთ ვარიანტში სწინათ გამოშვებულია სუმბატის ისტორიის ფრანგები, ან და სხვა ადგილს და სხვა რიგით არიან ჩართულნი, ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილის ვარიანტში, როგორც მოვიხსენიეთ, თუძვა ნაწილ-ნაწილათ, მკრამთით-ქმის სრულათ არის შეტანილი სუმბატის ისტორია. ჩვენ გამოვწვდილეთ და გამოკვრიბეთ ქართლის ცხოვრების ტექსტიდან ის ფრანგები და მოთხრობანი, რომელნიც სუმბატის ისტორიას ეკუთვნოდნენ, და ამით თვით ქართლის ცხოვრებიდან აღვადგინეთ სუმბატის ისტორიის ვარიანტი, რომელიც მარიამის ვარიანტის შესადარებლად ვისმარეთ. ის ადგილები, რომელნიც მხოლოდ თეიმურაზის ვარიანტში მოიპოვებიან და ბრძანს შესმაჰს ნახეჭდ ქართლის ცხოვრების ტექსტის შენიშვნებში, თეიმურაზის ვარიანტით აღვნიშნეთ (შემოკლებით: თ. ვარ.). ხოლო დანარჩენი ნაწილი, რომელიც შეტანილია სუმბატის ისტორიიდან თითქმის ყველა ქართლის ცხოვრების ვარიანტებში, ჩვენ ქართლის ცხოვრების სახელით აღვნიშნეთ (შემოკლებით: ქ. ცხ.). ამით ის გი არ გვინდოდა გვეჩვენებინა, ვითომც მოუკანალი ფრანგა ქართლის ცხოვრების ტექსტს ეკუთვნოდეს, არამედ ისა, რომ ხსენებული ადგილი თითქმის ყველა ქართლის ცხოვრების ვარიანტში არის შეტანილი სუმბატის ისტორიიდან. ხოლო ერთი რჩი ადგილია შესადარებლად ნახეჭები ჩვენს შენიშვნებში, სა-

დაც მოყვანილია თვით ქართლის ცხოვრების დედნის ტექსტი, და აწა თეიმურაზის ისტორიისა (ნახ. გ. 46, შენ. 3; გ. 49, შენ. 2; გ. 50, შენ. 1). ქართლის ცხოვრებელგან აღდგენა სუმბატის ისტორიისა და მისი ვარჩანტათ ხმაკება მიუცილებელ საჭიროთ მიგვაჩთა, რადგანც მარჩამ დედოფლის ვარჩანტის ტექსტი გარყვნილია უმეტესის გადაწერისაგან. ის შეცთომები, რომელნიც წარმოსდგებიან ხუცური ასლების ერთი ერთმანეთის მსგავსებით და ჰატივ ქვეშ მყოფი სიტყვების უვიცი კითხვით, ხშირია მარჩამის ვარჩანტში¹). ამას გარდა მარჩამის ვარჩანტში

1) ხუცურში ძრიელ წაავაუთ ერთი ერთმანეთს ასონი ბ და შ, ა და ძ, ხ და ტ, ძ და რ. ამისათვის მარჩამის ვარჩანტში სიტყვების მაგიერ ფუანშურ, არშაკ, შაბურ, მოხიდან, არდაშირი და სხვა—ხშარათ სწერია: ფუანბურ, არშაკ, ბაბურ, მოშიდან, არდაბირი და სხვა; სიტყვების მაგიერ დამ, რამ, მთამ, ვამ—კვითხულობთ: დამ, რამ, მთამ, ვამ; სიტყვების მაგიერ ტაიჭები. დეკტალარა, არდოტი—სწერია: ხაიჭები, დეკხალარი, არდონი; სიტყვების მაგიერ რეცა, მურგული, განერე—კვითხულობთ: ძეცა, მურგული, განეძე და სხვა. ამას გარდა გადაწერს არ სცოდნია ჰატივ ქვეშ მყოფი სიტყვების გახსნა და მიტომ სიტყვების მაგიერ—ერისთავნი, არამედ, დაბადებითა, დიმიტრი, მლუდელნი, ქრისტეს, რომელნი და სხვა—მარჩამის ვარჩანტში სწერია: ევანი, ამად, დაბდაბებითა, დატრი, მადლნი, ჰრქვეს, ერნი და სხვა, დედანში ალბათ ეწერა: ეწი, ად, დბათ, დტრი მდნი, ჰქს, რნი. ამ გვარივე შეცთომით აიხსნება ის მოკლეა, რომ ხსენებულ ვარჩანტში სიტყვების მაგიერ „ხლოესე ადერკი“ სწერია „ხუსადერკი“ (?). დედანში უსათუოდ ეწერა „ხესე ადერკი“. ასეთი შეცთომები ძრიელ ხშირია მარჩამის ვარჩანტში.

აქა იქ გამოშვებულა ზოგიერთი ფრანგები და სიტყვები, რომელთა გამოშვებით ტექსტი გაუგებარი ხდება. ეკელა ამანების შესასწორებლად და შესავსებად ჩვენ ვინმანეთ ქართლის ცხოვრების ტექსტიდგან აღდგენილი სუმბატის ისტორიის ვარიანტი, და ის სიტყვები და ფრანგები, რომელნიც მარიამის ვარიანტში გამოშვებულნი არიან და ჩვენ აღნიშნული ვარიანტიდგან შემოვიტანეთ, დიდ ფრჩხილებში ჩავსვით. სიტყვები, რომელნიც აშკარა შეცდომით არიან ნაწერნი, გავასწორეთ, მაგრამ დედნის მართლ-წერა პატარა ფრჩხილებში უჩვენეთ.

სუმბატის ისტორია იწყება დასაბუთებულად ამოღებული გენეალოგიით, რომელშიაც პირველი ბაგრატიონი ქართლისა, გვარამ გურგენატი, გამოუყვანილია დავით წინასწარ-მეტყველის შთამომავლად. ამ გვარამიდან (VI სუგ.) იწყებს სუმბატი თავის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების ისტორიას და ათავებს მე-XI სუგუნეში, ბაგრატ IV დროს. ვინ არის სუმბატი, დავითის ძე, რომელსაც სხუნიებული ხრონიკა შეუდგენია, არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ თვით ამ სუმბატის ისტორიაში და ქართლის ცხოვრებაშიაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთა შორის ისენიება რამოდენიმე სუმბატი, დავითის ძე, და უკანასკნელი მათგანი—„სუმბატ ერისთავთა ერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი“, გარდაცვლილა 988 წელს. 1). განსვენებული დ. ბაქრაძის აზრით, შესაძლებელია, ეს უკანასკნელი სუმბატი იყოს ჩვენი ხრო-

1) იხ. ქვემოთ სუმბატის ისტორია, გ. 61.

ნიკის აღმწერილი, „და თუმცა სუმბატის ისტორია ამის სიკვდილსაც გადასცილდება, მაგრამ შეძლებულია, რომ ეს შეძლებული სხვამ განაგრძოს“ (ნახ. ბაქრაძის ისტორია გ. 55). ჩვენის აზრით, ავტორი ბაგრატიონების ისტორიისა მართლაც ტალ-გლარჯეთის ბაგრატიონებს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც სამართლიანათ შენიშნავს დ. ბაქრაძე, მაგრამ შეუძლებელია ის იმ სუმბატ არტანუჯელათ ვაღვიანროთ, რომელიც 988 წელს გარდაცვლილა. თუ სუმბატის შრომას მარტო 988 წლამდის ვიცნობთ და დანარჩენს მერმე მიმატებულათ ჩავთვლით, გამოვა, რომ თითქმის ნასკვარნი იმისი, რაც ესლა სუმბატის ისტორიას შეადგენს, სუმბატს არ ჰქუთნებია. ამას გარდა რიგი და წესი სრონიკისა თავიდგან დაწყებული ბოლომდის ერთგვარია, და არა ვგონებ, რომ რანი სხვა და სხვა ავტორის შრომას სრულებით ერთგვარი სასიათი ჰქონდეს. სუმბატის ისტორია არა თუ გაგრძელებული არ არის, არამედ პირ იქით ისე მოულოდნელად არის შეწყვეტილი ბაგრატ IV დედის მარამ დედოფლის გამგზავრებაზე საბერძნეთში, რომ თითქო რაღაც აკლიაო, თითქო ჩვენამდის სრულათ არ მოღწეულა. ეჭვი არ არის, რომ სუმბატი თავის დრომდის მოიყვანდა ბაგრატიონების ისტორიას და რეთიც უფრო თავის დროს დაუახლოვდებოდა, მით მეტი ცნობები ექნებოდა ხელში, როგორც თანამედროვე პირს. მართლაც და სუმბატი უფრო დაწვრილებით მოკვითსრობს თავის ისტორიის ბოლოში გიორგი მეფის და ბასილი მეფის რმებს¹⁾. ეს გარემოება გვაფიქრებინებს,

¹⁾ ნახ. სუმბატის ისტორია, გ. 67—79.

რომ ავტორი თანამედროვე იყო ამ ფაქტებისა. ამიტომაც უნდა ვაღვიაროთ, რომ სუმბატს, ჩვენი ხრონიკის ავტორს, ჩვენ სრულებით არ ვიტყვით, მაგრამ სასკეშმარტოდ მიგვაჩნია, რომ ის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგანი იყო და მეთერთმეტე საუკუნეში ცხოვრობდა.

თავის ისტორიის შესადგენათ სუმბატს უსარგებლებია სხვა და სხვა წყაროებით. ორი ამ წყაროთაგანი ცხადია, რაში მდგომარეობდა. ერთი არის დახადება, რომლიდანაც ავტორს ამოუღია გენეალოგია და გვარამჭურჭაძის დახადება წინასწარ-მეტყველის შთამომავლობისა დაუკავშირებია. მეორე წყარო არის ქართლის მოქცევის ხრონიკა, საიდანაც, როგორც უკვე შევნიშნეთ, სუმბატს თითქმის სიტყვა სიტყვით გადმოუწერია ისტორიული ცნობები პირველ ერისთვის გვარამდგან დაწეული სტეფანოს II დრომდის ¹⁾. დანარჩენი ცნობები, ჩვენის აზრით, ავტორს უნდა გამოეკრებოს სხვა და სხვა ხრონიკებიდან და ბაგრატიონების საგვარეულო დათრებიდან. ეჭვი არ არის, რომ სუმბატს ისეთი მანუსკრიპტი ჰქონია ხელში, რომელშიც დაწერილები აღნიშნული ყოფილა შთამომავლობა თითოეული ბაგრატიონისა, ღ აგრეთვე დრო, თუ რომელი ბაგრატიონი, რომელ წელს მოკვდა. ამიტომაც სუმბატის ისტორია ძირიელ ბევრს ქრონოლოგიურ ფაქტებს გვაძლევს და ამ მხრით ბადალი არა უავს ძველ ხრონიკებში. თვით ხუთასიანი ქორონიკონი პირველათ იხმარება არა

¹⁾ ნახ. ქართლის მოქცევის ხრონიკა გ. 34—37 და სუმბატის ისტ. გ. 45—50.

ქართლის ცხოვრებაში, როგორც თქვამდა დ. ბაქრაძე¹⁾,
 ანამედ ამ სუმბატის სწონიკაში და აქედან მეტე
 ნილია ქართლის ცხოვრებაში. ეს პირველათ სმარებული
 ქორონიკონი უჩვენებს 826 წელს, აშოტ გურჯაანის სი-
 კვდილის დროს (ნახ. ქვემოთ გ. 55). ჩვენის აზრით, სუმბატს
 უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე პირველათ შეტანა მწერლობაში
 იმ გარდმოცემისა, რომლითაც ქართველთ ბაგრატიონებს ხა-
 დიან დავით წინასწარ-მეტყველის ნათესავათ. ამ გარდმო-
 ცემის მისედვით მოუწევია სუმბატს გენეალოგიაც და
 პირველი ერისთავი გვარამ გამოუყვანია დავით-წინასწარ-
 მეთყველის შთამომავალად. მართლაც და ვის უნდა გაე-
 ტარებინა ეს აზრი მწერლობაში, თუ არ ბაგრატიონების
 ისტორიის ავტორს და თვით ბაგრატიონს? რომ ეს აზრი
 წინეთ არ ყოფილა შეტანილი მწერლობაში, ამას ამტკიცებს
 ქართლის მოქცევის სწონიკა, სადაც გვარამი დავითის
 ნათესავად მოხსენებული არ არის, და თვით იმ ქართლის
 ცხოვრების ტექსტი, რომელშიც სუმბატის ისტორიის წინ-
 ბები შეჩუვლი არ არის. ასეთია, როგორც ვიცით, მარ-
 ამის ვარნიანტი და ეს ვარნიანტი მოხსენიებს რა ქართ-
 ველთ ერისთავების თხოვას კეისარისაგან, რათა მან კეი-
 სარმან მოსცეს ქართველებს მეფე ნათესავისაგან მეფე-
 თა ქართველთასა, განაგრძობს: „მამინ კეისარმან
 რულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ დის-წული შირ-
 დატისი, ვასტანგის ძისა, ბერძნისა ცოლისა, რომელსა
 ერქვა გუარამი, რომელი მთავრობდა კლარჯეთს. ამას

¹⁾ ნახ. ვახუშტის ისტორია, გ. 118, გვ. 1.

გუარამის მისცა კეისარმან კურატორება და წარგზავ-
 ნა მცხეთას“. აქ, როგორც თვით მკითხველიც ხე-
 დავს, გუარამის დავითისაგან შთამომავლობაზე არაფერი
 არ არის ნათქვამი. ასეა ეს ადგილი მოყვანილი სხვა ვა-
 რიანტებშიაც, მაგრამ სხვა ვარიანტები ამას შემდეგ უმა-
 ტებენ სუმბატის გენეალოგიას, რომელშიაც გუარამი და-
 ვითის ნათესავათ არის გამოყვანილი, და მით ავსებენ
 თითქო ქართლის ცხოვრების ნაკლს. მარამის ვარიანტი
 აგერ გვიან მოიხსენიებს ადარნასე ერისთავს დავით წინას-
 წარ-მეტყველის ნათესავათ: „მამინ მოვიდა მისსა (ე. ი.
 ანჩილ II) მთავარი ერთი რომელი იყო ნათესავიდგან
 დავით წინასწარ-მეტყველისა, სახელით ადარნასე, დის-წუ-
 ლი (ქართლის ცხოვრებით ძმის-წული) ადარნასე ბრძმისა,
 რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთადაც,
 და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა
 სომხითისათა“ (გ. 215). ეს ადგილი სხვა ვარიანტებშიაც
 არის (ნ. ქ. ცხ. გ. 180) და შეიძლება სუმბატის ისტო-
 რიის გავლენით იყოს შეტანილი ქართლის ცხოვრებაში.

სანტეგრესოა თვით ქართლის ცხოვრების თავდაპირვე-
 ლი ტექსტის და სუმბატის ისტორიის შედარება ერთი-
 ერთმანეთთან. თუ როგორი იყო დაკავშირებულათ ქართ-
 ლის ცხოვრების ტექსტი გუარამ კურატორებად დაწე-
 ბული ბაგრატ მეოთხის მეფობამდის, ეს მარამი დედოფ-
 ლის ვარიანტიდან სჩანს, რომელშიც ძველი ტექსტი
 განცალკევებულია და სუმბატის ისტორიის ფრაგმენტით აჭა-
 რებულად არ არის. ასეთივე ტექსტი დაკვრება ხეენ, თუ
 სხვა ვარიანტებისაგან გამოიწველილათ სუმბატის ისტორი-

ის ცნობებს. ამ ქართლის ცხოვრების თავდაპირველი ტექსტის შედარებამ სუმბატის ისტორიასთან იმ დასკვნასზე მიგვიყვანა, რომ ორში ერთი უნდა ვაღვინაოთ: ან სუმბატს უსარგებლებია ქართლის ცხოვრებით, ან და ქართლის ცხოვრების შემადგენელს სუმბატის ისტორიით. რომელი აზრია ამათში მისაღები, გადაჭრით თქმა არ შეუძლებია, ვინაიდან არ ვიცით, ქართლის ცხოვრებას უმაღლ შედგენილი თუ სუმბატის ისტორია. ხოლო მსგავსება მათ ცნობათა შორის კი აშკარაა. განსაკუთრებით ერთგვარათა ანაზნა მოთხრობილნი გიორგი მეფის და ბასილის ომები. ზოგიერთი ცნობები და ფაქტები ერთგვარათა ანაზნა გადამოცემულნი როგორც სუმბატის ტექსტში, ისე ქართლის ცხოვრებაშია, მაგრამ როდესაც სუმბატის ისტორია ხელშეორეთ შეუტანიათ და შეუქსოვნიათ ქართლის ცხოვრების თავდაპირველი ტექსტისა, არ მიუქცევიათ ყურადღება, საჭიროა თუ არა რომელიმე ფრაზის გამოშვება, რომელიც იმეორება ქართლის ცხოვრებაშიც და სუმბატის ისტორიაშიც. ამიტომაც ეხლანდელ ქართლის ცხოვრების ტექსტში ხშირათ შესვდებით ორ ერთგვარ ფრაზას და ცნობას ერთ და იმავე საგნის შესახებ. ეს მოვლენა ჩვენთვის გაუგებარია იყო, მანამ სუმბატის ისტორიას ქართლის ცხოვრების ტექსტს შეუდარებდით.

მაგრამ საკითხავი ესაა, ვინ მიიღო შრომა და ეს სუმბატის ისტორია შეაკერა ქართლის ცხოვრების ტექსტს და რატომ სუმბატის ხრონიკა ცალკე თავათ მარტო მანამ დედოფლის ვარსკლავისა და სხვებში არა? ამ კითხვებზე სრული პასუხი მაშინ შეიძლება მივსცეთ, როდესაც დაწ-

ურილებით განვიხილავთ უკელა ქართლის ცხოვრების ვარ-
 სანტებს და ვრცლათ შევეხებით ვახტანგის რედაქციას.
 მაგრამ რაკი ეს განხილვა ძრეელ შორს წაგვიყვანს და აქ
 ადგილიც არა გვაქვს სრული აღწერილობა მოვიყვანოთ იმ
 ვარსანტებისა, რომელნიც ესლას ხელში გვაქვს, ამისათვის
 სრულ ჩვენს აზრს უკელა ამ კითხვების შესახებ სხვა
 დროს და სხვა ადგილს წარმოუდგენთ მკითხველს. ესლას
 მხოლოდ აღვნიშნავთ, რა დასკვნაზე მიგვიყვანა ჩვენ ქარ-
 თლის ცხოვრების სხვა და სხვა ვარსანტების შესწავლამ,
 და ბოდიშს ვითით, რომ ჩვენი აზრი აქ ისე დასაბუთე-
 ბული ვერ იქნება, როგორც საჭიროა. ჩვენის აზრით, სუმ-
 ბატის ისტორიის შექსოვა და შეკერება ქართლის ცხოვრე-
 ბის ტექსტისათვის ვახტანგ VI რედაქციას ეკუთვნის. ეს
 არის უმთავრესი უკელა იმაში, რაც ვახტანგს ქართლის
 ცხოვრებისა მიუძღუბია. მაგრამ ვახტანგის რედაქციას სხვა
 შრომაც მიუძღვის ქართლის ცხოვრებაში. ამ რედაქციას
 მეფობის-და-გვალად დაუყვია თავებად ქართლის ცხოვრების
 ტექსტი, თითოეული მეფობისათვის სათაური დაუსვამს და
 აღვნიშნავს, თუ მეჩამდენა სათაურში ნაჩვენები მეფე-
 ამს გარდა ვახტანგის რედაქციას ახლად შეუტანია ქარ-
 თლის ცხოვრებაში: 1) ვრცელი ისტორია იესო ქრისტეს
 კვართის მცხეთაში მოტანისა (ნახ. ქ. ცხ. გ. 40—41);
 2) ღვთის-მშობლისადმი წილად ხდომას საქართველოს ქვე-
 ყნის მოქცევისა და ანდრია მოციქულის მოწვევა და ქადა-
 გება საქართველოში (გ. 41—46); 3) ცხოვრება მურ-
 ვანოზისა, ანუ წმიდისა ჰეტრესი (გ. 102—105); 4) ცხოვ-
 რება ათორმეტთა სირიელთა მამათა (გ. 151—159);

5) დადგენილობა მეექვსე მსოფლიო კრებისა ქართველთა კათალიკოსების სამწყურს და დამოუკიდებლობის შესახებ (გ. 171—172) და აგრეთვე ცნობები კათალიკოსების თაბორისა ჭ სამოელის შესახებ სტეფანოს II დროს; 6) ქრონოლოგიური ცნობები ტაოელთა ბაგრატიონების შესახებ, რომელნიც აჩუქათ სუმბატის ისტორიიდან არიან შემოტანილნი (ქ. ცხ. გ. 193); 7) მოთხრობა დავით გურჯაანის მიერ ბაგრატ-სკლეროსის დამარცხებისა (გ. 206), რომელიც სიტყვა სიტყვით ამოღებულია ათონის მანუსკრიპტიდან, სადაც მოიხროება ცხოვრება მთაწმინდელთა მამათა ეფთიმესი და გიორგისი (ეს მანუსკრიპტი ესწავა ჩვენს საეკლესიო მუზეუმში ინახება); 8) მოთხრობა და ცნობები სიმონ და მელქისედეკ კათალიკოსების შესახებ ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV დროს (ქ. ცხ. გ. 212—213 და 218); 9) მცხეთის გუჯარი 1040 წ. (გ. 221—222), რომლის პირი საქართველო იმერეთის გუჯართ კრების წიგნშია; არის შეტანილი № 378, და რომელიც შეიცავს კათალიკოს მელქისედექის მიერ შედგენილს სიას ბერძენთა მეფეების კოსტანტინე და ბასილისაგან მოპოვებულ სამცხეთო მიწა-ადგილთა და სამკაულთა. გუჯარი დამტკიცებულია ბაგრატ გურჯაანის და კახთ მეფის კვირიკეს მიერ; 10) მოთხრობა, თუ როგორ გიორგი მთაწმინდელმა ინახულა კოსტანტინეპოლში ბაგრატ IV და მარიამ დედოფალი ჭ ამ უკანასკნელთა მიერ მოწოდება საქართველოში გიორგისა (გ. 226—227); 11) ცნობები ბაგრატის ასულის მართას გაგზავნის შესახებ საბერძენეთში, სიკვდილი თეოდორა დედოფლისა და მარიამ დედოფლის

კონსტანტინეპოლიდგან იერუსალიმში გამგზავრების განზ-
 რახვა ჯ გიორგი მთაწმინდელისაგან დაშლას (გ. 229—230);
 12) გარდა ამისა კონსტანტინის რედაქციას ეკუთვნის უეჭვე-
 ლად შოგიერთი სიტყვები და ფრაზები, რომელნიც უძ-
 კვეს ვარინტებში არ მოიპოვებიან, და რომელნიც, რო-
 გორც ერთობა, შეძვევ არიან ჩაკერებულნი ქართლის ცხო-
 ვრების ტექსტში.

რომ უკვლას შემოხსენებული მოთხრობანი, ცხოვ-
 რებანი, თუ ცნობები შეტანილია ქართლის ცხოვრება-
 ში. კონსტანტინის რედაქციის მიერ, ამას უეჭველათ ამტკი-
 ცებს მარამ დედოფლის ვარინტი, რომელშიაც არც
 ერთი შემო-ნაჩვენები სტატია არ მოიპოვება. მარამის ვარი-
 ნტი ერთათ ერთი ვარინტია აქამოდვე ცნობილ ვარინ-
 ტებთა შორის, რომელზედაც შეგვიძლია გადაჭრით თქმა,
 რომ კონსტანტინის ადრინდელ დროს ეკუთვნის. მარამის
 ვარინტში ოცს სხვა და სხვა ადგილს მოხსენებულია მა-
 რამ დედოფალი, რომლის ბრძანებით გადაუწერიათ ხსენე-
 ბული ვარინტი, და სამს ადგილს იხსენიება, როგორც
 ცოცხალი, პირველ ძე მარამისი ოტია. ოტია იყო მარამ-
 ამ დედოფლის და გურიელი სვიმონის შვილი. 1636 წელს
 მარამი გაჭევა ცოლად ქართლის მეფეს როსტომს, რომე-
 ლიც ოტიას, თარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, შვილ-
 სავით ზდიდა. ოტია მიიცვალა 1646 წელს და სამაგა-
 ლითო გლავის და ტირილის შეძვევ დამარხეს მცხეთა-
 ში 1). აქედგან ცხადია, რომ მარამის ვარინტი გადაწერილი

1) ნახ. ქ. ცხ. ტ II, გ. 525—525 და ბროსეს Int-
 roduction-ი გ. CXCVI—CC.

ყოფილა 1636—1646 წლებში. ამ დროს ვახტანგი და-
ბადებულ იცა არა ყოფილა (ვახტანგი დაიბადა 1675 წელს).
მასთანადე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მარტომ დედოფლის
ვარნიანტი ვახტანგ VI აღწინდელ დროს ეგუთვნის. ესევე
არ შეიძლება ვსთქვათ სხვა ვარნიანტებზე. გარდა მარნიანტის
ვარნიანტისა აქამომდე არ არის აღმოჩენილი არც ერთი
ვარნიანტი, რომელსაც ვახტანგის რედაქციის წინა-სიტუა-
ობა არ მიუძღოდეს, და რომელზედაც გადაჭრით შეიძ-
ლებოდა თქმა, რომ ვახტანგის აღწინდელ დროს ეგუთ-
ვნის. სხვა აქამომდე ცნობილ ვარნიანტებთან შორის უძვე-
ლესათ ითვლებიან ხუცუჭათ ნაწერი თეიმურაზ ბატონი-
შვილის ვარნიანტი, რომელიც ეხლა ჰეტეროგონის სამეც-
ნიერო აკადემიას ეგუთვნის, და თეიმურაზისვე ნაქონები
მხედრულათ ნაწერი რუმინეცის მუხეუმის ვარნიანტი მონ-
გოვში. ამ ორ ვარნიანტს დაემყარა განსაკუთრებით ბრძო-
სე თავის ქართლის ცხოვრების გამოცემაში და ამ ორ
ვარნიანტს საღის დ. ბაქრაძე ვახტანგის აღწინდელ დროის
ვარნიანტებათ ¹⁾). მაგრამ რომ რუმინეცის ვარნიანტი ვახტან-
გის წინა დროს არ ეგუთვნის, ამას ამტკიცებს ერთი შე-
ნიშვნა ვახტანგ გორგასლანის მეფობის შესახებ, რომე-
ლიც იკითხება ასე: „ვახტანგის სიმამრი ლეონ მკველი.
ლეონიდას ამ ქორთნიკონს „ტყუზ“-ამდინ არის წელიწადი

1) Бакрадзе. Статьи по истории и древностямъ Гру-
зии. Приложение № LV-му тому зап. Им. Ак. Наукъ,
стр. 15.

ათს ეს ოთხმოცდა ოცა¹⁾. ქორონიკონი „ტყზ“ უდრის 1709 წელს და აშკარაა, რომ რუმინელების ვარდისა და წილის უფროსი გადაწერილი. ჩვენ არ შეგვიძლება იმ შეტომისზე, რომ ვიზანტიის მეფის ლეონ I მკაცრიდან 1709 წლამდე 1188 წელი კი არა 1235 წელს გასული, არ შეგვიძლება იმიტომ, რომ ამ შეტომის ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც არაფერს უშლის ჩვენს დასკვნას. 1709 წელს ვახტანგ VI 34 წლის იყო და ისეთი შესანიშნავი შრომა, როგორც არის მისი სამართლის წიგნი, გამოცემული ჰქონდა. მაშასადამე, ჩვენთვის გასაკვირვებელი არ უნდა იყოს, რომ ამ დრომდე ვახტანგი ქართლის ცხოვრების რედაქციასაც მოასწრობდა, მით უმეტეს, რომ ქართლის ცხოვრებაში ვახტანგს ბევრად უფრო ნაკლები შრომა მიუძღვის, ვიდრე სამართლის კრებულში, რომელიც მან გამოსცა 1703, თუ 1704 წელს. მეორე მინაწერი რუმინელების ვარდისა და წილის უფროსი ასახულებს ამ აზრს და ცხადად უჩვენებს, რომ ვახტანგის რედაქციას მართლაც ჰქონია ადგილი ქართლის ცხოვრებაში. ხსენებულ ვარდისა და წილის უფროსი ცხოვრება მუშავანობისი, ანუ წმ. პეტრესი, გადაწერილი შენიშვნაში მიმართავს წმ. პეტრეს და სთხოვს, შეიწყოს ბატონიშვილი ვახტანგი, მისი მეუღლე და შვილები და ასულნი მისნი, წადგანაც მან (ვახტანგმა) იპოვა ჭ

¹⁾ იხ. ქ. ცხ. გ. 148, შ. 2, და Hist. de la Géor. t. I, p. 199, n. 1.

გამოაქვეყნა შემოკლებით ამ წმიდანის ცხოვრება¹⁾. ეს შენიშვნა რუმიანცევის ვარციანტისა აშკარათ უჩვენებს, რომ წმ. პეტრეს ცხოვრება ვახტანგის მიერ ყოფილა შეტანილი ჩვენს მატიაზეში. მასშასადაძე, ვახტანგს რაღაც შრომა მიუძღვის ქართლის ცხოვრებაში, და შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს შრომა მარტო წმ. პეტრეს ცხოვრების მიმატებით თავდებოდეს. ამისათვის ვახტანგის რედაქციის უარის-ყოფა ყოველად უადგილია. ზემოთ ჩვენ შესაძლოთ დავინახეთ, რომ ვახტანგის რედაქცია 1709 წლადის მომხთარ-იყო, მასშასადაძე იმ დროებში, როდესაც ვახტანგი ჯერ კიდევ მეფე არა ყოფილა. ამას ეძღვნება ჩვენ მიერ მოყვანილი შენიშვნაც, რომელშიაც ვახტანგი ბატონიშვილათ ისვენებდა და არა მეფეთ. მასშასადაძე, ქართლის ცხოვრების რედაქცია 1711 წ. აღწინდელ დროს ეკუთვნის, ანუ უფრო დაახლოვებით, როგორც ნახვენებია, 1709 წლის წინეთ უნდა ყოფილ-იყო. ყველა ამანებდგან, რაც რუმიანცევის ვარციანტის შესახებ ითქვას, ცხადია, რომ ხსენებული ვარციანტი ვახტანგის დროს ეკუთვნის და არა ვახტანგის აღწინდელ დროს, და რომ ვახტანგის რედაქციის კვალი აშკარათ ეტყობა ამ ვარციანტს.

რაც შეეხება თეიმურაზ ბატონიშვილის ვარციანტს უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ვარციანტი, როგორც სხვებიც, იწყება ვახტანგის წინა-სიტყუაობით, მაგრამ პირველი ფურცელი ამ ვარციანტისა დაწერილი ყოფილა არა ტექსტის ხელით და, როგორც შენიშნავს ბროსსე, მეტყე უნდა იყოს

¹⁾ ნახ. Hist. de la Géor. p. 139, n. 1.

შიმატებული ¹). ეს გარემოება მოყვით საბუთათ თეიმურაზის ვარჩანტის სიძველისა. მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, არაფერს არ ამტკიცებს. თეიმურაზის ვარჩანტი მეთვრამეტე საუკუნის დასასრულსაც რომ ეკუთვნოდეს, მაშინაც შესაძლოა დაკარგულიყო პირველი ფურცელი და მერმე მიმატებულია ნაკლები ტექსტი. განა ცოტა გვაქვს ჩვენ მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერები, რომელთაც ზოგიერთი ფურცლები ჭკლებიათ და რომელნიც სხვა ხელით არიან შეკვსებული? განა ეს გარემოება მანდა მანც სიძველესა ნიშნავს? არა მგონია, რომ ეს ვინმემ ხელ-ჩასაჭერ საბუთათ მიიღოს თეიმურაზის ვარჩანტის სიძველისა. არც ის მიიღება სიძველის ნიშნათ, რომ ეს ვარჩანტი ხუცურის ხელით არის ნაწერი. არ მიიღება მიტომ, რომ ჩვენ ბევრი გვაქვს ხუცურათ ნაწერი ხელ-ნაწერები ვახტანგ მეფის განონებისა, ანტონ კათალიკოსის თხზულებებისა და სხვა წიგნებისც, რომელნიც მეთვრამეტე საუკუნეში არიან შედგენილნი. თეიმურაზის ვარჩანტის შესახებ ეს შემდეგა მხოლოდთ გადაჭრით ითქვას, რომ 1725 წლის აღრიხნდელ დროს ეკუთვნის, ვინაიღვან ამ წლის მინაწერი არა ტექსტის ხელით უჩვენებს, რომ ხსენებული ვარჩანტი ჭკუთნებია იმერეთის მეფეს ალექსანდრე V ²). სხვა საუკუნადდებო მინაწერს ამ ვარჩანტისას ბროსესე არსად არ უჩვენებს. ამგვარათ ჩვენ თვით თეიმურაზის ვარჩანტში ვერ ვპოულობთ ვერაფერ გარკვან საბუთს, რომე-

¹) იხ. ქ. ცხ. ტ I, გ. 15, შენ. 1.

²) Brosset, Voyage arch Rapp. 4, p. 5.

ლიც ხსენებელი ვარციანტის სიძველეს ამტკიცებდეს და ამიტომაც მას ვახტანგის ადრინდელ დროს ვერ მივაწერო.

გარდა ამ ორი ვარციანტისა ბერძნულ სხვა ვარციანტებიც ქრონიკა ხელში, მაგრამ მათი სიძველეს შესასებრძოლსე არაფერს არ ამბობს და ეტყობა არც არაფრით უოფილან შესანიშნავნი. ჩვენ გარდა მარცხ დედოფლის ვარციანტისა ხელში გვაქვს ესლა მეგრელიის და ბარათაშვილის ვარციანტები, რომელნიც ფრინდ საყურადღებონი არიან, მაგრამ ვახტანგის ადრინდელ დროს კი არ ეკუთვნიან. ბარათაშვილის ვარციანტი, რომელც თარღი უჩვენებს, გადაწერილია 1761 წელს. მეგრელიის ვარციანტს ბოლოში აკლია და თარღი არა სჩანს, მაგრამ გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვახტანგის ადრინდელ დროს არ ეკუთვნიან. ამის დასამტკიცებლათ ისიც საკმაოა მოვიყვანოთ, რომ ხსენებულ ვარციანტში გადაწერილი ხმარობს იმ ნახევარ-ხმოვან ასოს, რომელიც ანტონ კათალიკოსმა შემოიღო თავის გრამატიკაში ადვილად გამოასათქმელათ იმ სიტყვებისა, რომლებშიც რამოდენიმე უხმო ასონი იკრიბებიან ერთათ.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ უველა აქამომდე ცნობილი ვარციანტები, გარდა მარცხის ვარციანტისა, ეკუთვნიან ვახტანგის რედაქციის შემდეგ დროს და უველას ვახტანგის რედაქციის წინა-სიტყვაობა მიუძღვის. მარცხის ვარციანტი ერთათ ერთი ვარციანტია, რომელიც ვახტანგის ადრინდელ დროს ეკუთვნიან, და თუ ამ ვარციანტს სხვა ვარციანტებს შევუდარებთ, ცხადათ დავინახავთ, რა ეკუთვნიან ვახტანგის რედაქციას ქართლის ცხოვრებაში. მარცხის ვა-

წიანტში არ არის რასაკვირველია წინა-სიტყვაობა ვასტან-^{თქმის}
 გის რედაქციისა; ტექსტი ქართლის ცხოვრებისა არ არის ^{ყაბრი}
 თავებათ დაყოფილი მეოთხის-და-გვალადა; სუბსტის ისტო-
 რია ცალკე თავათ არის მოყვანილი და მისი ცნობები არ
 არიან ჩაკერებულნი აქა იქ ქართლის ცხოვრების თავ-და-
 შირველ ტექსტში. ამას გარდა მარიამის ვარიანტში არ
 მოიპოვებინა არც ერთნი ის სტატიები და ცნობები, რომელ-
 ნიც ჩვენ ზემო აღვნიშნეთ და ვასტანგის რედაქციის მიერ
 შეტანილათ ვადვიარეთ ქართლის ცხოვრებაში. აშკარაა, რომ
 უგულვას ეს ცვლილებანი და დამატებანი ეგუთვნის ვასტანგის
 რედაქციას. თუ ვასტანგის რედაქცია არ ყოფილ-იყო ქართლის
 ცხოვრების ვარიანტებს ის სახე ექმნებოდათ, როგორც მარამ
 დედოფლის ვარიანტს აქვს. გარდა მარიამის ვარიანტისა ჩვენ
 სხვაც გვაქვს საბუთი, რომ ძველათ ქართლის ცხოვრებაში
 არა ყოფილა ის სტატიები, რომელნიც ჩვენ ვასტანგის
 შეტანილათ მიგვაჩნია. ეგრეთ წოდებულ Chronique ar-
 ménienne-ში, ანუ სომხურ შემოკლებულ ქართლის ცხოვ-
 რების თარგმანში, არ მოიპოვებინა ჩვენ მიერ აღნიშნულნი
 სტატიები და ცნობები. სომხის მწერალს მსიტარ აირივან-
 ქელს, რომელიც ცხოვრობდა მეცამეტე საუკუნის გა-
 სულს, შემოაქვს თავის ქრონოლოგიურ ისტორიაში სია-
 საქართველოს მეფეთა და კათალიკოსთა. ეს სია, როგორც
 ეტყობა, მსიტარს შეუდგენია ქართლის ცხოვრებიდან,
 მაგრამ კათალიკოსთა სიაში მსიტარი არ იხსენიებს ეონს.
 სტეფანოს II-ს დროს, სიმონს გიორგი I-დროს, მელ-
 ჭისედექს, ოქროშირს და გიორგი ტაოელს ბაგრატ IV-ს
 დროს, გაბრიელ სავარელს იმავე ბაგრატისა და გიორგი II-ს

დროს ¹⁾. ეტყობა, მხიტარის დროს ქართლის ცხოვრებაში არა ყოფილა ცნობები ამ კათალიკოსების შესახებ. ხსენებული კათალიკოსები ცნობილნი არიან მხოლოდ თეიმურაზის ვარჩანტით და არ იხსენიებიან სხვა ვარჩანტებში. ამას გარდა ყველა ის სტატიები, რომელნიც ვახტანგის რედაქციას მივაწერეთ, სრულათ მოიპოვებინა მარტო თეიმურაზის ვარჩანტში და სხვებში ზოგიერთი მათგანი გამოშვებულია. ეს სისრულე თეიმურაზის ვარჩანტისა შედარებით სხვა ვარჩანტებთან კვათაქრებინებს, რომ ხსენებული ვარჩანტი, თუ ის ვარჩანტი არ არის, რომელიც თვით ვახტანგს შეუსწორებია და შეუგისია, რაც ჩვენ საჭეშმარტოდ მიგვაჩნია, ყოველ შემთხვევაში ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ნანდელი პირი უნდა იყოს. ვახტანგის რედაქციის ხელი ისე არ ეტყობა სხვა ვარჩანტებს, როგორც თეიმურაზის ვარჩანტს. რაც ცვლილება მოუხდენია ვახტანგს ქართლის ცხოვრებაში, ეს ყველაზე უფრო თეიმურაზის ვარჩანტიდან სჩანს. ამიტომაც სუმბატის ისტორია თითქმის მთლათ მარტო ამ ვარჩანტშია შეტანილი. ამასთანავე თეიმურაზის ვარჩანტში ჩვენ ვპოულობთ მრავალ სხვადასხვა შენიშვნებს, რომლებშიც განსაკუთრებით განმარტებულინი არიან გეოგრაფიული სახელები. ყველა ეს შენიშვნები, ჩვენის აზრით, ვახტანგის რედაქციას ეკუთვნის. ეს მოვლენა, რომ ვახტანგის მიერ ქართლის ცხოვრებაში შეტანილი სტატიები ყველანი არ მოიპოვებინა სხვა და

¹⁾ ნახ. Mémoires de l'Academi Imp. VII-e série, t. XIII, № 5, p. 15.

სხვა ვასტანგის შემდეგ დროის ვარჩანტებში, ადვილათ ასახსნელია. ჩვენ არ გვინახავს ქართლის ცხოვრების ვარჩანტი, რომელიც მარტო ერთ დედანზე იყო დაძვარებული. გადამწერს რომელიმე ვარჩანტისა ყოველთვის სამი-ოთხი დედანი ჭქონია ხელში. მეგრელების ვარჩანტი სამს დედანს უჩვენებს „მცხეთისა, მეფისა და ერისთვისა“. ბაჩათაშვილის ვარჩანტი ბოლო-სიტყვაობაში სვეტიცხოვლის, ესე იგი მცხეთისავე ვარჩანტს მოიხსენიებს, მაგრამ ტექსტის შენიშვნებიდან სჩანს, რომ მის გადამწერს სამივე სხვა ვარჩანტი ჭქონია ხელში. ეჭვი არ არის, რომ ზოგიერთი ვარჩანტები ვასტანგის ადრინდელ დროის იქნებოდნენ, მაგრამ გადამწერნი საზოგადოთ ვასტანგის რედაქციას დედანს ემყარებიან, როგორც უფრო სრულს, თავებათ დაყოფილს, და სისტემატიურათ დაწყობილს. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში უშვებენ იმ სტატიებს, რომელნიც ძველ ვარჩანტებში არ მოიპოვებიან და რომელნიც მათ მეტათ მიჩნიათ. ერთი სიტყვით ყველაფერში მთლათ არ ემყარებიან ვასტანგის რედაქციას და ხან ძველი ვარჩანტითაც სარგებლობენ, ამისათვის სისრულე, თუ უსრულობა რომელიმე ვარჩანტისა გადამწერის აჩვენებს და მოკიდებული. ამის დასამტკიცებლათ საკმაოა მოვიყვანოთ შემდეგი: მეგრელების და ბაჩათაშვილის ვარჩანტები, როგორც შევნიშნეთ, სხვათა შორის თავიანთ დედნათ უჩვენებენ მცხეთის ვარჩანტს. მცხეთის ქართლის ცხოვრების ხელნაწერი უსათუოთ ძველი უნდა ყოფილ-იყო, რადგანც ერთი გუჯარი 1546 წლისა, რომელიც ესლა ჩვენ საეკლესიო მუზეუმშია, მცხეთის წიგნებთა შორის უჩვენებს ერთს

ქართლის ცხოვრების ცალსაც. ეტყობა მეგრელების ვარ-
 ხანტის გადაძწერი უფრო მცხეთის ვარხანტზე დამყარებუ-
 ლა და ამიტომაც უმეტესი ნაწილი იმ სტატიებისა, რომ-
 ელნიც ვახტანგს შეუტანია ქართლის ცხოვრებაში, და
 რომელნიც მარამ დედოფლის ვარხანტში არ მოიპოვე-
 ბიან, არც მეგრელების ვარხანტში სჩანან, ბაჩათაშვილის
 ვარხანტში კი მოუვანილია თითქმის ყველა ის სტატიები,
 რომელნიც ვახტანგის რედაქციას ეკუთვნიან, გარდა ცხო-
 ბებისა კათალიკოსების შესახებ. ცხადია, რომ უკანასკნელი
 ვარხანტის გადაძწერი უფრო ვახტანგის რედაქციის დე-
 დანზე დამყარებულია და მცხეთის ვარხანტის მიხედვით არ
 გამოუშვია ის, რაც სახლ ვარხანტებში იყო. რომ ამ რჩი
 ვარხანტის გადაძწერით ერთგვარად ეხელმძღვანელებინათ
 მცხეთის დედნით, მასშინ მათ შორის არავითარი გან-
 სხვავება არ იქნებოდა.

ქართლის ცხოვრების რედაქციის შესახებ სხვა და
 სხვა აზრი იყო სხვა და სხვა დროს გამოთქმული. თავდა-
 შირკულად, როდესაც უცხოელ მეცნიერებმა ქართული წყა-
 რების შესწავლა დაიწყეს, ვახტანგს არა თუ რედაქციას
 მიაწერდენ, არამედ ქართლის ცხოვრებას მთლად ვახტან-
 გის შეთხზულად ხაზადენ. ბროსემ უარ-ყო ეს აზრი
 და, როდესაც ქართლის ცხოვრების ტექსტი *Chronique
 arménienne*-ს შეუდარა, პირ-და-პირ აღიარა, რომ
 „ამ თავიდან ის ქართლის ცხოვრებას ვახტანგს აღარ
 მიაწერს“ 1). მაგრამ ამით ვახტანგის რედაქცია უარ

1) Brosset. Hist. de la Géor Introduction, p XVIII.

არ უყვია ბროსსეს. ბროსსეს აზრით, რომელიც მან ვახტანგის წინასიტყვაობის განსილვის გამო გამოსთქვა, „ვახტანგს შეუგრებია ერთათ მოთხრობანი, ანუ მას დროს გაზნეულნი ცნობანი, მიუმატებია მათთვის, როგორც სწანს, რამოდენიმე დაწვრილებითი ცნობები, რომელთაც სამწუხაროთ ის არ უჩვენებს, ასე რომ შეუძლებელია ვიცოდეთ, რა ეგუთენის ვახტანგს ქართლის ცხოვრებაში“¹⁾. ესლა უფრო გაგრძელებული აზრი ჩვენს საზოგადოებაში ვახტანგის რედაქციის შესახებ განსკენებულ დ. ბაქრაძეს ეგუთენის. მან, როდესაც მ:რამ დედოფლის ვარჩანტი განიხილა, სრულებით უარ-ყო ვახტანგის რედაქცია და ვახტანგის წინასიტყვაობა ქართლის ცხოვრებაში თეიმურაზ ბატონიშვილს მიაწერა. ამას გარდა, როგორც შეგნიშნეთ, ბაქრაძე თეიმურაზის და რუმიანცევის ვარჩანტებს ვახტანგის აღწინდელ დროს მიაწერს²⁾. ჩვენ, როგორც მკითხველიც სედავს, იმავე მარამ დედოფლის ვარჩანტის შესწავლამ სულ წინააღმდეგ დასკვნაზე მიგვიყვანა. აქ უაღვილოობის გამო დაწვრილებით ვერ განვიხილეთ ეს კითხვა, მაგრამ რაც ვსთქვით, ისიც სკამათ მივკანსია, რომ ვახტანგის რედაქცია გიცნათ ქართლის ცხოვრებაში. საფუძველი ჩვენის აზრისა მარტივია: მარამ დედოფლის ვარჩანტი ერთათ ერთი ვარჩანტია, რომელიც ყოველ

²⁾ Ibidem, p. XV.

³⁾ იხ. *Съѣты по ист. и дрѣвн. Грузіи*, стр. 11—20. ისტორია საქართველოსი ბაქრაძისა, გ. 39—43 და ვახუშტის ისტორია მისივე გამოცემული, გ. XIX—XXII.

ეჭვს გარეშე ვახტანგის ადრინდელ დროს ეკუთვნის. დანარჩენი ვარჩანტები, რომელნიც აქამოდე ცნობილნი არიან, უკვლანი ვახტანგის შემდეგ დროს ეკუთვნიან და არც ერთ მათ შესახებ არ შეიძლება გადაჭრით თქმა, რომ ვახტანგის ადრინდელ დროს ეკუთვნოდეს. შედარება ვახტანგის ადრინდელ დროის ვარჩანტისა ვახტანგის დროის და ვახტანგის შემდეგ დროის ვარჩანტებთან გვაჩვენებს, რა ეკუთვნის ვახტანგს ქართლის ცხოვრებაში. ამ შედარებიდან ცხადათ სჩანს, რომ ვახტანგს, ანუ უკეთესთქვათ, მის რედაქციას, ქართლის ცხოვრებაში შეუტანია წინასიტყვაობა რედაქციისა; ტექსტი ქართლის ცხოვრებისა დაუყვია თავებად მეფობის-და-ეკვლად; გაუსწორებია ზოგიერთი სიტყვები და ფრაზები უძველესთ მწერალთ მიერ დამახინჯებულნი; სუბსტანს ისტორიას ცალკე თავათ არ დაუტოვებია, არამედ შეუქსოვია და მიუმატებია აქა იქ ქართლის ცხოვრების ტექსტისა; შენიშვნებში განუმატებია ბევრი გეოგრაფიული სახელები და აღუნიშნავს ზოგიერთი თქმების სრონოლოგია, და ასლად შეუტანია ქართლის ცხოვრებაში უკვლას ის მოთხრობანი, ცხოვრებანი და ცნობები, რომელნიც ჩვენ ზემო აღვნიშნეთ. ეს არის უმთავრესი შრომა ვახტანგის რედაქციისა, სხვა წვრილად შრომას აქ არ აღვნიშნათ. თუ ბროსსეს არ შეეძლო თქმა, რა ეკუთვნოდა ვახტანგს ქართლის ცხოვრებაში, ჩვენ მანამ დედოფლის ვარჩანტის განხილვიით თითებზე შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის, რაც ვახტანგს ქართლის ცხოვრებაში შეუტანია. ვათავებთ რა ამით შენიშვნას ვახტანგის რედაქციის შესახებ, ჩვენ სრული იმედი გაქას, რომ თუ კიდევ ვახტანგის ადრინდელ დროის ქართლის ცხოვრების ვარჩანტი აღმოჩნთა, მასაც ისეთი სახე ექნება, როგორც მანამ დედოფლის ვარჩანტს აქვს, და ჩვენს აზრს კიდევ უფრო დაამტკიცებს.

წინა-სიტყვაობა

მესხური დავითნის ხრონიკისათვის.

ცნობილი ჩვენი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი თავის ქრონიკონებში 1201 წლიდან 1755 წლამდის სხვათა შორის ამ ქრონიკონების წყაროდ უჩვენებს მესხურ დავითნს, ხუთ წიგნათ გაყოფილს ¹⁾. ჩამოდენიძე ნაწილი ხსენებული მესხური დავითნისა, დ. ბაქრაძის მიერ პლატონ იოსელიანის წიგნებში ნაპოვნი, ესლა ეკუთვნის ჩვენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავს № 947 ²⁾. ხელ-ნაწერი სულ 17×13 სანტი-

¹⁾ იხ. ქარ. ცხ. ტ. II, გ. 237.

²⁾ ამბობენ, პ. იოსელიანის ბიბლიოთეკაში ეს წიგნი სრულათ იყო, მაგრამ რამდენათ დასაფერებელია ეს ცნობა, არ ვიცი. ვერც ის აგვიხსნია, თუ რათ დარჩა გამოუქვეყნებელი პ. იოსელიანს ეს შესანიშნავი წყარო ჩვენის ისტორიისა. მით უმეტეს, რომ პ. იოსელიანი ფრიად ცნობილი არხეოლოგი იყო და ამ გვარი მასალების დიდი მოყვარული. განსვენებულმა დ. ბაქრაძემ მესხურ დავითნს უძღვნა საყურადღებო სტატია შემდეგის სათაურით: „О вновь найденномъ отрывкѣ изъ источниковъ исторіи грузіи Вахушта“. Извѣстія Кавказскаго Общества исторіи и археологіи, т. I, вып. второй, стр. 11—22). ზოგიერთი აზრები ამ სტატიისა ჩვენ საჭიროდ ვრაცნთ გავიმეორეთ ჩვენს წინა-სიტყვაობაში.

მეტრი, ანუ მეოცდა თორმეტე ნაწილი ფურცლისა, დაწერილია ძველ მოსქო ქაღალდზე ნუსხა ხუცურის ხელით. ჩვენამდის მოუღწევია მხოლოდ 15 ფურცელს. პირველი ოთხი ფურცელი შეიცავს ფსალმუნების უკანასკნელ სტიხებს და იწყებს შემდეგი სტინით: „აჲსკდით, ანანი, აზარია, მისაელ, ოჲ უღლობდით და უფრდსდ აძღ.“ მეოთხე ფურცელი თავდება შემდეგი ანდერძით გიორგი მთაწმინდელისა, რომელიც სრულათ არ არის დაცული:

„წმინდანო და ღვთივ შემოსილნო მამანო და ძმანო, რომელნიცა ამით წმიდათა დავითნთა (ღთთა) მიემთხვნეთ, ესე საცნაურ იყავნ უოველთა, რამეთუ ფრიადითა უძღუელებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩემთათა ვთარგმანენ ესე დავითნი ასლად ბერძულისაგან ქართულად, მე ვლასაკმან გიორგი, უღირსმან ხუცურ-მონაზონმან, ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა, თვთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძულთა ღედათა და დავითნისა თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა. აწ უკვე გვიკედრები უოველთა, რომელნიცა მიემთხვნეთ წმინდათა ამით დავითნთა, რათა ჩუენთვს ლოცვა ჰყოთ, და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთვე შეუცვალეზად დასწერდით. ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ: ჩუენ, რომელი ჯერ იყო, ჩაკვირთავს, და რომელი ჯერ იყო, დაგვკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა, ნუცა“ ... (დანარჩენი აკლია).

ეს ფსალმუნები ნაწერნი არიან მოსსო და ლამაზი ნუსხა ხუცურის ხელით. მეღანი ტექსტისა შავია, სათაურებისა და თითოეული სტინის პირველი ასოსი წითელი. ნიშნებათ ნახმარებია ორი წერტილი და მძიმე.

დანარჩენი თერთმეტი ფურცელი ჩვენი ხელ-ნაწერის. შეიცავს ისტორიულ ხრონიკას, რომელსაც ჩვენ მესხური დავითნის ხრონიკას ვეძახით. დავითნი მესხეთიდან არის, ხრონიკაც მესხეთის, ანუ სამცხე-საათაბაგოს ისტორიას მოგვითხრობს, და ალბათ ვახუშტიმაც ამიტომ უწოდა მესხური დავითნი. ხრონიკას თავი და ბოლო აკლია¹). ძეგლი ხრონიკაში ყოველგან შავია, და წითელი ძეგლით ნაწერი ასო სრულებით არ ურევია. ხელი დავითნისა სხვაა და ხრონიკისა სხვა. დავითნიში ბევრი ცარიელი ფურცლები ყოფილა დატოვებული, რომლებზედაც შედეგ ისტორიული ცნობები უწერიან დღიურის მსგავსად, და ამგვარად წარმომდგარა მესხური დავითნის ხრონიკა. ნაწევები ამ ხრონიკისა, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია, შეიცავს 26 წლის ისტორიას სამცხე-საათაბაგოსა, 1561 წლიდან დაწყებული 1687 წლამდის. ეს ის დრო იყო, როდესაც სპარსელები და ოსმალები თავ-გამოდებით ერთი ერთმანეთს ეცილებოდნენ სამცხე-საათაბაგოს და როდესაც შეუწევიათ ზრდილა და სისხლის ღვრა იყო ქართველებს და მამადიანებს შუა. ეს ბრძოლა, როგორც ვიცით, დამთავრდა სამცხე-საათაბაგოს ოსმალების მიერ დაპყრობით და მკვიდრთა ძაღად გამამადიანებით. სპარსეთში ამ დროს

¹) უკანასკნელ ფურცლის ქვემო არშაზე არა ტექსტის ხელით და მქრალის ძეგლით ხეცურათ სწერია: „წმიდო ღმერთო და წმიდანო მოწამენო ღვთისანო, შეუდგენ მისი ცოდვანი შალიკასშვილსა (შლიკასშესლსა)“. . . (დანარჩენი ერთი სტრიქონი არ განირჩევა და სხვა წაჭრილია).

მთავრობდა შას-თამაზ და შემდგომად შაჰი სუღანანდა, ოსმალეთში სულეიმან დიდი, შემდეგ სელიმ II და ოსმალის მურად III, რომელსაც უკვდა შესანიშნავი საზღვაო ფლანგ-ფაშა. ეს ფლანგ-ფაშა 1578 წელს საქართველოში მოვიდა დიდის ჯარით და საქართველოს მთავრებმა ბრძოლა ვერ გაუწიეს, დამორჩილება ამჯობინეს. ამ დროს სამცხე-საათაბაგოს მთელობელებათ იუვენ ათაბაგები ქაიხოსრო II († 1575), ქაიხოსროს შვილები უვარყაე V († 1582) და მანუჩარ II († 1604), მანუჩარის შვილი მანუჩარ III († 1624). ეს უკანასკნელი მოწამლა თავის ბიძამ, ქაიხოსრო II-ს შვილმა, ბექა III, რომელმაც 1625 წ. მიიღო მასშადიანობა, იწოდა საფარ-ფაშათ და დადგენილ იქმნა პირველ ფაშათ ახალციხისა¹⁾. აი სწორეთ ამ დროს ამ პირებს ეხება მესხური დავითნის ხრონიკა, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია..

ჩვენი ხრონიკა პირი კი არ არის მესხური დავითნის ხრონიკისა, არამედ თვით თავ-და-პირველი დედანია, ავტოგრაფია. ეს უეჭველათ მტკიცდება იმით, რომ სხვა-და-სხვა ცნობები სხვა-და-სხვა დროს არიან ნაწერნი. ხელი ნაწერისა ზოგჯერ მოსსოა, ზოგჯერ წკრილი, ზოგ ადგილას მეღანი შავია, ზოგ ადგილას შქრალი. ზოგიერთ ცნობებს შუა ადგილია დატოვებული, რასაკვირველია მისთვის, რომ მაშინ შეეესოთ ეს ადგილი, რომელსაც რამე ცვლილება მოხდებოდა ზემო ცნობაში მოხსენებულ ოჯახ-

¹⁾ Hist. de la Géor. t. II, liv. 1-er, p. 640.

ში. ზოგიერთი ცნობები, რომელნიც დატოვებულ ადგილზე არ დატოვლან, გავრძელებულნი არიან არშეიშვ. ამგვარი მოვლენა შესაძლებელია მხოლოდ თავ-და-პირველ დედანში, ავტოგრაფში, და არა დედანიდან გადაძობულ ცალში. მცირეოდენი, ზოგჯერ ძლივს შესამჩნევი, გარჩევა წერის ხასიათისა და მელებისა, რომელიც შეიმჩნევა ამ ხრონიკაში, ჩვენ სხოლიებში თავ-თავის ადგილს უჩვენეთ. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენის აზრით, პირველ ორ ფურცელ ნასეკარის ხელი ხრონიკისა ერთგვარი არ არის და, ეტყობა, სხვა და სხვა პირთა მიერ და სხვა და სხვა დროს არის ნაწერი. დანარჩენი ნაწილი კი საზოგადოებრივი და იმავე ხელით არის ნაწერი, მაგრამ მცირეოდენი გარჩევა მაინც ეტყობა, რადგანც სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა მელებით უწერიათ.

თუმათა არა სჩანს, ვინ არის აღმწერელი მესხური ხრონიკისა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ავტორი თანამედროვე ყოფილა მის მიერ აღწერილი ფაქტებისა, თვით მიუღია მონაწილეობა მის მიერ მოთხრობილ საქმეებში, არა მცირედი ადგილი სჭერია თავის დროს, და, როგორც სამართლიანათ შენიშნავს დიმიტრი ბაქრაძე, ეტყობა, თვით ათაბაგების ოჯახის წევრი ყოფილა. ამ აზრებს თითქმის თითოეული ფრაზა ამტკიცებს მესხური დავითნისა. „წაკედით ასალცინეს“, „ასალცინიდამ გავდეგით“, „იწყო ჩვენმა ლაშქარმა მოდენა“, „სამწუბთ-ღელეში დავდეგით“, „ჭკრკლე შეგვანძეთ“, „მოუხედით ფოსოს, სახლი დავწვით და ამოვსწვიდეთ“ და სხვა, — ჩვეულებრივი ფრაზებია ჩვენი ხრონიკისა. ავტორი ყოველთვის თავის თავს ყველა

საქმეებში მონაწილედ იხსენიებს და პირველი პირით მო-
კვითხრობს. ამას გარდა ხრონიკაში ასეთ ადგილებსაც
ვხვდებით: „ვანაშიდამ გავიყარენით დედა ძმანი და ღაშ-
ქაჩნი“ (იხ. გ. 83); „ამავე ქრონიკონსა (1581),
მარამობის თუქს ოთხს, პატრონი აჩილ მობრუნდა
აწყუქრს, დიდის ხნის უნასავი დაჲ-ძმანი შევიყარენით,
დუინობისთუქს წაბანდა“ (გ. 110). ეს ფაქტები ნათლათ
ამტკიცებენ, რომ ავტორი, როგორც უკვე შევნიშნეთ,
ათაბაგების ოჯახის წევრი ყოფილა.

მესხური დავითნის ხრონიკის ცნობები შეტანილნი
აჩინ ვასუშტის ისტორიაში, განსაკუთრებით ძრეულ ვრცლათ
სამცხე-კლარჯეთის აღწერაში¹⁾, და აგრეთვე მის ქრონოლო-
გიურ ისტორიაში, მაგრამ უცვლელათ ჯ სიტყვა სიტყვით ეს
ცნობები შეტანილნი ყოფილან სხვა ორს ჩვენს ხრონიკაში,
ეგრეთ წოდებულ „შედეგი ქართლის ცხოვრების“ ხრონიკა-
ში და *Chronique géorgienne*-ში, ანუ ქართულ ხრო-
ნიკაში, რომლის დედანი მხოლოდ შარყის ბიბლიოტე-
კაში მოიპოვება და რომელიც ბროსსემ გამოსცა ფრანგუ-
ლი თარგმანუთურთ შარყში 1831 წელს²⁾. შედეგი

1) იხ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 163—168 და ამ გვერდებზე
მოყვანილნი ცნობები შეადარე ჩვენს ხრონიკას, გ. 88—112.

2) ვინაიდან ეს ხრონიკა პარიჟშია ნაპოვნი, და პარიჟის
ბიბლიოტეკაში ინახება, ამისათვის ჩვენ მას უწოდთ პარიჟის ხრო-
ნიკათ და შემოკლებით ასე აღვნიშნავთ: „პ. ხრ“. ხსენებული
ხრონიკის შესწორებული თარგმანი ბროსსემ ხელ-შეორედ დაბეჭ-
და 1841 წელს. ნახ, *Memoires de l' Académie Imp.... VI-me
série, t. 5, p. 220—345.*

ქართლის ცხოვრებათ ამაღესნს ცნობილი იყო ის ხრო-
ნიკა, რომელიც დაბეჭდილია ქართლის ცხოვრების მეორე
ტომში (გ. 259—306) და რომელიც იწეება 1476 წლიდ-
გან და თავდება 1614 წ. მაგრამ ესაა, როდესაც მეგრე-
ლის და ბაქათაშვილის ვარიანტები შევისწავლეთ, აღმოჩ-
ნა, რომ ხსენებული ხრონიკა იწეება 1454 წლიდგან და
თავდება 1614 წელს. ხსენებულ ვარიანტებში ხრონიკას
აქვს შემდეგი სათაური: „სახელითა ღვთისათა აწ ვიწყოთ
ცხოვრება ბაგრატონიანთა მეფობისაჲ“. ტექსტი იწეება
შემდეგი ფრაზით: „ქორონიონსა „რძმ“ დაჰდა მეფედ
ძე გიორგისა ბაგრატ და ძმა ალექსანდრესი და ჭყვანდა
ცოლად დედოფალი ელენე“. თავი ხრონიკისა, რომელიც
დაბეჭდილ ქართლის ცხოვრების მეორე ტომში არ მოი-
პოვება, შეცთობით დაბეჭდილია ქართლის ცხოვრების პირ-
ველ ტომში, ასე რომ ის რაც ქართლის ცხოვრების პირ-
ველი ტომის 476—477 გვერდებზეა მოყვანილი და რაც
შედეგი ქართლის ცხოვრების სახელით არის დაბეჭდილი
ქართლის ცხოვრების მეორე ტომში (გ. 259—306) ერთ
ხრონიკას შეადგენენ. ნაწივეტი ხრონიკისა, რომელიც ბროს-
სეს შეუტანია ქართლის ცხოვრების პირველ ტომში,
უოფილა ავალოვის ქართლის ცხოვრების ვარიანტში და
ის ვერ მიმხტარა, რომ ეს ნაწივეტი თავია შედეგი ქარ-
თლის ცხოვრებისა 1).

მესხური ღვთისნის ხრონიკა ჩვენ შეკადრეთ შემო-
ნაჩვენებ ხრონიკებს და განსხვავებანი დაწვრილებით უჩვე-

1) ის ქართლის ცხ. ტ. I, გ. 467, შენ. I.

ნეთ. ეს შედარება, რასაკვირველია, საჭირო არ იყო ჩვენი სრონიკის ტექსტის აღსადგენათ, ვინაითგან ჩვენი დედანი ავტოგრაფია და ტექსტს სხვა სრონიკების საშუალებით აღდგენა არ ეჭირება, მაგრამ შედარება საჭირო იყო თვით Chronique géorgienne-ის და შედეგი ქართლის ცხოვრების სრონიკებისათვის. ეს შედარება გვიჩვენებს, რა თვსი უნდა ჭკონდეს ჩვენს თვალში სხენებულ სრონიკებს, როგორ შეუდგენიათ ეს სრონიკები და რამდენათ შეგვიძლია დავეყაროთ მათ ცნობებს.

ამ შედარებიდან აღმოჩნდა, რომ ორივე ზემო ნაჩვენები სრონიკები ნანდვილი პირი უოფილა მესხური დავითნის სრონიკისა, ასე რომ მესხური დავითნის სრონიკა ჩვენთვის დაკარგულათ არ ჩაითვლება. დაკარგულია მხოლოდ რამოდენიმე ნაწილი თავ-და-პირველი დედნისა, მაგრამ ამ დედნიდან გადმოწერილი ცნობები შენასულან ზემო აღნიშნულ სრონიკებში. ხოლო ვინაიდან მესხური დავითნის სრონიკა განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგას ისტორიას ეხება და სხვა საქართველოს ნაწილებს ამბუებს იშვიტათ იხსენიებს, ამისათვის ზემოხსენებულ სრონიკების ავტორებს აქა იქ ჩანუმატებიან სხვა ცნობებიც, რომელნიც სხვა სამეფოებს და სამთავროებს შეეხებიან. ეტყობა, აქაც ხსენებული სრონიკების შემადგენელთ ერთგვარი მასალა ჭკონიათ ხელში, ერთ და იმავე წყაროთი უსარგებლებიან, და ამიტომაც ეს სხვა წყაროებიდან შემოტანილნი ამბუებიც საზოგადოთ ერთგვარათ არიან მოთხრობილნი როგორც პარიკის სრონიკაში, ისე შემდეგ ქართლის ცხოვრებაშიაც (იხ. გ. 87, შენ. 15; 94, შენ. 8;

97, შენ. 11; 99, შენ. 9; 105, შენ. 3; 106, შენ. 14). ზოგიერთ შემთხვევაში შედეგი ქართლის ცხოვრება ვრცლათ და დაწვრილებით მოკვითხრობს იმ ამბებს, რომელნიც პარჩეის ხრონიკაში მოკლეთ და მხოლოდ ქრონოლოგიურათ აჩიან აღნიშნულნი (იხ. გ. 85, შენ. 2; 110, შენ. 11; 112, შენ. 3). აჩიან ისეთი ცნობებიც, რომელნიც მარტო შედეგი ქართლის ცხოვრებაში მოიპოვებიან და პარჩეის ხრონიკაში არა (იხ. გ. 97, შენ. 6; 103, შენ. 1; 112, შენ. 1). რაც შეეხება ამ ორი ხრონიკის სინანდვილეს დედანთან, მესხურ დავითნის ხრონიკასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში განსხვავებას სიტყვების მართლ წერაში ვპოულობთ. აქა იქ სიტყვებში და ფრაზებში შეცთომანიც მოიპოვებიან და ეს შეცთომები საზოგადოთ ერთგვარნი აჩიან ორივე ხრონიკაში. ხოლო პარჩეის ხრონიკაში უფრო ბევრ შეცთომებს ვპოულობთ, ვიდრე შედეგი ქართლის ცხოვრებაში. ამის მიზეზი ის არის, რომ ერთათ ერთი დედანი ამ ხრონიკისა, რომელიც მხოლოდ პარჩეაში მოიპოვება, გარყვნილია გადაშწერისაგან და სხვა მისი ვარიანტი ჯერ ჩვენში არ აღმოჩენილა. ესეც საჭიროა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ შედეგი ქართლის ცხოვრებაში აჩიან ისეთი შეცთომები, რომელნიც პარჩეის ხრონიკაში არ მოიპოვებიან. შედეგი ქართლის ცხოვრების ტექსტი სხვა და სხვა ვარიანტებისა ერთგვარათ არ ემოწმებიან ჩვენ მესხურ დავითნის ხრონიკას. უკვლახე უკეთ მესხური დავითნის ხრონიკის ტექსტი მეგრულიის ვარიანტში ყოფილა შეტანილი. მეგრულიის ვარიანტი იმდენათ სწორია დედანთან, რომ

შეცთომებსაც იმეორებს მესხური დავითნის ხრონიკისა. მანგა-
ლითათ, ხსენებულ ხრონიკაში ოთხ ადგილს ქორონიკონების
მანგიერ „სო, სოა, სობ, სოე“ შეცდომით დაწერილია „საჟუ,
საჟა, საჟბ, საჟე“ (გ. 111—112). მეორე ადგილს ერ-
თი ამგვარივე ქორონიკონი სიტყვებით არის დაწერილი ჭ-
ცხადათ სჩანს, თუ რომელი რიცხვი ქქონია სასეში ავ-
ტოროს (ნახ. გ. 111, შენ. 6). ეს უკვლასათვის ადვილათ
გასაკები შეცთომები გასწორებულნი არიან პარიყის ხრონი-
კაში და შედეგი ქართლის ცხოვრების უკულა ვარჩანტე-
ში, გარდა იმ ვარჩანტისა, რომელიც მოიპოვება მეგრე-
ლრის ქართლის ცხოვრების ხელ-ნაწერში. ეს და სხვა ამ
გვარი მოვლენანი, რომელთაც ჩვენ შენიშვნებში უჩვენებთ,
ცხადათ ამტიცებენ მეგრელების ვარჩანტის ტექსტის სინან-
დვილეს დედანსთან.

ზოგიერთი ცნობები ჩვენი ხრონიკისა ნაწერნი არი-
ან არშიებზე. არშიები უღის გაკეთებას დროს შემოუჭრია-
თ და ნაწერი დაუსარალებიათ. უღა რომ ქქონია ჩვენს
ხელ-ნაწერს ეს იმითაც სჩანს, რომ თითქმის უკულა ფურ-
ცელი სხვა ქალაღლითაა შეკეთებული და ამ რიგად არის
აკინძული. ხოლო როდესაც პარიყის ხრონიკის და შედე-
გი ქართლის ცხოვრების ავტორებს გადმოუწერიათ მესხუ-
რი დავითნის ხრონიკის ცნობები, მაშინ, როგორც ეტყობა,
არშიები შემოჭრილნი არ ყოფილან. ამისათვის ის, რაც
ესლა არშიებზე ნაწერს აკლია, ჩვენ ზემო ნაჩვენები სრო,
ნიკებიდან შეკავსეთ და დიდ ფრჩხილებში ჩავსვით. ის
სიტყვები, რომელნიც პარიკ. ქქმ იყვნენ, სავსეა შემთხვე-

გებში პატრიკიტკე აღვნიშნეთ პატარა ფრჩხილებში. მართლ-
წერა დედნისა უოკელგან მტკიცედ დავიცვიეთ.

მესხური დავითნის სრონიკა მთლათ არის შეტანილი
პარქის სრონიკაში და შედეგი ქართლის ცხოვრებაში მხო-
ლოთ იმ ადგილიდგან, საიდგანაც დალაგებით იწყება მოთხ-
რობა ფაქტებისა დღიურის მსგავსად (იხ. გ. 86). სო-
ლო პირველი ორ ფურცელ ნახევარი ჩვენი სრონიკის
ნაწყვეტისა შეიცავს განსაკუთრებით გენეალოგიურ ცნო-
ბებს ათაბაგის ქაიხოსრო მეორის († 1575) ოჯახისა და
აღაშებს ოჯახის წევრთა პირველ მუხრანის პატრონის
ბაგრატ ბაგრატიონისა, რომლის ასული, დედის-იმედი,
ცოლი იყო ქაიხოსრო მეორისა და დედა მანუჩარ II,
ყვარყვარე V, ბექა III (შემდეგ სავარ-ფაშა), მზეჭა-
ბუგისა, პასილისა, თვალ-შეკნიერისა, იანქოსი და თამარი-
სი. ეს ცნობები, რომელთაც ჩვენს გამოცემაში უკავია
81—86 გვერდები, არ არიან შეტანილნი არც ერთს
სრონიკაში, მხოლოთ ზოგიერთ მათგანს იხსენიებს ვა-
ხუშტი, მაგრამ ისე დაწვრილებით არა, როგორც აქა-
ამგვარი ცნობები, რომელნიც მესხური დავითნს აკლია,
ჩვენთვის დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ მიერ მოხ-
სენებული ცნობები ბევრ ახალ მასალას გვაძლევენ და
ძვირად დაწვრილებით აკვირებენ ზოგიერთ ისტორიულ
პირებს. ასეთია მაგალითათ ცნობები მზეჭაბუგის შესახებ
(იხ. გ. 82). ამ მზეჭაბუგის ცოლი რომადმი ბროსესს
ათაბაგების გენეალოგიურ ტაბლიცაში ¹⁾ გურიელი გიორ-

¹⁾ იხ. Hist. de la Géor. t. II, livr. 1-er, p. 640.

გი II-ს ასულათ არის ნახევნები, მაგრამ ჩენი ზღონი-კიდგან სჩანს, რომ გურქიელი როსტომის ქალი უოფილას. ბასილი და ბექაი-პავლე ¹⁾, რომორც ეტუობა, ტუუპები უოფილას და 1564 წლის 12 აგვისტოს დაბადებულან. იანქო ²⁾, რომელიც დაბადებულა 1563 წლის 29 აპრილს, არ არის აღნიშნული ბროსესს გენეალოგიურ ტაბლიცაში და თამარი საეკეთათ არის მოხსენებული იქვე. ჩენი ზღონიკის ცნობები ამ ნაკლს ავსებენ. თამარს ძმებითურთ იხსენიებს აგრეთვე ვალის ეკკლესიის (ახალ-ციხის მახლობლათ არის) წარწერა, რომელიც ბროსესსაც შემოაქვს თავის ანეკდოტიურ მოგზაურობაში ³⁾, მაგრამ უფრო სა-

¹⁾ მეორე ნახევარი ამ სიტყვისა, პავლე, სტრიქონს ზემოთ სწერია დედანში და ნიშანი უჩვენებს რომ სიტყვა „ბექაის“ შემდეგ უნდა მიმატება. ჩვენ ბექაი-პავლე ერთ სახელათ მივიღეთ: პავლე რომ სხვა პირის სახელი უოფილიყო, მაშინ სიტყვა ბექა და პავლეს-შვა დედანში კავშირი „და“ იქმნებოდა. ეს ის ბექა არის, რომელიც შემდეგ მანმადიანობა მიიღო და პირველ ფაშათ გახდა ახალ-ციხისა საფარ-ფაშის სახელით.

²⁾ ვინ არის ამ იანქოს წინ მოხსენებული საბა (გ. 81), არ ვიცით. ამ სიტყვის წინ დედანში ქალაღდი შეკეთებულია სხვა ქალაღლით და, შეიძლება, რაიმე სიტყვა მიუძღოდა კიდევ წინ, რომელიც ეწღა აღარ სჩანს, მაგრამ ადგილი ისე ცოტაა, რომ ერთი სიტყვის მეტი მაინც არ იქნებოღა დატეული. სიტყვა საბას შემდეგ ორი წერტილია დედანში და შემდეგი სიტყვა ასო-მთავრულით იწყება; ამიტომაც, ვგონებ, უმჯობესი იქმნება ეს ადგილი ასე წაკვიითხოთ: „...საბა. დაიბადა აწყვერს პატრონი იანქო თთვესა აპრილს ეთ“ და სხვა.

³⁾ Brosset. Voyage arch. II Rapp. p. 129.

უურადღებო ნაწილს ამ წარწერისას ბროსსე შეტომებით კითხულობს და საკუთარ სახელეს ვერ აჩვენებს. ჩვენ მოგვივიდა პალეოგრაფიული პირი ამ წარწერისა, რომელიც იკითხება ასე:

„წ. ნებთა ღუთისათა მე ღუთივ გვრჯუნოსნის იესიან-დავითიან-სოლომონიან ბაგრატიონიანისა ქართველთ მეუთე თეფის კოსტანტინეს შვილის შვილმან, მეფის ბაგრატიის ასულმან, ათაბაგ ამირ-სპასალარის სახლის რძალმან, დედის იმედმან, მეორედ 1) აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესია შენ ცათა მოძამვისა ვაღისა ღუთის მშობლისა, რათა მცველ მთვარველ გვექმნა აქა და მერმესა მას საუკუნესა მე და თანა მეცხედრესა ჩემსა ათაბაგსა ქაიხოსროს, და ძენი ჩვენნი უგარვეარე, მწეჭაბუკე, მანუჩარ, თუაღ-შუენიერ, ივანე და თამარი დღეგრძელობით დაიცვენ, ამინ. დასა მათს ელენეს სასუფეველი დაუძკვიდრე“ 2).

ივანე და ელენე დედის-იმედის და ქაიხოსროს შვილებთა შორის სხვა წყაროებში არ იხსენიებიან. ჩვენის

1) ბროსსე კითხულობს „მალლად“. დედანში სწერია:

პ.ო.ა.გ.

2) სიტყვა მანუჩარიდგან დაწეებული აქამომდე ბროსსე კითხულობს: „თხ (?) შეწირულნი ესე სალოცავად თამარის დღეგრძელობით დამიცვენ ან და სამოთხე ვენენს (?) სასუფეველად მზრდე(?)“ კითხვითი ნიშნები ეკუთვნიან ბროსსეს. დედანში სწერია:

ტ.ს. ჟო.ი.ჩ.ი.კ. ი.ჩ.ჩ.ი. ო.წ. დ.ჯ.ბ.ი. შ.ი.ი. ჟ.ბ.ბ.ს.ს. ო.წ. ო.წ.ი.ჩ.ი.ჩ. ნ.ჩ. ო.წ.ს.ს. ჟ.ბ.ს.ს. ო.წ.ი.ჩ.ი.ჩ. ო.წ.ი.ჩ.ი.ჩ.ი. რ.ო.გ.ო.რ.ც. მ.კ.ი.თ.

აზრით, ივანე და იანქო ერთი და იგივეა, ერთი და იმავე პირის სახელია. ელენე, როგორც ეტყობა, სიუმაწვილესი გარდაცვლილა. წარწერა არ მოიხსენიებს ბასილს და ბექას. აქედან სჩანს, რომ ისინი წარწერების დროს დაბადებულნი არ ყოფილან. ჩვენი ხრონიკა, როგორც ვიცით, მათ დაბადებას 1564 წელს მიაწერს. მეორეს მხრით წარწერა მოიხსენიებს თამარს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დაიბადა 1561 წელს, მაშასადამე ვალის ეკკლესიის მეორედ აღშენება, ანუ განასლება, 1561—1564 წლებში მომხდარა. თუ 1561—1564 წლებში ვალის ეკკლესია განუასლებიათ, თავ-და-პირველი აღშენება მისი მე-XVI საუკუნის ბევრათ აღრინდელ დროს უნდა ეკუთვნოდეს. ამისათვის ბროსსეს აზრი, ვითომც ეს ეკკლესია თავ-და პირველად დედის-იმედს მე-XVI საუკუნეში აღშენებინოს, რომელიც წარმოსდგა შემტდარი კითხვით და რომელიც ბროსსეს სიტყვით განიმეორა დ. ბაქრაძემ, უარ-ყოფილი უნდა იქმნას 1).

აღაშები, რომელნიც მესხურ დავითნში მოიპოვებიან, ისეთ პირებს უჩვენებენ, რომელთაც ჩვენ აქამოდე არ ვიცნობდით და რომელნიც არ არიან აღნიშნულნი ბროსსეს გენეალოგიურ ტაბლიცაში. ესენი ირიან: პირველი

ხველიც ხედავს, ამ სტრიქონებში ბროსსეს ერთი სიტყვაც ვერ წაუკითხავს მართლათ.

1) Voyage arch. II Rapp. p. 129. Кавказъ въ древн. пам. христ. стр. 48.

მუხრანის ბატონის ბაგრატის ცოლი ელენე, ბაგრატის და ელენეს შვილები—იონათანი და თეოდორა, და ბაგრატის შვილის აჩილის ასული ელენე. ბაგრატი, მისი ცოლი ელენე, და მათი შვილები—ერაკლე, იონათანი და თეოდორა გარდაცვალებულათ იხსენიებიან ჩვენს აღწერაში. აჩილი და მისი შვილები ელენე და ირაკლი—ცოცხლათ. ამათში ბაგრატი მიიგვალა 1539 და აჩილი 1582 წელს. ამ დროს გამავლობას მიაწერს დ. ბაქრაძე ჩვენი ხრონიკის ნაწივეტის დაწერას. მაგრამ, როგორც შევნიშნეთ, ჩვენი ხრონიკა მოუყვანილია 1587 წლამდის, მაშასადამე ნაწივეტი ჩვენი ხრონიკისა ნაწერია 1539—1587 წლებში. ცნობები უეჭველათ დრო გამოშვებით არიან ნაწერნი იმ რიგათ, რა რიგათაც საქმეები მომდინარეობდნენ, ასე რომ დღემანდელ საქმეს რა მოჭყეება ხვალ, ავტორმა არ იცის. „ამას უკანასკნელი საქმე ღმერთზე ჭკიდა“, ამოიბს ერთ ადგილას დამწერი (იხ. გ. 73).

მესხური დავითნის ხრონიკის აღმოჩენით დიდი ფასი ედება ჩვენს თვალში შედეგი ქართლის ცხოვრებას და პარტიის ხრონიკას. ამდენხანს ჩვენ არ ვიცოდით, რა ღირსების წყაროებიდგან, ან როგორ იყვნენ შედგენილნი ეს ხრონიკები. ეხლა ვხედავთ, რომ მათ შემადგენელებს სულში ჭქონათ ასეთი ორიგინალური და ძვირფასი ხრონიკები, როგორიც არის მესხური დავითნის ხრონიკა, და ამგვარი ხრონიკის ცნობები სიტყვა სიტყვით უცვლელათ შეუტანიათ თავიანთ შრომაში. ავტორებს მხოლოდ ერთათ შეგვრება ეკუთვნის სხვა და სხვა ხრონიკების ცნობებისა და სხვა არაფერი. მესხური დავითნის ხრონიკა

ერთი უმთავრესი წყაროა სსენებული ხრონიკებისა. სხვა წყაროები ჩვენ არ ვიცით ჯერ ჯერობით, მაგრამ ერთის შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სსენებულ ხრონიკებში ისეთი ცნობები არიან შეტანილნი, რომელნიც გელათში უწერიათ. ამ ხრონიკებში ჩვენ ვპოულობთ ასეთ ფრაზებს: „ქს“ „სზ“ (1519) მიიცვალა დიდის მონასტრის გენათის მოძღვართ მოძღვარი ილარიონ პატრონი, თვესა მანისსა ვ, და გორის-ჯვართ აქა გელათს მოასვენეს, 1) „მასვე დროსა (1529 წ.) ამავე პატრონმა (ე. ი. შევემან ბაგრატი) განაჩინა სონელ ეპისკოპოსად მიჩხეტიისძე მანოელ, ამავე აფხაზეთის კათალიკოსისა (აბაშიძის) გულითა, საყდართა შიგან ბიჭუნტისათა, ქრონიკონი იულისიზ“. წარუდით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა კ, მოვედით იულისს ვ“ 2). ეს ფრაზები ცხადათ უჩვენებენ, რომ შემო მოყვანილნი ცნობები ამოღებულნი არიან ხრონიკიდგან, რომელიც გელათში ყოფილა ნაწერი, მწერალი თანამედროვე ყოფილა მის მიერ მოხსენებული ამბებისა და, როგორც ვტყობა, სამღვდელთ შირს ჭკუთნებისა ამგვარათ მეორე წყაროთ პარიზის ხრონიკისა და შედგენილნი ცხოვრებისა გელათის ხრონიკა უნდა ჩაითვალოს.

Lap 1112

1) იხ. Chronique géorgienne. Paris 1831. ქართული ტექსტი, გ. 5. და შედ. ქ. ცხ., გ. 270.

2) ibid. გ. 6. და აგრეთვე შედ. ქ. ცხ. გ. 271. საზოგადოთ გენათელებზე და ქუთათელებზე ხშირათ არიან ცნობები ამ ხრონიკებში (იხ. ვ. ხრ გ. 4, 5, 6 და შედ. ქ. ცხ. გ. 366, 270 271).

ლოს. სსენებული სწონიკა, ჩვენის აზრით, ის იმერული „ძველი გარეგების და სამართლის წიგნი“ არის, რომელსაც უჩვენებს ვახუშტი თავის ისტორიის წყაროთ. აი რას ამბობს ვახუშტი ერთ ადგილას ამ გარეგების წიგნის შესახებ: „ხოლო უძეტეს განმარტლებული სხვათა პოკნილთ ქორონიკონებთ გარდა და მოწამე აქა წერილთა ესე არს: რამეთუ ყოველნი აქა წერილნი მეფენი და მთავარნი თამარდამ სვიმონის ძის გიორგისამდე დაწერილ არიან ძველს გარეგების და სამართლის წიგნსა შინა იმერეთს გელათურსა, რამეთუ ბრწყინვალეს გიორგიდამ გიორგისამდე, ძისა ალექსანდრესა, სწერს: „ეს მეფე მოკვდა, ეს მეფე მოკვდა“. და შემდგომათ გიორგისა — „ქართლის მეფე, იმერთა მეფე, კახთ-მეფე მოკვდა“. აქ ქვეყნით სახელს-ჰსდებს, — ვითარცა „ქართველთ მეფეს გურიელმან სძლო მონისს. კახთ მეფე ლევან მოკვდა“. ხოლო იქ უჩვენებულ, „მეფე დიდი ბაგრატ მიიტყვალა, ალექსანდრე მიიტყვალა“. ამით მუნ აჩენს ერთ-მეფობასა და გაყრასა. გონიერძმან თუთ განიხილოს, ვინათგან იმერეთს არს აღწერილი და არს ქვეყნობით ახსენებს, მას კვლად ერთ-მეფობა ყოფილა და შემდგომად განყოფა“ 1). სწორეთ იმ რიგათ არიან ცნობები აღნიშნულნი პარაქის სწონიკაში, რომელსაც ვახუშტი სწერს და მაგალითებს უჩვენებს. სსენებულ სწონიკაში ვკითხულობთ: „ქვსა „პ“ მეფე გიორგი მეგრელთ მოკვდა. ქვსა „გ“ დიდი მეფე ბაგრატ გარდახდა. ქვსა „უ“ მეფე კოსტანტინე ჩალაღნს მოკვდა. ქვსა

1) იხ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 8, შენ. 1.

„რეს“ მოკლას კასთა მეფემან გიორგი ძამა მისი მეფე ალექსანდრე და ძმას თვალეზი დასთხარა, დიმიტრის. ქვსა „სა“ ქართლის მეფე დავით და კასი მეფე გიორგი მუხრანს შეიბნეს, ქვსა „რეს“ მეფეთ მეფე ალექსანდრე მიიცვალა. ქვსა „საგ“ მეფე კასთა ლეონ მიიცვალა¹⁾. როგორც მეითხველიც ხედავს, ეს ის ფრაზებია, რომელთაც ვახუშტი უჩვენებს გელათის გარეგნების და სამართლის წიგნიდან. ამიტომაც საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ სსენებულ წიგნის ისტორიული ცნობები შეტანილნი არიან პარჩის სრონიკაში, და შედეგი ქართლის ცხოვრებაში. გელათის სრონიკა, ჩვენის აზრით, უნდა იწყებოდეს პარჩის სრონიკაში თავიდან და თავდებოდეს იქ, საიდანაც იწყებიან მესხური სრონიკის ცნობები. მართლაც და ეს ნაწილი პარჩის სრონიკისა (გ. 1—10) შეიცავს უმეტეს შემთხვევაში ისტორიულ ცნობებს დასავლეთ საქართველოს შესახებ და ამ ნაწილში ვპოულობთ ჩვენ იმ ფრაზებს, რომელთაც ვახუშტი უჩვენებს. სოლო შედეგი ქართლის ცხოვრების ცნობები ბევრათ უფრო ვრცელნი არიან პარჩის სრონიკის ცნობებზე. აქ ზოგიერთი ამბები ძვილ დაწერილებით არიან აღწერილნი, ზოგიერთი ისე მოკლეთ და ქრონოლოგიურათ არიან აღნიშნულნი, როგორც პარჩის სრონიკაში. ეტყობა, მის შემადგენელს გელათის სრონიკის გარდა ბევრი სხვა წყაროებიც ქვსა ხელში.

¹⁾ Chron. géor., ქართული ტექსტი, გ. 1, 4, 10. შედეგი ქართლის ცხოვრებაში ქრონიკონს „რეს“-მდის მო-

მაგრამ შედეგი ქართლის ცხოვრება, როგორც მოვიხსენიეთ, თავდება 1614 წლით, ხოლო პარიზის ხრონიკა მოყვანილია 1703 წლამდე. ცნობები უკანასკნელი ხრონიკისა, რომელნიც ეხებოან მეჩვიდმეტე საუკუნეს, უფრო ვრცლათ არიან მოთხრობილნი ¹⁾, და ეჭვი არ არის, რომ ესენიც უცვლელათ არიან ამოღებულნი ისეთ ხრონიკებიდან, რომელნიც მოთხრობილ ამბუგების თანამედროვე პირებს უწერიან. ერთი ნაწილი ამ ცნობებისა უსათუოდ შეიცავს დიდ მოურავის სააკაძის წერილებს, ანუ დღიურს. ეს ცხადათ სჩანს იმადგილიდან, სადაც მოთხრობილია მეფე ლუარსაბის გამარჯვება თათრსანზე 1609 წელს. თათბრის შესახებ ამ ბრძოლის წინ ჩვენს ხრონიკაში ვკითხულობთ: „ჩვენა დავიწყევით, რა დროს შევიბნეთ, ზოგთა თქვეს, ასლავ მიუხდეთო; ზოგთა თქვეს, ზევით მოუხდეთო; ნუგზარ თქვა, ღამით დავესნათო, მთის კაცი ასე არჩევსო, ბერჯულ გაგმარჯვებიაო; სხვათა თქვეს, დილაზედ დაუხდეთო; დიდმან მოურავმან ვარჩიკე: „მძნო დამიჯერეთ, ეს რა მი დამადევითო, ჩემი საქმე დღეს იქით ანდასათ დაიჭირეთო და თვალი მიგდეთო, როგორ დევივით შევიდეთ, დილაზედ რაზმი დავაწყოთ და, სადაც დგანან, აქეთ ნაზირს თხრილი წაუვლიათ, და მეთოთვე თხრილის პირს გაურვიეთ და ჩვენ რაზმი დაუწყოთ“ ²⁾.

ხსენებული იმბუგები არ მოიპოვებიათ და ქვემო ქორონიკონებში აღნიშნულნი ცნობები ძრიელ ვრცელ მოთხრობებში არიან ჩამატებულნი (იხ. ქ. ცხ. ტ. II, გ. 266, 268 287).

¹⁾ იხ. Chron. géor. ქართული ტექსტი, გ. 31—112.

²⁾ ibid. გ. 42.

აქ დიდი მოუჩაკვი, როგორც სედავთ, თავის თათბირს გვაცნობებს, ქვემოთ ის თავის ქველთაზე, მამაცობაზე და განკარგულებაზე მოკვითსრობს. ომის გამგე ამ დღეს, როგორც ეტყობა, ის ყოფილა და მის თათბირზე დამყარებულან, თვით ომს დიდი მოუჩაკვი ასე აგვიწიქს:

„წაგედით საომრად, მეთოფე თხრილის პირს მიუყენეთ და ჩვენ ზეიდაძე მოუხედით, მეთოფემ დაუძინა თხრილიდაძე. იმათ რომ თოფი შეაყარეს, მას უკან ჩვენ შეკუტივეთ, მაგრამ ჩვენზედ ექვსი ზომით ნამეტნავი იყო იმათი ჯარი. რაზემ გაგმართე, გაურბე და შეკუტივე, სისქე ჯარსმიუსე დიდის სდომით და ჩამოჭყარე. მეფე გულსრულათ მოხმანდა და შუბს ვისცა შესტედა, იგი მისგან გამტეკრდებოდა, თიცსლათ იბრძოდენ ქართველნი. ომი გახშირდა და თოფის სროლა, და ვინც უკან ჯარი დარჩომილ-იყო, ომში ისინიც მოგუკსწრენ. ჩემი დიად მძულს კვესნა, მაგრამ ვისაც შუბი შევსტი, უნაგირში ველარ დადგის, და სითაც შეუტივედი, შევამწუნებდი, და შევამინებდი, ვკოცი გულ მოყვრად, ვიბრძოდი სწორად, რაზემ შუა ვბრუნედი და ჯილიანს უფრო შეკუტივედი და მოჭკელი, სამი შუბი გამიტყდა, მას უკან ლახტით ვიბრძოლე, ლახტი გამიტყდა და ხმალი ამოვიღე. იბრძვიან ერთ პირ ქართველნი, ხმა არის ჩხარა-ჩხურისა. თათარხნის ჯარი გაწევიტეს. მეფისათვის თავს ვინ დაზოგავდა, და დიდის ომისაგან და ტემისაგან ქუხილის მსგავსი იყო ჩვენი ბრძოლა, შუბით იყო მათი ბრძოლა, თარ-ხმალი ისრითა, და მეფე დიად კარკა ბრძანდებოდა, ბეკრი კაცი ჩამოყვარა. დილას შემძული ცხრა საათამდე (სტთამდე) ომი იყო. მაშინდელს

გამარჯვებებს მართლაც ენა ვერ იტყვის. და მწაჭეს ისაწეს
 ისწოდეს და შუბები ეჭაჩათ, და თორმეტი კაცი მარტო
 მე დამჩნა, გაგვემარჯვა, ამოგსწევიტეთ, და რაც მკიკეს
 და ქართველთ უფობდა, ყველა ისრე გქმნით, და თავს
 მოდენა დაიწყო მეფეს წინა. ამისთანა გამარჯვება არ მი-
 ნასავს“ 1).

ეს და ზემო მოყვანილნი სტრეჩონები ეჭკეს აღარ
 უნდა ბადადენ ჩვენში, რომ ავტორი ამ მოთხრობისა დიდი
 მოუჩავია, მაგრამ სად იწეება მისი მოთხრობა ჰარიის სწო-
 ნიკაში და სად თავდება, გადაჭრით არ შეგვიძლია თქმა.
 შევნიშნათ მხოლოდ, რომ ჩვენის მოსაზრებით, ის ცნობები,
 რომელნიც ჰარიის სწონიკაში დიდ მოუჩავის თავგადასავალს
 ესებიან, თვით დიდი მოუჩავის დღიურიდან უნდა იკე-
 ნენ ამოღებულნი 2). ამიტომაც ეს ამბუები დაწვრილებით
 და უფრო დიდი მოუჩავის სასარგებლოთ არიან მოთხრო-
 ბილნი.

ამგვარათ ჩვენ ესლასამი წყარო ვიცით ჰარიის
 სწონიკისა. ერთი არის გელათის სწონიკა, ანუ ის ძვე-
 ლი იმერული გარბეების და სამხატლის წიგნი, რომელსაც
 ვახუშტი იხსენიებს თავის ისტორიაში. მეორე არის მეს-
 ლური დავითნის სწონიკა და მესამე დიდი მოუჩავის სას-
 კამის სწონიკა, ანუ დღიური. პირველი ორი მათგანის
 ცნობები შეტანილნი არიან შედეგი ქართლას ცხოვრების
 სწონიკაშიც, რომლის ტექსტი, განსაკუთრებით მეგრე-

1) *ibid.* გ. 43

2) *Chron. géor.* ქართული ტექსტი, გ. 37—56.

ლიის ვარინტში, ძრეულ კარგათ აწის შენახული და დედანთან ახლდა. ჰარის სრონიკაში, ანუ უკეთ ვსთქვათ, იმ ვარინტში, რომელიც მხოლოდ ჰარისში მოიპოვება, ტექსტი ალგ ალგ გარეუნილია უმეტესად გადაწყვერის მიერ. ამიტომაც ძრეულ საჭიროა მოიძებნოს ჩვენში სხვა უკეთესი ვარინტი სსენებული სრონიკისა, რომელიც შედეგი ქართლის ცხოვრებითურთ ერთ უმთავრეს წყაროს შეადგენს ჩვენი ისტორიის მეორე ნახევარის პერიოდისა.

დასასრულ საჭიროთ ვრაცხთ შევნიშნათ, რომ ჩვენ მიერ პირველათ გამოცემული სრონიკები თითოეული ცალკე და ყველანი ერთათ საუკეთესო მასალას შეადგენენ ჩვენი ისტორიისა. უმეტეს შემთხვევაში სხვა სრონიკები და მატრიანნი, როგორც უჩვენეთ, ამ წყაროებზე არიან დამყარებულნი. ამას გარდა სამივე თითქმის ერთი ერთმანეთის გაგრძელებას შეადგენენ, და ამისათვის განვიზრახეთ ჩვენ მათი ერთ წიგნათ გამოცემა ¹⁾.

ასეთი სრონიკების გამოქვეყნება, მათი შედარება სხვა სრონიკებთან და ისტორიულ ცნობებთან, სხვა და სხვა მანუსკრიპტების ცნობაში მოყვანა და მათი ისტორიულის ცნობების განმარტება, გუჯრების შეგროვება და გამოქვეყნება, სხვა და სხვა ისტორიული წარწერების გარჩევა, აგრეთვე განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა ახალ მასალას გვაძლევს თითოეული

¹⁾ აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნათ, რომ სამივე ეს სრონიკა რუსულათაც გამოიცემა ჩვენ მიერ.

ამგვარი წყარო, და საზოგადოთ ასეთი მასალების შეძ-
ლებისამებრ კრიტიკულათ შესწავლას, — აი რა მიგვა-
ჩნია ჩვენ, ჯერ ხანად მაინც, ვეკლავებდ უსაჭიროესად
ჩვენი ისტორიისათვის. ჩვენი ისტორიოგრაფიის ეხლანდელ-
ი მდგომარეობას ასეთ შრომას თხოულა ჩვენგან. ამ-
გვარი მასალების შეკრებას უნდა დაეწიფოს ვეკლავნი, ვი-
საც გული შესტკივას სამშობლო ისტორიისათვის, და შეძ-
ლებისამებრ ამგვარ შრომასე იქმნება მიქცეული ჩვენი
ყურადღებაც.

ექვთიმე თაყაიშვილი.

15 ივლისი
1890 წელი.



მოქცევაჲ ქართლისაჲ

შირველ, ოდეს ალექსანდრე ¹⁾ მეფემან ნათესაჲნი იგი ლოთის შვილთანი წარქდინა და შეკადნა იგინი კედარსა მას ქვეყანასა, იგიღნა ნათესაჲნი სასტიკნი ბუნ-თურქნი ²⁾, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მისუჲკით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი:

1) აქ საუბარი არის ალექსანდრე მაკედონელზე.

2) ბუნთურქნი, ანუ თურქნი ქართლის ცხოვრებაშია ცხსენებიან. ისინი ქ. ცხ-ს თქმით მოვიდენ საქართველოში სპარსეთის მეფის ქაიხოსროს დროს: „მასვე უამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსა განჯ გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკვარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა (რუმინცევის ვარაანტით 28,000) და ეზრანეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქვეს შეწვენა სპარსთა ზედა, ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება ნათი თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა და შემწეობისათვის დაიმეგობრეს თურქნი იგი განოსხმულნი და განიყვანეს ყოველსა ქალაქთა შინა. ხოლო უმრავლესნი მათგანი მოვიდეს და ჰოეს ადგილი ერთი, მცხეთას დასავლით კერძო, კლდეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა და მოითხოეს ადგილი-იგი მცხეთელის მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“ (ქ. ცხ. ტ. I, გვ. 25).

ყარყარს?

სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრავე და ციხენი მათნი: ციხს-დიდი, სარკინისაჲ, უფლის-ციხს, კასპისა, ურბნისისა და ოძრავისა ¹⁾.

და უკვირდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებო-სეულთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა კორციელსა ჭამდეს, და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშკამდეს ²⁾. . . . და ვერ ეძლო ბრძოლასა მათი მეფესა და წარვიდა. (ქ. ცხ. გვ. 26)

¹⁾ აქ ჩამოთვლილი ქალაქები და ციხენი, როგორც სჩანს, სჭერია ბუნთურ ქებს. ქართლის ცხოვრებაში ერთათ არის ჩამოთვლილი ყველა ქალაქები და ციხეები, რომელნიც მაშინ მოიპოვებოდენ საქართველოში, და მკითხველს არ შეუძლია განარჩიოს, რომელი მათგანი იყო საკუთრათ ქართველების, და რომელში სჭარბობდენ ბუნთურქნი (იხ. ქ. ცხ. გვ. 26).

²⁾ ამას შემდეგ დედანში ერთი სტრიქონი განგებ ამო-ფხევილია. აქ ჩამოთვლილი ამბების შესახებ ქართ. ცხ-ში შემდეგს ვკითხულობთ: „ესე (ალექსანდრე) გამოვიდა დასავლით და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოდ, გარდმოვლო კავკასი და მოვიდა ქართლად: და ჰპოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულით, რამეთუ ცოლ-ქრმოზისა და სიძვისა-თჳს არა ეჩნდათ ნათესაობა, ყოველსა სუფსა ჭამდეს, მკუდარსა შესჭამდეს. იხილა რაჲ ესე ნათესავნი, სასტიკნი წარმართნი, რომელთა-თგი ჩვენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკურისასა მინგვეით, და უკვირდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს ამას“ (ქ. ცხ. გვ. 26). აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ის ზნე და ჩვეულებანი, რომელნიც ჩვენი სრონიკის სიტყვით ბუნთურქთ ჰქონიათ, ქართლის ცხოვრების შემდგენს ქართველებისთვის მიუთვისებია, რათა ამით დაემცირებინა ქართველების წარმატება და კულტურა ქრისტეს სჯულის მიღებამდე.

მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, კალდეეულთა-
გან გამოსსმულნი, ჰონნი და ითხოვეს ბუნთურქთა უფ-
ლისაგან (ალისგან) ქვეყნა სარკითა და დასსდეს იგი-
ნი ზანავს.

ქონნი
83.9

და ეპყრათ იგი, რომელ სარკითა აქუნდა, ჰრქვან
მას ხერკი ¹⁾. და შემდგომად რადენისამე უამისა,
მოვიდა ალექსანდრს, მეივს ფოკლისა ქვეყანისაჲ
(ქყანისაჲ), და დაღეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი,
და ჰონთა დასცა მასული.

ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათ-ერთმეტ
თთჳს, და დადგა სარკინესა დასკალით კერძო,
და დასცა კენაკი, და რუფ (რომ) გამოიღო ქსნით, და
დასსნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუისაჲთა, და ჰრქვან
ადგილსა მას ნასტაგისი ²⁾.

და მერმე გამოიღო სარკინე: თჳთ დაყარეს და

¹⁾ ქ. ცხ.: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმო-
სტყვენა იელუსალიმი და მუნით ოტებულნი ურიანი მო-
ვიდეს ქართლს, მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან ქვეყანა
სარკითა, ხოლო მცხეთელმა მამასახლისმა მისცა და დასსნა
არაგუსა ზედა, წყაროსა რომელსა ქვიან ზანავი, და რომელი
ქვეყანა აქუნდა მათ ხარკად, აწ ქვან ხერკ სარკისა მისთვის“
(ქ. ც. გვ. 25).

²⁾ ქარ. ც-ში „ნასტაგისი“, მარიამ დედოფლის ვარიანტში
„ნასტაგი იგი(?)“. რუის გამოლებაზე ქართლის ცხოვრება არას
გვეუბნება. სიტყვა „დასტაგი“ არც ერთ ლექსიკონში არ მოი-
პოვება, მაგრამ აქ, როგორც ზრითა სჩანს, დასტაგი ნიშნავს
ქირას.

მეოტ იქმნეს. და თანა ჭეუანდა ალექსანდრეს მეფესა აზო.ე, ძს არან ¹⁾ ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად, და საზღვარი დაუღვა მას ჰერეთი, და ეკრის წყალი, და სომხითი, და მთაჲ ცროლისა, და წაწვიდა ²⁾.

მეოტ! ხოლო ესე აზ.ო.ე წაწვიდა არან ქართლად, მამისა თჳსისა, და წაწმობიევანა რუაჲ სასლი და ათნი სასლნი მამა მძუბეთანი, და დაჯდა ქუელ მცხეთას ³⁾, და თანა ჭეუანდეს კერპნი ღუთად (ღთად)—გაცი და გაიმ.

1) ეს არანი არც ქ. ც-ში და არც სხვა ჩვენი ისტორიის წყაროებში არ არის ცნობილი. ქ. ც-ს თქმით ალექსანდრეს შემოსვლის დროს მცხეთაში იყო მამასახლისი სამარა (ქ. ცხ. გვ. 29).

რაც შეეხება აზო.ე, ეგ უდრის ქართლის ცხოვრების აზონს, რომელიც, ჩვენი მატჩიანეს გადმოცემით, იყო ტომით ბერძენი, ძე იარედოსისი, და რომელიც ალექსანდრემ დაადგინა ქართველთა ზედა ერისთავად, ანუ პატრიკად (ქ. ცხ. გვ. 27).

2) ეგ საზღვრები ქართლის ცხოვრებაში არ არიან ნაჩვენები, ქართლის ცხოვრება მხოლოდ ამბობს: „და დაიპყრნა (აზონმა) ყოველნი საზღუარნი ქართლისანი, ბერდუჯის მდინარიდგან, ვიდრე ზღვაჲდღე სპერიისა. დაიპყრნა ქართლსა ზედა ერისიცა და მონარკე ყუნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი“ (ქ. ცხ. გვ. 28).

3) ახლად ნაპოვნი ნინოს ცხოვრება ძველ მცხეთას კლდის დასასრულ უჩვენებს: „ალვილუ და წარმოვედ წინაჲკერძოდასასრულსა მის კლდისასა, სადა ძუელ ქალაქი ყოფილიყო, და მას ადგილსა ყოფილარს ცინე“.

- ა. და ესე იყო პირველი ¹⁾ მეფე მცხეთას შინა აზოც, ძს არან ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა.
- ბ. და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ ²⁾. ამან აღმარ-თა კერპი დიდი ცხვრსა ზედა (ცხვსა ზა) ³⁾ და დას-დგა სასული მისი არმაზი, და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჭრქვან არმაზ ⁴⁾.
- გ. და შემდგომად მისა დადგა მეფედ საურმაგ ⁵⁾. ამან აღმართა კერპი ადინა გზასა ზედა და იწ-ყო არმაზს შტნებად ⁶⁾.

¹⁾ აქ უნდა ვიგულისხმოთ პირველი ალექსანდრეს შემოსვლიდგან.

²⁾ ეს ფარნავაზი, აქამოდე პირველ მეფედ ცნობილი, ქართლის ცხოვრების თქმით „იყო მამულად ქართველი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა, და დედულად სპარსი ასპანელი და იყო იგი ძმისწული სამარასი, რომელი მოსლვასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასაზლისი ყოფილ-იყო“ (ქ. ცხ. გვ. 29).

³⁾ აქ ლაპარაკია კლდის ცხვირზე, ანუ ჩამოზეულ სერსერზე.

⁴⁾ ქ. ცხ.: „ამან ფარნავაზ მოზლუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ . . . და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვსსა, ესევე არს არმაზი, და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა მიერთ-გან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის, და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა“ (ქ. ცხ. გვ. 32).

⁵⁾ ეგ საურმაგი ქართლის ცხოვრების თქმით არის შვილი ფარნავაზისი.

⁶⁾ ქ. ცხ.: „და დასჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ დაუ-

- დ. და მისა უქმდგომად მეფობდა მირვან ¹⁾ და აღ-
მართა დანინა ²⁾ გზასა ზედა წინაწლ, და აღა-
შენა არმაზი.
- ე. და მეფობდა თვარნაჯომ ³⁾ და აღმართა კერძი
ზადენ მთასა ზედა, და აღაშენა [ზადენი] ⁴⁾.

მატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისათა, და ქართლისათა, და მან
შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და ამართნა გზასა
ზედა მცხეთისასა“ (ქ. ცხ. გვ. 33).

¹⁾ ქ. ც-ბის თქმით ეგ მირვან იყო ნებროთიანი, ე. ი.
სპარსი, რომელს იშვილა საურმაგმა, რადგანაც მას არა
ესკა ძე: „მაშინ მოიყვანა სპარსეთით შვილი ნებროთისი, ნათე-
სავისაგან ცოლისა მისისა, დედის დის წული, და დაიჭირა იგი
შვილად, რომელსა სახელი ერქვა მირვან“.

²⁾ ჩვენ წინა შენიშვნიდგან დავინახეთ, რომ ქართლის
ცხოვრება ამ კერპს დანანად უწოდებს და მის აღდგენას მია-
წერს საურმაგს და არა მირვანს. მირვანისაგან არმაზის
აღშენებაზე ქ. ცხ-ბა არას გვეუბნება, ხოლო დარუხანდის კა-
რის გაკეთებას ამავე მირვანს მიაწერს: „და შევიდა მირვან
დურქუკეთს, და მოაზრა დურქუკეთი და ჭართალი, და შე-
აზნა კარნი ქვით-კირითა, და უწოდა სახელად დარუხან.“ (ქ.
ცხ. გვ. 34).

³⁾ ქ. ცხ-ბით თვარნაჯომ, შვილი მირვანისი.

⁴⁾ ეგ უკანასკნელი სიტყვა ამოშლილია დედანში და არ
განიჩრება სრულებით, მაგრამ რომ აქ ზადენი უნდა, ეგ სჩანს
ქართლის ცხოვრების შემდეგი ადგილიდგან: „ამან (თვარნაჯომ)
უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენებაჲ, და ამან აღაშენა ციხე
ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ“ (ქ. ცხ. გვ. 34).

გ. და მეფობდა არს[აკ] ¹⁾ [და] ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა ²⁾.

ზ. და მეფობდა არიკ ³⁾, რომელმან შიდა-ცისე აღაშენა აწმაცსა.

¹⁾ ამ სიტყვის ბოლო და შემდეგი სიტყვა ღედანში არ განირჩევა: ტყავი დაკრულიყო ზედ და ასოები გადასულია, და პერგამენტის ერთი კუთხეც წაჭრილია. მეუის სახელის სიტყვიდგან დარჩენილია მხოლოდ „არს“, რომელიც ჩვენ არს(აკ)ად დაკმაზარეთ, რადგანაც ქართლის ცხოვრებაში ეგ მეფე არ შაკად იწოდება: არ შაკი და არსაკი—ერთი და იგივეა. ეგ არ შაკი, როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, იყო სომეხთა მეფის (არ და შეზის) შვილი და ცოლად ყავდა ქართველთა მეფის მირვანის ასული. არშაკი მოიწვიეს საქართველოს ტახტზე ფარნაჯომის განდგომილმა ერისთავებმა, რადგანაც ფარნაჯომმა შემოიღო ცეცხლის მსახურება, ე. ი. „სჯული მამული, და დაუტევა სჯული დედული“ (ქ. ცხ. გვ. 34—35).

²⁾ ქ. ცხ.: „ამან (არშაკ) დაიპყრა ყოველი ქართლი და მეფობდა ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა, და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას“ (ქ. ცხ. გვ. 35).

³⁾ ქ. ცხ. ამ მეფეს უწოდებს არტაგს, ხოლო უცხო ტომთ მწერალნი აპვიანი, ფლორი და დიონ კასსი არტოკად (Ἄρθωκος), Arthoces (Ἄρθωκος). ნახე Гапа, Известія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ, стр. 165, 172. Brosset. Hist. de la Géorgie t. I. p. 49. ეგ არტაკი ქ. ცხოვრების თქმით იყო ძე არშაკისა. შიდაციხის აშენებას ქ. ცხ. არ მოიხსენიებს განსაკუთრებით, მხოლოდ საზოგადოთ აწობს: „განამაგრნა ციხენი და ქალაქნი“. (ქ. ცხ. გვ. 35—36).

- ტ. და მეუობდა ბრატმან ¹⁾, რომელსა-ზე მცსეთას ქალაქი დაეწყო ²⁾.
- თ. და მეუობდა პირვან და მან აღაშენა მცსეთა ქალაქი ³⁾.
- ი. და მეუობდა არსუკ ⁴⁾, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლის-ციხე განაგო ⁵⁾.
- იან. და მეუობდა როკ ⁶⁾, რომელმან რამეთუწითით ⁷⁾ მცსეთაჲ გაიშორა. და მეუობაჲ ორად გაიყო, ორსი მეფენი დასსდეს იმიერ და ამიერ ⁸⁾.

1) ქ. ცხ-ბით ბარტონ, ანუ ბარტომ, ქე არტაგისი.

2) ამ საგანზე ქართლის ცხოვრება არას გვეუბნება.

3) პირვან იყო ქ. ცხ-ის თქმით თარნაჯომის შვილი, რომელიც აღზდილ იყო სპარსეთს; მისგან მცხეთის აღშენებას ქართლის ცხოვრება არ მოიხსენიებს.

4) ქ. ცხ-ით—ადერკი, ქე პირვანისი.

5) კასპის შეპყრობაზე ქ. ცხ. არას ამბობს, ხოლო უფლის-ციხეზე მოგვითხრობს: „ჰმატა სიმაგრესა უფლის ციხისასა“

6) ქ. ცხ-ბით—ადერკი, ქე ბარტომისი. ამ ადერკის დროს მიაწერს ქართლის ცხოვრება იესო ქრისტეს გამოჩენას, ქადაგებას და სიკვდილს, და აგრეთვე ანდრია მოციქულის ქადაგებას საქართველოში. ახლათ აღმოჩენილი ნინოს ცხოვრება არ იხსენიებს ანდრია მოციქულის ქადაგებას, მხოლოდ იესო ქრისტეს მოღვაწეობას და სიკვდილს უჩვენებს მეფე ამაზაერის და არა ადერკის, ანუ როკის დროს.

7) რაითურთით, ე. ი. სრულებით.

8) ამ ამბავს, ე. ი. ორ-მეფობის დამყარებას საქართველოში, ქართლის ცხოვრება მოიხსენიებს იმავე ადერკის დროს და ასე მოგვითხრობს: „და ვიდრე ადერკისა მეფო-

იბ. და მეფობდა ქარრამ ¹⁾ არმაზს, და მცხეთას ბრატმან ²⁾, და ამათთა ყამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასსდეს ³⁾.

იგ. და მეფობდა იმაერ თარსმან და ამიერ კაოზ ⁴⁾. I

ბამდე ქართლს ერთი დაჯდის ქართველთა ნეფედ, რაზომცა მრავალნი იყუნიან შვილნი მეფეთანი. ხოლო ამას ადერკის ესხნენ ორნი ძენი, რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა და ქვეყანა მტკუარსა: შიდა ქართლი, მუნხარით კერძი ქალაქი, და ყოველი ქართლი, მტკუარსა ჩრდილოეთით, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა, ესე მისცა ბარტომს, უხუცესსა ძესა თვსსა. ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანი-გან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი, მისცა ქართამს, ძესა თვსსა ურწუმესსა. ამ გვარი გაყოფა აქვს სახეში. ჩვენ ღრონიკასაც, როდესაც ამბობს იმიერ და ამიერ. „იმიერ“ ნიშნავს მტკვრის მარჯვენა მხარეს, ანუ სამხრეთ კედაროს მტკვრისა, სადაც თავ ქალაქად იყო არმაზი, ხოლო „ამიერ“ ნიშნავს მტკვრის მარცხენა მხარეს, ანუ ჩრდილოეთ კედაროს, სადაც თავ ქალაქად იყო მცხეთა.

¹⁾ ქ. ცხ.: ქართამ.

²⁾ ქ. ცხ.: ბარტამ.

³⁾ ქ. ცხ. ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: „ხოლო ამათთა მეფობასა უესპასიანოს, ჰრომთა კეისარმან, წარმოტყუესნი იგლუსალიმი და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასსდეს ძველადგე მოსრულთა ჰურიათა თანა, რომელთა თანა ერთნეს შვილნი ბარაბასნი, რომელი ფუარ-ცმასა უფლისასა განუტევეს ჰურიათა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი წილ“ (ქ. ცხ. გვ. 47).

⁴⁾ ქ. ცხ.: „და მოკუდეს ადერკის ძენი ბარტო და ქართამ, და მეფე იქმნეს შვილნი მათნი: არმაზს დაეჯა

II

იღ. და მეუობდა იმიერ არსოჯ და ამიერ ამაზაერ ¹⁾.

იე. და მეუობდა იმიერ ამაზასკ და ამიერ დერუკ ²⁾.

ივ. და მეუობდა იმიერ თვარსმან / ქველი და ამიერ თვარსმან ავაზ ³⁾. (სიქ. 11)

იზ. და მეუობდა იმიერ (ამიერ?) ⁴⁾ როჯ ⁵⁾ და ამიერ მირდატ ⁶⁾, და ამისა-ზე მოაკლდა არმაზისა მეუფოა (sic) და მტყუთას ოდენ იყო მეუობაჲ ⁷⁾.

არმაზისა მეუფოა? არმაზისა?

იწ. და მეუობდა დადამი ⁸⁾ და დღე კ ⁹⁾.

თვარსმან, და შიდა ქალაქსა (ვარიანტით: შიდა-ქართლსა) კაოს (ქ. ცხ. გვ. 47).

¹⁾ ქ. ცხ.: „დასხდეს მეფედ შემდგომად მათსა შვილნი მათნი: არმაზს აზოაკ, და შიდა ქალაქსა (ვარიანტით: შიდა ქართლსა) არმაზაელ.“

²⁾ ქ. ცხ.: „და შემდგომათ მათსა მეუობდეს შვილნი მათნი: არმაზს ამზასკ და შიდა-ქართლს დეროკ“.

³⁾ ქ. ცხ.: „შემდგომათ მათსა მეუობდეს შვილნი მათნი, არმაზს თვარსმან ქველი, და შიდა-ქართლს მირდატ.“ ამ გვარად ქართლის ცხოვრებაში გამოტოვებულია თვარსმან ავაზ. მირდატი ჩვენს ხრონიკაში შემდეგ მეფეთ მოიხსენიება.

⁴⁾ აშკარაა, რომ აქ ამიერი შეცთომითი არის დაწერილი.

⁵⁾ ამ მეფესაც არ უჩვენებს ქართლის ცხოვრება.

⁶⁾ ეს მეფე, როგორც ვხანეთ ქართლის ცხოვრებაში თვარსმან ავაზის მაგიერ არის ნაჩვენები.

⁷⁾ ორ მეუობის შეწყვეტას ქ. ცხ. თვარსმან ქველის და მირდატის დროს მოიხსენებს, ეს ამბავი ქ. ცხ.-ში ვრცლათ არის ნაამბობი (ნახ. ქ. ცხ. გვ. 52).

⁸⁾ ქ. ცხ.: ადამი, მე თვარსმან ქველისა.

⁹⁾ ესე იგი მეუობდა დადამი ოცი დღე. ქართლის

ით. და ფარსმან ¹⁾, კ და ამაზასკ ²⁾, კა და რევ მართალი ³⁾, კბ ვაჩე ⁴⁾, კგ ბაკურ ⁵⁾, კდ მირდატ ⁶⁾, კე ასფაგურ ⁷⁾, კვ ლევ ⁸⁾, მა-მა.ე კის მირვანისი ⁹⁾. ესე ოცდა ოცნი (?)

ცხოვრების თქმით ა დ ა მ მ ა სანი წელი იმეფა (ქ. ცხ. გვ. 54).

¹⁾ ქ. ცხოვრების თქმით ფარსმანი, ძე ადამისი, ერთი წლის იყო, როდესაც მამა მოუკვდა, და ვიდრე აღიზრდებოდა მეფობდა მამის დედა მისი, ცოლი ფარსმან ქველისა, რომელსა ერქვა და დანა (მკვრელის და მარიამ დედოფლის ვარიანტებით და დანა).

²⁾ ქ. ცხ.: ა მ ა მ ა ს კ, ძე ფარსმანისი.

³⁾ ქ. ცხ.-შიაც რევ მართალი, ძე სომეხთა მეფისა.

⁴⁾ ქ. ცხ.: ვ ა ჩ ე, ძე რევისი.

⁵⁾ ქ. ცხ.: ბ ა კ უ რ, ძე ვაჩესი.

⁶⁾ ქ. ცხ.: მ ი რ დ ა ტ, ძე ბაკურისი.

⁷⁾ ქ. ცხ.: ა ს ფ ა გ უ რ, ძე მირდატისი.

⁸⁾ ეგ ლ ე ვ ი არ ც ქართლის ცხოვრებაში და არც სხვა ჩვენ წყაროებში არ არის ცნობილი.

⁹⁾ ქ. ცხ.-ბით მირიანი, შემდეგ ჩვენი ხრონიკაც ამ მეფეს უწოდებს მირიანს. ეგ მირიანი, ანუ მირიანი, ქართლის ცხოვრების გადმოცემით, იყო ძე სპარსთა მეფისა, ქასრე არდაშირისა, სასანელისა. მირიანი გამოითხოვეს თავის მეფეთ ქართველებმა სპარსთა მეფისაგან. სპარსთა მეფემ, ქართლის ცხოვრების თქმით „აღუსრულა ყოველი იგი საპოხველი ქართველთა, და მისცა ყოველსა ზედა ფიცით და აღთქმამ, და მოვიდა მცხეთას, და მიეგება მაიყან სპასპეტი (მაშინ გამოჩენილი პირი საქართველოში), და ყოველნი ერისთავნი ქართლისანი. მაშინ მოიყვანეს ასული ა ს ფ ა გ უ რ მეფისამ, რო-

მეფენი ქართლს შინა წარმართნი ¹⁾.

და იყო დღეთა კოსტანტინე მეფისათა, ქრის-
ტეს აღმაღლებიდან სამას და მკათესა წელსა, იყო დუ-
წლი ბრძოლისა მტერთაგან, და ფრიად ერეოდეს მეფე-
სა კოსტანტინეს, მესა კოსტამსსა, და გულ გდუ-
ბულ იყო ²⁾..... ურკათაგან კოსტანტი კეისარი ³⁾.

იყო ვინმე კაცი ეფესეთით და წარმოთქვა წინაშე

მელსა ერქვა ა ბ ე შ უ რ ა, და შეჭროთ სპარსთა მეფემან მესსა
თვისსა, რომელი მუნ თანაჰყუა, შვიდისა წლისაჲ, ნაშობი მყე-
ვლისა, რომელსა ერქვა სპარსულად მი ჰ რ ა ნ, და ქართუ-
ლად მი რ ი ა ნ ⁴⁾ (ქ. ცხ. გვ. 60). ჩვენი ღრონიკის გადმო-
ცემით, რომელიც უფრო დასაფერებელია, მირიანი იყო შვილი
აქამოდეს უცნობის ქართველთა მეფისა ლ ე ვ ი ს ი.

¹⁾ ავტორი აქ ა რ ა ნ ს ა ც ათელის და ნიჭომ გამოდის

მოცდა რვა, მეორე ადგილას, წ. ნინოს ცხოვრებაში, მირიანი თა-
ვის სიკვდილის წინ დაწერილ წიგნში ანბობს: „რამეთუ ვარ მე-
ოცდა მათექუსმეც მეთვ, და მანანი ჩემნი (ჩნი) ნოივლინებს
ვიდრე დღეთა ჩემთადმდე“ აქედან სჩანს, რომ ა რ ა ნ ა მ დ ის
საქართველოში ყოფილა რვა მეფე, რომელთაც სახედნი, საწუ-
ხაროდ, არ შენახულა. წერილი, რომელშიაც ეგ აზრავია მოხსე-
ნებული, შეიცავს მირიანის მოწმობას წ. ნინოს საქმეების შესახებ
და ქართლის ცხოვრებაში არ მოიპოვება.

აქამოდეს
მეფეთა
სახეები

²⁾ აქ დედანში ერთი სიტყვა ამოფხეკილია; მგონია თვით
გადამწერისაგან, რადგანაც აზრს არ უშლის.

³⁾ ეგ კოსტანტინე დიდი, და მოციქულთა სწო-
რი, იყო მე კოსტანტინის ბრძოლა, რომელსაც
აქ ჩვენი ღრონიკა იხსენიებს, უნდა იგულისხმებოდეს კოსტან-
ტინეს და მაკსენციუს ბრძოლად. კოსტანტინემ თავის

მეფისა, ვითარმედ „ქრისტეანენი იგი ჰრომნი და ყოველნი ჰინდონი, და ვისცა ვის აქვს შჯული იგი ასალი ქრისტეს წმიდისაჲ, ძელათა ჯუარისაჲთა (ჯ.ა.თა) და მისათა სასოკებითა სძლევენ მტერთა ძლიერად.“

მას უამსა აღიძრა მეფეჲ გუნდებითა და წარავლინა მოყვანებად ეპისკოპოსთა ისრუსალიმით, ანტიოქი-აჲთ, ჰრომით და ალექსანდრიაჲთ, და ნათელ იღო მან თავადმან და დედამან მისმან ბანაკითურთ ¹⁾.

მით უამითგან მეტესა წელსა წარვიდა ელენე ისრუსალიმად ძიებად ჰატოოსნისა ჯუარისა, და მეათოსმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევა-

ბაირაღებზე გამოხატა ფეხარი, რომლითაც განამხნევა მრავალი ქრისტიანები, რომელნიც მის ჯარში მსახურებდენ, და მით მოიგო ომი 312 წელს ქრისტეს შემდეგ. 313 წელს მან გამოაცხადა ქრისტიანთათვის თავისუფლებით აღვიარება მათი სარწმუნოებისა, თუმცა პირად მას სიკვდილამდის არ მიუღია ქრისტეს სჯული (კოსტანტინე მიიცვალა 337 წელს). დედა მისი ელენე დედოფალი დიდხინდგან იყო ქრისტეს ამღვიარებელი და ქრისტიანობის გამაგრებელი.

¹⁾ კოსტანტინესაგან ქრისტიანობის მიღებას ქართლის ცხოვრება უფარდებს მირიანის და სპარსთა მეფის ომს კოსტანტინესთან. მისი გადმოცემით, როდესაც სპარსეთში გამეფდა ძე ბარტამისი, ესე იგი მირიანის ძმის წული, მაშინ ამ უკანასკნელმა მოუწვია მირიანი და მასთან ერთათ გარდაკლო სომხითი და შევიდა საბერძნეთად, ვერ წინააღუდგა მას ბერძნთა მეფე კოსტანტინე, განაგრძობს ქართლის ცხოვრება, შთავარდა მწუნარებასა დიდსა, იწეეს ტყვენგად საბერძნეთისა,

დაგი, სასულით რიტუხიმე, რამელსამე მიზესისათუხ
დედა მძუძითურთ.

და იყო მისთანა ტუუე ერთი დედაკაცი შუენი-
ერი, სასულით ნინო, რამელისა საქმს მისი გამოიძია
ელენე დედოფალმან, და იყო იგი რომა (sic) მთავა-
რი, და თუთ მოკლელ გზამ თუხსი, და ექმნეს კუწნი-

მაშინ არწმენს მეფესა კოსტანტინეს კაცთა ლუთის მსახურთა
და ჰრქვეს: „იხილე საკვირველება ქრისტესი და ძლევაჲ მტერ-
თაჲ მოსავთა მისთაგან, ვითარ ყოველნი მოსავნი ქრისტესნი,
წარძღვანებითა ჯუარისათა, სძლევენ მტერთა მათთა“. ხოლო
კოსტანტინე მეფემან ირწმუნა მათი, ვითარცა წერილ არს ესე
განცხადებულად ცხოვრებასა ბერძენთასა, ნათელ ილო კოსტან-
ტინე და წარმოიძღუნა სახე ჯუარიჲ და ეწყო მტერთა სპარ-
სთა მათ ურიცხვთა, სპითა მცირითა, და ძალითა ქრისტესითა
აოტა ბანაკი მათი, და მოსრა სიმრავლე მათი“. მერმე, ქართლის
ცხოვრების თქმით კოსტანტინე დაეზავა მირიანს, თხოვნისამებრ
მირიანისა და მიქვლად აღილო შვილი მირიანისი ბაქარ. (ქ.
ცხ. გვ. 63—64). ახალ ნინოს ცხოვრებაში კოსტანტინესა-
გან ქრისტიანობის მიღებაზე შემდეგი ცნობებია: „მაშინ მო-
ხდა უფალმან საბერძნეთსა და რწმენა მეფესა კოსტანტინეს
და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან და ყოველმან პა-
ლატმან მათმან, დასაბამითგან წელთა ხუთათას ოთხას
ორმოცდა ოთხსა, ხოლო ქრისტეს აღმადღებებთგან სა-
მას და ათერთმეტსა და წარემართა ყოველი საბერ-
ძნეთი ქრისტიანობასა. მეშვიდესა წელსა იყო წმიდა კრებაჲ
ნიკეას და მერვესა წელსა იყო სივლტოლოჲ ჩვენი (ე. ი.
ნინოსი და მის თანა-მოგზაურებისა) საბერძნეთით, რიტუხიმე
დედოფალი და გაიანე და ორმოცდა ათი სული
წარმოვემართენით თთუესა პირველსა (ე. ი. ენენისთვესა) ათ-
ხუთმეტსა“.

ბანი, და მოწვევნილ იყო საბერძნეთს, და ჭმომღერინდა მთავარსა მას რითესიმეს.

და ვითარცა წარმოიკლტოდა რითესიმე ზღუად, გადნე და ნინო, და სსვანი ვინმე მათთანა, გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელსა თრდატ მეთვისასა, და ივინი იმარტუნეს მუნ. სოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მათათა კერძო ჩრდილომასათა, და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჭყა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა, და იყო სამ წელ ეგრეთ, ილოცვიდა თარულად ადგილსა ესთსა, შებურვილსა ბრძამლითა მყოფისათა.

და შექმნა სსსს ჯუარისა (ჯუ) ნასსლევისა, და მუნ დაადგრა, და ილოცვიდა, და ადგილი იგი იყო ზღუდესა გაჩსკან. სოლო მათ მყოფათა ადგილი არს ზემო მასა ეკელესიისა [სა]კურთხეველისა ადგილი.

და მეოთხესა წელსა იწყო თქემად ქრისტე დმერთი და შჯული, და „რამეთუ (რ) ჭპო[კე] ცთომასა შინა ჩრ[დილ]ო მასა ესე ქვეანა“. და მე[კესე]სა წელსა არწმუნსა [ცოლ]სა [მე]ფისასა ნანას [სენსა რამე შინა მისსა], და მეშვიდესა წელსა მეფესა არწმუნსა საწაულთა (sic) ქრისტეს მიერითა ¹⁾. და მწკაფლ აღაშენა ²⁾ ეკ-

¹⁾ მთელი ეს ზემო მოყვანილი ამბავები ვრცლათ არიან მოთხრობილნი როგორც ქ. ცხ.-ში, აგრეთვე ახლათ ნაპოვნ ნინოს ცხოვრებაში, მაგრამ ეგრე მოკლეთ და მარტივად სწვა წყაროებში არ მოიპოვებიან.

²⁾ აქ უნდა ვიგუროსხმოდ: მირიან მეფემ...

ღესიამა ქუეში სამოთხესა შინა, რომელი თუთ აღე-
მართა.

და ვითარცა ლაშენეს კელესიამა, წარავლინა მოცი-
ქული და წიგნი ნინოასი საბერძნეთა მეფისა კოსტან-
ტინესა, თხოვად მღვდელთა. სოლო იგინი მწრათელ
შიაწინეს ¹⁾.

და მოსცა მეფემან იოანე ეპისკოპოსი, და ორ-
ნი მღვდენი, და ერთი დიაკონი, და წიგნი ელენე
დედოფლისა, და ხატი მაცხოვრისა, და ბელი ცხოვ-
რებისა ნინოასთა ²⁾.

და ვითარცა მოვიდეს, ნათელი მოიღო მირიან
მეფემან და დედოფალმან, და ყოველმან სასლან მათმან.

¹⁾ ქ. ცხ.: „და ხვალისა დღე წარავლინა მოციქულნი
საბერძნეთად მირიან მეფემან წინაჲ კოსტანტინე მეფისა და წიგ-
ნი ნინოასი, ელენე დედოფლისა წინაჲ, და აუწყეს ესე ყოველი
სასწაული ქრისტეს მიერი, რომელი იქნა მცხეთას შინა,
მირიან მეფესა ზედა, და ითხოვნეს მოსწრაფებით მღვდელ-
ნი ნათლის ღებისათვის. სოლო წმინდა ნინო და ლა მოწაფე-
ნი მისნი ქადაგებდეს ერსა მას შინა დღე და ღამე დაუცხრომე-
ლად და უჩვენებდა გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა“ (ქ.
ცხ. გვ. 88).

²⁾ ქ. ცხ.: „და წარმოგზავნეს მღვდელი ჭეშმარიტი,
იოანე ეპისკოპოსი, და მისთანა მღვდელი ორნი და დია-
კონნი სამნი. და მიუწერნა მეფემან კოსტანტინე მირიანს წიგნი
ლოცვა და კურთხევა ღვთისა, მადდლობისა, და წარმოსცა
ფვარი და ხატი მაცხოვრისა, და მისთანა ნიჭი დიდი. და ელენე
დედოფალმან მოუწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინის ცემი-
სა“ (ქ. ცხ. გვ. 91.)

ითხოვეს ხე, რათა შექმნან ჯუარნი
.¹⁾.

[მაშინ მოიყვანა მეფემან აბიათარ და მისთვისა ჰუ-
რიანი მრავალნი და გამოიკითხა მათგან კუართისა მის-
თჳს და მათ მიუთხრეს ყოველი, რომელი ზემოწირილ
აჩს; და აღიპყრა კელნი თჳსნი მიწიან მეფემან, და
თქვა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალა იესო ქრისტე,
ძეო ღვთისა ცხოველისაო, რამეთუ²⁾ გინდა ცხოვრებაჲ
ჩვენი, და სხნაჲ ჩვენი უშმაკისაგან, და ადგილისა მის-
გან ბნელისა, ოდეს იგი სამოსელი შენი ებრავლთა მათ
წარმოეცა წმიდით ქალაქით იზრუსაფლიმით უცხოთა
ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარცემსა შენსა ამს
ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩვენნი (ჩენნი)“. და წარემართა
მეფეს და ყოველი ქართლი ქრისტწანობასა (ქწანო-
ბასა) მოწრაფებითა დიდითა.

მაშინ ნეტარმან მან დედაკაცმან ნინო თქვა: „კურ-
თხეულ აჩს ღმერთი და მამაჲ უფლისა (ოლისა) ჩვე-
ნისა იესეს (იესეს) ქრისტესი, რომელმან მოკლინა სიტ-
ყუჲ წმიდაჲ მისი, ცათა მალაღთაჲ, თჳთ ძლიერისაგან

¹⁾ აქ დედანში ერთი ფურცელი აკლია. ამ ფურცელზე, ჩვენის აზრით, უნდა ყოფილიყო მოთხრობილი ის ამბავი, რომელიც მოთხრობილია ქ. ცხ-ში „პატიოსანი ფვარის აღმართებისათვის“ (იხ. ქ. ცხ. გვ. 93).

²⁾ აქ რაც ფრჩხილებშია ჩასმული ის ჩვენ ქართლის ცხოვრებიდგან დაურთეთ აზრის დასამთავრებლად (იხ. ქ. ცხ. გვ. 93).

საყდრისა გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად, უპოვლად შობად კორცეულად თესლისაგან დავითისა, დედაკაცი-საგან მარტოდ შობილისა, წმიდისაგან და უბიწოდასა, რომელი სათნო ეყო მას და ამით მიზღუბითა ცხოვრებაჲ ჩვენი შექმნა, და ყოველი ცასა ქვეშ მყოფი განანათლა, და უბეტეს მისა მიმართ მოწმუნენი აცხოვნნა, რამეთუ იშვა, ვითარცა კაცი, ჰატიჲ ეცა, ვითარცა ღმერთსა, ნათელ იღო, ვითარცა მსასურმან ვინმე სჯულისამან, წყა-ლისა და მიწისაგან.

ხალა მამით და სულით წმიდით ზეგარდამო იწამს და იდიდა, ჯუარს ეცუა, დაეულა და აღდგა, აკდა მათვე სიძღლეთა მამისათანა, და მოძაკლ არს დიდებითა, რომელსა შუენის გალობაჲ ამენითა ¹⁾.

და ვითარცა ესე თქუა, წარყვანა იაკობ მღდელი, საბერძნეთით მოსული, და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს, და მოუწოდა მთეულთა, ჭართალეულთა, და ფნოელთა, და წილკანეულთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტესნი, ხალა მათ განუყარეს თავი ²⁾.

¹⁾ მთელი ეს მოთხრობა თითქმის სიტყვა სიტყვით არის მოყვანილი ქ. ცხ.-ში (ნახე ქ. ცხ. გ. 93)

²⁾ ქ. ცხ.: „და წარვიდა წმიდაჲ ნინო, და ეპისკოპოზი იოვანე, და მათ წარატანა მეფემან ერისთავი ერთი, და მოვიდეს და დადგეს წობენსა, და მოუწოდეს მთიულთა, პირუტყვისა სახეთა-მათ კაცთა, ჭართალეულთა, ფნოელთა, გუდა-მაყრელთა, და უქადაგეს მათ ჯვარი ქრისტეანეთა ჭეშმარიტი, მიმეგანებელი

და ერისთავმან მცირედ წარმართა მსხული, და ში-
შითა მოსცნეს კერპნი მათნა დაღუწად, და გარდავიდა
ერწუდ, და დადგა ქალეთს, დაბასა ედემს, და
ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. და უხარელთა ესმა
ესე და გარდაკრბეს თოშეთა, რომელნი უკუანასკნელ
იპოვნეს, თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა ¹⁾.

და დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად, და
ვითაცა მოიწია კტოეთა, დასასა რომელსა ჭრქვან ბო-
დინი, კერლარა ეძღო სლვად.

და მოხლოვიდეს (მოწვიდეს) უქარმით ქალა-
ქით რევ, ძმ მეფისაჲ, და სადლომს, ცოლი მისი,
და ასული მისი, და ზედა ადგეს მოურნედ, და მიუგ-
ვინეს მცხეთით მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იო-
ვანე მთავარ-ებისკოპოზი სილვად და წარყვანებად. ხო-

ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლის ღებამ“
(ქ. ცხ. გვ. 98).

¹⁾ ქ. ცხ.: „მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმარ-
თა მხვილი მათზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი.

გარდამოვიდეს მუნიოჲ და დადგეს უალეთსა, და უქა-
დაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ
იღეს. ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი, და გარდა-
ვიდეს თუ შეთს, და სწუანიცა მთიულელნი უმრავლესნი არა
მოიქცეს, არამედ დაუძძიბა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს
ნათლის ღებამ. ამისთვისცა წაკრბეს იგინიცა და შესცდეს, და
რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს, ნეკრესელ ებისკო-
პოსმან, რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე დღესა-
მომდე“ (ქ. ცხ. გ. 98).

ლო მან არა ინება ¹⁾, არამედ დაჭკედრს იაკობ მღვდელ-
ფი, რათა (რ-ა): „შემდგომად შენსა მან დაიპყრას საყ-
დარი“ ²⁾.

და მის წინაშე მისცა წიგნი იგი, ჰეფენს დედო-
ფლისა მოწერილი, რომელი მოეწერა ნინოძასა დედოფ-
ლობით და მოციქულად და მახარებლად შეეგო.

და ძელი ცხოვრებისაჲ წარმოეცა დედოფლისა ნა-
ნაძასა ³⁾. და შეწირა უამი იოვანე, და აზიარა ნინო
კორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და წაწილო ესე
საგზლად სულისა (სწლისა), და შეჭკედრს სული თჳსი
კელთა ღუთისათა, ქართლად მოსლვითგან მეთ-
ხუთმეტესა წელსა, და ქრისტეს აღმაღლე-

1) ქ. ცხ.: „ხოლო წმიდა ნინო წარემართა წარსლვად
რანს, მოქცევად ფეროზისა, და ვითარცა მიეახლა კუ-
ხეთს, დაბასა ბუდისასა, დაყვნა მუნ დღენი, და მოვიდოდეს
მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიღებდეს სწავლასა მისსა სი-
მრავლე ერისა. მაშინ დასწეულდა მუნ, და ვითარცა ცნა რევ,
ქემან მეფისამან, და სალომე, ცოლმან მისმან, რომელნი
ცხოვნიდებოდეს უფარმოს, მოვიდეს ნინოსსა, და აცნობეს მე-
ფესა და დედოფალსა. ხოლო მათ მიაველინეს ეპისკოპოსი იოანე
წარყუანებად, ხოლო წმიდაჲ ნინო არა ურჩდა, ხოლო წარვიდა
თუთ მეფე და სიმრავლე ერისა ძლიერისა და მივიდეს მის ზე-
და“ . . (ნახ. ქ. ცხ. გვ. 98).

2) ქ. ცხ.: „და შევედრა მეფესა იაკობ მღვდელი, რათა
შემდგომად იოანესა იგი იუოს ეპისკოპოზ“ (ქ. ცხ. გვ. 99).

3) ამ წერილის და ძელი ცხოვრების გარდაცემაზე ქ. ცხ-ში
არა რა მოიპოვება.

ბითგან ტულწ წელსა, დასაბამითგან ჭყულწ წელსა ¹⁾).

მაშინ შეიძინეს ორნი ესე ქალაქნი—მცხეთაჲ და უქარმაჲ—და ყოველი ქართლი სიკუდილისა მისისათჳს, და მოვიდეს, და დაჰმარსეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსაჲ ზედა ბუდს, დაბასა კბოეთისასა ²⁾).

და წარვიდა მირიან მეფე და ყოველი კრი, რამეთუ იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ქეთა, და განიშორეს მეოთხესა წელსა ³⁾), და მოკუდა მირიან მეფე, და დაეფლას საშუკალსა სუეტსა სამსწითსა ჩრდილოეთ კერძო.

¹⁾ ქ. ცხ.: „მაშინ იოანე ეპისკოპოსმან შესწირა უამი და აზიარა წმიდაჲ ნინო კორცსა და სისხლსა ქრისტესა, და შეგედრა სული მეუფესა ცათასა, ქართლად მოსლვოვან მისით მეოთხთმეეტესა წელსა, და ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოც და თურამეტესა წელსა, და დასაბამითგან წელთა ხუთიათას რვაას ოც და ათრგამეტესა“ (ქ. ცხ. გვ. 99).

²⁾ ქ. ცხ.: „მაშინ შეიძინეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმო, და ყოველი ქართლი, მიცვალებასა მისსა, მივიდეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსაჲ ზედა ჰერეთისა (მეგრ. ვარიანტით „ერთსა“?) დაბასა ბუდიისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თვთ დაფლვაჲ მეფისაგან, შეხედვთა ღვთისათა“. . (ქ. ცხ. გვ. 99).

³⁾ ქ. ცხ.: „მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკლესიაჲ საეპისკოპოსო, და აღასრულა სატფურებაჲ მისი მრავლითა დიდებითა“. . (ქ. ცხ. გვ. 100).

და მას სუეტსა შინა არს ნაწილი სუეტისაჲ-მის ცხოველისაჲ, და მეორესა წელსა მოკუდა ცოლი მისი ნანა, და დაეფლა დასავალით კერძო მასვე სუეტსა, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო ¹⁾

და დაჰდა მეფედ ბაკურ, ძმ რევინი ²⁾, და მოკუდა იოვანე ებისკოპოსი, და დაჰდა იაკობ მღვდელი იგი, მუნითვე მოსრული, მთავარ-ეპისკოპოსად.

და ოცდა მესამესა წელსა აღმართებთგან პატრიოსნისა ჟუარისა შეუქმნა კუბოჲ რევ, და შეიქმნა საფლავი ჭეშმოსა კელესიასა.

და მოკუდა რევ ³⁾ და დაემარხა ცოლითურთ, და შემდგომად მისა მეთესა წელსა ამან ბაკურ

¹⁾ ქ. ცხოვრებაშიაც თითქმის ამავე სიტყვებით არის ნაამბობი ეს საგანი: „და აღესრულა მირიან მეფე, და დაეფლა ზემოსა ეკლესიასა, საშუალსა სვეტსა სამსრით კერძო, და მას სუეტსა შინა არს ნაწილი ღთივ-აღმართებულისა სვეტისა, და მეორესა წელსა მოკუდა ნანა დედოფალი, და დაეფლა მასვე სვეტსა დასავალით, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო“ (ქ. ცხ. გ. 101).

²⁾ ქ. ცხოვრებით ბაქარ, ანუ ბაკქარ, ძე მირიანისი. ეს ბაქარი, ქართლის ცხოვრების თქმით, მძევლად იყო წაყვანილი კოსტანტინესაგან, რომელსაც, შემდეგ ქრისტეს სარწმუნოების მიღებისა მირიანისაგან, უკანვე წარმოეგზავნა იგი (იხ. ქ. ცხ. გვ. 99—100).

³⁾ ქ. ცხოვრება რევის სიკვდილს მირიანის სიკვდილის წინ უჩვენებს, თუმცა მაშინვე უმატებს: „მასვე წელიწადსა დასწეულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა.“ ქ. ცხოვრება რევის სიკვდილის დროს ასე მოგვითხრობს: „და მოქცევიდგან მირიან

დაიწყო წილგნისა ეკლესიასა და განიშორა ოცდა
შეთსუთმეტესა წელსა, და მოკუდა, და დაეფლა ქუეპოსა
ეკლესიასა ¹⁾.

და დაჯდა მეუფდ ძმაჲ მისი თრდატ ²⁾, და
მთავარ-ეპისკოპოსი იყო ნერსს სომეხთა კათალი-
კოზისა დიაკონი—იობ ³⁾.

და მეფემან რუჲსთვის რუჲ გამოიღო, და ეკლესი-
ისა საფუძველი დადვა. და მის-ზვეე ნეკრესს კახეთისასა
ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით ⁴⁾.

და შემდგომად მისა დადვა ვარაზ-ბაკურ ⁵⁾ მე-

მეფისათა ოც და მეზუთესა (Chron. arm. ოც და მეზუთმეტე-
სა) წელსა მოკუდა ძე მისი (მირიანისი) რეკ, სიძე თრდატ
სომეხთა მეფისა, რომელსა მიეცა მეფობაჲ სიციცხლესავე თჳსსა,
დათლეს აკლდამასვე, რომელი თჳთ მასვე რევს აღეშენა“ (ქ.
ცხ. გვ. 100).

¹⁾ ქ. ცხ.: „ამან (ბაქარ) აღაშენა ეკლესია წილგნისა;
მოკუდა და დაეფლა მამასავე (ვარიანტით—ძმასვე) თჳსსა თანა.“
ცხადია, რომ პირველი ვარიანტი ყოფილა მართალი. რევი, მამა
ბაკურისი, ქვემო ეკლესიაში იყო დამარხული.

²⁾ ქ. ცხოვრებით—მირდატ, ძე ბაქარისი.

³⁾ ქ. ცხ.: „და მისსა-ზე მოკუდა იაკობ ეპისკოპოსი,
და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოზისა დია-
კონი“.

⁴⁾ ქ. ცხოვრება მოგვითხრობს მირდატისაგან ეკლე-
სიების აღშენებას: თუნარისს „ციხესა შინა“, და შემკობას
„ერუშეთისა და წუნდისა ეკლესიათა“ (ქ. ცხ. გვ. 102).

⁵⁾ ქ. ცხოვრებით ვარაზ-ბაქარ, ძე მირდატისი;
მან, ქართლის ცხოვრების თქმით, შეირთო ცოლად „ასული თარ-

ფედ, და მისა-ზეკე სპარსთა მეფისა მარზან-შარნი შემო-
ვიდეს სივნიეთა და იგი კიდანთ უკუჟდა, და მთა-
კარ-ებისკოპოზისი იყო იგივე იობ ¹⁾.

და მაშინ მოვიდა ქრამ ხუნარ-ბორ-ზარდ,
სპარსთა მეფისა ზიტიახში, ტფილისად ქალაქად ციხედ,
და ქართლი მისსა ხარკსა შედგა, და სომხითი, და
სივნიეთი, და გუასპურაგანი ²⁾.

დატიისი, რევის ქისა, მირიანის ქის წულისა, მორ-
წმუნე და კეთილ მოქმედი“. აქედგან სჩანს, რომ ქ. ცხოვრების
თარდატი და ჩვენი ხრონიკის თრდატი ერთი და იგივეა.
მხოლოდ ქართლის ცხოვრება ამ თარდატს მეფეთ არ იხსე-
ნიებს, მოსალოდნელია, რომ აქ ფაქტები არეულია ქართლის
ცხოვრებაში. მირდატი არ უნდა ყოფილიყოს ჩვენი აზრით მე-
ფეთ, და მის შვილს ვარაზ-ბაქარს უნდა რგებოდეს ტახტი
თრდატის ასულის შერთვით, რადგანაც, ეტყობა, თრდატს ძე
არა ყოლია.

¹⁾ ქ. ცხ.: „ამისსა-ზე გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერის-
თავი სპითა დიდითა სომეხთა და ქაროველთა ზედა ხარკისა და-
დებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს მოციქული ვარაზ-ბაქარისს
და ჰრქვეს, რათა შეჰკრებენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან და
განუხუნენ კარნი კავკასიანთანი, გამოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი
და წინააღუდგეს სპარსთა; და წარჩინებულნი თჳსნიცა ეტყოდეს
წინა-აღდგომასა სპარსთასა. არა ისმინა არცა სომეხთა, არცა
წარჩინებულთა თჳსთა, რამეთუ იყო იგი ჩუკენი და მოშიში: უაუ-
ფადა იგი კვესა კახეთისასა, და ალაშენა ციხე ხიდარს, და
განამაგრნა ციხე ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა; რათა დამალ-
ნეს ჯუარნი“ (ქ. ცხ. გვ. 106).

²⁾ ქ. ცხ.: „მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს და

და მისა-ზს ალაშენეს აზნაურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დამოთაულებს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა ¹).

და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ ²), ძე თრდატიისი, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო ელია, და ამან

მოაზრეს, შემოვიდეს ქართლს, ალაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისა“.

¹) ამ ეკლესიის ალაშენებას ქ. ცხოვრება არათუ არ მოიხსენიებს, არამედ ვარაზ-ბაქარი გამოჰყავს მოძულედ სჯულისა. საზოგადოთ ამ მეფეზე ქ. ცხოვრება შემდეგს მოგვითხრობს: „ვინათგან ესე ვარაზ-ბაქარ დაშთა უძეოდ (რადგანაც მურვანოსი, ანუ წმინდა პეტრე, მიჰველად იყო წაყვანილი ბერძენთა მეფისაგან), შეიყვარა სოფელი ესე, და მიდრკა კეთილისაგან, და შეირთო სხუაცა ცოლი, ძის წული ფეროზისი, მირიანის ასულისა, და უშვა ფეროზის ძის-წულმან ძე, რომელსა ერქუა ფარსმან. ხოლო რევის ძის-წულმან რომელი პირველ ვახსენე, ორნი ძენი, რომელთა ერქუა მირდატი და თარდატი (მეგრედიის ვარიანტით—თრდატი). ესე ვარაზ-ბაქარ მეფე კაცი იყო ურწმუნო და მოძულე სჯულისა, გარნა ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულილსა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი, და დიდსა სარწმუნოებასა შინა იუენეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისაჲ, და ესე ვარაზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა. არასადა ალაშენა ეკლესია და არცა ჰმატა ალაშენებულსა, და ყოველითვე იქცეოდა უშეუდოდ“ (ქ. ცხ. გვ. 105).

²) ქ. ცხ-ის თქმით თარდატი, ანუ თრდატი, სიმამრი ვარაზ-ბაქარისა, ძე რევისა, ძის-წული მირიანისი, კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი.

აღაშენა ეკლესიამ ბოლნის, და ამიერ კანკიდა, და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს ¹⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა თარსმან, დის-წული თრდატიისი, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო სუმეონ ²⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა მირდატ ³⁾, და ესე წარიყვანა პიტიახშმან ვარაშ ბადდადს, და მუნ მოკუდა ⁴⁾.

¹⁾ ქ. ცხ.: „ამან სიბრძნითა თჳსითა დაამშვიდა სპარსნი, გამოაჩინნა ჯუარნი, და შეკაზმნა ეკლესიანი. ამის-ზე მოკუდა ეპისკოპოზი იობ, და დასკვა მის წილ ელია, და ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფეთა. და მან გამოითხოვა რუსთავი და აღაშენა ეკლესია, და მანვე აღაშენა ნეკრესი, და მეფობდა უშოთველად, და მოკუდა სარწმუნოებასა შინა დიდსა“ (ქ. ცხ. გვ. 106—107.).

²⁾ ქ. ცხ-ბითაც თარსმან, „ძე ვარაზ-ბაქარიისი, მის წულის წული ფეროზისი, უხუცესი ძმათა . . და მოკუდა ელია ეპისკოპოზი, და დასკეს სვიმონ... ბოლნისის ეკლესიისა აღშენებას ქ. ცხოვრება ამ მეფეს მიაწერს, და არა მის მოწინავეს, როგორც ჩვენი წრონიკა: „და განამრავლნა ჯუარნი, და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა, აღაშენა ეკლესია ბოლნისისა“ (ქ. ცხ. გვ. 107).

³⁾ ქ. ცხ-ბითაც მირდატ, ძმა თარსმან მეფისა, ასულის წული თარდატიისი, ანუ თრდატიისი, ძე ვარაზ-ბაქარიისი, მამულად ბაქარიანი, დედულად რევიანი, ორთავე მირიანის ძეთა ნათესავი (ქ. ცხ. გვ. 107).

⁴⁾ ქ. ცხ-ბა ამ საგანზე შემდეგს მოგვეთხრობს: „ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვართა ქართლისათა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა. მაშინ სპარსთა მეფემან გამოგზავნა ერისთავი, რომელსა ერქვა უბარაზ (გარიანტი-თაზრამ)

და მისა შემდგომად მეფობდა არჩილ¹⁾, და მთა-
კარ-ებისკობისი იყო იონა, და მაშინ დაეტა ქვემო
ეკლესიაჲ, და იონა მიიტკვალა გარეუბნისა ეკლესია-
ასა, და სვეტი იგი ცსოკელი თანა წაწმოიდო²⁾.

და მისა-ზს³⁾ აზნაურთა სტეთანე-წმიდაჲ (წ^ა) აღა-
შენეს არაგუსა ზედა³⁾; და მოგუნი მოგუეთას მო-
გობდეს ცეტსლისა მსასურქებსა-ზედა.

და მისკე არჩილის-ზს⁴⁾ ოთხნი მთავარ⁴⁾ უბისკო-
პოსნი გარდაიტკვალნეს⁴⁾.

სპითა ძლიერითა მირ დატს ზედა. მაშინ მირ დატ სილა-
ლითა თჳსითა არა ჳრიდა სიმრავლესა სპარსთასა, და მცირედითა
სპითა მიეგება გარდაბანს. ეწყო, აოტეს და შეიპურეს იგი სპარ-
სთა წყობასა შინა. შემოვიდეს ქართლს და დაიპურეს ქართლი
სპარსთა, განრუვნეს ეკლესიანი. ხოლო ნათესავნი ქართლისა
მეფეთანი დარჩეს კევსა კახეთისასა და სვიმონ ებისკოპოსი
მათთანავე. ხოლო მირ დატ წარიყვანეს ბაღდადს და მენ
მოკუდა“ (ქ. ცხ. გვ. 107).

1) ქ. ცხოვრებითაც არჩილ, მე მირ დატ მეფისა.

2) ამ ამავეს ქ. ცხ-ბა არ მოიხსენიებს.

3) ქ. ცხოვრება: „მაშინ არჩილ მეფემან აღაშენა ეკლეს-
სია სტეთან-წმიდასა, მცხეთას, კართა ზედა არაგვისათა,
სადა იყუნეს კუბონი მტკიცენი საბრძოლნი, რომელი მასკე აღე-
შენეს“.

4) ქ. ცხ.: „ამის არჩილისა-ზე გარდაიტკვალნეს სამნი
ეპისკოპოსნი: იოანი, გრიგოლი და ბასილი. და ბასი-
ლისა შემდგომად ამანვე არჩილ დასვა ეპისკოპოსი, რომელსა
ერქვა მოზიდან“. . (ქ. ცხ. გვ. 110).

და შერქმე შეფობდა მირდატ¹⁾, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო გლონოქორ, და ესე მთავარ-ეპისკოპოსი ერისთავადცა იყო ბარაზბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს²⁾.

და მისა შემდგომად შეფობდა დიდი ვახტანგ გოღვასარი³⁾ და მთავარ-ეპისკოპოსი იყო იოველ⁴⁾. მასინ წაწიყვანეს ვახტანგ სპარსთა, და შემდგომად წაადენისაჲ ყამისა მთაქცა⁵⁾, და მთავარ-ეპისკოპოსი იყო მიქაელ.

¹⁾ ქ. ცხოვრებითაჲ მირდატ, ძე არჩილ მეფისა.

²⁾ ამ მთავარ ეპისკოპოსს ქ. ცხოვრება არ იხსენიებს, ხოლო ბარზბოდ პიტიახში არის ქ. ცხოვრების ბარზაბოდ, ანუ ბარზაბუდ, სპარსთა ერისთავი რანისა, რომლის ასული საგდუხტ მოიყვანა ცოლად მირდატმა, არჩილისაჲე სიცოცხლეში, და აღუთქვა ბარზაბოდს თიცი მშვილობისათვის. ის მთავარ-ეპისკოპოსები, რომელნიც ერისთავებათაჲ იყვნენ, ე. ი. რომელნიც განაგებდენ როგორც სასულიეროს, ეგრეთვე სამოქალაქო საქმეებს, ქ. ცხოვრებაში სახელწოდებულნი არიან ქორ-ეპისკოპოსებათ, ვახუშტის ისტ-ში ქორიკოზებად.

³⁾ ქ. ცხოვრებით ვახტანგ გურგასლანი, ანუ გურგასალი, ძე მირდატისი, გაზრდილი საურმაგ სპასპეტიისი.

⁴⁾ ამ იოველს ქ. ცხოვრება არ იხსენიებს.

⁵⁾ სპარსთაგან ვახტანგის წაყვანას ქ. ცხოვრება არ მოიხსენიებს, მხოლოდ ვრცლათ მოგვითხრობს ვახტანგის დედის საგდუხტ დედოფლის გამგზავრებას თავის მამასთან ბარზაბუდისთან შესავედრებელათ, „რათა იპყრას შვილი მისი მამულსა შინა თვსსა, და მოურავ ექმნეს იგი სპარსთა მეფისა წი-

და მან მიაძხა ფერკი პირსა მეფისასა ვანტანგს. ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოვა მეფისაგან და პატრეაქისაგან კათალიკოზა ¹⁾.

ხოლო მა[ნ] მოსცა პეტრს კათალიკოზი და თანა ჭეკანდა მას სამოველ მონაზონი, წმიდაა [და] [დი]რსი, და აღაშენა ქუემოა ეკლესიაა ვანტანგ მეფემან, და დასვა პეტრს კათალიკოზი, და ესე იყო ქართლის მოქცევიტვან რომ წელსა. მეფენი გარდაცვალე-

ნაშე.“ სჩანს ვანტანგ წყევანილი ჰყოლია ბარზაბუდს, რომელსაც იგი თავისის ასულის საგდუხტის ვედრებით დაუბრუნებოდა (ქ. ცხ. გვ. 111).

¹⁾ კათალიკოზის თხოვას ქ. ცხოვრება მიქაელისაგან ვანტანგისადმი ფერხის მიმთხვევამდის მოიხსენიებს და პირველს მეორის მიზეზათ უჩვენებს: „ხოლო ვანტანგ წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესთვის კათალიკოზისა და სამოველ ეპისკოპოსისა . . . და ვითარცა ცნა ეპისკოპოზმან, ვითარმედ წარავლინა მეფემან მოყვანებად კათალიკოზისა და ეპისკოპოზთა, დაუმძიმდა მას ზედა. იწყო რეცა ამბობებად და მიზეზობად დაიდასტურა, და ჰკონებდა რომელ შუოთითა დააცადოს საქმე იგი, და მოსლგამ მათი, და კრულ ჰყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი. ხოლო მეფემან თქვა: „დალაცათუ უხრადლო ვარ, სიმდაბლე ფერ არს ჩემგან,“ და მივიდა მეფე და გარდაცდა სახედარსა, რათამცა შეემთხვია ფერკთა ეპისკოპოზესათა, და განხადა მან ფერკი და მიათხვია პირსა მეფისასა, თანდაკითა შემესრა კბილი მისი“ (ქ. ცხ. გვ. 144).

ბუღ იუკნეს ათნი და მთავარ ებისკოპოსნი ათ-ცამეტნი. ხალხი პირველი კათალიკოზნი იყო პეტრე¹).

და ამისა შემდგომად მეფობდა დარჩი უქარმეფლი²), და კათალიკოზნი იყო სამოველი, და მისა-ზე ტუილისს

¹) ქ. ცხ-ში ვკითხულობთ: „ხალხი მცხეთას მეფემან ვ ა ნ - ტ ა ნ გ აღაშენა ეკლესია მოციქულთა, სვეტი ცხოველი, და უპურა სვეტსა შინა, სამხრით, ადგილსა მას, სადა იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი ღიდი. მუნ შინა დასვეს პეტრე კათალიკოზად (მეგრელიის ვარიანტი: დასვეს პირველად კათალიკოზი პეტრე): ქართლის მოქცევითგან სვეტის-ცხოველის აღშენებადმდე, კათალიკოზის განწესებადმდე, გარდაცდეს წელიწადი „რო“, მეფენი გარდაცვალებულ იუენეს ა თ ნ ი, მთავარ-ეპისკოპოსნი „იგ“ (ქ. ცხ. გვ. 145 და მესამე შენიშვნა).

აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ როდესაც ჩვენი ხრონიკა ამბობს ათი მეფის გადაცვალებაზე მას სახეში უნდა ჰქონდეს რ ე ვ ი ც, უამისოთ ათი არ გამოდის. კათალიკოზები კი ჩვენი ხრონიკის თანხმად მართლა ცამეტი გარდაცვალებულა, მაგრამ ქ. ცხ-ში ამათში მხოლოდ ცხრაა ნაჩვენები და პეტრე, მეათეა.

²) ქ. ცხოვრებითაც და ჩ ი, ძე ვანტანგ გორგასაღისა. დაჩის ვანტანგმა, ქ. ცხოვრების თქმით, თავისვე სიცოცხლეში მისცა ქალაქი შ ე რ ა მ ი ს ა და ნ ე კ რ ე ს ი ს ა, და ქალაქი კ ა მ ბ ე ჩ ი ს ა, რომელ არს ხო რ ნ ა ბ უ ე ზ ი, და ყოველი ქვეყანა მტკვარსა აღმოსავალით, და თვით ვანტანგ დაედა უფარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა, და დაჰ მისი ხ ვ ა - რ ა ნ ძ ე მისცა ბ ა კ უ რ ს, პატიანშსა სომხითისასა, ცოლად³ (ქ. ცხ. გვ. 146).

კაცნი დასხდებოდეს [და მათ] წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს, და კათალიკოზნი იყო პეტრეს¹⁾.

და ამისა შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძს დაჩისი, და კათალიკოზნი იყო სამოველ²⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა თარსმან, და კათალიკოზნი იყო თავთაჩაგ.

და მისა-ზევე რიმაგა კ, და მისა-ზევე სპარსთა მეფობაჲ მცხეთად მოვიდა, და შესაფოთა ქართლი, და ქალაქნი, და წარვიდა³⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა თარსმან სხუაჲ (სხა) ⁴⁾, და კათალიკოზნი იყო დასაბია, მკუდრი მცხეთელი; და იქამთგან რათა სასლთა აღიღეს კათა-

1) სამოველ კათალიკოზს ქ. ცხოვებაც უჩვენებს, მხოლოდ პეტრეს არ მოიხსენიებს და არც ტფილისს კაცების დასხდომასზე და ეკლესიის აღშენებაზე ამბობს რამეს.

2) ქ. ცხოვრება ამ კათალიკოზს არ მოიხსენიებს და ბაკურზე აგრე მოკლეთ მოგვითხრობს: „დაჲდა მეფედ ქე მისი (დაჩისი) ბაკურ, და იმეფა ათცამეტ წელ და მოკუდა ბაკურ მეფე“ (ქ. ცხ. გვ. 150).

3) ქ. ცხოვრებითაც თარსმან, ქე ბაკურ მეფისა. კათალიკოსების რიცხვში ქ-ს ცხოვრება ცთება, როდესაც მოგვითხრობს: „მოკუდა კათალიკოზნი სამოველ და დაჲდა კათალიკოზად მესამე კათალიკოზნი თავთაჩაგ, და მოკუდა თავთაჩაგ, და დაჲდა კათალიკოზად მეოთხე კათალიკოზნი ჩირმაგ“ (ქ. ცხ. გვ. 150).

4) ქ. ცხოვრებითაც თარსმან (მეექვსე), ძმის-წული თარსმან მეფისა.

ჯიკოზობაჲ მცხეთელთა მკუდრთა, და მისკე მეფისა-სც^ს კათალიკოზნი იყო ეფთათს^ს 1).

მაშინ მოვიდა ნეტარი იოვანე ზედა-ზადენელი შუა მდინარით ასურეთისაჲთ იგი და ათოცმეტნი მოწაფენი მისთანა მოვიდეს 2).

1) ქ. ცხოვრებაში ამ კათალიკოზებზე შემდეგი ცნობებია: „და მოკუდა კათალიკოზნი ჩ ი რ მ ა გ, და ამანვე მეფემ დასვა კათალიკოზად ს ა ბ ა. აქათ-გან აღარა მოიყვანებდეს კათალიკოზ-სა საბერძნეთით, არამედ ქართუშლნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი“. აქ ერთი ქ. ცხოვრების ვარიანტი უმატებს: „ხოლო ითხოვეს ი უ ს ტ ი ნ ე ა ნ ე ს ა გ ა ნ ქართუშლთა, რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართუშლთანი, რამეთუ მოვიდოდნან კათალიკოზნი საბერძნეთით, ხოლო იუსტინიანე დაწერა წიგნი და დაბეჭდა თჳსითა ბეჭედითა ესრეთ, რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართუშლთანი და აქუნდეს უღერესობა ყოველთა ეკკლესიათა და მღუდელ-მთავართა ზედა“. საბას შემდეგი კათალიკოზი ქ. ცხოვრებაში ე ვ ლ ა ვ ი ო ზ - ა დ იწოდებს: „და მოკუდა კათალიკოზნი საბა, და მანვე მეფემან დასვა კათალიკოზნი ე ვ ლ ა ი ო ზ, ვარიანტებით ევლავიოს“ (ქ. ცხ. გვ. 151).

2) ქ. ცხოვრებაც თარსმანის დროს უჩვენებს ი ვ ა ნ ე ზ ე დ ა ზ ა დ ე ნ ე ლ ი ს და მისი მოწაფეების მოსვლას საქართველოში და მოჰყავს მათი ცხოვრების აღწერილობა, ამასთანავე ერთი ვარიანტი მათი მოსვლის დროს ასე განსაზღვრავს: „მ ი რ ი ა ნ ი დ ა მ გ ა რ დ ა კ დ ა წ ე ლ ნ ი ო რ ა ს ნ ი და მ ე ფ ე ნ ი ი ბ“ (ქ. ცხ. გვ. 151, შენ. 6). მეორე ადგილას ქ. ცხოვრება ამ დროს ასე გვიჩვენებს: „მეფობიდან მ ი რ ი ა ნ მეფისათა, ვიდრე მეორისა თა რ ს მ ა ნ ი ს ა, გარდაკდეს წეღნი ო რ ა ს ი (ბროსეს ვარიანტით ორას ორმოცდა ათი), და მეფენი გარდაიცვალნეს

და მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ¹⁾, და კათალიკოზი იყო მაკარი, და მისა-ზევე ვარსკენ ჰი-ტიანში იყო, და შუშანიკ იწამა ცურხავს²⁾.

და მისა შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველ და მერმე სიმონ-პეტრს. და ამის ბაკურის-ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ³⁾.

თ ო თ ხ მ ე ტ ი, და ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს თ გ ა ნ კათალიკოზნი გარდაიცვალნეს ექსენი“ (ქ. ცხ. გვ. 159). მარამ დედოფლის ვარიანტი—კათალიკოზნი გარდაიცვალნეს რვანი (ს^რ).

¹⁾ ქ. ცხოვრებითაც ბაკურ, ძე ფარსმან მეფისა.

²⁾ ყველა ამ ფაქტებს ქართლის ცხოვრებაც მოიხსენიებს. შუშანიკე იყო ცოლი ვასქენისი, რომელმაც მიიღო ცეცხლის მსახურება და სპარსთა მეფისაგან იქმნა დანიშნულ ერისთავად რანისა. რადგანაც შუშანიკემ არინება ქრისტიანობის დატოვება, წამებულ იქმნა ვასქენისაგან; ქ. ცხოვრების თქმით შუშანიკე დაუღეს ცორტავს (მეგრელების ვარიანტით ცორხავს). შიომღვიმის მამათა ცხოვრებაში ამ ადგილის სახელი ცურტაეთია: „და ვითარცა მოიწია დაბასა, რომელსა სახელი ერქუა ცურტაეთ“ (შიომღვიმის მამათა ცხოვრება გვ. 121). ბროსსეს აზრით ცურტაევი არის ნაწილი გუგარკის მაზრისა, ებლანდელი სომხეთისა. (Hist. de la Géor. t. I, p. 215).

³⁾ სამოველ კათალიკოზს ქ. ცხ-ბარ უჩვენებს, მხოლოდ სიმონ-პეტრეს მოიხსენიებს სჯმონად. სუმბატის ისტორია კი სვიმონ-პეტრეს უწოდებს, თანხმად ჩვენი ბრონიკისა. მეფობის დასრულებას ქ. ცხოვრება უფრო ვრცლათ მოგვითხრობს: „მოკუდა მეფე ბაკურ, და დარჩეს შჯლნი მისნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა . . . და განდგეს ერისთავნი თჳს-თჳსად, ხარკსა მისცემდეს ქასრეს ამბარ-

მაშინ მცხეთაჲ ათსულდებოდა და ტუფილისი
ეძენებოდა, არმაზნი (sic). შემცირდებოდეს და გალად
განდიდნებოდა

სპარსნი უფლებდეს ქართლს, და სომხითს, და
სივნიეთს, და გუასპურაგანს ¹⁾.

და კათალიკოზი იყო სამოველი, და ნელ-ად[რს]
შეკრბა ქართლი, და გან[ა] ჩ [ი]ნეს ერის[თავა]დ გუარა[მ]
[და მეჭმე კურაპალატადცა]. ამან და[დ]კა ს[ა]ფუშველი ზე-
ტი[ოსნის], ჯუარისაჲ, და ამას-ზევე იყო კათ[ა]-
ლიკოზი [სა]მოველივე სხვაჲ (სს^ა), და ტუფილ[ისისა]
მკედრთა დიდსა ეკლესიას დაიწყეს. ნახევარსა იქმოდა
ყოველი ერი, და ნახევარსა ერისთავნი; და კათალიკოზი
იყო ბართლომე ²⁾.

ვეზს (სპარსთა მეფის ურმიზდის შვილს, რომელსაც ეპ-
ურა რანი და მოვაკანი), და შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთიულეთს
კანეთისასა. და ნათესავნი შირდატიისნი, ვანტანგის ძი-
სანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს,
იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა. სხუა ყო-
ველი ქართლი, სომხითი და ასურაგანი დაიპყრეს სპარსთა და
ჰბრძოდეს ბერძენთა“ (ქ. ცხ. გვ. 161).

¹⁾ ეს ადგილი სიტყვა სიტყვით არის მოყვანილი სუმბა-
ტის ისტორიაში, მხოლოდ სივნიეთის მაგიერ „სავანეთია
ნახმარი, და გვასპურაგანის მაგიერ ასპორაგანი,
(იხ. სუმბ. ის. გვ. 44).

²⁾ სუმბატის ისტორიაში ვკითხულობთ: „და იყო მას უამ-
სა მცხეთას კათალიკოზი სამოელი და ამის-ზე ტუფილისისა
მკვიდრთა ეკლესიისა გებად იწყეს, რომლისა ნახევარსა ყოველი

და მისა შემდგომად ერისთაობდა სტეფანოზ, მწ მისი, ძმაჲ დემეტრესი. და იქმოდა ეკლესიასა ჟუარისასა (ჟარისასა).

მაშინ ჩამოკლო ჰერაკლს მეფემან ბერძენთა- მან, და უხმო ცხინისთავმან კაღაჲთ ტფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაჭ-ბოტობით. ხოლო მან ფერკი დააპყრა და დანიელ მოიღო, და მოიძია სიტყუაჲ ესე: „[მოვი]დეს ვაჭი [იგა] მზის დასაჯალისაჲ და [შემუ]სრ- ნეს რქანი ვერ[მისა-მის] მზის აღმოსავლისანა“. და მეფემან [ჰქრქა]: „უგ[ეთუ] ჩემთჳს ესრეთ იყოს სიტყუაჲ, მე მიგიგო მისაგებელი შენი“. და დაუტყვა ჯიბლო ერისთავი ბრძოლად, და იჳთ წარვიდა ბადდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა.

ხოლო ამან ჯიბლო მცირეთა დღეთა შემდგომად კაღაჲთ გამოიღო და ცხინის თავი იგი შეიპყრა, და ში- რი დრჳჰგნითა აღუესო, და მერმწ მრთელსა ტყავი გაჰ- კადა, და მეფესა უკუანა მისწია გარდბანს (sic), ვარაზ გრიგოლისსა შინა.

წაჳიდა ჰერაკლე და შემუსრა ბადდადი, და შე- იპყრა ხუასრო მეფს, და მოღებად სცა ძელი ცხლ- ვრებისაჲ.

და იწყო ბრძანებით უწნებად იზრუსადიძისა (იზ მსა), და მოდისტოს დასუა პატრქაქად, და წარ- მოვიდა აქაჲთვე მეშვიდესა წელსა.

ერი აშენებდა, და ნახევარსა ერთი ვინმე დედაკაცი, და კათალი- კოზი იყო მცხეთას ბირთლომე“ (იხ. სუმ. ისტ. გ. 45—46).

და ვიდრე მოსკლადმდე მისა ტუილისს, სიონი
განიშორა გუჯრთა, სოლო ჯუარისა ეკლესიასა აკლდა-
და. ამან ჰერაკლს ტუილისს და მცხეთას, და
უქარმას განაუღინა ქადაგნი,

რათა „ყოველი ქრისტესანი ქადაგთა შინა ეკლესიასა შინა შემოკრებენ, და ყოველი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლენ, ანუ მოისრენ.“

სოლო მათ ნათლის ღებამ არა იხებეს, ზაკუვიით თანა-ადრინეს ქრისტესანეთა, ვიდრემდის (ვღს) ყოველთა ზედა წარჭმართა მასული, და ეკლესიასა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს.

სოლო ჰერეკლე განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა. და ერისთავობდა იგივე დიდი სტეფანოზ, და კათალიკოზი იყო ბართლომე მეორედ ¹⁾.

და შემდგომად ერისთავობდა ადრნესე (sic) და მისა-ზს სამნი კათალიკოზნი იცვალეს: იოვანე, ბაბილა, თაბორ.

და მისა შემდგომად ერისთავობდა სტეფანოზ, ძს მისი, და ამან განიშორა ჯუარისა ეკლესიამ, და დადვა კრებამ ჯუარს (ჯრს) ჯურობასა (ჯრობასა) ერთთუე, და ტუილისს დაჟდა სტეფანოზ, და კათალიკოზი იყო სამოველ, და მისა-ზევე ევრონ.

და ჰამბაკი მოკდა...²⁾ კითარმედ „ბაღდადი ავა-

1) სუმბატის ისტორიით:— „მეორე ბართლომე“.

2) აქ დედანში ორი სიტყვა ამოთხევილია, მგონია თვით გადამწერისაგან.

რეანთა დაიპყრესო,“ და ამისთვის ბეჭმენტა ქყნა (?) ჯოჯოსა აჭვიდეს და წარიღეს საბერძნეთსა ¹⁾).

და მისა შემდგომად ერისთავობდა გუარამ კურაპალატი ვ, და გუარამ ყრმაჲ ზ, და მეტყე არშუშა კურაპალატი ს, და ვარაზ ბაკურ აჰაჲ, პატრიკიოზი, რომელმან გარბანელნი მოაქცინა, თ, და მეტყე ნერსე ი, და მენი მისნი: ფილიპე ია, სტეფანოზ იბ, ადრნესე ივ, გუარამ იღ, და ბაკურეანი, ძს ბაჟდადისი, იე, და მენი ადრნესესნი: სტეფანოზ ივ, და აშოტ კურაპალატი იზ, და გუარამ. დიდნი ერისთავნი ესთენ იყვნეს ²⁾).

¹⁾ ეტყობა აქ გადამწერს რაღაც აურევია და შიტომ უაზრობა გამოდის: სიტყვა ქყნა სხვაფერ არ წაიკითხება, თუ არ ქვეყანაჲ. ამ ფრაზის მაგიერ სუმბატის ხრონიკაში შემდეგი ფრაზაა: „და მ.სა-ზე (ე. ი. სტეფანოზის-ზე) ქუეყანა ქართლისა აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს“.

²⁾ მთელი ეს ისტორია გვარამ კურაპალატიდგან დაწყებული ვიდრე აქამომდე ითქმის სიტყვა სიტყვით არის შეტანილი სუმბატის ისტორიაში (ინ. სუმბატის ისტორია გვ. 45—50), მაგრამ მეშვიდე ერისთავი ჩვენი ხრონიკისა გუარამ ყრმაჲ, მეორვე ერისთავი არ შუშა კურაპალატი, მეთოთხმეტე—გუარამ, მეხრესესი, და მეთხუთმეტე—ბაკურეანი, ძე ბაჟდადისი—არც ქ. ცხ-ში და არც სუმბატის ისტორიაში ცნობილნი არ არიან. ამას გარდა მეთექვსმეტე ერისთავი, ჩვენი ხრონიკის ცნობით, არის სტეფანოზი, ძე ადარნასესი, ხოლო სუმბატის ისტორიის და ქ. ცხ-ბის სიტყვით გურგენ, ძე

ხოლო კათალიკონი, რომელიც კონსტანტინის მ-
მართ იყენეს: თავუთაზ ა, ევლათე ბ, იოველ გ,
სამოველ დ, გეორგი ე, კვირიონ ვ, იზიდ-ბო-
LXVI.	1 <i>ძირიღვან.</i>	რატ არ.	რატ.
LXXIII.	4 — .	სასკლდობ.	სასკლდობრ.
XCII.	10 — .	სასკლდობ.	სასკლდობრ.
—	16 — .	ბრწინკებისაჲ	ბრწინკებისაჲ.
XCIII.	1 <i>ძირიღვან.</i>	და.	და არტ.
XCIV.	1 — .	ძოუვანიღ.	ძოუვანიღი.
CXVI	2 — .	Грузиѳ.	Грузиѳ.
—	— — .	ХЪ.	КЪ.
CXXI	8 — .	რომელიტ.	რომელიტ.
CXXII	2 — .	I' Academi.	I' Académie.
CXXIII	11 — .	ეთრი.	ეთრი.
CXXV	3 — .	Сати.	Стати.
—	— — .	дрвн.	дрвн.
CXXVII	11 — .	ღსსაჯერებელია	ღსსაჯერებელია.
—	4 — .	грузი.	Грузи.
—	1 — .	წინა-სიტყვაობაში	წინა-სიტყვაობაში .
CXXVIII	14 — .	ფრიაადითა.	ფრიაადითა .
—	17 — .	უძღურებირა.	უძღურებირა.
CXXX	1 — .	610 .	640.
CXXXII	8 — .	163—163.	163—167.
—	2 — .	Memoires.	Mémoires
2.	16 ძირიღვან.	ამბები.	ამბები.
3.	13 თავიღვან.	ღსტატი.	ღსტატი. ?
5.	4 — .	ჭა.	ჭა.
15.	15 ძირიღვან.	ჯა.	ჯა.

გვერდი.	სტრიქონი.	სწერია.	უნდა იყოს.
15	10 ძირიდგან.	რ. . .	რ.
—	5 — .	ამბაკები.	ამბაკები.
16.	10 — .	და და.	და.
17.	10 — .	ოღისა.	ოღისა.
29.	12 თავიდგან.	დაუბრუნეს.	დაუბრუნესა.
50.	8 — .	მოისრა.	მერძე (მოისრა?)
56.	10 ძირიდგან.	50. . .	51.
64.	2 — .	55. . .	56.
86.	11 — .	კრაცხთ.	კრაცხთ.
87.	11 თავიდგან.	მ. . .	ამ.
88.	10 — .	ბდუყაფარ.	ბდუყაფარ.
92.	12 — .	ახის.	ახისის.
—	11 ძირიდგან.	სელით.	სელით და.
94.	2 — .	ქამომდე.	აქამომდე.
95.	16 — .	გაკეპწიფეს	გაკეპწიფეს.
—	10 — .	იეთ.	იეთ.

NB მე-107 გვერდზედ მოყვანილი მუხუთე უნიშვნა არ უნდა სრულდებოდეს, შეცთომით არის დაწერილი.

ახალი ვაზიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა

ანუ

მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა

გამოცემული

რედქტორობით და წინა-სიტყვაობით

ე. თაყაიშვილისა.



ტფილისი.

Типогр. Я. А. Мансвѣтова. || სტამბა ი. ა. მანსვეტოვისა.

1891.

Дозволено цензур. Тифлисъ, 20 Апрелья 1890 года.

წინა-სიტყვაობა

ახალი ვაჩიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა, რომელიც აქამომდე ცნობილი არ იყო და აქ პირველად იბეჭდება, შეადგენს მეორე ნაწილს „ქართლის მოქცევის წიგნისა“. პირველი ნაწილი ქართლის მოქცევისა შეიცავს ისტორიულ ხრონიკას და დაბეჭდილია ჩვენს გამოცემაში, რომელსაც ეწოდება „სამი ისტორიული ხრონიკა“. იქვე მოუვანილია სრული აღწერილობა შატბერდის კრებულისა, რომელიც ეკუთვნის მეათე საუკუნეს და რომელშიაც მოიხსენიება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, და აგრეთვე გამოთქმულია სრული ჩვენი აზრი საზოგადოთ ქართლის მოქცევის შესახებ. ამიტომ აქ საჭიროთ არა ვრაცხთ განვიმოცოთ ის, რაც უკვე გამოგვითქვამს, და ვისაც სურს დასწლოვებით გაიცნოს მოელი ქართლის მოქცევა, მან უსათუოდ ჩვენს სამ ისტორიულ ხრონიკას უნდა მიმართოს ¹⁾.

ტექსტის გამოცემის წესი აქაც ისეთია დაცული, როგორც ქართლის მოქცევის ხრონიკაში არის, ესე იგი ის სიტყვები და ასონი, რომელნიც დედანში გადასულნი არიან, და ძლივს განიჩქევიან, დიდ ფრჩხილებშია ჩასმული. საეჭვო

¹⁾ იხ. სამი ისტორიული ხრონიკა (ქართლის-მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითისა)... ტფილისი. 1890.

შემთხვევაში ჰატივ ქვეშ მეოთვი სიტყვები ჰატივითვე არი-
ან ნახვენები ჰატარა ფრხსილებში და საზოგადოთ მართლ-
წერა დედნისა სასტიკად არის დაცული 1). წმიდა ნინოს
ცხოვრებას დედანში აკლია სამი ფურცელი. ნაკლული
ტექსტი, სადაც შესაძლო იყო, შევასეთ იოანე ნილოს
მცემლის და შიო-მღვიმის მამათა ცხოვრების ხელ-ნაწერე-
ბიდგან და ცნობები ამ შევსების შესახებ შენიშვნებში
უჩვენეთ 2). აქ საჭიროთ ვრცხთ მოკიუვანთ ცნობები
ქართულთ წმიდა მამათა ცხოვრების ვარინტებზე საზო-
გადოთ და აგრეთვე იმ ხელ-ნაწერების შესახებ, რომლე-
ბითაც ჩვენ ვსელმძღვანელობდით შედარების დროს.

უძველეს ვარინტათ ქართულთ მამათა ცხოვრებისა
ითვლება ერთი ეტრატზე ნაწერი ვარინტი, რომელიც
ეკუთვნის პეტრბურგის სამეცნიერო აკადემიას და რე-
მელშიაც მოიპოვება—ა) ცხოვრება წმიდა ნინოსი და მო-
ქცევა ქართლისა და მიწიან მეფისა, ბ) ცხოვრება დავით
გარესჯელისა, გ) შიო მღვიმელისა, დ) აბიხს ნეკრესელი-
ლისა და ე) დავით და კოსტანტინესი. ყველა ეს ცხოვ-
რებანი აღწერილნი არიან არსენი კათალიკოსის მიერ,
რომელიც ცხოვრობდა მეათე საუკუნეში 3).

1) ხოლო პირველ სამ გვერდზე „უე“-ს მაგიერ სიტყვებ-
ში ჩვენ, თქვენ და სხვა შეცთომით არის ნახმარი „უზ“.
ჩვენს დედანში, როგორც უძველესს ხელ-ნაწერებში საზოგადოთ,
„უზ“ მაგიერ ყოველთვის „უე“ იხმარება.

2) იხ. ქვემოთ გ. 15—18; 24; 40—42.

3) იხ. პროფესორ ჩუბინოვის წინა-სიტყვაობა ქართლის
ცხოვრების მეორე ტომისა, გ. XX.

ხსენებულ ვაჩიანტის შემდეგ საუკეთესო ვაჩიანტებათ ქართველთ მამათა ცხოვრებისა ითვლებიან შიო-მღვიმის და იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის ვაჩიანტები, რომელნიც ესლა ჩვენს საეკლესიო მუზეუმს ეკუთვნიან. ამათზე უკეთესი და უსრულესი ქართველთ მამათა ცხოვრებანი ჩვენში არ მოიპოვებიან, ჩვენ სძირათ მივმართავთ ამ ხელნაწერებს ჩვენს შენიშვნებში, და ამიტომ საჭიროთ ვრცლთ მოვიყვანოთ აქ მათი სრული აღწერილობა.

შიო-მღვიმის მამათა ცხოვრება № 170 in 4^o, ანუ 30×21 (22×6) სანტიმეტრი, დაწერილია მშვენიერ მოსქო ქალაქდზე წვრილის და ძრიელ ლამაზის ნუსხა ხუცურის ხელით, ტექსტი ნაწერია ორ სვეტად და თითოეულ სვეტზე დატეულია 40 სტრიქონი. ძეგლი ტექსტისა შავია, სათაურებისა წითელი. ხელნაწერი შეიცავს სულ 502 გვერდს და დაცულია სრულათ. პავინაცია აღნიშნულია რკეულებზე თითოეული რვა ფურცლის შემდეგ. უდა ხისა აქვს ტყავ გადაკრული და ლამაზი. პირველ ფურცელზე თავში ფერადებით შემკობილი ფურცლის სათაური, ანუ „ხასტაკა“ არის, არა მდიდრული. სიტყვები უმეტეს შემთხვევაში მოკლებით არიან ნაწერნი, პატივ ქვეშ. ხელნაწერში მოქცეულია სრული ცხოვრებანი ქართველთ წმინდანებისა შემდეგის რიგით:

1) ცხოვრება წმიდისა იოანე ზედა-ზადენელისა (1—24). სათაურის ქვემოთ სწერია: განახლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩუზნმან ქრისტეს მიერ ქართლისა ქათალიკოზმან არსენი. 2) ცხოვრება წ. დავით გარეჯელისა (25—61); 3) ცხოვრება წ. შიო-მღვიმელისა (62—91),

IV

რომელი აღწერა ღირსმან მარტურნი, პირველ რომელსა
 ეწოდა იოანე (1), რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა
 იოანესთა კოსტანტინეპოლით; 4) ცხოვრება წ. მამისა
 აბოხს ნეკრესელისა თქმული არსენ დიდისა ქართლისა
 კათალიკოსისა (93—97). ამის ბოლოს სწერია: „ღმერთ-
 თო, შეიწყალე ცოდვილი იოანე, ამინ“. 5) ცხოვრება წმ.
 მოწამისა კოსტანტინესი ქართველისა, რომელი იწამა ბაბი-
 ლოვნელთა მეფეთა ჯაფარის მიერ (97—102); 6) ცხოვ-
 რება წ. გობრონისა, აღწერილი სტეფანე მტბევერელ ეპი-
 სკოპოსის მიერ, ბრძანებითა აშოტ გურკატპალატისათა
 (103—110); 7) წ. ეესტათი მცხეთელისა (110—120);
 8) წ. შუშანიკ დედოფლისა (120—130); 9) წ. ქეთე-
 ვან დედოფლისა (120—154); 10) ცხოვრება წმიდათა
 მოწამეთა დავით და კოსტანტინესი (155—162; 11)
 წ. ლუარსაბ მეფისა (163—169); 12) არჩილ მეფისა
 (169—170; 13) ეფთჳძე მთა-წმინდელისა (171—208);
 14) გიორგი მთა-წმინდელისა (208—266), ამის ბოლოს
 სწერია: „მამო წმიდაო გიორგი, მეოხ და მოვარველ მეუფე-
 მე წინაშე ქრისტესა ცოდვილს იოანეს მწერალსა“. 15)
 ცხოვრება წ. ილარიონ ქართველისა (267—293); 16)
 პეტრე ქართველისა (293—300); 17) წ. აბოსი (300—223).
 ამის ბოლოს სწერია: „ყოვლად ქებულო მოწამეო აბო,
 მეოხ მეუფე ცოდვილსა მწერალს გლასაკს იოანეს“. შემდეგ
 კვითსულობით: „გურთსეულმცა არს საკელი, რომელმან
 შეკრიბა დედა წიგნისა ამის, ამინ“. 18) ცხოვრება წმ.
 ნინოსი (321—386). ბოლოს სწერია: „ღმერთო, შეი-
 წყალე ცოდვილი სიონის მთავარ-დიაკონი, გერმანეს ძმის

წული, იოანე“. 19) განგება სვეტის ცხოველის დღესასწაულისა და მოთხრობა სვეტისათვის ცხოველისა და საუფლოსა კვართისათვის (386—432). 20) ცხოვრება წ. რაქდენისა (433—435). მე-436 გვერდზე მოყვანილია ზანდუკი წიგნისა და ბოლოს სწერია: „სრულ იქმნა საკითხავი წმიდათა მამათა და მოწამეთა კელითა ჩემ ცოდვილისა მთავარ-დიაკონისა იოანესითა. დიდება ღმერთსა, სრულ მყოფელსა ყოველთასა, ამინ. და თუ რამე ნახოთ შეტომით, ნუ მწყევლით ღვთის გულისათვის და გამტავს ეცადენით საღვთოს სიუკარულობისათვის“. 21) კსენება ღსაგალობელი წ. დოდო გარეჯელისა (437—443); 22) საგალობელი და შესმანი რაქდენისი (445—456); 23) — არჩილ მეფისა (457—466). 24) — ლუარსაბ მეფისა (407—486); 25) შესება წმიდათა მოწამეთა ბიბინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისაჲ. (480—493); 26) — ისე წილგნელისა (493—502).

ბოლოს სწერია: „დიდება ღმერთსა დიდებით დიდებულსა. ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი მთავარ-დიაკონი იოანე. სრულ იქმნა სიონს შინა, ქალაქსა ტფილისისა, თთვესა (თა) ივლისის გასულს, ქკს უკა“ — 1733.

ამ გვარად შიო-მღვიმის სელ-ნაწერი, რომელიც საუკეთესო კრებულს შეადგენს ქართველთა წმიდა მამათა ცხოვრებისა, გადაწერილი უოფილა ტფილისში 1733 წ., ივლისის გასულს, სიონის მთავარ-დიაკონის, გერმანეს ძმის წულის, იოანეს მიერ.

იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის ქართველთა მათა ცხოვრება № 130 in 4^o, 32×21 (20×6) სან-

ტიმეტრი დაწერილია თეთრ ქაღალდზე მოლამაზო ღ აწ მსხვილი ნუსხა ხუცურის ხელით. ტექსტი ნაწილია ორ სვეტით და თითოეულ სვეტზე დატულია ოცდა ცამეტი-დგან ოცდა თექვსმეტ სტრიქონამდე. მელანი სათაურებისა წითელია, ტექსტისა შავი. ჰაგინაცია აღნიშნულია რკეულებზე თითოეული რვა იურცლის შემდეგ. ხელ-ნაწერი აკინძულია, მაგრამ უდა აწ აქვს. თავი და ბოლო აკლია. თავში, როგორც ჰაგინაციიდგან სჩანს, მხოლოდ 23 ფურცელი აკლია. ესა დატულია სულ 624 ფურცელი. ტექსტი ამ მამთა ცხოვრებაში უფრო ადვილი საკითხავია, ვიდრე შიო-მღვიმისაში, რადგანაც ხელი წერისა უფრო მოსხოა და შემოკლებანიც ისე ძლიერ სძინი აწ აჩანს, როგორც პირველში. იოანე-ნათლის მცემლის ვაჩიანტში ქართველთ მამთა ცხოვრებანი სრულიად იმავე რიგით აჩანს მოევანილნი, როგორც შიო-მღვიმისაში. ტექსტი ესა იწყება დავით გარეჯელის საგალობელით: „შნ გნ შბილისა ქა შნნი ღის მშობლად აღმსარებელი დაიფარენ უსაწელი...“ თავდება სიღონისა მოთხრობით ჯგარის შესახებ, რომელიც სვეტი-ცხოველის განგებაშია მოქცეული: „ჭკითხვიდეს უკუწ, თუ რა აწ გონქა ამას შეკრძალულსა შინა. ხოლო იგინი მიუგებდეს, ვითარცა უწყოდეს სულტისა შესაბამად ჭეშმარიტებისა“. მოგუყავს აქ ყველა მინაწერები ტექსტისვე ხელით, რომელნიც მოიპოვებინ ამ წიგნში.

დავით გარეჯელის ცხოვრების ბოლოს სწერია: „მე ცოდვილმან და უღირსმან გაბრიელ საგინაშვილმან აღვსწერე მამთა საგალობელი და საკითხავი. გეგედრებით,

ნუ დაძვებულთ ავად წერისათვის: ავი დედანი მქონდა, დიანის დაწერილი იყო. მე უდაბნოს ნათლის-მცემლის მონასტერში აღვსწერე მრავალ-მთისა. შევსწირე დიდებულს ნათლის-მცემელს, ვინც გამოსწიროს ჩემთა ცოდვისათვის განიკითხოს, დღეს მას განკითხვისასა ნუ იქმნების კსნა სულისა მისისა“. წ. შიოს ბოლოს: „ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ საგინაშვილი. წმიდაო მამაო შიო მღვიმელო, მეოხ და შეამდგომელ მეუფე მეუფესთან“. ევთიმე მთა-წმინდელის ცხოვრების ბოლოს: „წმიდაო მამაო ევთუჟი, წმიდაო მამაო გიორგი, ქართველნო წმიდანო, შემწე და მეოხ მექმენით ცოდვილსა და უღირსსა გაბრიელს საგინაშვილს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თვისითა განკითხვად ცოდვილთა და მართალთა. თქვენი ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ აღვსწერე უდაბნოს ნათლის-მცემლის მონასტერს მრავალ-მთისასა, ოდეს მკვიდრობდი მას მონასტერსა, და შევსწირე ნათლის-მცემელს, ვინც გამოსწიროს, ჩემის ცოდვისათვის განიკითხოს დღეს მას სასკულისასა“. წ. აბოს ცხოვრების ბოლოს: „წმიდაო მოწამეო ჭაბო, შემწე ცოდვილს გაბრიელს განკითხვს დღეს“. სვეტი-ცხოვლის განგების ბოლოს: „სვეტო ცხოველო, შემწე და მეოხ მეუფე ცოდვილს გაბრიელს საგინაშვილს“.

მე-მნმ გვერდის ქვემო არშიაზე არა ტექსტის ხელით და წერილი ხუცური ასოებით სწერია: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ილანე (იე) ბერი“. გიორგი მთაწმინდელის ბოლოს სწერია:

„წმიდაო მამაო გიორგი, მეოხ მეუფე წინაშე ღვთისა ცოდვილს გაბრიელს საგინაშვილს, აღვსწერე ქართველ-

თა წმიდათა ცხოვრება უღაბნოს ნათლის-მცემლის მონასტურს მრავალ-მთისსა. ვიკადრე და მოკახსენე და შეკსწირე ნათლის-მცემელს, ვინცა გამოასვას ესე უნდოდ ნაწერი წიგნი ჩემის-ცოდვისათჳს განიკითხოს მეორედ მოსულსა, დღესა მას საშინელსა, ვინცა არ მოშალოს, დიკრთმან აკურთხოს. ავით წერისათჳს ნუ დამწევვლით, ვეშურებოდ, ლეკისაგან გვეშინოდა.

„ამ წიგნს რომ ვწერდი, მოუხდა ლეკის ჯარი დავით-გარეჯას, უოკლად წმიდის სარტულის დადებას, მკათათვის „ბ“-სა. დიკრთმან და წმიდამან ღვთის-მშობელმან და წმიდამან დავით დაიტვა მონასტერი უჭირველად, უგუწბილებულნი (უგუწბილბულნი) წარვიდენ, ქჳს „უა“—1713.

აქედგან სჩანს, რომ იოანე ნათლის-მცემლის ვარინტი გადაუწერია განრიელ საგინაშვილს 1713 წ., დიაკონის ნაწერი დედნიდგან, იოანე ნათლის-მცემლის მონასტერში მრავალ-მთისა და შეუწირავს იმავე მონასტრისათვის. მასსადაძვე, სსენებული ვარინტი ოცი წლით ადრე უოფილა გადაწერილი შიო-მღვიმის ხელ-ნაწერზე.

წმიდა გობრონის ცხოვრებას ორივე ხელ-ნაწერში ერთ ადგილას აკლია და თრახნა ერთ და იმავე სიტყვაზეა შეწვეტილი: „ვითარცა იტყვის ესაია წინასწარ მეტყველი, არა თუმცა უფაღმან უოკლისა“ ამას შემდეგ ორივე ხელ-ნაწერში ადგილია დატოვებული და ნათლის-მცემლის ვარინტში შენიშვნაა გვერდზე მოუვანილი მხედრულის ხელით: „აჱ ბეკრი აკლდა დედანსა“ ¹⁾. ეს გარემოება და

¹⁾ იხ. შიო-მღვიმის ხელ-ნაწერი, გ. 104, და ნათლის-მცემლისა, გ. 142.

კიდევ ისა, რომ ორივე ხელ-ნაწერი ერთმანეთში ანათერით-
 ან განსხვავდებიან და შეტომანი ორივეში ერთნი და-
 იგივენი არიან,—აფიქრებინებს დ. ბაქრაძეს, რომ შიო-
 მღვიმის გარნიანტის გადაწერს დედნათ ჭქონია ილანე ნა-
 თლის მცემლის ვარნიანტი 1). ეს აზრი უეჭველი იქმნებო-
 და, რომ ერთი გარნიანტი ან უშლიდეს. საქმე იმაშია,
 რომ შიო-მღვიმის ხელ-ნაწერში ისეთ სიტყვებს ვპოულობთ,
 რომელნიც ნათლის-მცემლის ვარნიანტში არ მოიპოვებიან,
 და ზოგიერთი სიტყვებიც ორივე ხელ-ნაწერში ერთი ერთ-
 მანეთისაგან განსხვავდებიან. მაგალითად, სიტყვების მაგიერ
 „ნიანფორისა“, „ფანანაკრი“, „ორბნითად“ და სხვა, რომ-
 ელთაც ნათლის-მცემლის ვარნიანტში ვპოულობთ, შიო-
 მღვიმის ხელ-ნაწერში სწერია: „ნიანფორისა“, „ფანანაკრი“,
 „ურნისად“, და სხვა. ერთი ფანანაკრი დავით და კოსტან-
 ტინეს ცხოვრებიდან შიო-მღვიმის ხელნაწერში იკითხე-
 ბა ასე: „და მოუწოდა მტარვალთა ყოვლადეკ უწყალოთა.
 და უბრძანა, რათა არ იხილონ გემო არცა ჰურისა, არცა
 წყლისა“. ნათლის-მცემლის ვარნიანტში „და უბრძანა“ გა-
 მოშვესულია და არშიასე შენიშვნაა ტექსტის ხელითა:
 „აქ სიტყვა აკლია“ 2). შიო-მღვიმის ხელნაწერში სწერია:
 „და სადაცა მიხვიდეთ, ჭქადგებდით“. ნათლის-მცემლის
 ვარნიანტში სიტყვა „მიხვიდეთ“ გამოშვესულია 3). თავის:

1) იხ. ბაქრაძის ისტორია გ. 224, შენ. 1.

2) იხ. ნათლის-მცემლის ვარ., გ. 230 და შიო-
 მღვიმისა, გ. 158.

3) იხ. ქვემოთ გ. 18, შენ. 1.

მსრით ნათლის-მცემლის ვარციანტშიც მოიპოვებინ ისეთი ზიტყვები და ფრაზები, რომელნიც შიო-მღვიმის ხელ-ნაწერში არ არიან ¹⁾. უკელა ამანის გამო, ჩვენის აზრით, უფრო საჭესმარტივო იქმნება ვიფიქროთ, რომ შიო-მღვიმის და იოანე ნათლის-მცემლის ვარციანტები გადმოწერილნი არიან ერთ და იმავე დედნიდან და არა პირველი მეორისაგან. სშირად რასაც ერთი მკითხველი ვერ ამოიკითხავს ხელ-ნაწერისაგან წერილის გადასვლის და მქალღი მელნის გამო, ანუ სელნაწერის დაზარალების მიზეზით, იმას ზოგი კარგი მკითხველი აღადგენს კარგის დაკვირვებით. ეტუობა, ასე მოსვლიათ შემოსსენებული ვარციანტების გადამწერებს, და ის ზიტყვები, რომელნიც ნათლის-მცემლის ვარციანტის გადამწერს შეცთომით გამოუშვია, შიო-მღვიმის ხელ-ნაწერის გადამწერს არ გამოჰზარვია.

ახალი ვარციანტი წ. ნინოს ცხოვრებისა ჩვენ შეკადრეთ შემოსსენებულ მამათა ცხოვრებებში მოქცეულ ნინოს ცხოვრებას, ქართლის ცხოვრების ვარციანტებს და აგუეთვე ბ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“ შეტანილ ნინოს ცხოვრებას. ამ უკანასკნელის მსგავსი ხელნაწერები სშირია ჩვენში, ჩვენ თვითონ რჩი ხელ-ნაწერი გვქონდა, ერთი მეთვრამეტე საუკუნისა და მეორე მეცხრამეტესი, მაგრამ ვინაიდგან მათი ტექსტი არაფრით არ განიჩჩევს საქართველოს სამოთხეში დაბეჭდილის ტექსტისაგან, ამისათვის მათ აქ აღარ აღვნიშნავთ. რაც შეე-

¹⁾ იხ. ქვემოთ, გ. 17, უნ. 2.

სება ქართლის ცხოვრების ვარიანტებს, უნდა შევნიშნათ, რომ მარჯამ დედოფლის ვარიანტში მოქცეული ნინოს ცხოვრება ანაფრით არ განიჩჩევა შიომღვიმის და ნათლის-მცემლის ვარიანტებისაგან, გარდა ზოგიერთი სიტყვებისა, რომელნიც გარყვნილნი არიან უმეტესის გადაძწერისაგან. ხოლო სხვა ქართლის ცხოვრების ვარიანტებში, რომელთაც ვასტანგ VI-ის წინა-სიტყვაობა მიუძღვის, ზოგიერთი აშკარა შეცთომანი სიტყვებში, რომელთაც ძველთაგან ვპოულობთ წმინდა ნინოს ცხოვრებაში, როგორც ქართლის მოქცევიდგან სჩანს, შესწორებული არიან. ამას გარდა ზოგიერთი სიტყვები, თუმიცა იშვიათათ, მიმატებულია და ზოგიერთი შეცვლილი. ეტვი არ არის, რომ ეს ცვლილებანი ვასტანგის რედაქციას ეკუთვნიან და მიტომ არ მოიხილებიან ვასტანგის აღნიშნულ დროის მარჯამ დედოფლის ვარიანტში. ესეც კიდევ ერთი საბუთი იმისი, რომ ვასტანგის რედაქციას მართლაც ჰქონია ადგილი ქართლის ცხოვრებაში. თუ ეს რედაქცია არა ყოფილ-იყო, ქართლის ცხოვრებაში შეტანილი ნინოს ცხოვრება ანაფრით არ იქნებოდა განსხვავებული შიომღვიმის და ნათლის-მცემლის მამთა ცხოვრებებში მოქცეულ ნინოს ცხოვრებისაგან, როგორც არ არის განსხვავება მათ და მარჯამის ვარიანტის შორის. მოგვყავს აქ რამოდენიმე მაგალითი ვასტანგის რედაქციის კვალისა იმ წმიდა ნინოს ცხოვრებაში, რომელიც ვასტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარიანტებში მოიხილება.

1) ქართლის მოქცევაში, მარჯამის ქართლის ცხოვრების ვარიანტში და სხვა ყველა ნინოს ცხოვრების.

ვარსკვლავებში პატრიოსანი ვაკარის ხის შესახებ სხვათა შორის სწერია: „და მისტუდებოდა ერი იგი მწუანისა ფერობასა მას და ფერცლიანობასა დღეთა ზაფხულის პირისათა, ოდეს სხუად უოკელი ხე კმელ იყო, ხოლო იგი უოკლადკე ფურცელ დაუცხრებელ და სულ ჭამო, და ხედვად შუენიერ იყო“. სხვა ქართლის ცხოვრების ვარსკვლავებში რომელთაც ვახტანგის წინა-სიტყვაობა მიუძღვის, „ზაფხულის“ მაგიერ სწერია „ზამთრის“ 1). მართლაც და ნინოს ცხოვრებაში ამ ადგილას შეტომასა. თუ ზაფხულში ხე ფურცლანი იყო, ეს ანაფერი გასაკვირვებელი არ არის. ფრანკი „ოდეს სხუად უოკელი ხე ხმელ იყო, ხოლო იგი უოკლადკე ფურცელ დაუცხრებელ“ ცხადათ ამტკიცებს, რომ „ზაფხულის პირის“ მაგიერ „ზამთრის პირი“ უნდა ეწეროს. ვიქორებ, ეგ შეტომასა, მაგრამ ისეთი შეტომასა, რომელიც ძველთადაც უფილას ნინოს ცხოვრებაში, როგორც ეს აშკარათ სჩანს ქართლის მოქცევიდგან. ამ ცხად შეტომასას აწორებს ვახტანგის რედაქცია.

2) უკვლას ნინოს ცხოვრებებში და მარიაშის ქართლის ცხოვრების ვარსკვლავში ზაბილონის შესახებ სხვათა შორის სწერია: „და ესე წარვიდა ჭრომელ წინაშე მეფისა მსახურებად ღნიჭისა მოღებად მისგან.“ ხოლო ვახტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარსკვლავებში კვითხულობთ: „წარვიდა ჭრომელ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა მსახურებად და ნიჭი-

1) იხ. ქვემოთ გ. 56. უნ. 1.

სა მოღებად მისგან¹⁾. აშკარაა, რომ სიტყვა „მაქსიმია-
ნესა“ ვახტანგის რედაქციის მიერ არის შეტანილი ქართ-
ლის ცხოვრებაში. სსენიებულ რედაქციის გამოუჩინებლობა,
ვინ იყო რომის მეფე იმ დროს, და ეს სასკელი მიუმატებია.

3) მარია დედოფლის ქართლის ცხოვრების ვარიანტ-
ში და სსვა უკულა ნინოს ცხოვრებებში კვითსეულობთ ერთ
ასეთ ფრაზას. „მაშინ თთუესა მანსა ერთსა შეიქმნეს ჟუარნი
ესე და შჯდსა მის თთუსსა აღმართეს კელის დადები-
თა შეუის:ათა, სინარულითა და დიდითა წადიერებითა
ყოვლისა ქალაქისათა“²⁾. ვახტანგის რედაქციის ქართლის
ცხოვრების ვარიანტებში უკანასკნელი ასევე სიტყვის მაგი-
ერ სწერია: „ყოვლისა ერისა ქართლისთა“³⁾.

4) ფრაზის მაგიერ „და მოეკუპოდა ეს მდინარესა ზედა
დიდსა: ღდ:მანსა“, რომელსაც კვითსეულობთ უკულა ნინოს
ცხოვრების ვარიანტებში და მარია:მის ვარიანტშიც, ვახტან-
გის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარიანტებში სწერია:
„მოეკუპოდა ეს მდინარესა ზედა დიდსა და ღრმასა“⁴⁾.

5) ფრაზის მაგიერ „ერნი... წარმაკალი დიდად ქალაქად
მცხეთათ“, რომელიც მოიპოვება უკულა ვარიანტებში, ვახ-
ტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარიანტებში სწერ-
ია: „ერნი... წარმაკალი დედად-ქალაქად მცხეთად“⁵⁾.

1) იხ. ქვემოთ გ. 4, შენიშვნა 1 და აგრეთვე ქართლის
ცხოვრება გ. 64.

2) იხ. ქვემოთ, გ. 56, შენ. 2 და ქარ. ცხ. გ. 94.

3) იხ. ქვემოთ გ. 7, შენ. 1 და ქარ. ცხ. გ. 66.

4) იხ. ქვემოთ გ. 19, შენ. 2.

6) ამის გარდა საეკრისთაონის სასულიერო მარცხი დედოფლის ვარსკლავის სრულად ეთანხმება შიომღვიმის და იოანე ნათლისმცემლის ვარსკლავებს, ხოლო ვასტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარსკლავებში განსხვავდებიან 1).

ხსენებული მაგალითები საკმაოდ მიგვაჩინა, რომ ვასტანგის რედაქციის კვალი ქართლის ცხოვრებაში შეტანილს წმინდა ნინოს ცხოვრებაშიც ვიცნათ.

საზოგადოთ ყველა აქამომდე ცნობილს წმიდა ნინოს ცხოვრების ვარსკლავებზე უნდა შევნიშნოთ, რომ მათში განსხვავებანი მოიხილება მხოლოდ ზოგიერთ სიტყვებში და იშვიათათ ფრაზებში. სხვათაგან კი ყველა ერთი და იგივე ხასიათით არის აღნიშნული, ყველა ერთგვარად არის თარგმანით დაყოფილი, ხასიათი მოთხრობისა ყველაში ერთგვარია და ყველას ერთი და იმავე რედაქციის ხელი ატყვია. ხოლო ქართლის მოქცევაში მოთხრობილი ნინოს ცხოვრება ძრეულ თავლ-საჩინოთ განსხვავდება ყველა აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარსკლავებისაგან, მაგრამ ჩვენ შეუძლებლათ დავინახეთ ყველა განსხვავებანი დაწვრილებით აღგვენიშნა ამ ახალ ვარსკლავს და სხვა აქამომდე ცნობილის ვარსკლავებთან შორის. შეუძლებლათ დავინახეთ მიტომ, რომ ამ შემთხვევაში მთლათ უნდა დაგვეგებდა სხვა ვარსკლავების ტექსტი, რადგანაც რამე განსხვავება თითქმის ყოველ ფრაზაში მოიხილება. აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარსკლავებს ის ძველი ფორმები სიტყვებისა და ძველი მართლ-წერა, რომ-

1) იხ. ქვემოთ გ. 6, შენ. 1.

ღითაც აღბეჭდილია ქართლის მოქცევა, უმეტეს შემთხვევაში დაუგარგავთ. სიტყვების რიგი ფრანგულში და ფრანგებისა ჰანგარულში სხვა ვარიანტებში შედარებით ქართლის მოქცევასთან არეულია. სშიკათ სხვა ვარიანტებში. ზოგიერთი ფრანგული მიმტებულია, ზოგიერთი აკლია და ზოგიერთ შემთხვევაში ახრი უფრო ბევრი სიტყვებით. არის გამომთქმული, ვიდრე ქართლის მოქცევაში.

ჩვენ აღნიშნეთ მხოლოდ უმთავრესი განსხვავებანი თავებში, ჰანგარულში, ტექსტის მეტ-ნაკლებობაში, მოთხრობის ხასიათში, ფრანგულში და სიტყვებში. საუფრადღეობა რაც იყო არაფერი გამოგვიშვია. დაწვრილებით ცნობებს ამ განსხვავების შესახებ მკითხველი ტექსტის შენიშვნებიდან შეიტყობს. აქ აღნიშნავთ მხოლოდ უმთავრესს მათგანს.

1) ტექსტი ნინოს ცხოვრებისა ქართლის მოქცევაში გაყოფილია 14 თავად, მაგრამ სათვალავი თავებისა იწყება მეოთხე თავიდან და წინა მეოთხე სამ თავს სათვალავი არ უნის. სათაურების მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჰირველ თავს შეადგენს ქართლის მოქცევის ხრონიკა¹⁾, მეორეს შესავალი ნინოს ცხოვრებისა (იხ. ქვემოთ, გ. 1—4) და მესამეს ნინოს ცხოვრებას საღამოე უყარმულის თქმულებამდე (გ. 4—9). სხვა აქამომდე ცნობილ წმიდა ნინოს ცხოვრებებში თავები და მათი სათვალავნი არ არიან აღნიშნულნი. მხოლოდ ზოგიერთ მათგანში ნახვენ-

¹⁾ იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გ. 1—39.

ბია მარტო მეშვიდე თავი 1), მაგრამ შინაარსი მისი არ ეთანხმება ქართლის მოქცევის მეშვიდე თავს 2).

2) რიგი და წესი სტატიათა, ანუ სსკა და სსკა ზი-რის თქმულებათა ქართლის მოქცევაში სულ სსკა არის, ვიდრე აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარიანტებში. ამას გარდა ზოგიერთი სტატია, რომელიც სსკა ვარიან-ტებში ერთი სათაურით არის აღნიშნული, ქართლის მოქ-ცევაში რამოდენიმე თავათ არის გაყოფილი, და წინააღმ-დეგადად, რაც ქართლის მოქცევაში ერთ თავათ არის ნაჩვენ-ები, სსკა ვარიანტებში სსკა და სსკა თავებად არის და-ყოფილი და სსკა და სსკა სათაურებით არის აღნიშნული 3).

3) სსკა ვარიანტებში ცხოვრება ნინოსი მოთხრობი-ლია მესამე პიროთ, ხოლო ქართლის მოქცევაში პირველი პიროთ. ნინო თვითონ მოგვითხრობს თავის და თავის მშობლების ამბავს.

4) ავტორები ზოგიერთ თქმულებათა, რომელნიც ნაჩვენებნი არიან ქართლის მოქცევაში, არ ეთანხმებიან სსკა ვარიანტებში აღნიშნულ ავტორებს. თქმულება, რომელსაც სსკა ვარიანტები აბიათარს მიაწერენ, ქართლის

1) მეშვიდე თავი ნაჩვენებია შიო-მღვიმის, ნათლის-მცემ-ლის, მარიამ დედოფლის და თეიმურაზის ვარიანტებში.

2) იხ. ქართლის ცხ. გ. 86, შენ. 1, და ქვემოთ, გ. 29, შენ. 1; გ. 35, შენ. 1.

3) იხ. ქვემოთ მე-10, 20, 44, 49, 55, 63 გვერდე-ზის პირველი შენიშვნები და მე-54, 72 გვერდების მეორე შენიშვნანი.

მოქცევაში აღნიშნულია სიდონიას ნათქვამად ¹⁾. მოთხრობას „ჰატიოსანისა ჯვარისათვის“ ქართლის მოქცევა მიაწერს იაკობს ²⁾, რომელიც უნდა იეოხ იაკობ მღვდელი, საბერძნეთით მოსული. სხვა ვარიანტებში იაკობი აწავითარჩი მოთხრობის ავტორათ არ იხსენიება. მეტვე თავი, რომელსაც ქართლის მოქცევა მიაწერს სიდონია დედაკაცს, სხვა ვარიანტებში ცნობილია აბიათარის ნათქვამად ³⁾.

5) ზოგიერთი სტატიები, ან სტატიის ნაწილები, რომელთაც ჩვენ ქართლის მოქცევაში ვხედავთ არ მოიპოვებიან სხვა ვარიანტებში. ასეთნი არიან: 1) შესავალი ნინოს ცხოვრებისა (გ. 1); 2) პირველი ორი გვერდი მეშვიდე თავისა (29—30); 3) დასაწყისი ჰატიოსანი ჯვარის აღმართებისა (60—63); 4) წიგნი, რომელიც დაუწერია მირეან მეფეს თავის სიკვდილის წინ (68—79) და 5) ზოგიერთი სტრიქონები სხვა და სხვა ადგილას (იხ. მაგალითათ, მე-3, 54, 14, 34 გვერდების პირველნი შენიშვნები).

6) თავის მხრით სხვა ვარიანტებშიც მოიპოვებიან ისეთი მოთხრობანი, რომელთაც ჩვენ ვერ ვპოულობთ ქართლის მოქცევაში ⁴⁾. ესენი არიან: 1) წერილი ნინოსი, რომელიც ვითომ მას თავის სიკვდილის წინ გაეგზავ-

¹⁾ იხილე ქვემოთ გ. 35, შენ. 1 და გ. 54, შენ. 1,

²⁾ იხ. ქვემოთ. გ. 36—40 და მეორე შენ. მე-40 გვერდისა.

³⁾ იხ. გ. 55, შენ. 3.

⁴⁾ შეიძლება, რომელიმე მათგანი ერთ ერთ დაქარგულ ფურცელზე ყოფილ იყო.

557); თუ ამის მეფობის დროს მიუმატებთ 402 წელს, გამოვამატესაუკუნის მეორე ნახევარი, ესე იგი ის დრო, როდესაც არსენ კათალიკოსს შეუდგენია თავის ქართველთა მამათა ცხოვრება. სხვა წყაროებში ეს არსენ კათალიკოსი ცნობილი არ არის. იქნება ეს ის არსენია, რომელითაც თავდება სია კათალიკოსთა ქართლის მოქცევის სრონიკაში ¹⁾, მაგრამ რადგანაც ნახევრები არ არის, რომელი კათალიკოსი რა დროს, ან ვის მეფობის დროს ცხოვრობდა, ამისთვის ამასე გადაჭრით ლაშაჩაკი არ შეგვიძლია.

არსენ კათალიკოსს ახლად არ შეუთხზავს ქართველთა მამათა ცხოვრება, არამედ წინეთ მოკლეთ აღწერილი მათი ცხოვრება გადუგეოებისა და განუგრცია. ამისათვის იოანე ზედა-ზადენელის, აბიბოს ნეკრესელის და ზოგიერთ სხვა წმინდანების ცხოვრებას უკელა სელ-ნაწერში სათაურის ქვემოთ უწერია: „განახლდა და განავრცოა წმიდანთა მამამან ჩუწმან ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოსმან არსენი“.

ასეთი განახლება და განვრცომა წმინდანების ცხოვრებისა საზოგადო მოკლენას უკელა ქრისტეანი საღვთების მწერლობაში და ჩვენშიაც პირველი მაგალითი არ არის.

ანი, არ ვიცით რა სახელით, მაგრამ ქართველთა წმიდა მამათა ცხოვრების ავტორათ ჰხადის არსენ იულოთოელს, რომელიც იყო მოძღვარი დავით აღმაშენებლისა (1089—1125) ნახ. *Жизнеописание святых прославляемых православною грузинскою церковью. Тифлисъ. 1850 г., стр. 26. прим. 22).*

¹⁾ იხილეთ სია კათალიკოსთა ამ გამოცემის დამატებაში.

ეურადღებო საქმეების წელსაც ¹⁾). მეათეს წელს ამ წლიდან (310+10=320) ნაჩვენებია ელენე დედოფლის გამგზავრება პატრიოსანი ჯვარის მოპოვებისათვის ²⁾, და მეათათსმეტე წელს (310+14=324) აღნიშნულია ნინოს და მისი თანამოგზაურების წამოსვლა საბერძნეთით სომხეთს და მეჩმე საქართველოში ³⁾).

ქადაგება დაიწყო ნინომ მეათესეს წელსა ქართლად

¹⁾ იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გ. 12. აქ ლაპარაკი უნდა იყოს კოსტანტინეს და მაქსენცის ბრძოლის შესახებ. უკანასკნელი დაამარცხა პირველმა 312 წელს ქრისტეს შობის შემდეგ. საჭიროთ მიგვაჩნია აგრეთვე შევნიშნოთ, რომ ის რასაც ქართლის მოქცევა ქრისტეს ამაღლებიდან უჩვენებს, ჩვენ ქრისტეს დაბადებიდან უნდა ვიანგარიშოთ. ამგვარი მოვლენა ძრეულ ხშირია ჩვენს ძველ წყაროებში. ქრისტეს დაბადებიდან სათვალავის მაგიერ ქრისტეს ამაღლებიდან თვლა ჩვეულებრივით გადაქცეულა, თუმცა ანგარიშით წელთა აღრიცხვა ყოველთვის ქრისტეს დაბადებიდან გამოდის. მაგალითათ, აქ რომ შართლა 310 წელი ქრისტეს ამაღლებიდან ვიანგარიშოთ, გამოვა 343 წელი ქრისტეს დაბადებიდან, რადგანც ქრისტეს დაბადებიდან ამაღლებამდე 33 წელია გასული. ხოლო 343 წელს კოსტანტინე ცოცხალი არ ყოფილა (მიიცვალა 337 წ). ქვემოთ ჩვენ ამგვარ მოვლენას აღარ აღვნიშნავთ, თუმცა კი ხშირათ შევხებით.

²⁾ *ibid.* გ. 13. ელენემ ჯვარი აღმოაჩინა ლეოს გამოანგარიშებით 327 წელს. და ფლერის ანგარიშით 326 წელს (იხ. *Hist. de la Géor.* t. I, p. 120. n. 4).

³⁾ *ibid.* გ. 13. ეს წელი, როგორც, ეტყობა ნინოს ქართლად მოსვლის დროთ არის ნაჩვენები, ვინაიდან ქვემოთ ნინოს საბერძნეთით გამოგზავრება 319 წელს მოიხსენიება.

მოსკლიდგან ($324+4=328$), ნანს დედოფალს აწმუნს ღმერთი მეექვსესა წელს ($324+6=330$) და მიწიანს აწმუნს მეშვიდესა წელს ($324+7=331$) ¹.

ნინო მიიტკვალა ქართლად მოსკლიდგან მეათხუთმეტესა წელს ($324+15=339$), დასაბამიდგან 5838-სა ჭქრისტეს ამაღლებიდგან 338 ²).

¹) იხ. სამი ისტორიული ხრონიკა გ. 15.

²) *ibid.* გ. 20—21. დასაბამიდგან 5838 წელი ეთანხმება 338 წელს ქრისტეს დაბადებიდგან (და არა ამაღლებიდგან) ალექსანდრიული სათვალავით, რომელიც დასაბამითგან ქრისტეს შობამდე ხადის 5500 წელს. ეს სათვალავი ზოგიერთ სხვა ჩვენს ხელ-ნაწერებშიაც არის მიღებული (იხ. Brosset. *Etudes de chronologie technique. Mémoires de l'Académie... VII série, № 13, p. 2, 10.* და ჩემი აღწერა წერაკითხვის გამაგრებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისა გაზ. „ივერია“ 1890 წ. № 29). ნინოს ქართლად მოსვლა, როგორც უჩვენეთ, 324 წელს მოიხსენიება. თუ ამას მიუმატებთ 15 წელს გამოვა 339 წ., რომელიც არ ეთანხმება დასაბამითგან და ქრისტეს დაბადებიდგან ნაჩვენებ წელს.

ქართლის ცხოვრებაში მეათხუთმეტე წლის მაგიერ მეათონმეტე წელი სწერია (იხ. ქარ. ცხ. გ. 99), მხოლოდ შემოკლებული სომხურათ ნათარგმნი ქართლის ცხოვრება, ანუ როგორც უწოდებენ *Chronique arménienne* ნინოს სიკვიდის მოიხსენიებს 332 წელს ქრისტეს ამაღლებიდგან, 5832-ს ადამის სამოთხიდგან გამოსვლის შემდეგ და ნინოს ქართლად მოსკლიდგან მეათხუთმეტე წელს (იხ. ბროსეს *Additions*-ში გ. 32). ეს მეათხუთმეტე წელი ქართლად მოსკლიდგან, რომელიც ქართლის მოქცევას ეთანხმება, ცხადათ ამტკიცებს, რომ

ზემო ეკკლესია აღაშენეს და მირჯან მეფე მიიტკვალა მეოთხესა წელსა (უნდა ვიგულისსებოთ ნინოს მიტკვალე-ბიღჯან $(338+4=342)$ ¹.

ქველათ ქართლის ცხოვრებაშიც მეთხუთმეტე წელი წარებულია, მაგრამ მერმე გაუნოიათ მეთოთხმეტე წლათ დასაბამიოვან და ქრისტეს იმალღებიდგან წლების შესათახხებლათ.

¹) *ibid.* გ. 21, თუ ნინოს მიტკვალებას 339 წელს მივიღებთ, ზაშვინ მირიანის სიკვდილი 313 წელს უნდა აღვნიშნათ, მაგრამ, ჩვენის აზრით, უფრო შესაწინარებელი 338 წელია, ვინაიდან ამ წელს ეთანხმება დასაბამიოვან წელთ-აღრიცხვა, როგორც ზემოთ უჩვენეთ.

ქართლის ცხოვრება მირიან მეფის და მისი შვილის რევის სიკვდილს ქართლს მოქცევიდგან ოცდა მეხუთე წელს მოიხსენიებს, ხოლო *Chronique arménienne*-ი მე-34-ს და ერთი ქართლის ცხოვრების ვარიანტი მე-35 წელს (იხ. *Hist. de la Géor. t. I, p. 131, n. 1*). როდის იყო ქართლის მოქცევა, ნინოს ცხოვრება პირ და პარ არ უჩვენებს, მხოლოდ მირიანის მოქცევის შემდეგ, რომელიც ნაჩვენებია მეშვიდე წელს ნინოს ქართლად მოსვლიდგან, ესე იგი 331 წელს $(324+7=331)$, მოხრობილია მოციქულების გაგზავნა საბერძნეთს, კოსტანტინე მეფის წინაშე, და საბერძნეთით მოსვლა მღვდელთა და დიაკონთა და შემდეგ მათი მოსვლისა მონათგლა ხალხისა. ამ მოსვლა-მოსვლაში ერთი წელი მაინც გავიდოდა და ამისთვის ქართლის მოქცევა დაახლოვებით 332 წელს უნდა ყოფილიყო. თუ ამ წელს მიუმატებთ 25 წელს, გამოვა 357 წელი, ესე იგი დრო რევის და მირიანის სიკვდილისა ქართლის ცხოვრების ცნობით. ჩვენ ქვემო დაკინახავთ, რომ რევის სიკვდილი სხვა დროს არის ნაჩვენები ქართლის მოქცევაში.

ნანა დედოფალი მიიტკვალა მეორესა წელსა მირია-
ნის სიკვდილიდგან (312+2=314) 1.

ოცდა მესამესა წელსა ჯვარას აღმართებიდგან მოკვ-
და რეკე, ქე მირიანისი 2).

რეკის სიკვდილის შემდეგ მეათესა წელსა საკურ მე-

1) იხ. სამი ისტორიული სრონიკა, გ. 22. ქართლის
ცხოვრებაც ნანას სიკვდილს მოიხსენებს მეორე წელს მირიანის
სიკვდილია, მაგრამ თუთ მირიანის სიკვდილს, როგორც
შემოთ შევნიშნეთ, სხვა დროს უჩვენებს (-ხ. ქრ. ცხ. გ.
101).

2) *ibid.* გ. 22. როდის აღმართეს პატრიოსანი ჯვარი,
გარკვევით არა სჩანს ქართლის მოქცევიდგან (ევ შეიძლება იმ
ფურცელზე იყო ნაჩვენები, რომელიც აკლია ქართლის მოქცე-
ვის სრონიკას. იხ. გ. 17), მაგრამ მოთხრობიდან ეტეობა, რომ
ხალხის მოქცევის შემდეგ, დაუყოვნებლივ შესდგომიან ჯვარის
მონაზადებას, ასე რომ ძრიელ საჭეშმარიტთა ქართლის მოქცევა
და პატრიოსანი ჯვარის აღმართვა ერთ და იმავე წელს მივაწე-
როთ. თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, რეკის სიკვდილი 355 წ.
უნდა ყოფილიყო (332+23=355).

მაგრამ ამას არ ეთანხმება ცნობა პატრიოსანი ჯვარის ხის
მოკვეთის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ხე ჯვარისათვის მოჭ-
კვათესო 25 მარტს პარასკევს დღესო (იხ. ქვემოთ გ. 56). 25
მარტს პარასკევი დღე შეხვდება, ბროსსეს შენიშვნით, 315, 320,
326, 337 წლებში. არც ერთი ამ წელიწადთაგანი არ ეთანხმება
არც შემო მოკვანილ ცნობებს და არც ბროსსეს ანგარიშს, რო-
მელიც ქართლის მოქცევას ჰქადის 328 წელს, 320 წელი
თითქო უფრო ეთანხმება ვახუშტის ცნობას, რომელიც ქართლის
მოქცევას უჩვენებს 317 წელს. ხოლო 326 წელი უდრის იერუ-

ფემ წილენის ეკკლესიის შენება დაიწყო და გაათავა და თვითონაც მიიტაცალა მე.35 წელსა 1).

კათალიკოზობა განაწესა კასტანგ გორგასლანმა 170 წლის შემდგომად ქართლის მოქცევისა 2).

ნინოს ცხოვრების ცნობით დასაბამითგან ქრისტეს დაბადებამდე გასულა 5,100 წელი, ქრისტეს შობიდან ჯვარცმამდე 33, ჯვარცმიდან კოსტანტინე ბერძენთა მეფის მონათვლამდე 311 და 14 წლის შემდგომათ (311+14=325) ნინო მოსულა საქართველოში 3). მეექვსე წელს ქართლად

სალიმის ფვარის გამოჩინებას, რომელიც, როგორც შევნიშნეთ, უნდა ყოფილიყო 23 მაისს 326, ან 327 წელს (Hit. de la Géor. t. I, p. 124, n. 4).

1) იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გ. 22—23. თუ ღემო შენიშვნაში ნაჩვენებ ვნწ წელს მივიღებთ რევის სკვდილს დროთ, წილენის ეკკლესიის დაწყება უნდა მიეწეროს 365 წელს, ხოლო განსრულება და ბაკურ მეფის გარდაცვალება 380 წელს.

2) იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გ. 29. ქართლის მოქცევა ჩვენ აღვნიშნეთ 332 წელს, მაშასადამე კათალიკოზის განწყება უნდა მომხთარიყოს 502 წელს.

3) იხ. ქვემოთ ნინოს ცხოვრება, გ. 30. დასაბამიდან ქრისტეს დაბადებამდე 5100 წელი მარტო აქ არის ნახმარი და სხვა წყაროებში ჩვენ არ შეგვხვედრია. ქართული სათგალოვით დასაბამიდან ქრისტეს შობამდე გასულა 560± წელი, ბერძელით 5503 და ალექსანდრიულით 5500. უკანასკნელი სათგალოვი ზემოთაც არის ნახმარი, როგორც შევნიშნეთ. 33 წელი ქრისტეს დაბადებამდე ფვარცმამდე ნანდვილათ არის ნაჩვენები. ხოლო კოსტანტინეს მონათვლის შესახებ უნდა შევნიშ-

მოსკლიდგან ნინოს ურწმუნებია ღმერთი ნანა დედოფლისთვის (325+6=331) 1.

მეორე ადგილას ნინოს ცხოვრება კოსტანტინე ბერძენტა მეფის მოქცევას მოისსენიებს 311 წელს ქრისტეს ამაღლებიდან და 5444 წელს დასაბამიდან; ნიკეას კრებას მით უამითგან მეშვიდესა წელსა (311+7=318) და ნინოს თავის მოგზაურებითურთ საბერძნეთით გამოძგზავრებას მერვესა წელსა (311+8=319) 2.

ნოთ, რომ ჩვენ წყაროები მის მონათვლ ს დროს უოველთვის 311 წელს უჩვენებენ. ეს წელი რასაკვირველია, თუ ქრისტეს დაბადებიდან ვიანგარიშეთ, ძრიელ ახლოა იმ წელზე, როდესაც კოსტანტინემ მაქსენიცი დაამარცხა (312) და ქრისტიანთათვის თავისუფლებით მათი სარწმუნოებას აღვიარება გამოაცხადა (313). ამას შედეგ კოსტანტინეს ქრისტიანათ ხადიან ჩვენი წყაროები, თუმცა ნანდვილ-კი კოსტანტინემ სიკვდილის წინ მიიღო ქრისტიანობა (გადაიცვალა 337 წელს).

ნინოს ქართლად მოსვლა 325 წელს გამოდის. ზემოთ მისი მოსკლის წლათ 324 წელი იყო ნაჩვენები, როგორც შენიშნეთ.

თუ ამ წელს მივიღებთ ქართლად მოსკლის წლად, მაშინ ყველა ის აზრები, რომელნიც ზემოთ უჩვენებთ, ერთი წლით გვიან უნდა უჩვენოთ.

1) იხ. ქვემოთ ნინოს ცხოვრება, გ. 36. თუ ნინოს სარწმუნოებაში მოსკლის დროთ 325 წელს მივიღებთ, მაშინ ნანას მოქცევა 331 წელს უნდა ეკუთვნოდეს და მირიანისი 332 წელს, რადგანაც ზემოთ იყო შენიშნული რომ მირიანს მეშვიდე წელს არწმუნა ქრისტეო.

2) იხ. ქვემოთ, გ. 14. 5444 წელი დასაბამითგან ეთანხმება 311 წელს ქრისტეს ამაღლებიდან, თუმც ზემო აღნიშნულს სათვალავს მივიღებთ: $5100 + 33 + 311 = 5444$.

უკელა ზემო ჩამოთვლილი ცნობებიდან მკითხველი ადვილათ დაინახავს, რომ დრო ფაქტებისა ნინოს საქართველოში შემოსვლას დასაბუთებელი, მაგრამ ეს შემოსვლა პირველათ ნაჩვენებია 324 წელს და შემდგომათ 325-ს. ამისათვის ჩვენ უკელა ზემოხსენებულ ფაქტებს ორ ორი ციფრით აღვნიშნავთ. პირველი იქნება დასაბუთებული 324 წელზე და მეორე 325-ზე.

ნინოს საქართველოში შემოსვლა.	324—325
ქადაგება დაიწყო ნინომ.	328—329
ნანა დედოფალს აწმუნა ქრისტე.	330—331
მირიან მეფეს აწმუნა —	331—332
ქართლი მოიქცა ღ პატრიოსანი ჯვარი აღმართეს.	332—333
ნინო მიიტყვალა.	339—340
მირიან მეფ. მიიტ. ღ ზემო ეკკლესია გაათავეს.	343—344
ნანა დედოფალი მიიტყვალა.	345—346
რევი მიიტყვალა.	355—356
წილგნის ეკკლესიის შენება დაიწყო.	365—366
ზაკურ მეფე მიიტყვალა და წილგნის ეკკლესიის შენებაც გაათავეს.	380—381
კათალიკოსობა განაწესეს.	502—503

ნიკეას კრება იყო 325 წელს და არა 318. საყურადღებოა, რომ სხვა ჩვენი წყაროებიც ხშირათ ნიკეას კრებას ამავე 318 წელს მოიხსენიებენ.

ნინოს გამოგზავრება საბერძნეთით აქ ნაჩვენებია 319 წელს, მაშასადამე მის წამოსვლიდგან ქართლად მოსვლამდე გასულა 6 წელი, თუმც მოსვლას 325 წელს მივაწერთ, და ხუთი, თუ მოსვლის წლათ 324 წელს მივიღებთ.

ეს არის უმთავრესი ქრონოლოგიური ცნობები, რომელთაც გვაძლევს ქართლის მოქცევა.

✕ განსხვავებანი ამ ახალ ვარიანტის და სხვა აქამომდე ცნობილ წმიდა ნინოს ცხოვრებათა შორის, რომელიც ზემოთ მოკლეთ აღნიშნეთ, ძალაუნებურათ ჭბადავენ ჩვენში კითხვებს, რომელი ვარიანტი უფრო ძველი: ქართლის მოქცევისა თუ ის, რომელიც აქამომდე იყო ცნობილი და რომელიც შეტანილია ჩვენ მიერ მოხსენებულ აკადემიის მანუსკრიპტში, ქართლის ცხოვრებაში, იოანე ნათლის-მცემლის და შიო-მღვინის ქართველთა წმიდა მამათა ცხოვრების ხელნაწერებში და სხვებში? და თუ ქართლის მოქცევა უფრო ძველი, ვინ გადააკეთა ეს ვარიანტი ისე, როგორც: აქამომდე იყო ცნობილი?

რაც შეეხება პირველ კითხვას, ეჭვ გარეშეა, რომ ქართლის მოქცევის ვარიანტი უფრო ძველია აქამომდე ცნობილ ვარიანტებზე. როდის არის შედგენილი ქართლის მოქცევა, ან ვიცით და გადაჭრით ამასე ლაპარაკი არ შეგვიძლია, მაგრამ თვით ქართლის მოქცევის ხრონიკის ხასიათმა და ზოგიერთ სხვა გარემოებამაც ჩვენ იმ მოსაზრებაზე მიგვიყვანა, რომლითაც ქართლის მოქცევის შედგენა შეუძლია საუგუნეს უნდა ეგუთვნოდეს ¹⁾. ესეც რომ ან იოლს, სიმკვლე ხელნაწერისა, რომელშიაც მოიხროება ქართლის მოქცევა და რომელიც ეგუთვნის მესამე საუგუნეს, კილო მოთხრობისა, ძველი გრამმატიკული ფორმები ენისა

¹⁾ ამის შესახებ ჩვენი აზრი იხილე ჩვენს „სამ იტორიულ ხრონიკაში“, გ. XCI—XCVII.

და უცხო ტომთ მწერლების აწა-გაუღენა ამ ვაჩიანტზე—
საკმაოთ ამტკიცებენ სიმკვლეს ქართლის მოქცევის ვაჩიან-
ტისა. როგორც ქართლის მოქცევის სწონიკა უფრო ძვე-
ლია ქართლის ცხოვრებაზე, ისე ეს ნინოს ცხოვრებაზე
უფრო ძველია მეორე ვაჩიანტზე, რომელიც აქამომდე
იყო ცნობილი ¹⁾). ქართლის მოქცევის სწონიკა მეცხრე
საუკუნემდის არის მოუვანილი, და თუ მისი შედგენა მე-
შვიდე საუკუნეს არ ეკუთვნის, როგორც ჩვენ გვგონია,
ყოველ შემთხვევაში მეცხრე საუკუნეს აღარ გადასტილდება.
ხოლო აქამომდე ცნობილი ვაჩიანტი ნინოს ცხოვრებისა,
როგორც ვიცით, შედგენილია შეათე საუკუნეში არსენ კათა-
ლიკოსის მიერ. ეს არსენ კათალიკოსი იხსენიება თვით იმ ძველ
ქართულთ მამათა ცხოვრებაში, რომელიც აკადემიას ეკუთვნის.
ხსენებულ ხელ-ნაწერში იქ სადაც თავდება ცხოვრება იოანე
ზედა-ზადენელისა მოხსენებულა, რომ წმიდა კათალიკოსმა
არსენი 404 წლის შემდეგ სირიელ მამათა მოსვლისა შეგ-
რიბა გაწმინდებანი მათ შესახებ და თავდაპირველი შემ-
დგენელი მათი ცხოვრებისა ხელ-მძღვანელობდა დაწერილი
წიგნებით და ზეპირ-გადმოცემებით ²⁾). სირიელნი მამანი
მოვიდენ საქართველოში ფარსმან მე-VI-ის დროს (542—

¹⁾ რომ ქართლის მოქცევა უფრო ადრე შედგენილი
ვიდრე ქართლის ცხოვრება, ეს სხვათა შორის უეჭველი სოება
იმიტაც, რომ ქართლის ცხოვრება „ქართლის მოქცევას“ თავის
წყაროთ უჩვენებს (იხ. ჩემი საბი ისტორიული სწონიკა, გვერდი
LXXX—LXXXII).

²⁾ იხ. Hist. de la Géor. t. I, p. 203, n. 6. და
ქართლის ცხოვრება, ტ. II, გ. X და XX. პლატონ იოსელი-

557); თუ ამის მეფობის დროს მიუხატივთ 402 წელს, გამოვამეათესაუგუნის მეორე ნახევარი, ესე იგი ის დრო, როდესაც არსენ კათალიკოსს შეუდგენია თავის ქართველთა შამათა ცხოვრება. სსკა წყაროებში ეს არსენ კათალიკოსი ცნობილი არ არის. იქნება ეს ის არსენია, რომლითაც თავდება სია კათალიკოსთა ქართლის მოქცევის სტონიკა. ში ¹⁾, მაგრამ რადგანაც ნახევრები არ არის, რომელი კათალიკოსი რა დროს, ან კის მეფობის დროს ცხოვრობდა, ამისთვის ამასე გადაჭრით ლაზარაკი არ შეგვიძლია.

არსენ კათალიკოსს ახლად არ შეუთხზავს ქართველთა შამათა ცხოვრება, არამედ წინეთ მოკლეთ აღწერილი მათი ცხოვრება გადუგეოებისა და განუგრცია. ამისათვის ილანე ზედა-ზადენელის, აბიბოს ნეკრესელის და ზოგიერთ სსკა წმინდანების ცხოვრებას უკულა სელ-ნაწერში სათაურის ქვემოთ უწერია: „განახლა და განავრცო წმიდამა შამამან ჩუჭნმან ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოსმან არსენი“.

ასეთი განახლება და განავრცომა წმიდანების ცხოვრებისა საზოგადო მოკლენას უკულა ქრისტეანი საღვსების მწერლობაში და ჩვენშიაც პირველი მაგალითი არ არის.

ანი, არ ვიცით რა საბუთით, მაგრამ ქართველთა წმიდა მამათა ცხოვრების ავტორათ ჰხადის არსენ იყალთოელს, რომელიც იყო მოძღვარი დაუთ აღაშენებელისა (1089—1125) ნახ. *Жизнеописание святых прославляемых православною грузинскою церковью. Тифлиси. 1850 г., стр. 26. прим. 22).*

¹⁾ იხილე სია კათალიკოსთა ამ გამოცემის დამატებაში.

ახსენის გარდა ზოგიერთი წმიდანის ცხოვრების გადაკეთება ეკუთვნის ბესარიონ კათალიკოსს, რომელიც ცხოვრობდა ვასტანგ VI დროს და რომელიც გარდაიცვალა 1735 წელს. ამ ბესარიონმა შეკრიბა ის სრული მამათა ცხოვრება, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია 1). უკანასკნელათ ქართველთ წმიდა მამათა ცხოვრება განავრცო, ანუ როგორც თვითონ ამბობს „შეწმასნა მალაღის ძირსებით“ ანტონ I ქართლისა ქათალიკოსმან, და უწოდა „მარტირიკა“ 2). ამგვარათ ჩვენ სამი სხვა და სხვა დროის და სხვა და სხვა პირის კრებული გვაქვს ქართველთ წმიდა მამათა ცხოვრებისა და სპივეს თავ თავისი ღირსება და მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ თავ-და-პირველ შედგენილს ცხოვრებას აქვს, რომლიდგანაც შემდეგ გადაუკეთებიათ და განუვრციათ რომელიმე წმიდანის ცხოვრება. ამ თავ-და-პირველ დედან-ში მოიპოვება ხოლმე უფრო ნანდვილი ისტორიული ფაქტები და ეს თავ-და-პირველი დედანი უოკელთვის უფრო ახლთა ჭეშმარიტებასთან. სწორეთ ასეთი თავ-და-პირველი დედანია ახსენ კათალიკოსის ნინოს ცხოვრების ვარიანტიზა ქართლის მოქცევის ვარიანტი. ამ ქართლის

1) იხ. ქ. ცხ. ტ. II, გ. XX და წყობილ-სიტყვაობა ანტონ კათალიკოსისა, გ. 219, შენ.

2) იხილეთ წინა-სიტყვაობა ანტონ კათალიკოსის მარტირიკისა.

ქართველთ წმიდა მამათა ცხოვრების უოკელ მსრივ შესასწავლათ საჭიროა ამ სამივე კრებულის ცალ-ცალკე გამოცემა.

მოქცევიდგან თავისებურათ გადუკეთებისა არსენს თავისი შრომა. რაც ქართლის მოქცევაში თავში იყო მოქცეული, ის ბოლოში მოუქცევიან; პირველი პირის მოთხრობა მესამე პირისათ გაუსდია, ასე რომ ნინოს თავისი პირით კი აღარ აღაზარავენ არსენი, არამედ თვითონ ღაზარაგობს ნინოზე ნინოსაკუ სიტყვით. ამას გარდა არსენს ზოგიერთი პარაკრატები თავ-და-პირველი მოთხრობისა გამოუშვია, ზოგიერთი მიუმატებია, ფრაზები განუგრცია და სიტყვები განუხსლებია. ერთი სიტყვით მოუხდენია ყველას ცვლილება, რომლითაც აქამომდე ცნობილი ვარჩანტი ნინოს ცხოვრებისა განიჩქევა ქართლის მოქცევის ვარჩანტისაგან და რომელიც ცოტა თუ ბევრათ ჩვენ ზემოთაც უჩვენეთ და შენიშვნებშიაც შევიტანეთ. საუბრადღებოების მოვლენაც, რომ არსენი ჩვენი განმანათლებლის ცხოვრების მოთხრობაში მარტო ქართლის მოქცევის თქმულებით არ უმაყოფილდება და შემოაქვს სომეხთ მწერლის აკათანგის ისტორიიდან ვრცელი ამბავი დეოკლიტიანეს კეისრისთვის ცოლის ძებნისა, სომეხთ მეფის ტიჩიდატისაგან დევნა და წამება წმ. რიფსიმესი და მისი თანამოგზაურებისა და აგრეთვე ეშვად ქცევა ტიჩიდატისა. ეს ამბავი ქართლის მოქცევაში სრულებით არ მოიხილება და მოყვანილია მხოლოდ არსენის ნინოს ცხოვრების ვარჩანტში¹⁾. არსენი პირდაპირ წყაროსაც უჩვენებს, საიდანაც მას ამოუღია ეს ცნობები. ზემო ხსენებული ამბავის ბოლოს ყველა აქამომდე ცნობილს ნინოს ცხოვრების ვარჩან-

1) ნახე ქ. ცხ. გ. 69—71 და ქვემოთ გ. 13 უნ. 3.

ტებში სწერია: „ხოლო ურჩ ექმნა რაჲ თარდატს საქმისა ამისთჳს წმიდაჲ რიფსიჲ, მასინ იწჳა იგი მის მიერ წაშებისა ღვაწლითა, მისთანა გაიანეცა, დედა-ძმუჲ მისი, და სხვანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა იგი წერილ-არს წიგნსა-მას წამებისა მათისასა და გვეუწყებინ სასწაულნი იგი, რომელნი იქმნნეს ჟამსა წამებისა მათისასა 1), მოქცევასა შინა სომეხთასა, რამეთუ განგებითა ღუოსათა თრდატ მიუჲ ეშჳდ შეიცვალა“ 2). სომეხთ მოქცევა, ანუ ქრისტეს საწმუნოების დამყარება სომხეთში გრიგორ განმანათლებელის მიერ, აღუწერია აგათანგის, თრდატ ანუ ტირიდატ მეფის (IV საუკ.) მწიგნობარს 3). ეს წიგნი ძველათ ნათარგმნი უოფილა ქართულ ენაზედაც ჯ ათონის ივერიის მონასტრის წიგნების კატალოგში ნახევენება შემდეგი სათაურით: „ცხოვრება წმიდისა მღვდელ-მოწამისა გრიგოლ სომხეთის ეპისკოპოსისისა“ 4). 1836 წელს, როდესაც ზემოხსენებული კატა-

1) ეს ფრაზა სიტყვებიდგან „და გუჲ უწყებან“... აქამომდე იმ ქართლის ცხოვრების ვარიანტებში, რომელთაც ვანტანგის წინა-სიტყუაობა მიუძღვის, გამოშუქებულია (იხ. ქ. ცხ. გ. 71) ხოლო მარიამ დედოფლის ვარიანტში და სხვა ყველა აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარიანტებში არის.

2) იხ. მამათა ცხოვრება, შიომღვიმის ხელ-ნაწერი, გ. 336).

3) თარგმანი ამ წიგნისა იხილე ლანგლეს შრომაში „Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie“, t. I, p. 105—194.

4) იხ. Царели. Свѣдѣнія о нам. гюз. писем.

ლოგია შედგენილი, ეს წიგნი კიდევ ყოფილა ათონის მთაზე, მაგრამ ესლა იქ აღარ მოიპოვეს. ყოველ შემთხვევაში პრეტოესსორი ცაგარელი მას თავის შრომაში არ მოიხსენიებს, და ვერც დ. ბაქრაძეს უნახავს ეს შრომა ათონის მთაზე ყოფნის დროს ¹).

თუ უცხო ტომთ ისტორიის გავლენა წმიდა ნინოს ცხოვრებასაც ვერ ასცილდა, მაშ რა გასაკვირავია, რომ მათი გავლენა უფრო მეტი იქმნებოდა ჩვენს ისტორიულ წყაროებზე. ყველაზე უფრო ეს გავლენა ემჩნევა ქართლის ცხოვრებას. არ ვიცი თვით არსენ კათალიკოსმა გადააკეთა ნანდვილი ქართული წყაროები ჩვენი ისტორიის იმ რიგათ, რა რიგათაც ვასტანგის აღწინდელ დროის ქართლის ცხოვრებაში მოიპოვებინ, თუ სხვამ, მაგრამ ეგ კი საჭეშმარიტოთ მიგვაჩნია, რომ ვიღასაც განზრახ მიუყვია ხელი ისეთი ქართული ცნობებისათვის, როგორც ქართლის მოქცევაშია შეტანილი, და ეს ცნობები ასე თუ ისე შეუცვლია და შეუკნია უცხო ტომთ ისტორიის მიხედვით. აქ რაღაც ტენდენცია გატარებული და განსაკუთრებით

დამატება პირველი — „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა მთა-წმინდას“, გ. 7. აქვე მოყვანილია დასაწყისი ამ წიგნისა: „რამეს იგი სპარსთა მთავრობა პართად განიყო, ხოლო პართთა ეკლმწიფება ესოდენსა რა...“ ამავე ფრაზით იწყება აგათანგის ისტორია ლანგლუას თარგმანში.

¹) *ibid.* გ. 69 — 94 და ისტორია ბაქრაძისა, გ. 147 შენ. 2.

იმ გვარში ტენდენცია, რომელიც ემილიანო სსვისას, სსვა
საღსისას, თავისას ამჯობინებს, სსვის ისტორიას ძალდათ
აყენებს თავისაზე და მას უკავშირებს ჩვენს ისტორიულ
პირებს და ცნობებს. ეგ სურვილი იმოდენათ ძლიერია
ქართლის ცხოვრების შექმნელში, რომ ქართულ საკუ-
თარს სახელებსაც სსვა ენის დაბოლოების ამღევს, თითქო
ამით მეტი ფასი დაედებოდეს ჩვენს ისტორიას (მაგალი-
თათ, ქართლოს, უფლოს, მცხეთოს და სსვა ბერძნული
დაბოლოებით არიან წარმოდგენილნი). ამ სურვილით აის-
ნება ის მოვლენაც, რომ ჩვენს მეფეებს ქართლის ცხოვ-
რება უოკელთვის უცხო ტომთ დინასტიას უკავშირებს და
რომელი დინასტიაც ჩვენს მეზობლებს ჭყავს, ის დინასტია
შემოჭყავს ჩვენშიაც. ამიტომაც ქართლის ცხოვრების შექმ-
ნელს აზო, არან ქართველთა მეფის შვილი, ბერძენათ
გაუხდია, მირვან I სპარსათ, ანუ ნებროთიდათ გამოჭყავს,
და არშაკ I—არშაკუნისათ, მირიანი, ქართველ მეფის
ლევის შვილი,—სოსროიდათ, ანუ სსასნიდათ, და გუ-
რამ გურატპალატი—ბაგრატიდათ. მართალია, მირვან I-ის
არშაკის და გურამის შესახებ ქართლის მოქცევა არავი-
თარ ცნობას არ გვაძლევს, თუ ვინ იყვნენ შთამომავ-
ლობით და რომელ დინასტიას ეკუთვნოდენ, მაგრამ
აზონის და მირიანის შესახებ მანც სომ პირდაპირ
უჩვენებს, რომ ისინი ქართველები და ქართველთა მეფის
შვილები უოფილან. ვინ იცის, იქნება მირვანი და არშაკ-
იც განგებ იყვნენ დაკავშირებულნი უცხო ტომთ დინას-
ტიებთან. ამ მოსაზრებას ისიც ხელს უწყობს, რომ არ-
შაკ I, თუმცა სომესთ მეფის შვილათ ისხენიება ქართ-

ლის ცხოვრებაში, მაგრამ სომხურ წყაროებში სრულებით ცნობილი არ არის.

რაც შეეხება კითხვას, თუ რომელ საუკუნეშია ეს ცნობები შეცვლილი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, როდის არის ქართლის ცხოვრება შედგენილი, ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერის თქმა არ შეგვიძლია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართლის ცხოვრების შედგენა ყოველ შემთხვევაში არსენ კათალიკოსის ადრინდელ დროს არ უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან ქართლის ცხოვრებაში შეტანილი ნინოს ცხოვრება არსენის რედაქციისაა და არა ქართლის მოქცევის ვარიანტისა. რომ არსენის მიერ გადაკეთებული ნინოს ცხოვრება ყოფილა ძველათაც ქართლის ცხოვრებაში, ამას ამტკიცებს სომხურათ ნათარგმნი შემოკლებული ქართლის ცხოვრება ანუ Chronique arménienne ი, რომელშიაც ნინოს შესახებ ცნობებს ისეთივე სასიათი აქვს, როგორც არსენის მიერ გადაკეთებულ ვარიანტშია, ამიტომაც, თუ არსენი მართლა მეათე საუკუნეში ცხოვრობდა, ქართლის ცხოვრების შედგენა არას. გზით არ შეგვიძლია მეათე საუკუნის ადრინდელ დროს მივაწეროთ.

ზოგიერთ სსვა კითხვებს ქართლის მოქცევაში შეტანილ წმიდა ნინოს ცხოვრების შესახებ ჩვენ ჩვენს სამ ისტორიულ სრონიკაში შევესეთ და აქ აღარ გავიმეორებთ.

საქართველოში ქრისტიანობის დამყარების შესახებ წავლათ და საზოგადოთ ჩვენი საეკლესიო ისტორიისათვის არა მცირედი მნიშვნელობა აქვს ერთ საყურადღებო წერილს

ეფრემ მონაზონისას, რომელსაც შუეკრების ცნობები, თუ რომელ ბერძენთა წიგნში ისვენებს მოქცევა ქართლისა. ეს შრომა 'ეფრემისთვის დაუვალებია იოანე კვირიონს, ქართველ ეკლესიარსს სვიმეონ საკვირველთ მოქმედის ეკლესიისა. იოანე კვირიონს დაუმსაღების ქართულ ენაზე სადღესასწაულო და, როგორც ეტუობა, ეს ეფრემის წერილიც ამ სადღესასწაულოში ჩასაწავათ სდომებია. ეკლესია სვიმეონ საკვირველთ-მოქმედისა არის სვიმეონ მესეეტის ეკლესიის ანტიოხიის მასლობლათ, სადაც მრავალი ქართული წიგნებია გადაწერილი. ერთ მანუსკრიპტში, რომელსაც პროფესორი ცაგარელი უჩვენებს, ამავე სვიმეონ საკვირველთ-მოქმედის სასულით ისვენებს ეს ეკლესია¹⁾. რაც შეეხება ეფრემ მონაზონს, მას პლატონ იოსელიანი ერთ ადგილას მეცხრე საუკუნის მწერლათ მოიხსენებს და მეორე ადგილას ბათე საუკუნისა²⁾, მაგრამ, როგორც სჩანს მისივე გამოცემული ანტონ კათალიკოსის წილობილ სიტყვაობიდან, ეს ეფრემი ყოფილა ეფრემ მცირე რომელიც ცხოვრობდა დავით აღმაშენებლის დროს (1089—1125), და რომელმაც გადმოთარგმნა ბერძნულიდან ქართულად წიგნი დიონისი არეოპიტელისა „სიცხისა იერარსიისათვის“, ამონი ანის წიგნი, ქადაგება თამა

¹⁾ იხ. *Памятники груз. стр. въ Святой Земль и на Синахъ*, стр. 185.

²⁾ იხ. *Краткая исторія Грузин. церкви*, стр. 18, прим. 23. *Жизнеописание св. просл. Груз. церковью* стр. 29, прим. 1.

მოციქულისა, ეს ჩვენ მიერ მოსხენებული წერილი, იოანე და-
მასკელის ცსოვრება, მოძღვრებანი ჳ სიტყვანი ჳ სხვა. ექვს
ტაეზთა შორის, რომელთაც ანტონი ეფრემს უძღვნის, ორი-
ტაეზი პირ-და-პირ ჩვენს წერილს შეესება. ეტყობა, ანტონს ეს
წერილი კარგათ ჳჩონია შესწავლული. მოგვეყვს აქ ეს ტაეზები:

ამან სარწმუნოდ ისტორიკოსა ჩუწნდა
მოქცევისათჳს, კერპთაგან ქრისტეს ღუთისად,
და ქალწულისა, მოციქულაის ნინას,
ქადაგებისათჳს, ისარწმუნა მოთხრობლად
ქმნილთაგან დიდის თეოდორიტესგანთათ.

ეკ სასუდ კუალად ავაზაგისთჳსცა,
ესე იგი არს აფხაზთა მოქცევისა,
თავისუფლება არსიებისკობოსთა
ავტოკეფალიოსთ ჳქმნა კრებითრე საღმრთოდ,
სოლო სსუანიცა აისტორია ბრძნულად 1).

ეფრემის წერილა, გარდა ფრიად საყურადღებო ცნო-
ბებისა, რომელთაც მასში ვპოულობთ, საყურადღებოა ჩვენ-
თვის სხვა მხრითაც. ეს წერილია ერთი იმ წყაროთაგანი,
რომლიდგანაც ვასტანგის რედაქციას გამოუკრების ცნობე-
ბი და შეუტანია ქართლის ცსოვრებაში. თითქმის მეორე
ნასევადი ამ წერილისა საწყვეტ-ნაწყვეტად აქ-იქ მთლათ შეტა-
ნილია ქართლის ცსოვრების ვარჩანტაში, რომელთაც ვას-
ტანგის წინა-სიტყვაობა მიუძღვის და მის რედაქციას ეკუ-
თვნიან, სოლო მარამ დედოფლის ვარჩანტში, რომელიც

1) წუობილ-სიტყვაობა, გ. 258.

ვასტანგის ადრინდელ დროს ეგუთვნის, ვერსად ვერ იპო-
ვით ამ წერილითგან ამოღებულს ცნობებს. ჩვენ ჩვენს
სამ ისტორიულ ხრონიკაში (გ. CXIII—CXV) აღვნიშ-
ნეთ, რა შეუტანია ვასტანგის რედაქციას ქართლის ცხოვ-
რებაში და უჩვენეთ, თუ საიდან არიან ამოღებულნი
ზოგიერთი ცნობები, ანუ სტატიები სსენებული რედაქ-
ციისა. ესღა ჩვენ ეფრემის წერილის სხვაობებში უჩვენ-
ებთ და ქართლის ცხოვრების ტექსტის შედარებით დავამ-
ტვიცებთ, თუ რომელი ადგილებია ქართლის ცხოვრებაში
შეტანილი ეფრემის წერილიდან.

დედანი ეფრემის წერილისა, რომელიც ჰქმნით მო-
გვევას, ეგუთვნის ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელ სა-
ზოგადოების წიგნთ-საცავს (№ 184) და გადაწერილია 8
მაისს 1809 წელს „კეთილ შობილის ალექსის ძე, კასე-
თის სამეუფო რეკტორის დავითის“ მიერ. სელ-ნაწერი
in 4^o შეიცავს სულ 9 გვერდს და დაწერილია სქელ
ლურჯ ქაღალდზე წერილის, მაგრამ ძრეულ ლამაზის ნუს-
ხა მხედრულის სელით, რომელსაც ამშვენებენ ძრეულ
ხშირი, ლამაზი და მოხდენილი ჰატარა სუცური ასომთა-
ვრულები. სელ-ნაწერს სქელი შხაღერის ქაღალდი აქვს
შემოკრული და ერთი მინაწერი უჩვენებს, რომ ჩვენი დე-
დანი იერონიმე ალექსიევს ჰგუთნებია. სხვა ვარიანტი ჩვენ
ვერ ვიპოვეთ, თუძვა პლატონ იოსელიანის უჩვენებს ამ-
ჰვარვე წერილს მცხეთის მანუსკრიპტებთა შორის 1).
ტექსტი ჩვენი დედნისა უცვლელათ მოგვევას აქ.

1) იხ. *Жизнеоп. свят. Груз. церк. стр. 29 пр. 1.*

უწეობა მიზეზის ქართულთა მოქცევისას, თუ
რომელთა წიგნთა შინა მოიხსენებინ.

სულიერსა მამსა ჩემსა ღ ზატოხსნსა ეკკლესიარსსა-
ჩუწნ ქართულთასა, მღუდელსა უფლისასა, იოანეს კვრი-
აკოსსა, ყოვლად მცირე და უდიდსი სახისა და სახელისა.
ეფრემ მონაზონი თაუვანის-ცემით მოგიკითხავ.

ვინაიდან მადლითა ღმრისათა სრულ-იქმნა გულს-
მოდგინება შენი წიგნისა ამისთჳს სადღესასწაულადსა,
რომელი შენ იწროებასა შინა ყამთასა უსუწბით განგრ-
ცომითა გონებისათა მოუგე საზოგადოსა მაგას ნიჭსა.
ნათესავისა ჩუწნისასა, ეკკლესიასა წმიდისა სჯემონ საკვრუ-
ლთ-მოქმედისასა, რომელი ვითარცა საწყაული კეთილი-
და განმყოფელი იფქლისა ცხოვრებისა ჭეშმარიტებით წმი-
დად მოდად ¹⁾ სასკელ დებულ-არს.

ჯერ-იყო ამასცა ზედა ჩემგან სრულ-ჭყოფად ბრძანე-
ბად შენი, რათა წერით დაიდუას მას შინა მოსასხენეული,
ოდეს მოქცევისა ჩუწნისა და თუ რომელთა წიგნთა შინა-
ბერძენთასა ჭკსენებულ-არს იგი, უგბდეს თუ ვისმე გამო-
მეძიებელთაგანსა ცნობად.

საცნაურ იყავნ, ვითარმედ მიერვე ქადაგებითგან წმი-
დათა მოციქულთათა, რაჟამს წინასწარ-მეტყუწლისაებრ და-
ვითისა ყოველსა ქუწყანასა განჭკდა კმა მათი და კიდეთა.

1) შეისწავე: რამეთუ ბერძენნი არა თორნიედ, არამედ წმი-
დად მოდად უწოდენ წმიდასა ეპაულესიასა ჩვენ ქართულთასა.

სოფლასათა სიტყუანსი მათნი“, ესრეთ ვიდეთა ამათგანად ითქმის ჩუქნთჯსცა მიმოსლუქსა შინა წმიდათა მოციქულთასა ანდრია პირველ წოდებულისა მიერ ქადაგებამ შორის ავაზგადასა, რომელ არს აფხაზეთი, და მიერ წარსულად ჩრდილოეთისა, რომელ არს ქართლი.

გარნა ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღუერებისა თესლთა ანუელნი მრავალ ესა დაიპურნა ღუარძლმან მეკერპეთამან არა ხოლო ჩუქნ შორის, არამედ თუთ მათ ბერძენთა შორის ვიდრე ესამთამდე მეორედ ჰაკლედ ზეცით წოდებულისა დიდისა კოსტანტინესთა. ამის კეთილად მსახურისა მეუფისა ესამთა ღმერთმან, რომელმან დიდთა და მრავალ-ტომთა თესლთათჳს იზრუნა, არცა ჩუქნ მცირენი დაგვიტეგნა უღვაწად, არამედ ესრეთ განაგო ცხოვრება ჩუქნი და კუალად აღმოწოდება, ვითარცა მოიხსენებს თეოდორი ტე 1) საეკკლესიოსა მოთხრობისა წიგნსა შინა თჳსსა ოცდა მეოთხესა თავსა და იტყუხ ესრეთ:

„ჭინდლთა უკუჭ ფრუმენტოს მოძუენებულ ექმნა ღუთის მეცნიერებად. სოლო ქართულთა მათულ ესამთა შინა დედა-ვაცი ვინმე ტუჭ-ქმნულიტ ეშმაჩიტებისა მიმართ წინამძღუარ ექმნა, რომელი იგი სამაჩადისოსა ღოცუხად შემჳსტუა-

1) თეოდორიტე არის ვიზანტიის საეკკლესიო ისტორიკოსი მე V საუკუნისა. თეოდორიტეს გარდა ქართლის მოქცევას მოგვითხრობენ მე-V საუკუნისავე მწერლები სოკრათი და სოზომენი და მე-IV საუკუნისა რუფინი. ამათ ჩვენი წერილი არ იხსენიებს, თუმცა უკანასკნელი მათგანი თითქმის თანა-მედროვე იყო ქართლის მოქცევისა. რუფინის ცნობით, მას ქართლ. მოქცევის ამბავი აუწერია ივერის მეფის ბაკურიუსის სიტყუით (...haec nobis ita gesta...

ლეულ-იყო, ზ ლბილ სარტელ თუსსა აქუნდა ძაძაღ დატყ-
ცილი იატაკსა ზედა მიწისასა. ხოლო უმეტეს ყოველთა
ჭმჭმბათასა შეიტკობდა მარხუასა, გინადაცა ამათ შრომათა
შიანიტეს მას მადლი მოციქულებისა.

ხოლო გინადათგან ნათესავი იგი არა რას მკცნიერ
იუქნეს კელოვნებსა მკურნალობისასა, ამისთვის მიმოვი-
დოდინ სილვად სნეულთა და თუსთა მათ უძღურთა სილ-
ვისაგან და სნეულებათა მათთა გურნებისა გამოცდილებით
ისწავებდეს სახესა გურნებისასა.

იყო გინმე დედაკაცი, რომლისა ქე სნეულ-იყო, და
შის ძლით მივიდა იგი დედაკაცსა მასთანა, ღირსსა ქები-
სასა, და ივითხუდა მისგან, თუ რაჲ უღირს ყოფად მისსა.

ხოლო ღირსმან მან მიიუქნა ყრმა იგი უძღური და
მიაწვინა თუსსა-მას ცხედაწსა მოღვაწებისასა და ეკედრე-

Bacurius, gentis ipsius rex... exposuit), რომელიც მას უნა-
ხავს იერუსალიმში 50 წლის შემდეგ ქართლის მოქცევისა.
ნინოს მოწველის დროს ბაკურიუსი ახალ-გაზდა ყოფილა და
თვით გამთარა მოწმეთ ნინოს ქადაგებისა, მერე ბაკურიუსს სუ-
ლიერი საქმეების გამო უგმია თაის ხარისხი, სამშობლოც
და იმპერატორი თეოდოსიოს მიერ დადგენილ ყოფილა პალეს-
ტინის უფროსათ- 394 წელს საბერძნეთის ჯარით ბაკურიუსი
შეტკებია მტარკალს ეგვიპტის და ამ ბრძოლის დროს გადაცკ-
ლილა. ჩვენი წყაროები ამ ბაკურიუსს ანუ ბაქარს არ იხსენიე-
ბენ. ბროსსეს აზრით, ეს ვინმე ივერიის წარჩინებული პირი იქ-
მნებოდა, სახელ წოდებით ბაქარ, და დანიშნული სარდლათ იმ
ჯარისა, რომელიც ქართველ მეფეს ბაქარს (342—364) უნდა
მიეშველებიოს თეოდოსიოს ბერძენთა მეფისათვის (Hit. de la
Géor. t. I, p. 132, n. 3).

ბოდა შემოაქმედსა ყოველთასა მოხილვად მისსა, დაჰქსნად უძლურებისაგან. ხოლო უფალმან კედრებაჲ მისი მიითუ-
ალა და მიანიჭა უძლურსა-მას სიმართლე.

ამიერითგან საკვრველი იგი დედაგაცი მრავალ განთ-
ქმულ იქმნა, ვიდრელა არცა თუ მეუღლესა მეფისასა დაე-
ფარა მისთვის, არამედ მეის მიუწოდა მას, რათა მივიდეს
მისსა, რამეთუ იგიცა ბოროტითა ვნებითა შეურობილ-
იყო. ხოლო ღირსმან სიმდაბლისა სიბრძნითა გპეკითა არა
მიითუალა კედრება იგი დედოფლისა, გარნა დედოფალმან
იმულეუღმან სახმარებითა საქმისათა არა გულად-ილო
პატივი დედოფლობისა, არამედ თვით მიისწრაფა ტყუილ-
ქმნილისა-მის.

ხოლო მან კუალად იგიცა თხსსავე-მას მიაწინა სიმ-
დაბლისა სარეცელსა და წამლად უბრძოლულად ვნებასა
მას ზედა მოიპოვა ლოცუბა. მაშინ დედოფალმან ინება მი-
ნიტუბად მისსა სასუიდელსა გურნებისასა, რაოდენი რაჲ
თვით ღირს მიგებისა საგონებელ უხნდა, ორთა და ვეც-
ხლი, შესამოსლები და სამკაული და ყოველივე, რაოდენი
რაჲ არს ნიჭი სამეუფოჲსა პატივის მოუჩარებისა.

ხოლო საღმრთომან მან დედაგაცმან ჰკრქნა: „ამათგა-
ნი არა რაჲ მიგოს მე, გარნა დიდად სასუიდელად გურნე-
ბისა შეკრაცხ მე შენსა შემეცნებისა ღუთის მსახურებისა-
სა“. და ლოცვდა, რათა საღმრთო ტაძარი აღმართოს ძაც-
ხოვნებელისა მისისა ქრისტესთვის.

ესე რა ესმა დედოფალსა, წარვიდა იგი მეფისა და
თავისა მიერ თხსისა განაკვირვა მეუღლე თხსი მეფესა შინა
განკურნებითა თხსითა. ამისა შემდგომად განუცხადა მას

ძლავრება ღუთისა, რომელი იმასსურებოდა: ტყუას მისგან და ლოცვად ქმარსა თვისსა, რათა იგი მსოფო იცნას ღმერთად და აღუქნოს მას ტაძარი სალოცველი. და ესრეთ ამის გუჩნებისამიერ იქმნა შეცუალებაჲ ქართუჭლთა სათესავისა.

სოლო მეფე მეუღლესა თვისსა ზედა ქმნილისა მისგან საგვრველებით გუჩნებისა ფრიად განკურვებულ იქმნა, გაჩნა ეგრეთცა არა ირება აღუქნებაჲ ტაძრისა საუფლოსა.

ამისსა შემდგომად მცირედნი რაჲ უამნი წარსდეს, განვიდა იგი ნადირობად. სოლო გაცთ-მოუჭარქმან მეუფემან მჭგავსად ჰავლესსა შონადირა იგი, რამეთუ მეესა შინა ბნელმან რაჲმემან მოიცვა იგი და არა უტეკებდა მას უმოჩესად ვინაჲკე წარსულად. სოლო თანა-მონადირენი იგი მისნი ჩუჭულებისაებრსა-მას ჰსედვდეს შარავანდელსა შინასასა და იგი ოდეს მსოლოდ დაშთომილ-იუო შეკრულად საკრუჭლთა ვერ მსედრუჭლობისთა. და ესე ვითარსა რა უღონოებსა შინა იუო, ჰპოვა ღონე ცხოვრებისა, რამეთუ მუის გულის-სმა ჰყო ბრადი ურწმუნოებისა თვისისა და ტუეჭქმნილისა მის დედაკაცისა ღუთისა, სადა შემწედ და ღირსსა მას საკრუჭლებისასა ტუეჭსა მოუხდა და ლოცვად მას, რათა არჩნოს მას სასე აღუქნებადისა-მის ტაძრისა.

სოლო რომელმან იგი აღავსო ბესელიელ სიბრძნითა ხუროთ მოძღუარებისათა, ესეცა მასვე ღირს-ჰყო მადლისა, ვიდრემდის საღმერთო დაუსასა მათ ტაძარი და იგი დასახვდა, სოლო იგინი აღმოჰკრუჭლდეს და აღუქნებდეს ვინადგან უგუჭ სრულ-იქმნა აღუქნებაჲ და საერთული განკარათა და მსოლოდ მღუდელიღა საძაებელ-იუო. ჰპოვა ამისი-

ცა ღონე საკვრეჭლმან მან დედა-გაცმან და აზრსა მთავარსა ნესავთასა, წათა მიუკლინოს მოციქული მეფეს ბეძემენტასა და ითხოვოს მისგან მოკლინებად მოძღუარი ღუთის მსახურებისა და მან მიიღო წაჲ, მცნება ესე მისგან, მუნ-ჭსთქუჭსვე 1) წარკვლინა მოციქულ.

სოლო მეფემან ისწავა რა მიზეზი სათხოველისა, რამეთუ კოსტანტინე იყო მსურვალედ ტრფიალი ღუთის მსახურებისა, რომელმან იგი ზრიადსა პატრიკსა ღირს-ჭეუქანა მიკლინებულნი იგი მისსა და კაცი ვინმე საწმუნობითა და ცხოვრებითა და გულის-სმის ყოფითა შემკობილი, ღირს-ქმნილი მღუდელ-მთავრობისა, ქადაგად მოუკლინა ნათესავთა ამათ უფროდსა მრავლითა ნიჭითა“.

ამას უგვე თეოდორიტი ესოდენ მოიხსენებს, სოლო სსწათა წერილთა შინა საკელ-დებით პოკნილ აჩს სახელი ტეჯსა მის, სოლო ჩუჭნ ტუჭნთა მესნელისა, რამეთუ ბეძემულად „ნონა“ უწოდის წმიდასა-მას, რომელსა ჩუჭნ მცირედ შეცუალებითრე „ნინად“ სასელ ვსდებთ 2). კგრეთვე სასელიცა მიკლინებულისა მის ეპისკოპოსისა ესრეთ პოკნილ აჩს, ვითა:რმედ თვთ ეკსტათი იყო ანტიო-

1) „მუნ-თქვესვე“ ნიშნავს „მაშინვე“, „მსწრაფლ“. ეს უძველესი ფორმა და შემდეგ დროის ხელ-ნაწერებში მუნ-თქვესვეს მაგიერ ჩხარება „მეყსეულად“, „მის“.

2) ფორმა „ნინა“, ჩვენის აზრით, რუსული ენის გავლენით არის გადაკეთებული „ნინო“-საგან და აქაც მერმე შეცვლილათ უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში ეკ სიტყვა ამ ფორმით ძველ ხელ-ნაწერებში არსად არ შეგვხვედრია.

ქელ პატრიარქსი, რომელმან დაამყარა ეკლესია იგი მიწიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარ-ეპისკოპოსი 1).

სიტყვა „ნინო“-ს, მართლა ჰუნადიან წარმოდგარათ ლათინური სიტყვიდგან nonna, რომელიც ნიშნავს „ლეთის მოსავს“, „მონაზონს“ (იხ. Langlois Collection... t. II, p. 125, n. 4).

1) ევსტათი იყო ანტიოხიის პატრიარხათ 325 წლიდგან. 331 წლამდე. 131 წელს მას საპატრიარხო ტახტი ჩამოართვეს მწვალებლებმა და კოსტანტინე დიდმა ის განდევნა. მის საქართველოში მოსვლის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვერ ვპოულობთ ვერც ჩვენს და ვერც უცხო ტომთ წყაროებში შეთერთმეტე საუუნემდის, რომელსაც თვით ეს ეფრემის წერილიც ეკუთვნის. სენმარტენის აზრით, თუ მართლა ევსტათი მოვიდა მცხეთაში, ეს უნდა მომთარ-იყოს 331 წელს, როდესაც ის ტახტიდგან ჩამოაგდეს. ბროსსეს არ ჰსჯერა, რომ კოსტანტინეს ევსტათი განდევნის შემდეგ გამოეგზავნოს მცხეთაში და ამისათვის მის მოსვლას ჰუნადის 325 წელს (H. de la G. p. 118. n. 3; p. 131, n. 4).

ნიკოლოზ კათალიკოსი თავის მოთხრობაში „საკითხავი სვეტიცისა ცხოველისა, კვართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“ იძლევა კითხვას, ეგ როგორ არისო, რომ თეოდორიტე ევსტათის მოიხსენიებს საქართველოში გამოგზავნილათო და აქ (ესე იგი ჩვენს მატთანეში) კი იოანე იხსენიებაო. ამის პასუხათ ის მოსაზრება მოჰყავს, რომ ევსტათი იმიტომ ყოფილა გამოგზავნილი, რომ დაამკვიდროს ჩვენში ქრისტეს სჯული, და უკანვე წარვიდესო, ხოლო იოანე იმისთვის, რომ სამუდამოთ დარჩეს ჩვენშიო. ცნობა ევსტათის შესახებ ნიკოლოზს ამოუღია ამ ეფრემის წერილიდგან (რაცა სჩანს შემდეგი მისი ფრაზიდგან: „რამეთუ გვიპოვნის ბერძენთა წერილთაგან გადმოღებულ მცო-

სოფელ მეფემან ქართულთაჲსან და ყოველთა მთავართა მისთა დაუწყეს ზატრიანსსა ანტიოქიასსა მოსსს-ყიდელად ნიუთთა წმიდისა მიწონისათა აგაძეკები ათასი კუამლი ქუტუნისაგან ქართულთასა, წათა საფასოჲ შე-მოსსაკალთა მათთა იუოს ფას ნიუთთა მიწონისათა, წამე-თუ მაშინ მათ ყაძთა არა სადა სხუგან წმიდა იქმნებოდა. მიწონი თუნიერ ანტიოქიას და მიერ განეყოფოდა ყოველთა.

ამიერ იცნობების ყაძი მოქცევისა და ვითარებდ ანტიოქიას საყდრისა მიმდგომ იუტუნეს და მიერ კელ-დასს-მულ იქმნებოდეს ქართლისა კათალიკოსნი.

რედ გამოკრებული ზოგსრე წმიდისა ნინოს მიერ მოქცევა ქართველთა ნათესავისა“...), მაგრამ ეგ ცნობა ჩვენს ავტორს თოდორ-რატესთვის შეცთომით მიუწერია. ეურემის წერილიდან სრულებით არა სჩანს, რომ ევსტათის შესახებ ცნობა ქართლად წამოსვლისა თოდორიტეს ეკუთვნოდეს (იხ. საქ. სამოთხე, გ. 96).

ნიკოლოზ კათალიკოსი, ავტორი ზემოხსენებული საკითხავისა, ცნობობდა გიორგი მესამის დროს (1156—1184). ის თავის შრომაში თვითონ იხსენიებს თავის თავს ზ ბურდუნან დედოფალს, გიორგი მესამ ს ცოლს, რითაც მტკიცდება დრო, თუ როდის ცნობობდა ავტორი (ibid. გ. 111). ნიკოლოზის შრომა წარმოგვიდგენს ძრიელ განვრცობილს და განახლებულს მოთხრობას სვეტი ცხოველის და საუფლო კვართის შესახებ და როგორც განვრცობილი მოთხრობა რასაკვირველია ბევრ ისეთ ცნობებსაც გვაძლევს, რომელნიც ნინოს ცხოვრებაში არ მოიპვებიან. განსაკუთრებით დაწვრილებით მოთხრობილია სასწაულები, რომელნიც სვეტი ცხოველისაგან ყოფილა, აღმართებიდან თვით ავტორის დრომდე. თავ-და-პირველ დედნათ ნიკოლოზს, როგორც ეტყობა, ჰქონია ქართლის ცხოვრებაში შეტანილი ნინოს

სოლო თუ ოდეს იწეეს თვით სელ-დასმად და გა-
თარძმედ არა ოჯნიერ წესისა და ბრძანებისა, ესე ეჭვოვით
ხრწანოღრძისა შინა ანტიოქიას აღწერილსა, რომელი იტ-
ყუს ესრეთ: „დღეთა კოსტანტინე სკოლის მოსასული-
სათა, ანტიოქიას პატრიარხობისა ნეტარისა თეოფილაკ-
ტეს, ვითარძმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკუდ-
რნი ქართუშლთა სოფლებისანი, რამეთუ დღითიან ნეტა-
რისა ანასტასი მღუდელ-მოწამისა, ანტიოქელ პატრიარ-
ხისა, არა გურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარ-ეპის-
კოპოსი, სიმნელისათვის გზისა, რამეთუ ავარიანთაგან ვერ
იკადრებენ სლჟად.

სოლო მან ბჭობითა კრებისათა მთავარ-ეპისკოპოს-
თა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვსთათა, მისცა
ქართუშლთა პროტრეკტიკონი, რომელ არს განჭკსნითი,
რათა თვთ მათისა საზღურისა ეპისკოპოსთაგან კელნი
დაესსმოდინან უამად-უამადსა კათალიკოსსა ქართლისსა,
რომელიც საღმრთომან მადლმან უჩვენოს მათ და რომელი

ცხოვრება, არსენი კათალიკოსის რედაქციისა. ჩვენთვის საყურად-
ღებოა, რომ ნიკოლოზი თავის შრომაში ქართლის ცხოვრებას
უჩვენებს: „რამეთუ ვინ გამოწულილვით შეძიებლობდეს დასაბამ-
სა და სადაობასა ნეტარისა-მის ნინოსასა, წიგნი იგი ხე-
ლად მიიღენ აღწერილი მოწერილობით მოთ-
ხრობისათვის ქართუშლთა ცხოვრებისა და მისგან
გეუწეოს ყოველივე აღმავსებულად ჩუზნისა ნაკულევანებისა“
(ib. გ. 37). ამას საჭიროთ ჰხადის ნიკოლოზი შენიშნოს მიტომ,
რომ ნინოს ცხოვრებას და ქართლის მოქცევას ის ძრიელ
მოკლეთ ეხება.

გამოიჩინონ მოყუასთა მის ეკკლესიისათა, თანა-დგომითა და წამებითა ეპისკოპოსთათა წესთაებრ საეკკლესიოთა. და შეუქმნა მათ აღწერით მოხსენებელი თავისა თვისისათჳს და მუნ შემოკრებულისა კრებისათჳს, და სელ-დასსმულ ჭყო ერთი ორთა მათ მისსა მოკლინებულთა მონაზონთაგანნი, სასელოთ იოანე, მის უამისა კათალიკოზად მათდა 1).

გასაკვირველია, რომ ზემოხსენებული ადგილით ნიკოლოზის მოთხრობისა არავის არ უსარკებლია იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ქართლის ცხოვრებას ვახტანგის შეთხზულთ ვხვდოდენ.

1) ეს ორი პარაგრაფი სიტყვა-სიტყვით შეტანილია ქართლის ცხოვრებაში და ჩართულია ადარნასე I-ის (619—639) ისტორიაში. ქართლის ცხოვრებაში ეს ადგილი იკითხება ასე:

„და მოკუდა კათალიკოზნი ბართლომე და აშან ადარნასემ დასვა კათალიკოზად იოანე და წარგზავნა ანტიოქიას, და მის თანა მონაზონი ერთი მოციქულთაცა და საკურთხეველთაცა, რამეთუ განწესებულ იყო კურთხევა ანტიოქიით კათალიკოზისა და ვერლა-რა ვის კელ-ეწიფებოდა სვლად გზასა ანტიოქიისასა. ამისთჳს დიდი ზრუნვა აქუნდა ქართულთა. ხოლო დღეთა თეოფილაკთე ანტიოქელ პატრიარქისა წარავლინეს მოციქულნი და მივიდენ წინაშე თეოფილაკტე, ანტიოქელ პატრიარქისა, და მიუთხრეს ნეტარსა თეოფილაკტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი, მკვდრნი ქართულთა სოფლებისანი, რამეთუ დღით-გან ნეტარისა ანასტასი მღუდელ-მოწამისათა არა კურთხეულ არს სიმნელოსათჳს გზათსა. ხოლო მან ჰყო საზოგადო კრება და განაჩინა ჰქობითა კრებისათა მთავარ-ეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თჳსთა თანა, რათა შეკრებოდენ ეპისკოპოსნი სამრევლოსა მისისანი და აკურთხევიდენ კათალიკოზსა უამითი-უამად, რომელიცა საღმრთომან მადლმან უჩვენოს მათ და რომელი გამოიჩინონ და სთნდეს მეფესა და

სალო ზემოსსენებულისა მის წილ ათასისა კჳამ-
ლისა დაუწესა მათ, რათა წლითი-წლად მოსტემდენ ყა-
მად-ყამადთა პატრიარხთა ანტიოქიისათა ათასსა დრჳკან-
სა, რომელი იგი მოეცემოდა ვიდრე დღეთამდე იოანე

ეპისკოპოსთა, და ერსა და მოყუასთა მის ეკკლესიისათა და
შეუქმნა მათ აღწერილი მოსახსენებელი თავისა თჯისათჯს და
მუნ შემოკრებულისა კრებისათჯს, და გელ-დასმულ ჳყო ერთი
ორთა-მათ მისსა მოვლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იო-
ანე, მის უამისა კათალიკოზად მათდა“ (იხ. ქ. ცხ. ტ. I, გ.
168).

ამას შემდეგ ქართლის ცხოვრება კვლავ უმატებს: „სა-
ლო ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა და განთავი-
სუფლდა მათგან კათალიკოზნი, რამეთუ გელ ქვეით აღარ არის
პატრიარხთა, აღარც აკურთხევენ, არამედ თჯსნი ეპისკოპოსნი
აკურთხევენ, და მიერიოგნა განეფინა ქვეყანასა ზედა, ვითარმედ
განთავისუფლდა კრებასა შინა ანტიოქიისასა. მაშინ უკუწ იოანე
გუთელ ეპისკოპოსი თჯსისა სამწყსოსა და ერისა მიერ მოივლი-
ნა ქართლად, და ქართლისა კათალიკოზისა იოანეს მიერ მიი-
ლო ხელთ-დასჯმა მცხეთას. რამეთუ მას უამსა საბერძნეთისა კერ-
ძონი ხატთა ბრძოლისა წვალებასა დაეპყრნეს“ (იხ. იგივე
გვერდი ქართლის ცხოვრებისა).

ესევე ადგილი ზემოსსენებული წერილისა სულ მცირეო-
დენ შეცვლით თეიმურაზის ვარიანტში სტეფანოზ მეორის
(639—669) მთავრობის ისტორიაშია ჩართული (იხ. ქ. ც. გ.
171, შენ. 2). მარიამ დედოფლის, რუმიანცევის და მეგრელიის
ვარიანტებში ეს ტექსტი არ არის შეტანილი.

რაც შეეხება ცნობას იოანე გუთელ ეპისკოპოსის შესახებ
ეს ადგილი ქართლის ცხოვრებაში გიორგი მთაწმინდელის
ცხოვრებიდან, ან ამ ცხოვრებაში ნაჩვენებ სვინაქსარიდან უნ-

წმიდისა ჰატრიაწისათა. რამეთუ მან ანიჭა იგი ორეს-
ტის წმიდასა ჰატრიაწისსა იეროსალიმისასა, რომელი მივი-
დოდა მოციქულად ბასილისთანა, მეფისა ბერძენთასა, რათა
მისსა საუდაწსა მიეტეპოდის ქაბთუწლთა მიერ. და მიერ
დდიდგან დაეწესა რა მოხსენებაჲ ოდენ სხეელისა აქენ-

და იყოს შეტანილი. ხსენებულ ცხოვრებაში ეს ამბავი ასეა მოხ-
სენებული: „იყო უამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მარ-
თლმადიდებლობა არა იპოვებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი
მცნეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სჯნაქ-
სარსა“ (იხ. მამ. ცხ. შიომღ. ხელ. გ. 239). სვინაქსარში
ეს ადგილი მოყვანილია 1 ოკტომბრის საკითხავში.

ამ ადგილის შესახებ ქარ. ცხოვრებისა ბროსე შენიშნავს:
„მთელი ეს პარაგრაფი, თუმცა ძრიელ საინტერესოა, მაგრამ
სავსეა ანაბრონიზმებით. მართლაც და 598 წლიდგან 610
წლამდე ანტიონიის პატრიარხათ იყო ანასტასიოს II, რომელიც
მოკლულ იქმნა ქრისტიანობის წინააღმდეგ აძრულ ებრაე-
ლების მიერ. ამისთვის ის ჩარიცხეს წმინდანების სიაში და მისი
დღესასწაული არს 21 დეკემბერს (ხან. Lebeau. t. X, p.
244). რაც შეეხება თეოფილაკტეს, ის იყო ანტიონიის პატრიარ-
ხათ 744 წლიდგან 751 წლამდე, ასე რომ კათალიკოსი იოანე
ვერ იკურთხებოდა თეოფილაკტეს მიერ. ამას გარდა გუთელ
ეპისკოპოსი მცნეთაში უნდა კურთხეულ-იყოს, როგორც სხვა ად-
გილას შევნიშნე (Hit. de la Géor. t. I, p. 115, n. 1)
მერვე საუკუნის დასაწყისში და ამასთანავე არა ქართველ კათა-
ლიკოსის იოანეს მიერ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ
ერთ იოანეს ვიცნობთ, რომელიც დადგინებულ იყო ადარნასეს
მიერ. ამას გარდა ოთხის საუკუნის და მე-6-ის განმავლობაში,
სტეფანოზ მეორედგან დაწყებული დავით აღმაშენებლის დრომ-
დე, ანუ 663 წლიდგან 1105 წლამდე, ჩვენ არა გვაქვს სია

დეს ქართველთა შორის ანტიოქელსა ჰატრიაწისსა ზ უკეთესუადესმე გამოჩნდეს წკალებად, მაშინდა მიავლინებდეს მუნ განმარტუად წყალებათა და ცთომათა ძლიერთა, ვითარ იგი ნეტარისა თეოდორე ჰატრიაწისისა დღეთა წარმოივლინა ბასილი ღწამატიკოსი წყალებისათჳს აკაკთასასა“.

აქა დაგვიშთა სძიებელი მრავალთა, თუ რადეს მიი-

კათალიკოსთა. ამიტომაც მე ამ ადგილს უცქერ, როგორც მიმატებულს ისეთი კაცის მიერ, რომელსაც კარგათ სცოდნია თავის ქვეყნის ისტორია, მაგრამ სრულებით არ ყოფილა გაცნობილი მსოფლიო ისტორიას. მე მგონი კიდევ, რომ ზემონსენებული პარაგრაფის ბოლოში ღაპარაკია მონოთელისტების და მონოფიზიტების განხეთქილების შესახებ, რომელიც არყევდა უკანასკნელ წლებს ირაკლის მეფობისას. იხ. Lebeau, t. XI, p. 172.“ (Hist. de la Géor. t. I, p. 230, n. 1).

ჩვენ ეს შენიშვნა ბროსესის განგებ მოვიყვანეთ იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორ შემცთარ აზრს გამოათქმევინებს კაცს ზოგიერთი ადგილი ქართლის ცხოვრებისა, როდესაც არ იცის, თუ ვის ეკუთვნის, ან საიდან არის ამოღებული ეს ადგილი. ამიტომაც თავი-და-თავი საქმეა ქართლის ცხოვრების შესწავლისათვის გამონახვა და გამოქვეყნება იმ წყაროებისა, რომელნიც აქა იქ შეტანილნი არიან ქართლის ცხოვრებაში ძველათ თუ შემდეგ დროებში. ეს ადგილი ჩვენი წერილისათვის თავით არა ვითარ ანახრონიზნს არ შეიცავს, და თუ ქართლის ცხოვრებაში ანახრონიზმი გამოდის, ეს იმის ბრალია, რომ წერილის ცნობა თავის ადგილზე არ არის შეტანილი. თვით ის მოვლენა, რომ სხვა და სხვა ვარიანტში ეს ჩვენი წერილის ცნობა სხვა და სხვა ადგილას არის შეტანილი, ცნადათ ამტკიცებს, რომ შემტანს არ სცოდნია, სად უნდა ყოფილიყო ამის ადგილი. მას სხვათა შორის ადარნასეს მეფობა გამო-

დეს ქართულსა კურთხევა მიწონისა. და ამისდა ცნობად
მჩაგად-ჟამ ვდროებდ აღწეად ბძმანებულსა ჩემსა შენ
მიერ მოსახსენებულსა ამას და ესოდენ ვჭზოვე საზოგა-

ურჩევია, რადგანაც ქ. ცხოვრებაში მართო ადარნასეს დროს
ინსენიება იოანე კათალიკოსი და ჩვენი წერილიც ხომ იოანეს
ინსენიებს. მაგრამ ენლა ჩვენ ქართლის მოქცევის წყალობით
სხვა იოანე კათალიკოსიც ვიცით. ეს ის იოანეა, რომელიც ჩვენს
სიაში (იხ. შედარებით სია კათალიკოსთა) ნაჩვენებია მეორმოც-
და მესამე კათალიკოსათ და იოანეს სახელით მეოთხეა, თუ მთა-
ვარ-ეპისკოპოსებსაც ვინაგარიშებთ. ჩვენი აზრით სწორეთ ეს
იოანეა, რომელიც ინსენიება ზემო მოყვანილ წერილში და
რომელიც უკურთხებია ანტიონის პატრიარხს თეოფილაქტეს.
თეოფილაქტე, როგორც მოვიხსენიეთ, იყო პატრიარხათ 744
წლიდგან 757 წლამდე და უეჭველათ იოანესაც ამ დროს უც-
ხოვრია, ასე რომ დრო იოანე IV კათალიკოსობისა ენლა დაან-
ლოვებით ცნობილათ უნდა ჩაითვალოს. ამ გარემოებას დიდი მნიშ-
ნელობა აქვს ჩვენთვის, ვინაითგან კათალიკოს ევზონიდგან დაწყებუ-
ლი (639—663), თუმცა გვაქვს ენლა სია 27 კათალიკოსთა, მაგრამ
რომელი რომელ დროს იყო კათალიკოსათ, არ ვიცით. თუმცა იო-
ანე IV დაანლოვებით 744 — 757 წლებში და ეჭვი არ არის შემდეგაც
ცხოვრობდა, მაშასადამე ცნრა კათალიკოსს (თავუაჩაგ II, ევლალე,
იოველ II. სამოველ VII, გიორგი I, კვირიონ, იზიდ-ბოზიდ, თე და
პეტრე III-ს), რომელნიც ევზონ და იოანე IV შუა არიან მოხსენ-
ებულნი, უცხოვრიათ 663—757 წლებში, ასე რომ ორთა-შუა
რიცხვით თითოეული მათგანი თითქმის ცნრა წელიწადი ყოფილა
კათალიკოსათ. ეს იმ დროსთვის ცოტა არ არის. უფრო ხან-
გრძლივი კათალიკოსობა სხვა დროსაც იშვიათია. მაგალითათ,
არჩილ I დროს (410—334) 24 წლის განმავლობაში ოთხი
მთავარ-ეპისკოპოსი გამოიცვალა, ბაკურ III-ს დროს (557—570)

ღოდ ყოველთათვის, ვითარმედ ხალკიდონისა კრებასა ესმა, რომელ სიძვირისათვის ფასით ჭყიდდეს მირონსა, ამისთვის ჭბრძანეს წმიდათა მამათა, რათა არა ხოლო ანტიოქიას,

ცამეტი წლის განმავლობაში სამი კათალიკოსი იყო, ადარნასეს დროს (619—639) ოცი წლის განმავლობაში სამს კათალიკოსს ვპოულობთ.

იმ ცხრა კათალიკოსთა შორის, რომელნიც ჩვენ ევზონიდგან იოანე მეოთხემდე უჩვენეთ, პირველი ოთხი თავისუფლათ შეგვიძლია მეშვიდე საუკუნეს მავაწეროთ და დანარჩენნი მერვე საუკუნის პირველ ნახევარს..

ხოლო იმ 17 კათალიკოსთა შორის, რომელნიც იოანე მეოთხის შემდეგ იხსენიებიან, ერთი ხუთიოდე კათალიკოსი შეგვიძლია მივაწეროთ მერვე საუკუნის მეორე ნახევარს და დანარჩენნი მეცხრეს. ეს ყველა, რასაკვირველია, დაახლოვებით ანგარიშია, მაგრამ სულ-არაობას ყოველთვის სჯობია დაახლოვებით მაინც ვიცოდეთ მათი დრო.

რაც შეეხება იოანე გუთელ ეპისკოპოსის კურთხევას მცხეთაში, ჩვენ უკვე უჩვენეთ, საიდან უნდა იყოს ამოღებული ეს ცნობა. აქ მხოლოდ ის უნდა განვიხილოთ, შეიძლება თუ არა რომ მართლა ჩვენს იოანე მეოთხეს ეკურთხებნა ის მცხეთაში. იოანე გუთელ ეპისკოპოსი ცხოვრებდა კოსტანტინე მე-VI და ლევ ისაურის მეფობაში, ესე იგი 751—775 წ. ხოლო ჩვენი იოანე IV, როგორც შევნიშნეთ, თანა-მედროვე იყო თეოფილაქტე ანტიოხელ პატრიარხისა (744—751) და მის მიერ ხელ-დასმულ ქართლის კათალიკოსათ. 744—751 წ. რასაკვირველია იმ დროს უჩვენებს, რომლის განმავლობაში ხელ-დასმული ყოფილა იოვანე IV, და ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამას შემდეგ მას არ ეცოცნლოს. მაშასადამე დრო ჩვენი იოანეს და იოანე გუთელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა ერთი ერთმანეთს

აწამედ სხუათაცა ეკკლესიათა შინა წმიდა იქმნებოდის მი-
წონი.

ხოლო თუსაგან ქალთუწლთა საგონებელ-აწს, ვითარ-
მედ სიშოწისათვის გზისა, და წამედ ფრად საშიშაწს

ეთანხმება, მით უმეტეს რომ ცნობა, რომელიც ბაღლანდინს
შემოაქვს მის მიერ გამოცემულ Acta Sanctorum-ში, Vol. V.
იოანე გუთელ ეპისკოპოსის ხელ-დასმის დროთ უჩვენებს 758 წ.
ხსენებული ბაღლანდინის შრომა გამოცემულია 1744 წ. ვენე-
ციაში და ჩვენთვის საყურადღებო ადგილი გადათარგმნილი რუ-
სულად (იხ. *Записки Одесского Общества истории и
древностей, томъ XIII, 1883 г.*). ლირსი მამა, ამბობს ხსე-
ნებული ცნობა, სცხოვრობდა კოსტანტინე მე-VI (V?) და ლევ
ისავრის (751—775) დროს და სიყრმითვე შეიმოსა სახე მონა-
ზონობისა. კოსტანტინემ და თვით იმის მიერ მოწოდებულმა
კრებამ აღძრეს დევნელობა წინააღმდეგ წმინდათა ხატთა და
მართლ-მადიდებელთა მცხოვრებთა გოთის ქვეყანისათა, რომელ-
თაც უარი განაცხადეს მონაწილეობის მიღებაზე უსჯულო კრე-
ბაში და რომელნიც ამასთანავე დარჩენილნი იყვნენ უმწყემსოდ;
აღირჩიეს თავის მწყემს-მთავრად ლირსი იოანე და გაგზავნეს იგი
ივერიის საკათალიკოსოში, სადაც ხელ-დასხმულ იქმნა ეპისკო-
პოსად და შემდეგ უკუ-ქცევისა მან დაიცვა უვნებლად კათოლი-
კე ეკკლესიის დოღმატნი და ჭეშმარიტი სარწმუნოება“ (იხ.
ბაქრაძის ისტორია, გ. 201, შენ. 1). იოანე გუთელ ეპისკოპო-
სის კურთხევას მცხეთაში მოიხსენიებს აგრეთვე პატრიარხი დო-
სითეოსი თავის იერუსალიმელთ პატრიარხთა ისტორიაში და მის
კურთხევის დროთ უჩვენებს ლევ ისავრის მეფობას (იხ. *Bulle-
tin scientifique, t. V, p. 228* და *Руководство къ позна-
нию Кавказа, выт. 1-ый стр. 5*). ყველა ზემოხსენებული
ცნობების შემდეგ არ შეგვიძლია იოანე გუთელ ეპისკოპოსის

უცხო თესვითა შორის კმელით ანტიოქიით ქაჩთლს წაწ-
ლებს წმიდისა მირონისა, ამისთვის თვთ ადგილსა დაწესე-
ბულ-აწს მათდა გუჩთხეკაჲ მირონისა 1).

კურთხევა მცხეთაში ჩვენს იოანე მეოთხეს არ მივაწეროთ. სხვა
იოანე კათალიკოსი ადარნასეს მთავრობის შემდეგ ჩვენს წყაროებ-
ში არ იხსენიება. საქართველოში იმ დროს, თუ ვახუშტის ქრო-
ნოლოგიას დაუფერებთ, მთავრობდნენ იოანე და ჯუანშერ
(718—787). საბერძნეთში მაშინ მართლა ბრძოლა იყო ხატთა
წინააღმდეგ, და ის მონოთელიიტების და მონოთეიზიტების გან-
ხეთქილება, რომელსაც ბროსესე უჩვენებს, აქ არაფერ. შვაშია.

1) მირონის კურთხევის მინიჭებას ქართველობისათვის ერ-
თი ადგილი ქართლის ცხოვრებისა მიაწერს მეექვსე მსოფლიო
კრებას კონსტანტინეპოლისას, რომელსაც ჰხადის 656 წელს
და არა 680 წელს, როგორც მართლა იყო. ამ კრებას მიაწერს
აგრეთვე ქართლის ცხოვრება განთავისუფლებას საქართველოს
ეკლესიისას ანტიოხიის პატრიარხის დამოკიდებულობისაგან.
მაგრამ ეს ადგილი ქართლის ცხოვრებისა, ყოველ ეჭვს გარე-
შე, დამახინჯებულია და უმეცრათ გაზვიადებული ეფრემის წერი-
ლის მიხედვით. ეს უკანასკნელი აზრი მითაც მტკიცდება, რომ
აქ ჩამოთვლილია საქართველოს ნაწილები, რომელნიც უნდა
განაგოს ქართლის კათალიკოსმა, და სხვათა შორის ნაჩვენებია
სამცხე საათაბაგოც, რომლის სახელ-წოდება იმ დროში სრულე-
ბით არა ყოფილა მიღებული. რომ ეს ადგილი ქართლის ცხოვ-
რებისა ეფრემის წერილიდგან არის გადაკეთებული, ამას აშკა-
რათ ამტკიცებს ბოლო ამ ცნობებისა, სადაც სიტყვა სიტყვით
ის არის გამოკრებული, რითაც ეფრემი ათავეს თავის წე-
რილს, თუმცა ეს დაბოლოება ეფრემისა ქართლის ცხოვრებას
სრულებით არ ეხერხება და ამდენ ხანს გაუგებარი რჩებოდა.
მეტი არ იქნება შეკნიშნოთ, რომ ეს ადგილი ქართლის ცხოვ-

სოლო აფხაზთათჳს ეკვტე ეპიფანესი საეკლესიოსა მოთხრობასა შინა თჳსსა აღჰსწერს ოცდა მეორესა თჳსა შინა და იტყჳს ესრეთ:

„მათეე უამთა შინა იუსტინიანეს მეფობისათა აფხაზნიცა შეიცუაღნეს უმჯობესად და ქრისტიანობისა შეიწყნარეს ჭადაგებაჲ, რამეთუ პალატსა შინა იუსტინიან მეფისასა იყო ვინმე საჭურჩისი აფხაზი ნათესავით და ეკფრატა სახელის-ღებით, რომელი წარივლინა მეფისა მიერ ჭადაგებად მათდა და აღთქმად, ვითარმედ ამიერიტან არცა ერთიღა ვინ ნათესავისა მათისაგანი განხუტულ იქმნეს მამაკაცობისაგან რკინისა მიერ იძულებითა ბუნებისა, რამეთუ მრავალნი იუჲნეს მათგანნი მსახურ სამეუფოჲსა საწოდისა რომელთა საჭურჩის იცის წოდება ჩუწულებამან.

ვინაჲცა იუსტინიანე ტაძარი წმიდისა ლუთის-მომობლისა აღაშენა აფხაზეთს შინა და მღუდელნი დაადგინსა მას შინა, რათა უგანცხადებულესად ასწავებდეს სკულსა ქრისტიანობისასა“ 1).

რებისა არ არის არც მარიაჲ დედოფლის გარიანტში და არც მეგრულიისაში (იხ. ქ. ცხ. გ. 171—172).

1) ეს ორი პარაგრაფი სიტუვა სიტყვით შეტანილია ქართლის ცხოვრებაში და ჩართულია ფარსმან მეექვსის მეფობის ისტორიაში (542—557). დასამტკიცებლათ იმის: „რომ ეს მართლა ეფრემის წერილიდგან არის ამოღებული მოგვეყვას აქ ქართლის ცხოვრების ტექსტი:

„მათეე უამთა შინა იუსტინიანეს მეფობისათა აფხაზნიცა შეიცვალნეს უმჯობესად და ქრისტიანობისა შეიწყნარეს ჭადაგება, რამეთუ პალატსა შინა იუსტინიანე მეფისასა იყო ვინმე

ესე მტირქედნი სიტყვანი, ვითარცა თესლის შემკრებელ-
მან მიმო-განთესულნი წმიდათა წეწილთაგან ერთად შე-
მოვჰკრებენ, ჯერ-ჩინებითა შენითა, გაცო ღუთისაო, რა-
მელმან ეგე უწყი, ვითარ მრავალნი მრავალ-გზის ამათ

საჭურისი, აფხაზი ნათესავით და ეფრატა სახელის-ღებით, რო-
მელი წარივლინა მეფისა მიერ ქადაგებად მათდა და აღთქმად
ვითარმედ ეპირიდგან არცა ერთილა ვინმე ნათესავისა მათისაგა-
განი განხვებულ იქმნებოდის მამა-კაცობისაგან რკინის მიერ,
რამეთუ მრავალნი იყუნეს მათგანნი მსახურ სამეფუოსა საწოლი-
სა, რომელთა საჭურის იცის წოდება ჩვეულებაჲმან.

„ვინაიკა იუსტინიანე ტაძარი წმინდისა ღვთის-მშობლისა
აღაშენა აფხაზეთს შინა, ბიჭვინტას, მღვდელნი დააგინნა მას
შინა, რათა უგანცნადებულესად ასწავებდენ სჯულსა ქრისტეა-
ნობისასა“ (იხ. ქ. ცხ. გ. 159).

ამ ადგილის შემტანს ქართლის ცხოვრებაში მხოლოთ
სიტყვა „ბიჭვინტას“ მიუმატებია ეფრემის სიტყვებშია და სხვა
არაფერი არ შეუცვლია. იუსტინიანეს მიერ აფხაზეთში აშენე-
ბულს ტაძრათ ამდენანს მართლა ბიჭვინტის ეკლესიას ვხადო-
დენ, მაგრამ ამ აზრს არ ამტკიცებს არც წარწერა ეკლესიისა
და არც სტილი ნუროთ-მოძღვრობისა. პროკოპი მართალია მოინ-
სენიებს, იუსტინიანემ აღაშენა მღვთის-მშობლის ეკლესია აფ-
ხაზეთშიო, მაგრამ სრულებით ბიჭვინტას, ანუ პიტუნდას არ
უჩვენებს. გარდა ამისა აფხაზების გადმოცემით ბიჭვინტის საყ-
დარი ანდრია მოციქულის სახელობაზეა აშენებული და არა
ღვთის-მშობლისაზე. ამ აზრს ისიც ემორწმება, რომ საკურთხეველის
კამარაში ღვთის-მშობელი კი არ არის გამოხატული, როგორც
გელათშია, და როგორც კანონიც მოითხოვდა, თუ ღვთის-მშობ-
ლის სახელზე ყოფილიყო აშენებული, არამედ ამაღლებაჲ წარ-
მოდგენილი. ხოლო გეგმა ეკლესიისა და სტილი ნელოვნები-

პირთათჳს გუჭითხუდჳს და დაბრკოლდებოდჳს ჩუქსნთჳს უმეცრებით, ანამედ თჳთ განდგომილთა საუდრისაგან დიდისა ჰეტრე მოცტიქულისა და თაჳისა ყოველთა მოცტიქულთასა, რამელნი ვითარმედ გულ საჳსე ჭყუნა და აღაშენნა ესე ვითართა თსრობათაგან 1).

ბოლოს ამ ჩვენს გამოცემას დაურთეთ შედარებითი სია საქართველოს მეფეთა, ერისთავთა და კათალიკოსთა ქართლის მოქცევის და ქართლის ცხოვრების ცნობებით, რათა ამით თვალ-საჩინოთ დაგვეჩვენებია მკითხველისა-

სა ნანდვილი ქართულია და ქართულ ხუროთ-მოძღვრების ეკლესიას წარმოგვიდგენს არა უგვიანეს მე-X საუკუნისა.

ყველა ამაჳების გამო პროფესსორი კონდაკოვი დარწმუნე ბულია, რომ ბიჭვინტის ეკლესია ქართული ხელოვნების ეკლესია მეთე ანუ მეთერთმეტე საუკუნისა (იხ. *Древняя архитектура Грузии профессора Кондакова. Москва 1876 г., стр. 10—12, 59*).

1) ეს უკანასკნელი სტრიქონებიც შეტანილია ქ. ცხ-ში იმ ადგილას, რომელიც ჩვენ მე-LVI გვერდის შენიშვნაში მოვიხსენიეთ:

„რამეთუ მრავალნი მრავალ გზის ამათ პართათჳს გვიითხუდჳს და დაბრკოლდებოდით ჩვენ უმეცრებით. და ესე მცირენი სიტყუნი, ვითარცა თესლის შემკრებელმან მიმო-განთესულნი წმიდათა წერილთაგან ერთად შემოვკრიბენ ფერ-ჩინებითა შენითა, კაცო ღუთისაო“ (იხ. ქ. ცხ. გ. 172).

თვის განსხვავებანი ამ ორ ჩვენს ისტორიის წყაროს შორის. კათალიკოსთა სიის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის მოქცევაში ბაქთლოძე კათალიკოსი ისენიება გუჩამ ერისთავის დროს და მისი მემკვიდრის სტეფანოზ პირველის ისტორიაში კათალიკოსის შესახებ ასე სწერია: „და კათალიკოსი იყო ბაქთლოძე მეორედ“. აქედან ის აზრი შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ბაქთლოძე პირველათ ყოფილა კათალიკოსათ, მეძმე ჩამოერთმევიათ ტახტი და ბოლოს ხელ-ასლა მიუციათ. მეგრამ ქართლის მოქცევა სრულებით არ ისენიებს, რომ ბაქთლოძე პირველისათვის ჩამოერთვან კათალიკოსობა, და მეძმე ხელმეორედ მოეწვიონ. ამისათვის ჩვენ უფრო გარკვეულათ და საჭეშმარიტოდ მიგვაჩნია სუმბატის ისტორიის ცნობა, რომელიც ამბობს, რომ სტეფანოზის დროს კათალიკოსათ იყო მეორე ბაქთლოძე 1). ამის მიხედვით გუჩამის დროს მოხსენებულ ბაქთლოძე სხვა უნდა იყოს და სტეფანოზის დროს მოხსენებულ—სხვა. ჩვენც ესენი სხვა და სხვა პირათ აღვნიშნეთ.

ქართლის ცხოვრების ცნობებში ჩვენს სიებში შემოტანილია ვახუშტისაგან შემუშავებული და ბროსესს მიერ შესწორებული ქრონოლოგია, რომელიც ეხლა საზოგადოთ მიღებულია. როგორც ვახუშტის ისე ბროსესსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ისტორიის წინაშე ქრონოლოგიის შემუშავებით, მაგრამ ეხლა სამწუხაროთ მათი ქრონოლოგია მანტ ვერ გამოყოფილებს ჩვენს მოთ-

1) იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გ. 36 და 49.

ხრწინილებას. თვით ის ფაქტი, რომ ესლა მეფეთა და ერისთავთა რიცხვი მეტი აღმოჩნდა, ვიდრე აქამომდე ვიცოდით, ცხადათ ამტკიცებს, რომ ეს ქრონოლოგია ხელახლა უნდა გადაიშინჯოს და ქართლის მოქცევის მიხედვით შემუშავდეს. ეს რასაკვირველია მომავალს ეკუთვნის და ჯერჯერობდა მიღებულს ქრონოლოგიას გვერდს ვერ აუქცევთ: ყოველ შემთხვევაში უმეტესი მათგანი დასალოგებით მინც უჩვენებს დროს.

ექვთიმე თაყაიშვილი.

14 იანვარი

1891 წელი.



სოფელ [ოდეს დასრულა] სრბაჲ თჳსი სარწმუნოე-
ბასა ზედა წმიდისა სამებისა წმიდამან და სანატრელმან
დედოფალმან ნინო, რომელი გვექმნა მსხარებელ გულთა
ჩუენთა და მღხინებელ სულთა და კორცთა ჩუენთა, ვითარ
კანიშორა ერთი ესე სამეუფოჲ ქუეყანაჲ ჩრდილოჲსა,
შცხეთისა, მეფეთა სამეფოჲ, არწმუნა ყოველთა აღსარება
მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, ნათლისღებითა მოს-
ლგაჲ ქრისტესი, და შობაჲ წმიდისაგან ქალწულისა, ნა-
თლისღებაჲ და სიკუდილი ქრისტესი, და აღდგომა მკუდ-
რებით, შემდგომად სიკუდილისა უკუდავებაჲ და ცხოვრ-
ბაჲ, მეორედ მოსლგაჲ ძისა ღვთისაჲ ქვეყნად, მართალ-
თა ცხოვრება და ცოდვილთა შურის გებაჲ, რამეთუ მისი
არს სუფევება უკუნითი უკუნისამდე და მეტყვა, ამინ 1).
ვითარ მოიწია ქუეყანასა კხოეთისსა, დაბასა ბუდს,
დასწეულდა სწეულებითა მით, რომელთაცა მოცაკუდა 2)

1) ეს შესავალი თავითგან დაწეებული აქამომდე არც ერთ
ნინოს ცხოვრებაში არ მოიპოება.

2) იოანე ნათლის-მცემლის მონასტრისა და შიო მღვიმის
„მამათა ცხოვრებებში“ მოყვანილია წერილი ნინოსი მირიანისად-
მი, რომელიც მითომ ნინოს თავის სიკვდილის წინ გაეგზავნოს
კახეთის დედოფლის სუჯის ხელით მირიან მეფისათვის. ეს წე-
რილი შეტანილია საბინის მიერ გამოცემულ „საქაროველთს“

მასინ შეუკრეს მეფენი ქუჭყანისანი და მთავარი დედებიერთ და სიმრავლქ ერთა ძლიერთაჲ, რამეთუ ჭხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოჲსსა, ვითარცა ზეცისა ანგელოზისსა.

და სტუეთდეს მცირესა-მას და ძუელსა სამოსელსა მისსა მთხუევითა საწმუნოებით, და იძულებით ეკედრებოდეს ყოველნი იგი დედოფალნი გარემო-მსხდომარენი, რომელთა დამოსდიოდეს ნაკადულნი ცრემლთანი თუღთაგან მათთა განშორებისათჳს მოძღურისა, მოღუწისა და სწუელთა მკურნალისა კელოვანისა.

ეტყოდეს დედოფალი სალომე უყარმელი და პროუკრა სივნიელი და მათანა ყოველნი მთავარი ჭკითხვიდეს მას და ეტყოდეს: „ვინაჲ ანუ ვითარ მოჰუერ შენ, ქუჭყანასსა ჩუწნსა მაცხოვრად ჩუწნდა, ანუ სადამე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო, მაჴუეე ჩუწნ საქლქ შენი, რაჲსა იტყუ ღუეუობასა, ღუეუთა მსსნელო სანატრელო.“

რამეთუ ესერა გვისწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარ-მეტყეულნი პირველ მოსლვადმდლქ მისა ღუთისა ქუჭყანად.

და მერმე მოციქულნი ათორმეტნი და კუალად სამეოცდა ათორმეტნი, და ჩუწნდა არავინ მოაკლინა ღმერთმან, გარნა შენ. და ვითარ იტყუ, ვითარმედ ღუეუე ვარი მუ ანუ ვითარცა ჭინდოვის თუ ¹⁾).

სამოთხეში“ (გვ. 149—150). ჩვენის აზრით, ეს წერილი შემდეგ უნდა იყოს შეთხზული და ამისთვის არ მოიპოება უძველეს ვარიანტებში.

¹⁾ ქ. ცხა ში და იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის ვა-

მაშინ იწყოს სიტყუად ნინო ღ თქუა: „ასულსო სარ-
წმუნოკებისანო, მასლობელნო ლუთისანო, დედოფალნო
ჩემნო, გსედავ თქუწნ ვითარცა პირველთა მათ წმიდათა
დედათა ყოველსა-მას სარწმუნოკებსა და სიუკარულსა ლუ-
თისასა და გინებს გზათა ჩემთა ცნობაჲ გლასაკისა-ბეკე-
ლისა თქუწნისათა და გაუწყოცა. ესერა მოსრულა სული
ჩემი კოცესა ჩემდა და მეძინებიან ძილითა-მით დედისა
ჩემისაჲთა საუკუნოდ.

არამედ მოიხუენით აღსაწერელნი წიგნისანი და და-
წერეთ სიგლასაკწ ჩემი და უდები ცხოვრებაჲ ჩემი, რათა
უწყოდინ შეილთაცა თქუენთა სარწმუნოკებაჲ თქუენი და
შეწყენარებაჲ ჩემი.

და სასწაულნი ლუთისანი, რომელნი გიხილვიან მცი-
რედნი მათა-მათ ზედა მაკულოკანსა-მას შინა სუეტისა
აღმართებსა და მიერ წყაროსა-მას ზედა და ვიდრე აქა
მოსლავადმდწ ჩემდა თვთ უფალმან იცის და სულმან ჩემ-
მან რომელი უხილავს თვალთა ჩემთა ზეცით გარდამო ქუწ-
ყანასა ზედა ¹⁾.“

მაშინ მოიხუენეს საწერელნი სალომე უკარმელმან და
სივნიელმან პეროკაკრი, და იწყოს სიტყუად წმინდამან ნი-
ნო, და იგინი წერდეს. წინა შობისა მისისა მშობელთა
მისთა საქმედ იწყოს ²⁾).

რიანტებში უკანასკნელი სამი სიტყვის მაგიერ სწერია: „ანუ ვი-
თარ უცხო“ (ქ. ცხ. გვ. 98).

1) ეს § სიტყვიდან „მცირედნი მათა“ ბოლომდის არ
არის არც ერთ ვარიანტში.

2) მთელი ეს მოთხრობა სიტყვიდან: „მაშინ შეკრეს

ცხოვრება წმიდისა ნინოსი.

იყო მათ ჟამთა, ოდენ გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტესთვის, მათ დღეთა კაბადუკიადთ ქალაქით კაცი ვინმე მთავართა შესაბამი მონაჲ ღუთისაჲ წარვიდა ჭრომედ მეფეთა წინაშე ¹⁾ მსახურებად და ნიჭისა მიღებად. და მათვე დღეთა კაცი ვინმე იყო კოლასტას შინა და ესხნეს ორ შვილ: ძმ და ასული. სახელი ძისა მისისაჲ იობენაჲლი, ხოლო ასულისაჲ სუსანა.

და ვითარ აღესრულნეს მშობელნი იგი, დაშთეს შვილნი მათნი ობლად. აღდგეს და წარვიდეს წმიდად ქალაქად იზრუსალიმად. იმედ ეგეს სასოკებაჲ იგი უოკელთა ქრისტესანეთა წმიდაჲ ადგომაჲ და მიეკედრნეს მუნ.

ესე ძმაჲ სუსანაჲსი მიემთხჳა დეკტაღარობასა, ხოლო სუსანა ჭმსახურებაჲ მიაფორსსა საჩას ბეთლემელსა.

ხოლო ესე ჭაბუკი კაბადუკიელი მიიწია წინაშე მეფისა ჭრომედ, და ეწუენეს ბრანჯნი ჭრომითა ბრძოლად კელსა ზედა პინაღანისასა ²⁾ და მოსტა დმერთმან ჭაბუკსამს კაბადუკიელსა ძალი უძლეველი და ქმნა წინააღდგომაჲ მტერთაჲ ძლიერად, ვიდრემდის წარიქცინა სივლტოლად.

მეფენი“ აქამომდე თითქმის სიტყვა-სიტყვით არის შეტანილი ქ. ცხ.-ში. და სხვა ვარიანტებში, შემოსწენებული პარაგრაფის გარდა (იხ. ქ. ცხ. გვ. 98—99)

¹⁾ ქ. ცხ. აქ უმატებს „მაქსიმიანესა“, ხოლო მარიამ დედოფლის და სხვა ვარიანტებში ეს სიტყვა არ მოიპოვება.

²⁾ ქ. ცხ.: „პიტაღანისასა“. მარიამ დედოფლის და იოანე ნათლის-მცემლის ვარიანტები: „პიტაღანისასა“.

და შეიპყრა მეფე ბრანჯთაჲ და მისთანა მთავარნი მრავალნი და შეიყვანნა წინაჲჲ მეფისა მეფე ბრანჯთაჲ და ყოველნი მთავარნი, ხოლო მეფემან განაწესა სიკვდილი მათი.

მასინ იწყეს ტირილად ბრანჯთა-მათ და ეკედრებოდეს ზახილოვნს. მოგუეც პირველად შჯული შენი და შეგუყვანენ ჩუტნ ტაძარსა-მას ღუთისა თქუტნისა და მასინ იყავნ სიკვდილი ჩუტნი, რამეთუ შეცა-შენკე-გუპურენ და შენკე ყავ ესე ჩუტნ ზედა და უბრალე იყო სისხლთა ჩუტნთაგან.

ხოლო ზახილოვნს-და ესმა, მწრათულ აუწყა ესე მეფესა და პატრქაქსა სიტყუაჲ მათი და მისტეს მათ ნათელი კელსა ქუეჲ ზახილოვნისსა, და შეიყვანნეს ტაძარსა ღუთისსა, წმიდასა ეკლესიასა, და აზიარნეს საიდუმლოთა ქრისტესთა, ჳ უჩვენეს მათ დიდებანი იგი წმიდათა მოციქულთანი, და დილაჲთ აღრტ აღდგეს ბრანჯნი იგი და სამოსელი სამკუდრო შეიმოსეს, და განვიდეს ადგილსა-მას კაცთა საკლავსა, ილოცვიდეს და ჳმადლობდეს ღმერთსა ნათლისღებასა-მას ზედა, და ზიარებსა, და იტეოდეს: „ჩუტნ სიკუდილისა შინა უკუდავ ვართ, რამეთუ დიქს ძუგანა ჩუტნ ღმერთმან ესე კითარსა დიდებსა ხილვად და საგზალსა-მას დაუღუგნელსა კორცსა და სისხლსა ქრისტელ, მის ღუთისა უკუდავისა მის მეუფისსა, რომელი არს უფროჲს უმაღლეს ყოველთა მადალთა და უქუეს-კნელეს ყოველთა ქუესკნელთა, რამეთუ იგი არს კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.“

ხოლო ვაჲ ნაშობთა ჩუენთა, ნაყოფთა სიმწარე-

სათა, მკვდრთა ბნელისათა, და გმობდეს ივინი: „მოკედინ
მეკრძლქ ეგე და აღიხუენით თაჳნი ჩუქნნი ჩუქნგან.

ამას რაჲ ჭხედვიდა ზაბილოვნ, აღიძრა გონებითა და
ტიროდა, რამეთუ ვითარცა ცხოვართა, თაჳნი თჳსნი კლვად
წარეპურნეს და, ვითარცა კრავთა შვილთა, მათთა სწყალობ-
დეს.

მაშინ შევიდა ზაბილოვნ წინაჲ მეფისა და გამოი-
თხოვნა, და ნიჭითა განუტეუნა. ხოლო ივინი ეკედრებო-
დეს ზაბილოვნს, რათა წარჭყევეს ქუჭყანად მთა და მისცეს
შჯუული ქრისტესი, და ნათლის-ღებამ წუღითა უოკელსა
ერსა მათსა.

ხოლო ისმინა მათი ზაბილოვნ და მოსთხოვნა მღდ-
ლნი პატრეარქსა, და ბრძანებაჲ მოიღო მეფისაგან, და
წარვიდეს სიხარულით.

და ვითარცა მიესლნეს, ვითარ ერთ დღისა სავალსა
მიჰკვდა ჭამაჲვი, ვითარმედ „მეფქ მოკალს ცოცხალი და
უოკელნი მთავარნი მისთანა.“

მაშინ შეიძრნეს ათნი იგი საერისთეონი: ხოლამამ,
და ხოზაბამ, სლაგამ, სენეშავი, ტიმგარავი, შაქამ, გზამ
შარვამ, შარდამ, შარმამ და თომნიგონი სამეფომ 1),

1) მარიამ დედოფლის და იოანე ნათლის მცემლის კარი-
ანტები სრულად ეთანხმებიან ამ სახელებს; მხოლოდ მარიამ
დედოფლის კარიანტიში სახელი „ზარმანამ“ გამოტოვებულია.
ქ. ცხ. ვი შეცვლით გვიჩვენებს ამ სახელებს: ხოზამომ, ხოზამ,
გაანლაფამ (ბროსსეს კარიანტით „გარდაფამ“), ხონემაგამ, ხი-
გირაგამ (ბროსსეს კარიანტით „ხინიჭრაგამ“), ზაფამ, ზაგამ,
ზარდამ, ზამრამ და თომნი და სამეფომ (იხ. ქ ცხ. გვ. 66).

და მოკეპებოდეს მდინარესა ზედა დიდსა ღდამარსას 1).

და განყო მეთევძნა ერთი იგი და დაადგინა წყალსა მას იმიერ და ამიერ, და აკურთხეს მღვდელთა მდინარე იგი და შთაკდა ყოველი ერთი მდინარესა-მას, და განიბანებოდეს, და აღმოვიდოდეს გამოსავალსა ერთსა, და დასდებდა შაბილოვნ კელსა ყოველსა ერთსა ათ დღს და აღმართნეს ჭარხანი, და შეწირეს მღვდელთა უსმი, და აზიარნეს ქრისტეს სანიდუმელთა.

და განუტევენა მღვდელნი, და განკაცვა ყოველი წესი ქრისტესწინობისაჲ, და დაუტევა კურთხევაჲ, და წარვიდა ნიჭითა დიდითა ჭრომიელ.

და განიზრახა გულსა თვისსა, და თქვა: „წარვიდე ისრუსადიდად,“ და მისცა გლასაკთა ყოველი იგი მონაგუბი. და დეკტალარი იგი 10) პატრეაქ ქმნულ იყო, და ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას შაბილოვნ და პატრეაქი.

ჭკჩუა სარა მიათოარმან პატრეაქსა: „ესე შაბილოვნ შამაჲ და ემასნი ბრანჯთაჲ, კაცვი სრული სიბრძნითა

სხვა ნინოს ცხოვრების ვარიანტებში და „საქართუელთა სამოთხეში“ შემდეგი სახელებია: ნოზამა და ნოზაზა და ზაქაჲ და ბენებაგი, ტიმიგარაგი და ზაქაჲ, გაზაჲ, ზარგაჲ, ზარდა, ზამრაჲ და თომნიგონი და სამეფო (იხ. საქ. სამ. გვ. 120)

1) ქ. ცხ.-ში „და ღრმასა“; მარიამ დედოფლის ვარიანტში: „ღაღმარსა“; იოანეს ნათ. ვარიანტში: „ღაღმარასა.“

2) ქ. ცხ.-ში „დეკტალარი“; მარიამ დედოფლის ვარიანტში „დეკხალარი“; იოანე ნათლის მცემლის ვარიანტში „დეკტალარი“.

და ლუთის მოშიშებითა, ამას მიეც და შენი სუსანა ცოლად.“

და სთნდა წმიდასა ჰატრეაქსა სიტყუაჲ მისი და მისცეს სუსანა ცოლად მისა, და წარვიდეს თჳსა ქალაქსა გოლასკედ ¹⁾

და მე ოდენ ვიშეგ მათგან, და იგი არიან მშობელებნი ჩემნი, და აღმსარდა მე დედამან ჩემმან წიაღთა შინა თჳსთა, მსახურებასა შინა გლახაკთასა, დღს და ღამს დაუცაღებულად.

და ვითარცა ვიქმენ მე ათორმეტის წლისა მშობელებთა ჩემთა განუიდეს ყოველი, რადცა აქუნდა, და წარვიდეს იმტრუსაღიძად.

მაშინ მამამან ჩემმან დაიწერა ჯგარი ჰატრეაქისაგან და განიჯმნა დედისაგან ჩემისა, და შემიტყუბო მე მკერდსა მისსა, და დამღუარნა, ვითარცა ღუარნი, ცრემნი თჳსნი თვაღთა და პირსა ჩემსა ²⁾.

და მრქუა: „შე მხოლოჲო ასულო ჩემო! ესერა დავგიტეკებ შენ ოხლად ჩემგან და მოგიტვაღავ შენ ღმერთსა წათასა, მამასა, ყოველთა მზრდელსა, და უფაღსა, რამეთუ იგი არს მამაჲ ოხოლთაჲ და მსაჯული ქურციკთაჲ, ნუ გეშინიან, შვილო ჩემო.

ხოლო შენ მაგდანელისა მარიაშის შური აღიღე სიუწარუღისათჳს ქრისტესისა და დათა-მათ ღმსარესთა.

¹⁾ ქ. ცხ. „კოლასტრად“; იონე ნათლის მცემელის ვარ.-ში აგრევე.

²⁾ აქ, როგორც მეითხველი ხედავს, ნინო ყოველთვის ღაპარაკობს თავის თავზედ, ხოლო ქ. ცხ.-ში და სხვა ვარიანტებში ამბავი მესამე პირით არის მოთხრობილი.

და თუ შენ ესრეთ გეშინოდის მისა, ვითარცა მათ, მან ეგრეთ მოგცეს ყოველი, რადაცა სთხოვო მას, ოდეს რაღ გინდეს მისგან.“ და მოძცა ამბორებად საუკუნომ ღ წარვიდა წიად იორდანესა კაცთა-მათთანა კელურთა, რომელად ყოფად მისი იცის მისმან უფალმან იესო.

ხოლო დედად ჩემი მისცა ვატკნაქმან მსახურად გლანაკთა, დედათა უძღურთა. ხოლო მე ვმსახურებდ მის-
ფორსა სომეხსა დვინელსა ორწელ.

და კვითხევი ვნებათა მათთჳს ქრისტესთა ჯუარცმისა, დაფულებისა და აღდგომისათჳს მისისა, და სამოსლის მისისა და ჯუართა, და ტილოთასა, და სუდარისასა, ყოველსა მიწეებით.

რამეთუ არავინ ყოფილ-იყო, არცა იყო, შორის იზრუსალიმისა ზომი მისი მეცნიერებითა შჯულსა გზასა ძუელსა და ახალსა ყოველსავე.

იწყო უწიებად ჩემდა და თქუა: რხედავ, შვილო ჩემო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იზახებნ ყოველსავე ზედა ოთხფერკსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა აერთასა უფროდს მამლისა და ყოველთ ქუეყანად გუგასა თულისა მისისასა მცირესა მარგალიტის სწორსა შაყენის.

და განიხილის, განიცადის საჭმელი მისი, ცეცხლებრ დანახის, მოუტეკნის ფრთენი შრიალებად და მიიმართის მას ზედა.

ეგრეთ იყოს ცხოვრებად შენი წინამძღვარებითა სულისა წმიდისაათა.“

თავი დ, აღწერილი მისვე სალომე უყარ-
მელისაჲ ¹⁾).

აწ ვიწყო და გითხრა ყოველი: „ოდეს იგი იხილეს
ღმერთი უკუდავი კაცთა მოკუდაეთა ქუეყანასა ზედა, რომე-
მელი მოსრულ-იყო, მისგან ისრასწლი უკუნ-დგა; და მოწოდებაჲ
ყოველთა უცხოთა ნათესავთაჲ, უცხოთა ღმერთთა
მონებულთაჲ, ვითარცა თვით უნდა კხსნაჲ სოფლისაჲ,
რომელი დაჭბადა, იწყო კეთილის ყოფად ჭურჩათა, მკუ-
დართა აღდგინებად, ბრძათა აღხილვად, ყოველთა სნე-
ულთა განკურნებად. ესე შეიშუნეს, შეიზრახნეს და წა-
რავლინეს სტრატიოტნი ყოველსა ქუეყანასა სწრაფით
მოსლვად, და იტყოდეს, რამეთუ „აჭა; ესერა წარკვემდე-
ბითო.“

მაშინ მოიწინეს ყოველით სოფლით კაცნი ჭურჩანი,
მეცნიერნი შჯულსა მოსესსა, რომელნი არტაკრად ²⁾ აღუ-
დგეს სულსა წმიდასა.

და რაჲ იგი უნდა ქრისტესა მათგან, მათ აღასრუ-
